

მ. ხანთაძე

ქაჯი
ქაჯი

(ისტორიოგრაფიული ნაკვეთი)

გამოცემლობა
„საბჭოთა საქართველო“

თბილისი
1966

ნაშრომში განხილულია გამოჩენილი ორიენტალისტისა და ქართველოლოგის მარი ბროსეს მეცნიერული მემკვიდრეობა, დახასიათებულია მისი როლი ევროპასა და რუსეთში მეცნიერული ქართველოლოგიის ჩამოყალიბების პროცესში. აქვე ნახეუნებია ბროსეს ღვაწლი მე-19 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში. ბროსეს შრომებმა მთელი ეტაპი შექმნეს საქართველოს ძველი კულტურისა და ისტორიის მეცნიერულად შესწავლის საქმეში და მათა გაცნობა ქართველი მკითხველისათვის არ უნდა იყოს ინტერესგამოკლებული.

Шота Андреевича Птадзе

Мари Броссе

(Историографический очерк)

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1966

შ ე ს ა მ ა ლ ი

ქართველი ხალხის მდიდარ კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას არა ერთი უცხოელი მეცნიერი დაუინტერესებია. მათ შორის პირველი სპეციალისტი — ქართველოლოგი, ევროპაში მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებელი იყო მარი ფელისიტე ბროსე. მ. ბროსე ახალგაზრდობიდანვე მოიხიბლა ქართველი ხალხის შესანიშნავი ისტორიული წარსულით, მდიდარი ენითა და ლიტერატურით და მათ შესწავლას მოახმარა მთელი თავისი სიცოცხლე და დაუშრეტელი ენერგია. მან დაგვიტოვა ორნახევარ ასეულზე მეტი ნაშრომი ქართველოლოგიის საკითხებზე, გამოსცა ქართული ისტორიული წყაროები, დაამუშავა თითქმის ყველა ის საკითხი, რომელთა გარკვევა აუცილებელი იყო ევროპაში ქართველოლოგიის მეცნიერულ დარგად გადაქცევისათვის. „საქართველოს მეთოდური მეცნიერული შესწავლის მეთაურად, — წერდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, — უცილობლად უნდა ფრანგი მარი ბროსე იქმნეს ცნობილი“.

გასაოცარი იყო ბროსეს მუშაობის შედეგიანობა. მისი თანამედროვეები ფიქრობდნენ, რომ მან მთლიანად ამოწურა ქართული ლიტერატურის შესწავლა [291, გვ. 31], ხოლო აკად. ო. ბოტლინკს ხატოვნად უთქვამს: „Он выиспал весь мешок грузинских литературных, не оставив в нем ничего“. რა თქმა უნდა, ეს აზრი არ შეეფერება სინამდვილეს, მაგრამ ამასთანავე ეს სიტყვები კარგად ასახავენ იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ახდენდა ბროსეს მუშაობის ნაყოფიერება მის თანამედროვეებზე.

ბროსე იყო უნივერსალური ხასიათის მკვლევარი, როგორც მრავლად ვხვდებით გასული საუკუნის ორთენტალისტიკაში ამ დარგის იმჟამინდელი მდგომარეობის გამო [334, გვ. 2]. მისი დაკვირვებისა და შესწავლის საგანი იყო არა მარტო სა-

ქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა, არამედ ქართული ენისა და ლიტერატურის, ნუმისმატიკის, ეპიგრაფიკის, სფრაგისტიკისა და სხვა დარგთა ძირითადი საკითხები.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ბროსეს მოღვაწეობას გასულ საუკუნეში ქართველი ხალხისათვის მარტო მეცნიერული მნიშვნელობა როდი ჰქონდა. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს იმდროინდელ კოლონიურ მდგომარეობას, ნათელი გახდება, რომ ბროსეს მიერ ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერულ შესწავლას და პოპულარიზაციას, მის არაერთგვარადაცამოსვლას ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიული წარსულის დასაცავად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩვენი ხალხის ეროვნული აღორძინებისათვის. ბროსეს მოღვაწეობა სამსახურს უწევდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში და ამიტომ იყო, რომ ამ მოძრაობის ხელმძღვანელები დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მის მუშაობას, მაღალ შეფასებას აძლევდნენ მას. ქართული პრესა სისტემატურად აქვეყნებდა ცნობებს ბროსეს მუშაობის შესახებ, ბეჭდავდა მისი ზოგიერთი ნაშრომის ქართულ თარგმანს.

სერგეი მესხი ბროსეს მოღვაწეობას სამაგალითოდ მიიჩნევდა ქართველი ახალგაზრდებისათვის, „რომელთა პირველი მოვალეობა სამშობლოს უანგარო სამსახური და იმისათვის საუკეთესო დღეების შეწირვა უნდა იყოს“. გ. წერეთელი წერდა: „ბროსემ გვითხრა: „ღრთა განიღვიძოთ და აღადგინოთ თქვენი დაცემული სამშობლო“. დიდი ილია მოითხოვდა ბროსეს სახელის უკვდავყოფას საქართველოში, ხოლო ქრ. მამაცაშვილი გულისტკივილით წერდა: „ჩვენ რომ სხვა და სხვა მიზეზებით გაღარიბებულნი არ ვიყვნეთ, ჩვენი პირდაპირი მოვალეობა იქნებოდა აგვემართა მარი ბროსესათვის ძველი. მაგრამ რადგან ჩვენი სიღარიბე ამის საშუალებას არ გვაძლევს, ამისთვის ეს მივანდოთ ჩვენს შთამომავლობას, რომელიც იქნებ ჩვენზე მდიდრები და ბედნიერები შეიქმნენ“.

ასეთია წინაპართა ანდერძი და ჩვენ წინამდებარე ნარკვევი ერთ-ერთ აგურად მიგვიტანია იმ ძველის მშენებლობაზე, რომელიც დამსახურებულად ეკუთვნის მარი ბროსეს ქართველი ხალხისაგან.

ბროსეს ღვაწლი არაერთხელ აღნიშნულა ჩვენს ისტორიო-გრაფი ში. ჭერ კიდევ რევოლუციამდე აკად. ნ. მარმა და ვ. ბარტოლდმა აღიარეს იგი ევროპაში ქართველოლოგიის ფუძემდებლად [274, 292], მათვე აღნიშნეს მისი ნაყოფიერი გავლენა რუსეთში და საქართველოში მეცნიერული ქართველოლოგიური კვლევა-ძიებების გამოცოცხლებაზე და მიუთითეს მისი მუშაობის ნაკლოვან მხარეებზეც. 1925 წ. პროფ. ს. კაკაბაძემ ხაზი გაუსვა მ. ბროსეს მკიდრო კავშირს მე-19 საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიასთან, მართებულად მიიჩნია ბროსეს მეცნიერული მემკვიდრეობა ამ ისტორიოგრაფიის განუყრელ ნაწილად [276, გვ. 122]. ჩვენს ლიტერატურაში უკვე ითქვა ბროსეს დამსახურებაზე სიგელ-გუჯრების მიხედვით ძველი საქართველოს შინაგანი მდგომარეობის შესწავლის ხაზით [293, 294]. დახასიათებულია ბროსეს ღვაწლი „ქართლის ცხოვრებისა“ და ქართული ქრონოლოგიის შესწავლის საქმეში [295, 296], გამოჩვენებულია ბროსეს როლი ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საქმეში [334]. სპეციალური მონოგრაფია მიეძღვნა ბროსეს ნაშრომებს ქართული მწერლობის საკითხებზე [277] და ა. შ. როგორც ვხედავთ, ჩვენ არ მოგვიხდა სრულიად გაუტეხავი ყამირის გატანა. მაგრამ მარი ბროსეს მეცნიერული მოღვაწეობის მთლიანი სურათის წარმოდგენა, მისი უმთავრესი—ისტორიოგრაფიული—მუშაობის დახასიათება და შეფასება ჭერჭერობით არავის უცდია და ამ მხრივ ჭერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამ ამოცანის ამომწურავად და ყოველმხრივ გადაწყვეტა, ცხადია, არც ამ ჩვენს ნაშრომს შეუძლია.

ჩვენ ღიღი სამსახური გაგვიწია მარი ბროსეს ნაშრომთა ანალიტიკურმა ბიბლიოგრაფიამ, რომელიც შეადგინა მეცნიერის შეილმა ლორან (ლავრენტი) ბროსემ. ძნელია აღტაცების გარეშე ილაპარაკოს კაცმა ამ ბრწყინვალე ბიბლიოგრაფიულ ნაშრომზე. ამ წიგნით ლ. ბროსემ ნამდვილი ძეგლი დაუდგა თავის სასიქადულო მამას. მანვე გამოაქვეყნა მ. ბროსეს ნაშრომთა არასრული სია [272] და მისი არქივის მოკლე აღწერა [273]. ეს არქივი ამჟამად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტშია დაცული. იქვეა დაცუ-

ლი ბროსეს მიერ შეკრებილი ქართული ხელნაწერები, რომელთა აღწერას მკითხველი იპოვის რ. ორბელის ნაშრომებში [288, 289, 290]. ამჟამად უკვე გამოქვეყნებულია ზოგიერთ ქართველ მოღვაწეთა წერილები მ. ბროსესადმი [282, 283, 284; 285]. ამ მიმოწერის ნაწილი კი დაცულია ბროსეს არქივში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში და აგრეთვე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივში.

მთელი ეს მასალა დაედო საფუძვლად წინამდებარე ნარკვევს, რომელიც ტექნიკური მიზეზების გამო რამდენადმე შეკუმშული სახით ქვეყნდება.

მე-19 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები ჯერ კიდევ არ არის სათანადო სისრულით შესწავლილი. ამასთანავე თუ გავითვალისწინებთ ბროსეს მეცნიერული შემკვიდრობის დიდ მოცულობას და მისი მეცნიერული მოღვაწეობის მრავალფეროვნებას, ცხადია, ამ ჩვენ ნარკვევს მრავალი ხარვეზი შეიძლება ჰქონდეს. ჩვენ გვინდა წინასწარ ვუძღვნათ მადლობა ყველას, ვინც არ დაიხარებს და მოგვაწვდის თავის შენიშვნებს ჩვენს ნაშრომზე.

**მეცნიერული კარტოგოლოგიის ფუძემდებელი
დასავლეთ ევროპაში**

1. აღზრდა, სწავლის წლები, სინოლოგია...

(1802 წლის თებერვალს¹ პარიზში ხელმოკლე ვაჭრის ჟან-ფილიპ ფრანსუა ბროსეს ოჯახში დაიბადა მესამე ვაჟიშვილი. ახლადშობილის ბებია (დედის მზრცი) მადამ ანრიო თავისი ქალიშვილის ოჯახში მესამე შვილად, როგორც ჩანს, გოგონას ნატრობდა და როცა ეს სურვილი არ შეუსრულდა ითხოვა ახლად შეძენილი ბიჭუნასათვის ქალის სახელები დაერქმიათ. ასე შეერქვა მომავალ დიდ მეცნიერს ქალის სახელები—მარი და ფელიცია. ეს გარემოება პარიზის სემინარიებში სწავლის დროს ხშირად აგდებდა უხერხულ მდგომარეობაში ჭაბუკ ბროსეს და იგი იძულებული გახდა ამ სახელებისათვის მიემატებია მესამე, ახლა უკვე კაცის სახელი — ქსავიე. მარი-ქსავიე, მარი-ქსავიე — ფელისოტე ან ზოგჯერ მხოლოდ ქსავიე — ასე იწოდებოდა და ასე აწერდა ხელს ბროსე იმ ხანებში. /

ბროსეს საგვარეულო ფართოდ იყო გავრცელებული საფრანგეაის ცენტრალურ ნაწილში, ორლენისა და ბერის მხარეში. მარი ბროსეს მამა პარიზში ცხოვრობდა. მას მშობლებისაგან დარჩა რევოლუციის წლებში გაპარტახებული მცირეოდენი მემკვიდრეობა და ხელმოკლეობას განიცდიდა.

ბროსეს დედა ანა—ჰენრიეტა ბეკერი წარმოშობით ბრეტანელი იყო და როგორც იმ დროის თითქმის ყველა ბრეტანელი, უაღრესად მორწმუნე ადამიანი იყო. იგი პატარა ბროსეს „წმინდა მარიამს“ („Sainte Marie“) ეძახდა და საერთოდ სულ

¹ თარიღები აქ და ქვემოთ ყველგან ახალა სტილით მოგვაქვს.

იმას ცდილობდა, რომ შვილები კეთილ კათოლიკებად აღეზარდა.

ცხრა თვისა იყო ბროსე, როცა გარდაიცვალა მისი მამა, სრულიად ახალგაზრდა კაცი—24 წლისა, და ოჯახი კიდევ უფრო დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. დედამ გადაწყვიტა მთელი ოჯახით ორლენაში გადასახლებულიყო, რაც შეასრულა კიდევ. იქ მან შვილები სასულიერო სემინარიაში მიაბარა, თვითონ კი ცოტა ხნის შემდეგ ამიენს მიაშურა და ღვთისმშობლის ტაძარში მონაზვნად აღიკვეცა.

თავდაპირველი განათლება ბროსემ ორლენაში აბატ მიროს სემინარიაში მიიღო. აქ მას ღვთისმეტყველებასა და ძველ კლასიკურ ენებს—ბერძნულსა და ლათინურს ასწავლიდნენ. საბუნებისმეტყველო საგნებს სასწავლო პროგრამა სრულებით არ ითვალისწინებდა, ხოლო ისტორიის სწავლება ამოიწურებოდა ისტორიულ თხზულებათა ხმამაღალი კითხვით ტრაპეზის დროს.

რესტავრაციისა და შემდეგ ბურჟუაზიული მონარქიის დროინდელ საფრანგეთში სასულიერო კარიერისთვის მომძლავრება შეუძლებელი იყო. „Священники, конгрегационисты и роялисты повсюду господствуют...“ — წერდა პოცო დი ბორგო 1827 წელს საფრანგეთში არსებული პოლიტიკური კონიუნქტურის შესახებ. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ეს პროვინციები და პროვინციების სასულიერო სემინარიებში. მარი-ბროსეს უმცროსი თანამედროვე, სახელგანთქმული მეცნიერი ერნესტ რენანი, ბრეტანის ერთ-ერთი მიყრუებული ქალაქის ტრეგიეს სასულიერო სემინარიაში გაბატონებულ სწავლების წესს შემდეგნაირად ახასიათებდა: „Все историческое изучение сводилось к тому, что они (პედაგოგები — შ. ხ.) давали нам читать Роллена. О критике, естествознании, философии, конечно не могло быть и речи. Что же касается XIX века — этих новых идей в области истории, литературы, идей находивших повсюду таких красноречивых истолкователей — все это являлось для моих почтенных воспитателей совершенно неведомой областью. Едва ли существовало когда либо большее отчуждение от окружающего мира... О современной литературе никогда ни одного

სლავი. Французская литература кончалась аббатом Деландем¹.

ახალოგიური მდგომარეობა უნდა ვიგულისხმოთ აბატ მიროს სემინარიაშიც. მკაცრი იეზუიტური რეჟიმი გასაქანს არ აძლევდა ახალგაზრდების ცნობისმოყვარეობას. ერთადერთი რამ, რაც სასარგებლო აღმოჩნდა ბროსესათვის ეს იყო ძველი კლასიკური ენების—ბერძნულისა და ლათინურის შესწავლა. ამ ენების ბრწყინვალე ცოდნით მან შემდეგ არაერთხელ გამოიჩინა თავი.

სასულიერო სემინარიების მასწავლებლებს შორის აქა-იქ კიდევ მოიპოვებოდნენ განათლებული და მოწინავე პედაგოგები. ლორან ბროსე ასახელებს აბატ პარიზის, რომელსაც მიროს სემინარიაში ყოფნის დროს დიდი ზეგავლენა მოუხდენია ჰაბუკ ბროსეზე. მას ჩაუნეოვავს მისთვის სიყვარული მეცნიერული აზროვნებისა. ფილოლოგიური კვლევა-ძიებისა, საერთოდ განათლებისა. 1816 წელს მიროს სემინარიის დამთავრებისთანავე ბროსემ სწავლის გასაგრძელებლად პარიზს მიაშურა.

იმდროინდელი პარიზი თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა პროვინციის ქალაქებისაგან. აქ ჯერ კიდევ მძლავრად იგრძნობოდა რევოლუციური, განმანათლებლური სულისკვეთება, გარდაქმნათა დიდი სურვილები. ეს განწყობილება პარიზის სასულიერო მასწავლებლებშიც კი იჭრებოდა და გავლენას ახდენდა მათზე.

პარიზში ბროსე ჯერ შარდონეს წმ. ნიკოლოზის მოსამზადებელ სემინარიაში სწავლოდა რიტორიკის კლასში, ერთი წლის შემდეგ კი პარიზის გაუკუბანში ისწავლიდა, სადაც სწავლა განაგრძო იმ დროის ერთ-ერთი შესანიშნავი სასწავლებლის—სან-აჟლპისიენის სემინარიის ფილიალში. აქ იგი ფილოსოფიის კლასში მეცადინეობდა. სხვა საგნებთან ერთად მას ასწავლიდნენ ძველ ებრაულ და არაბულ ენებსაც.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზემოთ ნახსენები ერნესტ რენანი პარიზში სწორედ იმ სასწავლებლებში სწავლობდა, რომელშიც ბროსე. ამ სასწავლებლებში არსებულ სწავლა-აღზრდის სისტემას და საერთო განწყობილებას იგი შემდეგი

¹ Э. Ренан — Собр. соч., X, Киев, 1912, гл. 64 — 65.

სიტყვებით ახასიათებს: „...Семинария Св. Николая в эту эпоху являлась самой блестящей, самой светской школой. Великий Париж проникал сюда свободно через двери и окна — но не одной своей развратной стороной, спешу заметить, а весь, со всей своей мелочностью и величием. благородными чувствами воляности и жалкими побрякушками, революционным духом и дряблоси неподвижностью... Здесь свободно веял дух века“. კიდევ უფრო მეტად ეს ითქმის სან-სულპისიენის სემინარზე.

ორი წელი (1818—1820) ბროსე? გაატარა მონრუეის იეზუიტურ მონასტერში, სადაც იგი მორჩილად შედგა. აქ იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საეკლესიო მოღვაწეობისათვის არ იყო მოწოდებული. მან ზურგი შეაქცია საეკლესიო კარიერას. დაბრუნდა პარიზში და ხელი მოჰკიდა აღმოსავლურა ფილოლოგიის შესწავლას. ამ ხანებში იგი სწავლობდა ჩინურს, მანჭურულს და ტიბეტურს. ბროსეს გადაწყვეტილი ჰქონდა სინოლოგიაში ემუშავნა.

პარიზში ცხოვრება არ იყო იოლი. მატერიალური შემწეობა, რომელსაც ჰაბუკი ბროსე დედისაგან იღებდა, არ იყო საკმარისი თავის სარჩენად და ბროსემ კერძო გაკვეთილების მიცემა დაიწყო. 1821 წ. 24 იანვარს მან ამისათვის სახალხო განათლების სამეფო საბჭოსაგან მიიღო დაწყებითი კლასების რეპეტიტორის დიპლომი. ბროსე ბეჭითად ემზადებოდა ლიტერატურის ბაკალავრის წოდებაზე გამოცდების ჩასაბარებლად. იმავე წლის 15 დეკემბერს მან ჩააბარა გამოცდები პარიზის აკადემიის ლიტერატურული ფაკულტეტის საბჭოს და მოიპოვა ლიტერატურის ბაკალავრის წოდება. გამოცდების დროს მან თავი გამოიჩინა ძველი კლასიკური ენების — ბერძნულისა და ლათინურის შესანიშნავი ცოდნით.

1822 წლის დამლევს დედის გაგლეწით ბროსე მკირე ხნით უბრუნდება სასულიერო კარიერას. იგი ამ დროს ამიენში ჩავიდა დედის სანახავად. დედამ დაუწყო ვედრება დაბრუნებოდა სასულიერო საქმიანობას. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ ბროსემ დაუთმო დედის ცრემლებს და 1823 წლის იანვარში ამიენის ეპისკოპოსს სთხოვა სასულიერო წოდებაში გადაყვანა. ეპისკოპოსმა შეუსრულა მას თხოვნა და მისცა საბუთი, რომ-

ლითაც ბროსე სასულიერო პირი ღდებოდა. მას მისცეს წინა-დადება ემუშავა მასწავლებლად ამიენის მახლობლად მდებარე სენ-აშოლის სასულიერო სემინარიაში. ბროსე დათანხმდა. ამ სემინარიაში მან მხოლოდ ათიოდე თვე გასძლო. სიყვარული მეცნიერულა ძიებებისა, რომელიც უკვე საკმაოდ მძლავრად იყო გამჭდარი მის სულში, მოსვენებას არ აძლევდა. სემინარიაში იგი განაგრძობდა მუშაობას აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის შესწავლაზე. ამ დროის ერთ-ერთ რვეულში, სადაც მას სემინარიის მსმენელთათვის შეჰქონდა ლათინური ენის საფარჯიმოები, ვსვდებით ამონაწერებს აღმოსავლეთის ხალხთა ენებისა და ისტორიის შესახებ. 1823 წ. შემოდგომაზე ბროსემ მიატოვა აშოლის სემინარია, დაბრუნდა პარიზში და განაგრძო მუშაობა აღმოსავლურ ფილოლოგიაში.

ამ ხანებში ცნობილმა გამომცემელმა ფირმინ დიდომ ბროსეს შესთავაზა გამოსაცემად მოემზადებია ძველი საეკლესიო მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლი—„ქრისტეს მიბადვის“ ბერძნული ვერსია. ეს ძეგლი ჯერ კიდევ 1615 წ. გამოსცა მეიერმა და დაურთო მას ლათინური თარგმანი. ახალი გამოცემა უნდა ყოფილიყო ძველის გაძეორება. ბროსემ ხალისით შეასრულა ეს დავალება და 1824 წელს გამოვიდა კიდევ ეს 650 გვერდიანი წიგნი („De imitatione Cristi“...). ამ გამოცემამ თანამედროვეთა მოწონება დაიმსახურა. საფრანგეთის აჟრნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა დადებითი რეცენზიები (BA, გვ. 2—3).

რამდენიმე წლის შემდეგ იმავე გამომცემლის დავალებით ბროსემ ორ ტომად გამოსცა ააალი აღთქმის წიგნები ბერძნულ ენაზე. ამასთანავე სახარების ტექსტის ზოგიერთი დაზიანებული ადგილის აღსადგენად და გასამართავად მან ამ ძეგლის ქართული და სომხური ტექსტები გამოიყენა. ეს გამოცემა მან 1831 წელს განახორციელა, [BA, გვ. 34—36]. ამ ორი ნაშრომით მოიხადა ვალი ბროსემ მისი აღმზრდელი კლერიკალური წრეების წინაშე და შემდეგ იგი საეკლესიო მწერლობის ძეგლებს აღარ დაბრუნებია.

ბროსე ისმენდა ლექციებს ეპოქის ბრწყინვალე უმაღლეს სასწავლებელში „საფრანგეთის კოლეჯში“ („College de France“). ანტიკურ ისტორია, მას უკითხავდა ცნობილი ელინისტი

პაზი, ძველ ებრაულსა და სემიტურ ენებს—ეტიენ კატრემერი, ჩინურსა და შორეული აღმოსავლეთის ენებს—ჟ. აბელ-რემუზა, არაბულს—სილვესტრ დე-სასი. ამ ბრწყინვალე ორიენტალისტთა ლექციები დიდი სკოლა იყო ახალგაზრდა მეცნიერისათვის. 1823 წ. ოქტომბერში მარი ბროსე მისმა მეგობარმა ბარონმა ვალკენერმა გააცნო ჟ. აბელ-რემუზას, იმ დროის უთვალსაჩინოეს სინოლოგს და სთხოვა ხელმძღვანელობა გაეწია მისთვის ჩინური ენისა და ლიტერატურის შესწავლაში. ჟ. აბელ-რემუზამ მართლაც დააწყებინა ბროსეს ძველი ჩინური პოეზიის მონუმენტური ძეგლის „ში კინგ“-ის (ლექსთა წიგნის) შესწავლა.

ბროსეს მუშაობამ სინოლოგიაში მალე მიიპყრო პარიზის „აზიური საზოგადოების“ ყურადღება. 1825 წლის 7 თებერვალს იგი საზოგადოების წევრად აირჩიეს და რამდენიმე მოხსენება წააკითხეს. ამ მოხსენებათა ნაწილი შემდეგ „აზიური საზოგადოების“ ჟურნალში დაიბეჭდა და გამოქვეყნდა ცალკეც [262; 263; 265].

უკვე ამ დროს გაეცნო ბროსე ქართულ და სომხურ ენებსაც. საქართველოზე მან წაიკითხა ევგ. ბოლხოვიტინოვის წიგნი, მის გერმანულ თარგმანში (რიგა, 1804 წ) და აგრეთვე ამ წიგნის ანოტირებული რეცენზია გამოქვეყნებული 1819 წელს ჟურნალში: „Nouvelles annales des voyages...“ შემდეგში ბროსე იგონებდა, რომ სწორედ ევგ. ბოლხოვიტინოვის წიგნმა აღუძრა მას ინტერესი საქართველოსადმი [48, გვ. XIV].

ბროსემ შეისწავლა აგრეთვე ქართული ენის შესახებ ევროპაში არსებული გრამატიკული ლიტერატურა [მაჯიო, ფატერი, ფირალოვი...], გაეცნო პარიზის ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერებს, დაიწყო მუშაობა 1743 წ. ბაქარ ბატონიშვილის მიერ გამოცემულ „ბიბლია“-ზე.

ამავე პერიოდში იგი სწავლობდა სომხურ და რუსულ ენებსაც.

1826 წ. მარი ბროსემ მოულოდნელად შეწყვიტა მუშაობა სინოლოგიაში. მან დაწვა, დაწია და გაანადგურა ამ დარგში თავისი ჩანაწერებისა და ნაშრომების დიდი ნაწილი. ამ უჩვეულო საქციელის ნამდვილი მიზეზი ჩვენთვის უცნობია. ლორან ბროსე გადმოგვცემს, რომ მას არაერთხელ მოუსმენია მამისაგან იმ

უთანხმოების შესახებ, რომელიც მოსვლია აროსეს მის ხელმძღვანელთან—ე. აბელ-რემუზ-სთან. თუკი მართლა ეს იყო სინოლოგია, თან კავშირის გაწყვეტის ნამდვილი მიზეზი, უნდა ვაღიაროთ, რომ ბროსეს დიდხანს არ გაპყოლია გულისწყრომა თავის მასწავლებელზე. შემდგომ პერიოდში შეინიშნება საკმაოდ კარგი და კოლეგიალური დამოკიდებულება მათ შორის.

1826 წლიდან მარი ბროსე მისი უფროსი კოლეგისა და მეგობრის ე. სენ-მარტენის რჩევით ხელს ჰკიდებს ქართული ენისა და ლიტერატურის საფუძვლიან შესწავლას. იგი ქართველოლოგიის გზას დაადგა და გადასწყვიტა სპეციალისტი, ქართველოლოგი გამხდარიყო. მიუხედავად მრავალი სიძნელისა და დაბრკოლებებისა ბროსე ერთგულად გააყვა ბოლომდე ამ მეცნიერულ დარგს.

2. ქართველოლოგიის გზით, აღჩაული ნაშრომები

ქართველოლოგიური მოღვაწეობა მარი ბროსემ წინამორბედ მკვლევართა ნაშრომების კრიტიკული განხილვითა და შეფასებით დაიწყო. უმთავრესი ყურადღება მან, ბუნებრივია, ქართული ენის არსებულ ლექსიკონებს და გრამატიკულ ნაშრომებს მიაქცია, როგორც ენის შესწავლის უპირველეს საშუალებებს. მისი სიტყვით ლექსიკონი იძლევა ენის შემადგენელ ელემენტებს, გრამატიკა კი—მის კანონებს, ერთი გვაწვდის მასალას, მეორე—ხელსაწყოს მათ გამოსაყენებლად.

როგორც ცნობილია¹, ევროპაში იმ დროისათვის უკვე არსებობდა ქართული ენის რამდენიმე ლექსიკონი (პაოლინის, ფირალოვის, კლაპროტის), იყო გრამატიკული ნაშრომებიც (მაჯიოსი, გაიოზის, ფირალოვის და ფატერის). ბროსეს აზრით, ვერც ერთი მათგანი ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებებს, მათ სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნდათ.

პაოლინისა და ირბახის ქართულ-იტალიურ ლექსიკონში დიდძალი შეცდომები იყო დაშვებული, ნრავალი სიტყვა მასში

¹ ბროსემდე ევროპულ ქართველოლოგიაში არსებული მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა. იხ. ჩვენს წერილში: მეცნიერული ქართველოლოგიის აღმოცენების ისტორიიდან დას. ევროპაში, ჟურნ. „ცისკარი“, 1963, № 6, გვ. 136—145.

დამახინჯებული სახით იყო წარმოდგენილი, ბევრი მათგანი კი არასწორად იყო განმარტებული (თარგმნილი). ლექსიკონის მოცულობაც მცირე იყო. ასევე არასრული და მცირე მოცულობისა იყო ფირალოვის ლექსიკონი, დართული მის „Самовыя-трян“-ზე. რაც შეეხება კლასროტის მიერ შედგენილ ლექსიკონს, ის წარმოდგენდა სხვა ლექსიკოლოგიურ ნაშრომთა კომპილაციას, ვადმოწერილი იყო ძირითადად ფირალოვის წიგნიდან და ვადმოწერის დროს დაშვებული იყო მრავალი შეცდომა.

ამრიგად, ქართული ენის მალალხარისხოვანი და შედარებით სრული ლექსიკონის შედგენის ამოცანა ჯერ კიდევ მთელი სიგრძე-სიგანით იდგა იმდროინდელი ევროპული ქართველოლოგიის წინაშე.

ანალოგიური მდგომარეობა იყო ქართული გრამატიკის შექმნის საქმეშიც. მაჯიოს გრამატიკა, ბროსეს სიტყვით, უფრო იტალიური ენის კანონებზე მიხედვით იყო შედგენილი, ვიდრე ქართულის, გაიოზისა და ფირალოვის ნაშრომები კი მეტად მოკლე. ზოგად და არასრულ ცნობებს იძლეოდნენ. ფატერის უხეიროდ შედგენილი კომპილაცია ანგარიშშიც არ იყო მისაღები. ხოლო კლასროტის მიერ პარიზის „ახიური საზოგადოების“ დავალებით შედგენილი გრამატიკული ნაშრომი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, იმთავითვე ცხადჰყოფდა, რომ ამ ამოცანას ვერც მისი ავტორი შეასრულებდა. ბროსე ხელნაწერში ვაეცნო კლასროტის ნაშრომს და შენიშნა, რომ იგი მთლიანად ემყარებოდა ერთი იტალიელი მისიონერის—ჯიროლამა და ნორჩიას სელნაწერ გრამატიკას. ბროსე მივიდა დასკვნამდე, რომ კლასროტი ქართული ენის სრულფასოვან გრამატიკას ვერ შექმნიდა. თავისი ეს დასკვნა ბროსემ მოახსენა „ახიურ საზოგადოებას“ [8; იხ. BA, გვ. 21]. ამას მოჰყვა ცხარე კამათი ბროსესა და კლასროტს შორის, რასაც პრინციპული მწიშკნელობა ჰქონდა, ვინაიდან აქ ერთმანეთს დაუპირისპირდა მუშაობის ორი სხვადასხვა სტილი. ორი სხვადასხვა მეთოდი. კლასროტის მუშაობა ქართულის დარგში არ სცილდებოდა დილექტანტიზმის ფარგლებს, მას შესაძლებლად და დასაშვებად მიაჩნდა მეორე და მესამე პირთა ხელიდან გამოსულ მასალებზე დაყრდნობა, უშუალოდ პირველწყაროების შესწავ-

ლას და მათზე დამყარებას იგი აუცილებლად არ თვლიდა. კლაპროტმა ქართული ენა ერთობ ზერელედ შეისწავლა და სხვების დახმარების გარეშე არ შეეძლო მუშაობა ამ დარკში.

სულ სხვაგვარად მუშაობდა ბროსე და სხვაგვარ მოთხოვნილებებს უყენებდა იგი თავის თავს. ბროსე აუცილებლად თვლიდა პირველწყაროების შესწავლას, ენის საფუძვლიან ცოდნას, მთელი მსჯელობის დამყარებას შემოწმებულ და კრიტიკულად განხილულ მასალებზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა სწორი, მეცნიერული წარმოდგენის შექმნა ქართულ ენაზე, ქართულ ლიტერატურაზე და კულტურაზე, მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ქართველოლოგია გასცილებოდა დილექტანტიზმის ბჭეებს და ნამდვილ მეცნიერულ საფუძვლებზე დამდგარიყო.

სამოღვაწეო ასპარეზზე ახლადგამოსული მეცნიერისათვის კლაპროტთან კამათი ერთობ მძიმე გამოცდა იყო. ხანგრძლივი ორიენტალისტური მუშაობითა და მრავალრიცხოვანი შრომებით (რომელთა ერთი ნაწილი ქართულს ეხებოდა) კლაპროტს დიდი სახელი და ავტორიტეტი ჰქონდა მოპოებული ევროპის მეცნიერთა შორის. ეს დამსახურება საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენდა ღვაწლშოსილი მეცნიერის არსენალში. კლაპროტს გამოესარჩლნენ ჰალეში, სადაც იგი ადრე სწავლობდა და მოღვაწეობდა [BA, გვ. 21, 65].

მარი ბროსე კლაპროტთან შეჯახებიდან გამარჯვებული გამოვიდა. მან დაამტკიცა, რომ კლაპროტს არ ჰქონდა აწორი წარმოდგენა ქართულ ენაზე, არ იცნობდა კარგად მას. ეს, სხვათა შორის, თვითონ კლაპროტმაც აღიარა. ერთ თავის ჩანაწერში, რომელიც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივშია დაცული¹, იგი გადმოგვცემს, რომ ქართული ლექსიკონისათვის სიტყვები მან ათარგმნინა ვინმე ალექსანდრეს (შესაძლებელია, ქართველს—შ. ხ.), შემდეგ ამ სიტყვების მნიშვნელობა მას რუსულ-ბერძნული ლექსიკონის მიხედვით აუხსნა ვინმე ტუტულოვმა. ქართული ქრონიკის თარგმანში მას ეხმარებოდა კიდევ სხვა პირი და ა. შ.

ბროსე კი სულ სხვაგვარად მუშაობდა. ქართული ენა მან

¹ ფონდი № 783, ანაწ. 1, საქმე № 5, ფურც. 1 და შმდ.

შეისწავლა ბიბლიის ტექსტის მიხედვით. მან 1743 წ. გამოცემული ქართული ბიბლია (ბაქარ ბატონიშვილის გამოცემა) ტექსტუალურად შეადარა ბერძნულს, ამოიწერა ჯერ საკლთარი სახელები და დააზუსტა ქართულ ასოთა მოხაზულობა. შემდეგ გამოარკვია ქართული სიტყვების ზუსტი მნიშვნელობა, დააკვირდა ქართული ფრაზის თავისებურებებს.

მარი ბროსეს არქივის ერთი გაღვათავალიერებთაც კი შეიძლება ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმ დიდ მუშაობაზე, რაც გაუწევია მას ქართულის შესწავლისათვის. ბროსეს საკუთარი ხელთ გადმოუწერია პარიზის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერების მნიშვნელოვანი ნაწილი (ვახტანგ VI-ის კანონთა კრებული, ვეფხისტყაოსანი, ქართული ისტორიული ქრონიკა, ნაწყვეტები ახალი აღთქმის წიგნებიდან და სინაქსარიდან, თლუხაანის (ტულუქაშვილის) „საქრისტიანო მოძღვრება“ და სხვა). შეუდგენია ქართული ენის ვრცელი ლექსიკონი სიტყვათა ძირების მიხედვით, ფრანგულად უთარგმნია ამ მასალების უდიდესი ნაწილი და ა. შ. ამ დიდი მუშაობის შედეგად ბროსე ქართულს (ძველ ქართულს) კარგად დაუფლება და გარკვეულა ქართველოლოგიის სხვადასხვა საკითხში.

კამათი კლაპროტთან არ შემოფარგლულა მხოლოდ ენის ცოდნის საკითხებით, იგი ქართველოლოგიის სხვა საკითხებსაც გადასწვდა. აქაც გამოიმტკიცა ბროსეს უპირატესობა. კლაპროტს, მაგალითად, არ ჰქონდა არავითარი წარმოდგენა ქართული წელთაღრიცხვის წესსა და სისტემაზე. ერთ თავის ნაშრომში იგი აღიარებდა, რომ არ ესმის რატომ უდრის ქართული წელთაღრიცხვის 137 წელი 917 წელს. ბროსემ აუხსნა მას ეს საკითხი, განუმარტა ქართული წელთაღრიცხვის წესი (532 წლიანი ციკლი), ქართული სახელწოდებები თვეებისა, წლისა და სხვა [9].

მხოლოდ კლაპროტმა აღიარა ბროსეს უპირატესობა, ხელი აიღო ქართული გრამატიკის შედგენაზე და საერთოდ შეწყვიტა ქართველოლოგიაში მუშაობა. მას ამის შემდეგ დიდი ხანს აღარც უცოცხლია.

ბროსეს გამარჯვება კლაპროტთან კამათში ჩვენ წარმოგვიდგება, როგორც ახალი ეტაპის დასაწყისი ევროპულ ქართველოლოგიაში, ეტაპი, როცა მკვიდრდება გაცილებით უკეთე-

სი მეთოდები და მაღალი მოთხოვნილებები ქართულის შესწავლის საქმეში, ვიდრე ეს იყო მანამდე. ამით იწყება ევროპაში ქართველოლოგიის მეცნიერულ დარგად ჩამოყალიბება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვითონ ბროსესაც არ ჰქონდა სავსებით სწორი შეხედულებები ქართველოლოგიის ყველა საკითხზე, ამ დროის მისი შეხედულებები სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა. ბროსე, მაგალითად, ქართული ენის ინდოევროპულობის თვალსაზრისის იზიარებდა და ამით ხარკს უხდიდა მის დროს უაღრესად გავრცელებულ და პოპულარულ ამ მცდარ თეორიას. იგი იზიარებდა აგრეთვე აზრს იმის შესახებ, თითქოს თანამედროვე ქართული ალფავიტი V საუკუნეში მესროპ-მამუტოცის მიერ ყოფილიყოს შექმნილი [1, გვ. 327], თუმცა იმავე დროს აღიარებდა, რომ ქართველებს მანამდეც უნდა ჰქონოდათ ეროვნული ლიტერატურაო. დაუჩრებელია—წერდა ბროსე—ქართველ ხალხს, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ხალხია. რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში ეცხოვრა აზრის გამოთქმის საშუალებათა გარეშე. არაფერია გასაკვირი, რომ ეს უძველესი ქართული ლიტერატურა (რომელიც, ბროსეს აზრით, უპირატესად ისტორიული უნდა ყოფილიყო) არ შემორჩა თანამედროვეობას, მისი განადგურება შეეძლო გამოეწვია რელიგიურ შეუწყნარებლობას. ხანძარმა შთანთქა ეგვიპტის ლიტერატურა, განუწყვეტელმა ომებმა შეიწირეს პერსეპოლის ლიტერატურა, ოთხი დინასტია ანადგურებდა ჩინეთის ძველ მწერლობას... რატომ არ შეიძლება ასეთივე ბედი სწვეოდა ძველ ქართულ ლიტერატურას?—ასე აყენებდა საკითხს ბროსე [3, გვ. 473].

ქართული ლიტერატურის უძველეს და უმნიშვნელოვანეს ძეგლად ბროსე მიიჩნევდა ბიბლიას, რომელიც მისი აზრით IV საუკუნეში ითარგმნა ქართულ ენაზე ექვთიმე ათონელის მიერ (ეს აზრი მან ინგლისელი პინკერტონის მოხსენებებიდან აიღო). ბროსეს ერთი და იგივე პირი ეგონა ექვთიმე ათონელი და IV საუკუნის ცნობილი მოღვაწე წმ. ექვთიმე, რომლის შესახებაც დასავლეთის მწერლობაში მრავალი ლეგენდა იყო გავრცელებული. ბროსეს ეს მცდარი შეხედულება გააკრიტიკა მისმა უფროსმა კოლეგამ ე. სტენ-მარტენმა,

რომელმაც მიუთითა. რომ წმ. ექვთიმე არ შეიძლება იყოს ფილიყო ბიბლიის მთარგმნელი, ვინაიდან გადმოცემებში მის შესახებ არაფერია ნათქვამი მისი ლიტერატურული საქმიანობის შესახებ. ექვთიმე ათონელი, მთარგმნელი ბიბლიისა, სხვა პირი უნდა იყოს და მას წმ. ექვთიმეზე გაცილებით გვიან უნდა ეცხოვრაო [3, გვ. 438].

დიდი აღტაცებით ლაპარაკობდა ბროსე იმ ხანებში ქართულ საერო ლიტერატურის შესახებ, რომლის აყვავების ხანად მე-12 საუკუნეს მიიჩნევდა. იგი იცნობდა ამ ეპოქის რამდენიმე ძეგლს, ყველაზე კარგად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. ეს უკვდავი პოემა მას მიაჩნდა მაღალი ქართული სტილის ბრწყინვალე ნიმუშად. მისი გმირები—წერდა ბროსე—გამორჩევიან მკვეთრი და ჩამოყალიბებული ხასიათით. მიუხედავად იმისა, რომ ამბავი ინდურია, სახელები კი სპარსული, ყველაფერი ამ ნაწარმოებში, მისი სული მთლიანად ქართულიაო [10, გვ. 372]. შოთა რუსთაველს ბროსე თამარის კარის დიდმოხელედ თვლიდა და სწორად ხსნიდა პოეტის გვარსახელს (რუსთაველი). რუსთაველი ბროსეს მიაჩნდა თამარიანის ავტორადაც.

შოთა რუსთაველის უკვდავ პოემას ბროსე გაეცნო პარიზის ბიბლიოთეკაში დაცული ორი ხელნაწერის მიხედვით. 1828 წელს ბროსემ გამოაქვეყნა ამ პოემის პირველი ნაწილის შინაარსი (როსტევეან მეფის ამბავიდან ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრამდე [4]), ხოლო 1831 წ. დაბეჭდა ტარიელის თავგადასავალიც [10, ნაწ. III.]. ამის წყალობით ევროპელმა მკითხველმა პირველად მიიღო შესაძლებლობა გაცნობოდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ შინაარსს.

ბროსეს ადრინდელ ნაშრომებში არაერთხელაა ხაზგასმული ქართული ლექსიკის სიმდიდრე, მისი მრავალფეროვნება, რაც, ბროსეს აზრით, შესაძლებლობას აძლევს ქართველებს საუცხოოდ თარგმნონ სხვა ხალხების ლიტერატურული ნაწარმოებები, ზუსტად გადმოიღონ და გადმოსცენ მათი მეტყველების ყოველგვარი ფორმა.

~~ბროსე~~ შუუხო აგრეთვე ქართულ მუსიკას, პოეტიკას, ქართულ კლასიკურ ლექსს. ე. ბოლხოვიტინოვზე დაყრდნობით იგი აღნიშნავს ქართული სიმღერების პოლიფონიურობას,

თვლის, რომ ქართული საეკლესიო გალობა ბერძნულს ჰგავს... ბროსეს ყურადღება მიიქცია პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაკულმა ერთმა ხელნაწერმა (ლიტურგია), სადაც სტრიქონებს შუა მითითებულია: „ჟა. ა; ჟა, ა, გ-ი; ჟა; ბ; ჟა; ბ. გ-ი“ და ა. შ. ბროსე განმარტავს, რომ ეს უადა იყოს საგალობო ნიშნები: „სმა პირველი“, „სმა პირველი გრძელი“ და ა. შ.

ძველი ქართული პოეზიის საკითხებზე ბროსე ისევე ევგ. ბოლხოვიტინოვის ნათქვამს იმეორებს. მხოლოდ არ ეთანხმება მას ქართული პროსოდის განსაზღვრაში. თუ ევგ. ბოლხოვიტინოვს მიაჩნია, რომ ქართული ლექსის პროსოდში განსაზღვრელია ტონი და მახვილი, ბროსე თვლის, რომ ასეთებად უნდა ჩაითვალოს რითმი და მარცვალთა რაოდენობა. ღოღო მანვალი, როგორც წესი, ბოლოს წინა მარცვალზე დაისმისო [10].

ასეთია ზოგადად საკითხების ის წრე და მოსაზრებები, რომელთაც შეიცავენ ბროსეს ადრინდელი ნაშრომები ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე. მიუხედავად რიგი ხარვეზებისა ეს ნაშრომები იმდროინდელ ქართველოლოგიურ ლიტერატურაში გამოირჩევიან სერიოზული საფუძვლიანობით, ქართული მასალების შედარებით კარგი ცოდნით და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, არჩეული საკითხებისადმი დიდი გულისხმობითა და სიკვარულით. ეს ნაშრომები ამასთანავე ამჟღავნებენ, თუ როგორ ფართოდ უყურებდა თავიდანვე ბროსე მის მიერ არჩეულ კვლევის საგანს. ბროსემ თავის მუშაობას ქართველოლოგიაში იმთავითვე მისცა მრავალმხრივი, კომპლექსური ხასიათი და ამ ტრადიციისათვის შემდეგ მას არასდროს არ უღალატია. თავის წერილში ქართული ლიტერატურის შესახებ იგი თავს უყრის და აჯამებს თითქმის ყველაფერს, რაც მანამდე ცნობილი იყო ქართველოლოგიაში, ჩამოთვლის მასალებს, მოხაზავს ძირითად დარგებს (საისტორიო მწერლობა, ნუმიზმატიკა, სფრაგისტიკა. ენა და ლიტერატურა). რომელთა დამუშავება უნდა გახდეს მისი მომავალი მოღვაწეობის საგანი [3]. ეს წერილი შეიძლება მივიჩნიოთ ბროსეს მუშაობის პროგრამულ დოკუმენტად. მასში წარმოდგენილი გეგმის განხორციელებას შესწირა ბროსემ თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები.

ევროპული ქართველოლოგიის წინაშე ბროსეს ხანაში ყველაზე მწვავედ იდგა ქართული მასალების გამოქვეყნების საკითხი. ქართული ორიგინალური ისტორიული და ლიტერატურული ძეგლების გამოქვეყნების გარეშე შეუძლებელი იყო წინსვლა ქართველოლოგიაში. ამით აიხსნება, რომ ბროსემ იმთავითვე დიდი ყურადღება დაუთმო ქართული მასალების პუბლიკაციას. საამისო თავდაპირველი ბაზა იყო პარიზის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერები. მათ საფუძველზე ბროსემ მასალების ორი კრებული გამოაქვეყნა [6; 12]. პირველში მან შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ხელნაწერიდან ამოღებული ნაწყვეტი ქართული კალენდრის შესახებ. „ქართული ზნეობის სიტყუანი“ ამოღებული ფირალოვის წიგნიდან და სხვ. ამავე კრებულში ბროსემ შეიტანა სხვა მასალაც: ქართული ბეჭდების წარწერები, თურქეთში მდებარე ქულუხევის ქართული წარწერა მოპოვებულ შულცის მიერ და სხვ. მეორე კრებულში გამოქვეყნებულია ვახუშტის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორიული რუკის აღწერა, წარწერა ოსეთში მდებარე ნუზალის ეკლესიაზე და სხვა მასალები. კრებულებს დართული აქვს გამომცემლის მრავალრიცხოვანი შენიშვნები და განმარტებები. პუბლიკაცია მისი დროის კვალობაზე კვალიფიციურადაა შესრულებული.

იმ დროის ყველაზე მნიშვნელოვან პუბლიკაციას წარმოადგენდა ქართული ისტორიული ქრონიკის გამოქვეყნება. ეს ქრონიკა ჩვენს ისტორიოგრაფიაში „პარიზის ქრონიკის“ სახელწოდებითაა ცნობილი. იგი შეიცავს ქართლის ცხოვრების გაგრძელების ერთ-ერთ გადაკეთებულ ვარიანტს და გადმოგვცემს საქართველოს ისტორიას 1373 წლიდან 1703 წლამდე [301, გვ. 352]. ამ ძეგლის ხელნაწერი საქართველოდან პარიზში ჩაუტანია 1826 წელს ვიქტორ ლეტელიეს. 1829 წელს ბროსემ ეს ქრონიკა ლითოგრაფიულად გამოსცა, ხოლო მომდევნო წელს სტამბურად გამოაქვეყნა მისი ფრანგული თარგმანი [11]. ეს იყო, საერთოდ, ქართული ისტორიული თხზულების პირველი პუბლიკაცია ევროპაში და მან, ბუნებრივია, ორიენტალისტთა ყურადღება მიიქცია. ე. სენ-მარტენმა „Journal de Savants“-ში დაბეჭდა რეცენზია, სადაც მაღალი შეფასება მისცა ბროსეს მიერ გაწეულ მუშაობას. ქრონიკის გამოსვლას გა-

მოესმაურა თეიმურაზ ბატონიშვილი, რომლის წერილი ბროსემ აზიური საზოგადოების ყურნალში გამოაქვეყნა.

„პარიზის ქრონიკას“ ბროსემ დაურთო ფრიად საყურადღებო შესავალი ნარკვევი და კომენტარები. შესავალში ბროსე იძლევა ძეგლის კრიტიკულ განხილვას; იგი თვლას, რომ ქრონიკის ავტორი წარმოშობით ქართლელი უნდა ყოფილიყო, მას სანდო პირველწყაროებით უსარგებლია და თავის თხზულებაში დიდძალი ფაქტიური მასალა შეუტანია, მაგრამ ამ მასალებისთვის ყოველთვის წარმატებით როდი გაურთმევია თავი: მოვლენების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ზოგჯერ დარღვეულია, ზოგი მათგანის თარიღი არაა ზუსტი (ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, როგორცაა კონსტანტინეპოლის აღება თურქების მიერ, არაა სწორად დათარიღებული). ამასთანავე ქრონიკის ავტორს, როგორც ჩანს, თავისი თხზულების პირველი ნაწილისათვის მასალები კლებია, აქ, ამ ნაწილში ისტორიული მოვლენები ძალიან მოკლედაა აღწერილი, თხრობა ფრაგმენტულია. რჩება შთაბეჭდილება, რომ ძეგლის პირველი ნაწილი რომელიღაც სხვა ნაშრომის შემოკლებაა.

ბროსე ყურადღებას აქცევს ქრონიკის ერთ ადგილს, სადაც პირველ პირშია ნათქვამი, რომ 1609 წელს თათარხანთან ბრძოლაში ქართველებს ესა და ეს რჩევა მიეცეო. გაუგებარია—შენიშნავს ბროსე—როგორ შეეძლო ქრონიკის ავტორს, რომელიც 1703 წლის შემდეგ ცხოვრობდა, რაიმე რჩევა მიეცა ქართველებისათვის 1609 წელს. ეს ადგილი, როგორც შემდეგში ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, იოსებ თბილელის „დიდმოურავიდან“ არის უცვლელად შეტანილი პარიზის ქრონიკაში [301, გვ. 359].

მრავალრიცხოვან შენიშვნებში და კომენტარებში მარი ბროსეს მოჰყავს პარიზის ქრონიკის ცნობების საკონტროლო მასალა სხვადასხვა წყაროებიდან (შარდენი, პეისონელი, გიულდენშტედტი, დეგინის მიერ გამოქვეყნებული ქართველ მეფეთა გენეალოგია და სხვ.). წიგნს ბოლოში დართული აქვს ქართველ მეფე-მთავართა რამდენიმე ნუსხა, შედგენილი გამომცემლის მიერ.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ ბროსეს მსჯელობა ქართული წელთაღრიცხვის წესის შესახებ. როგორც ვთქვით: ქარ-

თული ქრონოლოგიის საკითხებზე ევროპაში იმ დროს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. ძეგლის გამოცემის შესავალში ბროსემ ამ საკითხის გარკვევისათვის მოიშველია მისთვის ცნობილ ყველა ქართულ ხელნაწერში არსებული მონაცემები. პარიზის ბიბლიოთეკაში დაცული ერთი ქართული სვინაქსარის ორგან შეიცავდა ქრონოლოგიურ მითითებას, ასეთივე ცნობა მოიპოვებოდა 1743 წელს გამოცემულ ბიბლიაში. ბროსემ გააოცია, რომ ქართველები თარიღს სამგვარად აღნიშნავდნენ: სამყაროს გაჩენიდან, ქრისტეს დაბადებიდან და პასკალური ციკლით. რომელიც 532 წელს შეიცავდა. შემდეგ მან დაადგინა, რომ პასკალური ციკლის ერთ-ერთი მოქცევა იწყება 781 წელს და იქვე ახსნა კლაპროტის მიერ წამოჭრილი საკითხი—რატომ უღრიდა ქართული ქრონიკის 137 წელი 917 წელს...

ბროსეს გაუჭირდა, დაედგინა რამდენ წელს ითვლიდნენ ქართველები სამყაროს გაჩენიდან ქრისტემდე. სვინაქსარის მონაცემებმა მას ორი სხვადასხვა რიცხვი უჩვენა (5446 და 5508). სხვადასხვა შედეგი მიიღო პარიზის ქრონიკის ჩვენებებიდანაც (5517 და 5505), ბიბლიამ კი მისცა 5508 წ. საბოლოოდ ბროსემ ჩათვალა, რომ ამ რიცხვებიდან ყველაზე სწორი უნდა იყოს 5508 წელი (ბერძნული წესი). რომ ქართველები წელთაღრიცხვის ბერძნულ წესს მისდევდნენო. ეს დასკვნა არ იყო მთლად სწორი. მართალია, ქართველები რიგ შემთხვევაში იყენებდნენ ბერძნული წელთაღრიცხვის წესს, მაგრამ, როგორც ცნობილია, მათ გააჩნდათ საკუთარი წელთაღრიცხვაც. რომელიც სამყაროს გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე 5604 წელს ითვლიდა (ე. ი. 96 წლით მეტს ბერძნულზე) და მის შესაბამისად 780 წელს მე-12 პასკალური ციკლი მთავრდებოდა ($5604 + 780 = 6384$, $6384 : 532 = 12$). ბროსეს შეუმჩნეველი დარჩა, რომ მის მიერ მიღებული დასკვნა (5508 წელი) არ ეთანხმებოდა პასკალური ციკლით ანგარიშს. იმავე შესავალ წერილში ბროსე მკითხველს აცნობს თვეების ქართულ სახელწოდებასაც.

ამრიგად, ამ გამოცემის სახით ევროპულ ქართველოლოგიას მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი შეემატა, შეიძლება ითქვას, მისი დროისათვის სამაგალითო მეცნიერული ნაშრომი.

ბროსეს ადრინდელი ნაშრომებიდან კიდევ ორზე უნდა

შეეჩერდეთ. ერთი შეესება ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულს, მეორე—სულსან-საბა ორბელიანის ელჩობას ევროპაში.

ბროსემ პირველმა გახადა ცნობილი ევროპელ მკვლევართათვის ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ამ ძეგლისადმი მიძღვნილ ნარკვევში [5] იგი იძლევა ცნობებს კრებულის შემადგენელ ნაწილებზე, გამოთქვამს თავის მოსაზრებებს კრებულის წყაროებზე. მაგალითად, ბერძნული სამართალი მას მიაჩნია ბიზანტიის იმპერატორის ლეონ ბრძენის (886—911) ბასილიკებიდან გადმოწერილად, სომხურ სამართალს მიაწერს გრიგოლ განმანათლებელს, ებრაულს—თელის ამოღებულად ძველი აღთქმის წიგნებიდან: „გამოსვლა“ და „მეორე კანონი“.

ბროსეს ეს შესედულებები ასლა მხოლოდ ნაწილობრივად ძალაში, ბევრი რამ ამ ძეგლთა შესახებ მის შემდეგ გაიკრვა და დაზუსტდა¹. ბროსეს ნარკვევს იმ მხრივ ჰქონდა მნიშვნელობა, რომ მან გამოიწვია სერიოზული დაინტერესება ამ ძეგლით. საფრანგეთის საჰეფო გამომცემლობის აღმოსავლურმა კომისიამ სთხოვა ბროსეს ეს ძეგლი გამოსაცემად მოემზადებინა და ფრანგულად ეთარგმნა², რაც ბროსემ ხალისით შეასრულა. ჩვენთვის უცნობი მიზეზით ძეგლის გამოცემა მაშინ არ მოხერხდა. 1832 წელს ბროსემ გამოაქვეყნა სომხური სამართლის 152-ე §-ის ფრანგული თარგმანი [13]; იმავე დროს ცნობილი იურისტის ჟ. პარდესუს თხოვნით მან ბერძნული და სომხური სამართლის წიგნებიდან ამოკრიბა დებულებები ნაოსნობის შესახებ. პარდესუმ ეს მასალა შეიტანა ერთ-ერთ თავის წიგნში³.

ზემოაღნიშნული ნარკვევის მეორე ნაწილი, სადაც ბროსე საუბრობს საქართველოს მცხოვრებთა სოციალურ დაყოფაზე და ორდალებზე, საფრანგეთის კანონმდებლობისა და იურისპრუდენციის ანალებში დაიბეჭდა⁴.

¹ იხ. ქართული სამართლის ძეგლები, I, გამომც. ი. დოლიძე, თბილისი, 1963, გამომცემლის ნარკვევი.

² კომისიის მომართვები იხ. ბროსეს არქივში, ИНА, P — 18.

³ J. M. Pardessus — Collection des lois maritimes anterieur au XVIII s., Paris, 1835, ტ. III, იხ., BA, გვ. 15.

⁴ ჩვენ, სამწუხაროდ, ამ გამოცემაზე ხელი არ მიგვიწვდა. ვისარგებლეთ, BA-ში დაბეჭდილი ანოტაციით.

არანაკლებ საყურადღებოა სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში ელჩობის შესახებ ბროსეს მიერ გამოქვეყნებული მასალები [14]. ეს მასალები მან ამოკრიფა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან და მარკიზ მონმერკეს კოლექციიდან. სულ აქ გამოქვეყნებულია 12 დოკუმენტი, რომელთა ერთი ნაწილი შემდეგში ხელახალი პუბლიკაციის საგანი გახდა (მ. თაპარაშვილი, დ. ლანგი, ილ. ტაბალუა). ამ საბუთებმა სრულიად ახალი ფურცელი გადაშალა მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან. ბროსეს კომენტარები შეიცავს, ერთი მხრივ, ვახტანგ VI-ის პოლიტიკური მოღვაწეობის მიმოხილვას, მეორეს მხრივ კი მე-18 საუკუნის დამდეგს საფრანგეთ-სპარსეთის ურთიერთობის (საფრანგეთის ელჩები სპარსეთში ი. ბ. ფაბრი, ლ. მიშელი, მარი პტის თავჯადასავალი) მიმოხილვას. ბროსე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ვახტანგ VI-ის წერილებს საფრანგეთის მეფისადმი და მარკიზ ფერიოლისადმი (საფრანგეთის ელჩი კონსტანტინეპოლში), გაგზავნილს 1707 წ. მარი პტის ხელით. ვახტანგის ამ წერილს ლუი XIV-ისადმი ბროსე ნაყალბევად თვლის. ბროსე ფიქრობს, რომ ეს წერილი თვით მარი პტის მიერ ჟხდა იყოს შეთხზული ირანში ძველისი პოლიტიკური ავანტიურის გასამართლებლად. დოკუმენტის სიყალბის ერთ-ერთ საბუთად ბროსეს მოაქვს მასში საქართველოს მოხსენიება „ბარბაროსთა ქვეყნად“, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ვახტანგს დაეწერათ.

რაც შეეხება წერალს მარკიზ ფერიოლისადმი, იგი დედანს წარმოადგენს, დაცული იყო მარკიზ მონმერკეს კოლექციაში. სადაც მოხვდა ვოლტერის პირადი არქივიდან. ვოლტერის ანოთის კი ეს დოკუმენტი გადაუცია ფერიოლს და არქივტალს, ადრესატის ძმისშვილს. მონმერკეს კოლექციაში ეს წერილი უნახავს განბასთან ერთად პარიზში ჩასულ უცნობ ქართველს და მონმერკეს თხოვნით უთარგმნია იგი ფრანგულად. ბროსე შენიშვნაში ამ თარგმანსაც აქვეყნებს.

ბროსეს ყურადღება მიიქცია ამ წერილზე დასმულმა ვახტანგ VI-ის ბეჭედმა. მან ამოიკითხა მისი წარწერა, მაგრამ ამოიკითხა არასწორად.

სულხან-საბას ვინაობაზე ბროსეს ნათელი წარმოდგენა არ

ჰქონდა ამ დროს. მან იცოდა, რომ საბა ლექსიკონის ავტორი იყო, მაგრამ ამ ლექსიკონს იგი მაშინ ჯერ კიდევ არ იცნობდა.

ასეთია ბროსეს ადრინდელი (1827—1831 წ. წ.) ნაშრომების შინაარსი. პარიზში არსებული ქართული მასალების შესწავლა და გამოქვეყნება ძირითადად ამით ამოიწურა. შემდგომი მუშაობისათვის ახალი მასალები იყო საჭირო და მათი მოპოვება შეიძლებოდა რუსეთში ან საქართველოში. და აი, 1830 წელს ბროსე სთხოვს საფრანგეთის მთავრობას მისცენ მას მივლინება საქართველოში. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი დე-პეირონე გულისხმიერად მოეკიდა ამ თხოვნას. ბროსეს მოსთხოვეს მივლინების გეგმა, რომელსაც მან მაშინვე წარუდგინა მინისტრს. გეგმა ითვალისწინებდა ოთხწლიან მივლინებას, ამათგან ერთი წელი მოსკოვისა და პეტერბურგის ქართულ სიძველეთა შესწავლას უნდა დათმობოდა, სამი წელი კი საკუთრივ საქართველოში ყოფნას. გეგმა დასკვნისათვის გადაეცა აკადემიას. სპეციალურმა კომისიამ (სენ-მარტენი, აბელ-რემუზა და სილვესტრ დე სასი) მოიწონა გეგმა. მაგრამ იკლინის რეგოლუციამ ჩაშალა მისი განხორციელება. დაემხრა კარლოს X-ის მთავრობა და დე-პეირონეც მას მიჰყვა.

1831 წ. ბროსეს მიეცა შემთხვევა შეემოწმებინა თავისი ცოდნა ქართული ენისა. ამ წელს პარიზში ჩავიდნენ იმერეთის მეფის სოლომონ II-ის ძმისწვილები ვახტანგი და ტარიელი. ბროსე ესტუმრა მათ და სცადა ქართულად გასაუბრება მათთან. ბიბლიის მისედევით ნასწავლი ძველი ქართული ენის გაგება ბატონიშვილებს გასჭირვებიათ. ბროსე დაეინებით განაგრძობდა საუბარს და უცნაური კაცის შთაბეჭდილება დაუტოვებია მათზე. შემდეგი შეხვედრების დროს ბატონიშვილებმა უკეთ გაუგეს მას. მალე ისინი დამეგობრდნენ კიდევც. ბროსემ მათი თხოვნით ფრანგულიდან ქართულად თარგმნა ფრანგული ენის პატარა გრამატიკა, შედგენილი ლომოს (Lomict) მიერ.

ბროსე იცნობდა იმ ხანებში პარიზში მყოფ ქართველ ახალგაზრდას იოსებ ლაზარეს ძე წილოსანს [302], რომელსაც მისთვის გადაუცია თავისი დედის წერილი. ეს წერილი ბროსესათვის საინტერესო აღმოჩნდა დაწერილობის („ხელის“) თვალსაზრისით. („მრავალნი დაკარგულან, მაგრამ თავის ქვეყა-

ნაში წიგნი გამოუვხავნიათ“ — წერს დედა იოსებ წილოსანს)¹.

ამ დროისათვის რუსეთში ბროსეს უკვე რამდენიმე მეგობარი ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ფ. შარმუა, არაბული და სპარსული ენების პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში, რუსეთის აკადემიის ადიუნქტი [303]. ბროსეს მიწერ-მოწერა ჰქონდა მასთან და აგრეთვე რუსეთის სხვა მეცნიერებთან. ბარონ როზენკამფთან, ხრ. ფრენთან და სხვ. ბროსე მათ თხოვდა ახალი მასალების მიწოდებას საქართველოს შესახებ. ხრ. ფრენმა მას მარალაც გაუგზავნა ცნობა რუსეთში არსებული რამდენიმე ქართული ხელნაწერის შესახებ და გელათში დაცული რკინის კარებზე მოთავსებული არაბული წარწერის ასლი, გადმოღებული ი. ბარტენივის მიერ².

თავის მხრივ, აღმოსავლური ნუმისმატიკით დაინტერესებულ ხრ. ფრენს ბროსემ შეატყობინა პარიზში დეკა პლასკას კაბინეტში დაცულ ქართულ მონეტებზე მოთავსებული ნიშნები და წარწერები.

აღნიშნულ პირებთან ურთიერთობას არ შეეძლო ბროსე გაკირვებიდან გამოეყვანა, მათ არ შეეძლოთ მიეწოდებინათ ბროსესათვის საკმარისი მასალა. ასეთი რამ ბროსემ მიიღო მას შემდეგ, რაც ფ. შარმუას მეშვეობით დაუკავშირდა ქართველ სწავლულ ბატონიშვილს თეიმურაზ ბაგრატიონს. ამ დროიდან ბროსეს მეცნიერულ მუშაობაში ახალი ეტაპი დაიწყო.

3. თეიმურაზ ბატონიშვილი, ახალი მასალები, ახალი ნაშრომები

თეიმურაზ ბატონიშვილი ერთადერთი პიროვნება იყო ამ დროინდელ რუსეთში, რომელსაც ყველაზე უკეთ შეეძლო რეალური და საქმიანი დახმარება გაეწია ბროსესათვის, მიეწოდებია ახალი მასალები, მიეცა განმარტებები ქართველოლოგიის ბუნდოვან საკითხებზე. ფ. შარმუას რჩევით მარი ბროსემ

¹ ბატონიშვილების წერილები, ლომოს გრამატიკა და წილოსანის დედის წერილი დაცულია ბროსეს პირად არქივში, ИНА, P — 19.

² ი. ბარტენივის ჩანაწერები და ჩანახატები ინახება ბროსეს პირად არქივში. ИНА, P—19/51.

1830 წლის 30 აპრილს თეიმურაზ ბატონიშვილს ვაუგზავენა მის მიერ გამოცემული „პარიზის ქრონიკა“ და პირადი წერილი. რომელშიც მას დახმარებას თხოვდა. თეიმურაზი სიხარულით შეხვდა ამ მიმართვას და აღუთქვა ბროსეს ყოველგვარი დახმარების გაწევას: „საქმეჲ ესე სრულიად ევროპიისა სწავლულთა შორის აწ შენ იწყე პირაჲშლად—წერდა იგი საპასუხო წერილში იმავე წლის 18 ივლისს—და თვნიერ მოძღვრისა და მასწავლებლისა მხოლოდ თავით თვისით მშრომელი მიიწიე ესოდენსა საზომსა ქართულისა ენისა და წერილისა სწავლისასა...“

მე თვთ გექმნები შენ თანამოსაუბრე, ესე იგი კორესპონდენტი, ზოგად ყოველთავე, ძველთა და ახალთა საეკლესიოთა გინა საერთოთა და სამოქალაქოთა კელოენებათა ჩუჲნისა სწავლისათა“... [285, გვ. 7—8; შდრ: 304, გვ. 37 და შმდ].

ასეთი შედეგით კმაყოფილი ბროსე პარიზის აზიურ საზოგადოებაში აყენებს საკითხს აირჩიონ საზოგადოების წევრად თეიმურაზ ბატონიშვილი. 1831 წლის 28 აპრილს თეიმურაზი არჩეული იქნა პარიზის აზიური საზოგადოების წევრად და ამ დღიდან მოყოლებული იგი სასტემატურად ამარაგებდა აზიურ საზოგადოებას და ბროსეს ახალ-ახალი მასალებით ქართული ლიტერატურის, ენის და ისტორიის შესახებ. 1832 — 1835 წლებში თეიმურაზმა პარიზში გაგზავნა შემდეგი მასალები: ანტონ პირველის — გრამატიკა, დავით ბატონიშვილის — შემოკლებული ქართული გრამატიკა, ნაწყვეტი მაკრინეს თხზულებიდან, შემცველი თვეების ქართულ სახელწოდებათა განმარტებისა და თვითონ თეიმურაზის თხზულებები: ქართული წელთაღრიცხვის წესის განმარტება. ქართული ბეჭდების წარწერათა განმარტება, დავით ბატონიშვილის ცხოვრება, ქეთევან დედოფლის წამება, დიდი მოურავის სიკვდილი, ნარკვევი XII საუკუნის ქართველ მწერალთა შესახებ, „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო სტროფის განმარტება, ნარკვევი ქართულ საფასეთა შესახებ, ნარკვევი ქართული ლექსთწყობის შესახებ, ნარკვევი—რამდენი გიორგი და რამდენი ვახტანგი მეფობდა საქართველოში?, ქართული ანბანის კალიგრაფიული მონაზულობა და პასუხი სხვა მრავალ ქართველოლოგიურ საკითხზე. იმასთანავე თეიმურაზი პირდებოდა ბროსეს, რომ ვაუგზაენიდა საქართველოს ისტორიას, რომელსაც იგი იმ ხანებში წერდა.

თეიმურაზის მ-ერ ვაგზავნილი მასალები. საფუძვლად დაედო ბროსეს ახალ ნაშრომებს ქართველოლოგიაში. ჯერ მან საზოგადოებას წარუდგინა თეიმურაზის მიერ გაგზავნილი მასალების შესახებ საერთო მოხსენება [21], სადაც მაღალ შეფასებას აძლევდა დავით და თეიმურაზ ბატონიშვილების მეცნიერულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას, მიიჩნევდა მას არჩილის, ვახტანგ VI-ის და ანტონ პირველის მაღალი კულტურული ტრადიციების გაგრძელებად.

1833 წ. კი ბროსემ გამოსცა ქართული მასალების ახალი კრებული [23], რომელშიც შევიდა თეიმურაზის სამი თხზულება (დავით ბატონიშვილის ცხოვრება, გიორგი სააკაძის სიკვდილი, ქეთევან დედოფლის წამება. ამათგან პირველს ახლდა en regard ფრანგული თარგმანი), ნაწყვეტები ქართული ხელნაწერებიდან ხირომანტიისა და ასტროლოგიის შესახებ, ქართული მიწერ-მოწერის ნიმუშები, ქართული ლიტურგიის ნაწყვეტი და სხვა მასალა. ამ კრებულში ვხვდებით ი. წილოსანის დედის ზემოხსენებულ წერილს და ცნობებს ი. წილოსანის შესახებ. აქვე ყურადღებას იქცევს ქართული ხალხური ლექსები, ჩაწერილი და გაგზავნილი ბროსესათვის კავკასიის საზღვრებში მყოფი ვინმე მარკიზ კნუსტის მიერ¹.

დავით ბატონიშვილის ცხოვრებაში ბროსეს მიერ ჩართულია ორი საყურადღებო დოკუმენტი: დავით ბატონიშვილის ეპიტაფია და იმერეთის მეფის სოლომონ პირველის წერილი ზომის პაპისადმი პიოს VI-ისადმი თხოვნით, გამოუგზავნოს მას ექიმები და საათი. იქვე ვხვდებით რამდენიმე ქართული ბეჭდის წარწერას და ხელმოწერათა ფაქსიმილეს.

შენიშვნებში ყურადღებას იქცევს ბროსეს მსჯელობა ზოგიერთი სამოხელეო სასიგნო დოკუმენტების (ამილახორი, ალამდარი, ლაშქარნივისი...) მნიშვნელობის შესახებ.

ქართული მასალების ეს გამოცემა კარგად ადასტურებს ბროსეს წინსვლას ქართული ენისა და კულტურის შესწავლის

¹ კნუსტის მიერ ბროსესათვის გაგზავნილი მასალა დაცულია აზიის ხალხთა ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, E — 179. ენობრივი თვალსაზრისით უადრესად საინტერესოა ხალხური სასაუბრო ენით ჩაწერილი დიალოგები.

საქმეში, მისი ცოდნის საგრძნობ გაფართოებას და გაღრმავებას. „პარიზის ქრონიკის“ შემდეგ ეს იყო მეორე დიდი პუბლიკაცია ქართული ისტორიული მასალებისა და მის გამოსვლას ორიენტალისტთა ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ნაშრომს დადებითი შეფასება მისცეს სილვესტრ დე სასიმ, რეინომ, დელეკლიუზმა, სტალმა [E.A. გვ. 63].

თეიმურაზის მასალებმა საშუალება მისცეს ბროსეს გარკვეულიყო ქართველოლოგიის მთელ რიგ საკითხებში. თეიმურაზის ერთ-ერთ წერილში განმარტებული იყო ქართული წელთაღრიცხვის საკითხები, პასკალური ციკლის რაობა და მოქცევათა ანგარიშის წესი. აღნიშნული იყო, რომ ქართველებს დასაბამითგან ქრისტეს დაბადებამდე წლების საკუთარი ანგარიში ჰქონდათ (5604 წელი), რომ ქართველები ძველად ახალ წელს 1 სექტემბრიდან იწყებდნენ და ჰქონდათ თვეების საკუთარი სახელწოდებები: ქველთობა—სექტემბერი, სთვლობა—ოქტომბერი, ტირისკონა—ნოემბერი, ტირისდენი—დეკემბერი, ათანია—იანვარი, სურტყუნისი—თებერვალი, მარკანი—მარტი, იგრიკა—აპრილი და ა. შ. თეიმურაზს მოჰყავს აგრეთვე ცთომილების და მათი ცების ძველი ქართული სახელწოდებები: მთვარე—მისი ცა ჩინარი. ერმი—მერკური.—ოტარიდი—მისი ცა წონარი, მთიები—ლიუციფერი—ცისკარი—აფროდიტი—მისი ცა მელტარი. მზე—მისი ცა კოჩიმელი და ა. შ.

ბროსემ ეს ცნობები მაშინვე გამოაქვეყნა „აზიური საზოგადოების“ ჟურნალში [14, დამატება, გვ. 168—177] და იმავე ჟურნალში შემდეგ დაბეჭდა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკის ერთ სომხურ ხელნაწერში, ანანია შირაქელის თხზულებაში მოთავსებული ცნობა თვეების სომხური, ქართული, ალბანური, ეგვიპტური და ეთიოპური სახელწოდებების შესახებ [17]. ეს უკანასკნელი ქართულ ნაწილში მცირე განსხვავებით ადასტურებდა თეიმურაზის ცნობებს.

თეიმურაზის მასალებით ბროსემ შეავსო თავისი წარმოდგენა ქართულ სფრაგისტიკაზე (ბეჭდების წარწერებზე). ბატონიშვილმა გაუსწორა მას ვახტანგ VI-ის ბეჭდის წარწერის წაკითხვა და თანაც განუმარტა, რომ ბეჭდის წარწერებს საერთოდ ახასიათებს კალამბურები ე. ი. ორაზროვანი თქმები. მაგალითად, ვახტანგ VI-ის ბეჭედზე წერია: „რტოდ ვარ დავითის

წველმა დავითის“. ეს ნიშნავს, ერთის მხრივ, ძველი ბიბლიური დავითის შთამომავალი ვარო, ხოლო, მეორეს მხრივ, ვასტანგი ამბობს: რტო ვარდისა ვარ, ვით ის დავითი იყო. ან კიდევ თეიმურაზ II-ის ბეჭდის წარწერაში: „უფლისა მიერ მეფედ ცხებული, თეიმურაზ ზის დამტკიცებული“—ერთის მხრივ, ნათქვამია, რომ თეიმურაზი ტახტზე მტკიცედ ზისო, ხოლო მეორეს მხრივ. წარწერა ამბობს—თეიმურაზის დამტკიცებულია (დოკუმენტი რომელსაც მისი ბეჭედი ჰქონდა დასმული). ერეკლე II-ის ბეჭედზე ეწერა: „მე ფერხთ განბანილთა მიერ ერეკლე ვადიდენ“. ერთი აზრით — ბეჭედი მეფე ერეკლესიაო, მეორე აზრით — ერი და ეკლესია ვადიდეთ და ა. შ. ბროსემ თეიმურაზის ეს ნარკვევიც თარგმნა ფრანგულად და გამოაქვეყნა [14, დამატება, გვ. 177—183].

შემდეგ მან თარგმნა და დაბეჭდა თეიმურაზის ვრცელი წერილი ქართული მეტროლოგიის შესახებ [33], სადაც განმარტებული იყო ძველი ქართული ფულის სისტემა, ერთეულთა სახელწოდებები და მნიშვნელობა. ბროსესათვის ეს წერილი მთელი აღმოჩენა იყო. ფრაგმენტული ცნობები ამ დარგში, ამოკრეფილი საქართველოში ნამყოფ პირთა დღიურებიდან. ახლა ერთ სისტემად დალაგდა, შეივსო და ნათელი გახდა, ამის საფუძველზე ბროსეს უკვე შეეძლო მაცეცხლო იმ ასამდე ქართული მონეტის სისტემატური აღწერა, რომლებიც იმ დროს მესთვის უკვე ცნობილნი იყვნენ. ეს საინტერესო ნარკვევი მან 1836 წელს გამოაქვეყნა [42]. ნაშრომში ქართული მონეტები ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დაჯგუფებული, წარმოდგენილია სულ 10 ჯგუფი—სტეფანოზის, გიორგი III-ს, თამარის, თამარის და დავითის, თამარის და გიორგის, გიორგი ლაშას, რუსუდანის, დავით ლაშას ძის, დავით უცნობის, ვასტანგისა და ერეკლე მეორის მონეტების ჯგუფები. საერთოდ, თეიმურაზის ეს ნარკვევები ქრონოლოგიის, სფრაგისტიკის, ნუმისმატიკის საკითხებზე ჩვენი ოსტორიოგრაფიის წარმატების მანიშნებელია, მათ საფუძველი ჩაუყარეს ქართული ისტორიოგრაფიის სათანადო მეცნიერულ დარგებს. მათ გაცნობას და გამოქვეყნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბროსესთვის, ქართველოლოგიაში მისი მუშაობისათვის.

რამდენიმე მნიშვნელოვანი გახმარტება მიაწოდა თეიმუ-

რამა ბროსეს ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე. თეიმურაზმა სასტიკად გაილაშქრა იმ აზრის წინააღმდეგ, თითქოს ქართული ანბანი მესროპ-მაშტოცს გამოეგონებინოს, თეიმურაზი უმტკიცებდა ბროსეს, რომ ქართული ანბანი ჯერ კიდევ ფარნავაზის დროს იყო შექმნილი (ბროსემ აზიურ ჟურნალში გამოაქვეყნა თეიმურაზის ეს მოსაზრება [39, გვ. 204]), რომ ჯერ კიდევ მესროპამდე იყო ჩაწერილი სალომე უჯარმელისა და აზიათარის მონათხრობი წმინდა ნინოს მიერ საქართველოს გაქრისტიანების შესახებ, რომ უკვე მირიან მეფის დროს ქართველებმა იერუსალიმში ჯვრის მონასტერი შექმნეს და მწიგნობრობას მიჰყვეს ხელი. პირიქით, ამტკიცებდა თეიმურაზი, მესროპმა ქართული ხუცური ანბანის მიხედვით შექმნა სომხური ანბანიო. ბროსემ თარგმნა და აზიურ ჟურნალში გამოაქვეყნა თეიმურაზის ამ წერილის ნაწყვეტი [44] და თეიმურაზის ამ დებულებებმა გამოიწვია ვენეტიკის სომეხ მხითარისტთა გამოკამათება (ლევაიან დე ფროლივალისა) [BA, გვ. 96].

თეიმურაზი სისტემატურად უსწორებდა ბროსეს ქართულ ენაში დაშვებულ შეცდომებს, უხსნიდა ქართული ზმნის ფორმებს და სხვა გრამატიკულ კატეგორიებს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თეიმურაზი ახერხებდა ერთობ ფრთხილი და ტაქტიანი ყოფილიყო ბროსესთან დამოკიდებულებაში. იგი ამხნევებდა მას, აქეზებდა, უფრთხილდებოდა მის თავმოყვარეობას. ერთხელ ბროსეს მოეჩვენა, რომ თეიმურაზმა მას დასცინა და საყვედური გამოსთქვა ამასთან დაკავშირებით. თეიმურაზმა უპასუხა: „რათ დამწამე ცილი? მე ისე არ აღმირჩევიხარ შენა, რომ ვიცინო ამაზე. რა ეჭვიანი კაცი ჰყოფილხარ? ამ შენს იქვებზედ კი გავიცინებ, ნუ გასჯავრდები. თუ ოსტატად აღმიარებ და მოძღვრად ხან უნდა გავიცინო, ხან მოგიწონო, ხან დაგიწუნო და ხან განგიმარტო. მაგრამ ყოველთვის მოგიწონებ, ნუ იშიშვი ამაზე. ზოგნი შეგირდნი ქების მოყვარულნიც არიან. ჭეშმარიტად თუმცა რომელსავე შენს ნაღვაწში შეცდომაც არის, მაგრამ წინაშე ღვთისა მე ჭეშმარიტს ვიტყვი: დაახ საქები არის გულმოდგინება და შრომა შენი“ [285, გვ. 61]. თეიმურაზი დაუღალავად უხსნიდა ბროსეს ქართველოლოგიის ამა თუ იმ საკითხს. თუ თვალს გადავაკვლებთ ბროსეს

ღონდში დაცულ ხელნაწერებს და ამ ორი პირის მიწერ-მოწერას, დაეინახავთ, რომ ბროსეს მიუღია პასუხი თითქმის ყველა საკითხზე, რომელიც კი მას იმხანად აინტერესებდა და ჭირდებოდა მუშაობის შემდგომ წასამართავად. აქ ჩვენ ვხვდებით ვრცელ ნარკვევს ქართულ ენაში სხვა ენებიდან შემოსული სიტყვების შესახებ, ცნობებს „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო სტროფში მოხსენებულ ქართველ პოეტთა შესახებ, ქართული ლექსთწყობის განმარტებას, ქართულ ასოთა მოხაზულობაზე მაჯელობას და სხვ.

თეიმურაზი მოითხოვდა ბროსესაგან მეცნიერულ სიფრთხილეს და დაკვირვებულობას. „რადგან პირველ დაწყებული საქმეა—წერდა იგი—შეცდომები მოგივათ, ფრთხილად ვიყოთ, მე გამამართინეთ ზოგი რამ, არავინ დაგეძრახოს, ფრთხილნი არ არიან ლიტერატურაშიო“ [285, გვ. 24]. „ტყუილები არ ჩავწეროთ—წერდა მეორე წერილში—თორემ სირცხვილი იქნება, მერმე ქართველები მე დამციინებენ: აი, ამისთანა შაგირდი გყავსო“ [იქვე, გვ. 31]. მეს მკიდრო ურთიერთობა თეიმურაზთან კიდევ უფრო გაცხოველდა შემდეგ ხანებში, როცა ბროსე პეტერბურგში გადავიდა საშუაოდ და პირადად გაიცნო სწავლული ბატონიშვილი. ყოველივე ამის შედეგი იყო, რომ ბროსე თავის ნამდვილ მასწავლებლად („ოსტატი და მოძღვარი ჩემი“) აღიარებდა თეიმურაზ ბატონიშვილს. ზემოდ მოყვანილი მასალები მოწმობენ, რომ ამ აღიარებას რეალური შინაარსი გააჩნდა.

1834 წელს ბროსე აქვეყნებს ნარკვევს ქართული ლიტერატურის საკითხებზე. აქ იგი თეიმურაზის ცნობებზე დაყრდნობით აცნობს მკითხველ საზოგადოებას შავთელის, ჩახრუნაძის, სარგის თმოგველისა და შოთა რუსთაველის ვინაობას, მათ მიერ შექმნილ შედევრებს. აქვე ჩამოთვლის ქართული ლიტერატურის სხვა მოღვაწეებს (ბესარიონ გაბაშვილს, იოსებ გაბაშვილს, მუხეზაბუკ ორბელიანს, ანტონ პირველს და ალექსანდრე ჭავჭავაძეს) და იძლევა პარიზის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერებში დაცული ლიტერატურული ძეგლების (ომანიანი, ბარამიანი, მირიანი) აღწერას, გადმოსცემს მათ მოკლე შინაარსს [30]. შემდეგ ერთ-ერთი ამ ძეგლთაგანი—მირიანი—ბროსემ ფრანგულად თარგმნა და აზიურ ჟურნალში გამოაქ-

ვეყნა [36], ხოლო 1836 წელს ეს თარგმანი და დედხის ერთი ნაწილი (თავი მეშვიდე და მეთექვსმეტე) ქართულად გაშოსცა ცალკე წიგნად [BA, გვ. 86—87].

ეს იყო ძველი ქართული ლიტერატურის მეორე ძეგლი, რომლის შინაარსიც ბროსეს წყალობით ცნობილი გახდა ევროპელ მკითხველთათვის. პარიზის ერთ-ერთ ჟურნალში გამოეხმაურნენ ამ ძეგლის გამოქვეყნებას და აღნიშნეს მისი დიდი მნიშვნელობა ქართული კულტურის გაცნობის თვალსაზრისით [BA, გვ. 88].

✓როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბროსე თავისი შოღვაწეობის დასაწყისიდანვე შეუდგა ქართული ლექსიკონისა და გრამატიკის შედგენას. იგი ღიბხანს მუშაობდა ამ მიმართულებით. 1832 წ. აგვისტოში მას შესაძლებლობა მიეცა გაცნობოდა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს, რომლის ერთ-ერთი ხელნაწერი პარიზის სამეფო ბიბლიოთეკას გადასცა საქართველოში ნამყოფმა ვ. ლეტელიემ. ბროსე სპეციალურ წერილს წერს ამ ლექსიკონზე, [27], მასში იგი იძლევა ვახტანგ VI-ის ეპოქის საერთო დახასიათებას და იხილავს საბას ლექსიკონის წყაროებს.

საბოლოოდ ბროსეს თავისი ლექსიკონი არ გამოუქვეყნებია. საფიქრებელია, იმიტომ, რომ პეტერბურგში გადმოსვლისას მას დახვდა დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონები. რომლებიც სავსებით აკმაყოფილებდნენ იმ დროის მოთხოვნილებებს.

რაც შეეხება ქართულ გრამატიკას, მას ბროსემ რამდენიმე ნაშრომი უძღვნა. მან ჯერ კიდევ „Memoires inedites“-ის წინასიტყვაობაში შეიტანა ქართული ენის, მისი გრამატიკის ზოგადი მიმოხილვა [23, გვ. 1—40; ხელმეორედ დაიბეჭდა აზიურ ჟურნალში, 31], რომელშიც გაიმეორა აზრი ქართული ენის ინდოევროპულობის შესახებ. ბროსე ხედავდა ქართულას მსგავსებას სომხურთან და სპარსულთან, ძირითადად, სიტყვათა წარმოების წესში. ამ საფუძველზე მიიჩნევდა ქართულს ინდოევროპულ ენად.

✓ქართული გრამატიკის შედგენაზე მუშაობაში ბროსეს დიდი დახმარება გაუწია ანტონ პირველის გრამატიკულმა ნაშრომმა, რომლის ხელნაწერიც მან მიიღო თეიმურაზ ბატონიშვილისაგან

1832 წ. ამ ნაშრომში ბროსემ მრავალი მისთვის ახალი ტერმინი. ტექნიკური გამოთქმა თუ აბსტრაქტული ცნება ამოიკითხა, გაარკვია მათი შინაარსი და მნიშვნელობა. მის ჩელთ იყო ანტონის ე. წ. მეორე გრამატიკა, შედგენილი 1767 წელს. თეიმურაზის მიერ გამოგზავნილი ხელნაწერი 1813 წელს იყო გადაწერილი გიორგი პაიქაძის მიერ, ხოლო დედანთან შედარებული იყო ვასილ ჭილაშვილის მიერ, შეიცავდა 288 გვერდს ანუ 18 რვეულს. ანტონის ამ თხზულებას ბროსემ სპეციალური წერილი უძღვნა [20], სადაც იგი მოკლედ აღწერს ანტონის მოღვაწეობას და შემდეგ ბეჭდავს მისი გრამატიკული ნაშრომის სარჩევს.

ანტონ პირველის მიზაძვით ბროსემ თავის პირველ ნაშრომს ქართული გრამატიკის შესახებ უწოდა: „ქელოვნება აზნაურებითი, გინა ქართულისა ენისა თვთ მასწავლებელი“ [32]. იგი დაიბეჭდა ლითოგრაფიულად და მცირე ტირაჟით გამოვიდა. ნაშრომი შედგება 17 თავისაგან.

შესავალში ავტორი კრიტიკულად იხილავს წინამორბედ ავტორთა გრამატიკულ ნაშრომებს, აღნიშნავს მათ ნაკლოვანებებს და ჩამოთვლის იმ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს, რომელთაც იგი ეყრდნობა.

პირველ თავში მოცემულია ქართული ალთავიტისა და ორგვარი ქართული დამწერლობის (ხუცურისა და მხედრულას) დახასიათება, ქართულ ბგერათა ტრანსკრიფცია. ასოებისა და ბგერების ეს დახასიათება დიდი გულმოდგინეობითაა შედგენილი, ესა თუ ის მოსაზრება მრავალრიცხოვანი მაგალითებითაა ილუსტრირებული. შრომის ეს ნაწილი მკითხველს ნათელ წარმოდგენას მისცემდა ქართული ენის ბგერით შედგენილობაზე.

ნაშრომის მეორე, მესამე და მეოთხე თავები არსებითი და ზედსართავი სახელების დახასიათებას შეიცავს. შემდეგ თავებში მოცემულია ქართული რიცხვითი და ნაცვალსახელების თავისებურებათა განხილვა. ყველაზე კარგად ბროსეს დახასიათებული აქვს ქართული ენის ყველაზე რთული ელემენტი— ზმნა (თავები მეათე და მეთერთმეტე). ნაშრომის ამ ნაწილთან დაკავშირებით ალ. ცაგარელი შენიშნავდა: „*Итак же самая трудная часть грузинского языка — учение о глаголах является в разннпраемой нами грамматике* (საუბარია ბროსეს

ამ ნაშრომზე — შ. ხ.)... гораздо полнее и систематичнее чем у Антония, которого взгляды о глаголах Гроссе основательно исправляет и поправляет“ [305, გვ. 60].

ბროსეს ამ ნაშრომმა ბოლო მოუღო ევროპაში გავრცელებულ აზრს, თითქოს ქართულ ზმნას არ გააჩნდეს რაიმე კანონზომიერება და თითოეული ზმნა საკუთარი წესით იუღლებოდეს.

შემდეგ თავებში განხილულია ქართული ენის სხვა ელემენტები — ზმნისართები, თავსართები, კავშირი და სხვ. თითოეულ თავს დართული აქვს დიდძალი საკითხავი მასალა, ამოღებული ძირითადად ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლიდან — „მირიანი“-დან.

ბროსეს ეს გრამატიკული ნაშრომი მთელი თავით მალა იდგა ანალოგიური ხასიათის სხვა ნაშრომებთან შედარებით. იგი ძირითადად სწორ წარმოდგენას აძლევდა ევროპელ მკითხველს ქართული ენის უძთავრეს ელემენტებზე და გრამატიკულ წესებზე. წინამორბედებთან შედარებით ბროსეს ნაშრომის ეს მაღალი ღირსებები საგანგებოდ აღნიშნა კიდევ მისმა რეცენზეტმა, ცნობილმა ინდიანისტმა ევგენი ბურნიუფმა [BA. გვ. 82-83]. მან მაღალი შეფასება მისცა საერთოდ ბროსეს მიერ ქართველოლოგიაში გაწეულ მუშაობას. ამასთანავე იგი არ დაეთანხმა ბროსეს მოსაზრებებს ქართული ენის ინდო-ევროპულობის შესახებ და აღნიშნა, რომ ქართულის მსგავსება სომხურთან ისეთი ხასიათის არ არის, რომ იძლეოდეს საფუძველს ამ ენების მონათესავეობაზე ვილაპარაკოთ და, მაშასადამე, ქართულიც ინდო-ევროპულ ენათა ჯგუფს მივაკუთვნოთ.

სხვათა შორის, ქართულიც ნათესაობას სომხურთან უარყოფდა თეიმურაზ ბატონიშვილიც, ვაგრამ ამ კრიტიკოსებმა ბროსეს აზრი ვერ შეაცვლევინეს, და როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგი არა ერთხელ გაიმეორებს ამ დებულებას.

1835 წელს ბროსემ სთხოვა პარიზის „აზიურ საზოგადოებას“ სტამბურად გამოეცათ მისი გრამატიკული ნაშრომი. საზოგადოებას ამ დროს სტამბაში ჩაშვებულნი ჰქონდა ი. კლაპროტის მიერ შედგენილი გრამატიკა, რომლის აწყობა უკვე 112 გვერდამდე იყო მიყვანილი. იმხანად კლაპროტი გარდაიცვალა

და საზოგადოებამ ბროსეს შესთავაზა კლაპროტის ნაშრომის გამოცემის დამთავრება. ბროსემ იკისრა ეს საქმე. მაგრამ ნაშრომის ბეჭდვა კლაპროტის გეგმით არ გაუგრძელდება. მან იგი გამართა თავისი საკუთარი გეგმით და მასალებით. ამასთანავე უკვე დაბეჭდილ 112 გვერდს დაურთო საკმაოდ ვრცელი გასწორება იმ მრავალრიცხოვანი შეცდომებისა, რომლებიც დაშვებული ჰქონდა კლაპროტს.

ამ ნაშრომში ბროსემ შეიტანა აგრეთვე ცნობები ქართული სინტაქსის შესახებ, რაც არ გააჩნდა მის პირველ გრამატიკულ ნაშრომს. საბოლოოდ წიგნი გამოვიდა 1837 წელს [48] და მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. მის გამოსვლას გამოეხმაურნენ ე. ბურნიუფი, მ. ბიანჩი და ა. შეგრენი [BA. 105—106].

ამრიგად, ამ ორი გრამატიკული ნაშრომის გამოქვეყნებით ბროსემ მკვიდრი საფუძველი შეუქმნა ქართული ენის ღრმა მეცნიერულ შესწავლას ევროპის ქვეყნებში, მათ შესაძლებელი გახადეს დაინტერესებულ პირთათვის ქართული ლიტერატურული და ისტორიული ძეგლების გაცნობა, მათი შესწავლა დედანში და დედნის ენაზე. კრებულების სახით კი მან მკითხველს მიაწოდა სათანადო მასალა. მთელი რიგი ქართველოლოგიური საკითხებისა განმარტებული იყო მის სხვა ნაშრომებში და ერთი სიტყვით, შემზადებული იყო ნიადაგი შემდგომი მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ამ დარგში. კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ თეიმურაზ ბატონიშვილის განსაკუთრებულ როლს ბროსეს ამ წარმატებებში.

აღსანიშნავია, რომ ბროსე არ დაკმაყოფილებულა მხოლოდ ქართული მასალების პუბლიკაციით. პარიზშივე მან გამოაქვეყნა რამდენიმე უცხოური ცნობა და წყარო საქართველოს შესახებ. ასეთი იყო, მაგალითად, იტალიელი მისიონერის ბერნარდო მარია ნეაპოლელის რელაცია საქართველოში მათა მისიის მოღვაწეობის შესახებ, რომელიც ბროსეს მისმა კოლეგამ ე. სენ-მარტენმა გადასცა [15]. იგი შეიცავს ქართველთა ზოგიერთი ზნე-ჩვეულების აღწერას.

შემდეგ ბროსემ გამოაქვეყნა ნაწყვეტები ევლია ჩელების მოგზაურობიდან (თარგმანი ა. ყობერისა) და ლ. ინჰიჭიანის დიდი აღწერილობითი შრომიდან აზიის შესახებ [26; 28]. ეს

ნაწყვეტები შეიცავდა გურიისა და ახალციხის მხარეთა და მტკვრისა და არაქსის ხეობათა აღწერას. 1837 წ. ბროსემ აზიურ-ეურნალში გამოაქვეყნა სომეხი ბერის ავგუსტინ ბაჯეცის მოგზაურობის ჩანაწერები [46], სადაც ნახჭევნის მხარის აღწერაა მოცემული.

ასე დაიწყო ბროსემ ის დიდი სამუშაო—საქართველოს შესახებ უცხოელ ავტორთა ცნობების გამოქვეყნება, რომელმაც შემდეგ დიდი ადგილი დაიკავა მის მეცნიერულ მოღვაწეობაში.

1832 წელს გარდაიცვალა ბროსეს უფროსი მეგობარი, ჩინებული არმენისტი ჟან-ანტუან სენ-მარტენი. ბროსემ გულთბილი ნეკროლოგიით აღნიშნა ეს სამწუხარო ამბავი [19] და შემდეგ იკისრა დაემთავრებია სენ-მარტენის მიერ დაწყებული საქმე—ლებოს მრავალტომიანი „ბიზანტიის ისტორიის“ გამოცემა. უკვე გამოსული იყო 12 ტომი. მეცამეტე ტომი მთლიანად გამზადებული იყო ე. სენ-მარტენის მიერ. მეოთხმეტე ტომიდან მოყოლებული ბოლომდე ეს დიდი ნაშრომი ბროსეს რედაქციით გამოვიდა (1833—1836 წ. წ.). ამ გამოცემაში ყურადღებას იქცევს ბროსეს მიერ შედგენილი განმარტებები და დამატებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მეცამეტე ტომში შვიდი დამატებაა მოთავსებული. მათი წყაროა ძ. ჩამჩიანის „სომხეთის ისტორია“. მეჩვიდმეტე ტომს ერთვის ბროსეს ნარკვევი დასავლეთ აზიაში მონღოლების შემოსევების შესახებ [29]. ნარკვევი შედგენილია ძველი სომეხი და არაბი ისტორიკოსების ცნობათა საფუძველზე (კირაკოზ განძაკელი, ვარდანი, აბულფარაჯი და სხვ.). მეოცე ტომს ბროსემ დაურთო მიხეილ პანარეტის ქრონიკის ფრანგული თარგმანი [37]. ხოლო ოცდამეერთე ტომში გამოაქვეყნა აღმოსავლელი ავტორების ცნობები თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღების შესახებ [28]. სხვათა შორის, აქ მოტანილია სომეხი მწერლის აბრაჰამის „ელეგია“ და ნაწყვეტი არჩილ მეფის „ქრონოგრაფიკა“-დან.

პარიზშივე ბროსემ არმენოლოგიური მუშაობაც წამოიწყო. ამ მხრივ მან იქ ორიოდ წერილის გამოქვეყნება მოასწრო. ერთი შეიცავდა [24] სომხეთის ისტორიისა და ლიტერატურის ზოგად მიმოხილვას, მეორეში კი აღწერილია ბენგალის აზიური საზოგადოების ერთ-ერთი წევრის ე. ავდალის მიერ პარი-

ზის აზიური საზოგადოებისათვის შეწირული სომხური ხელნაწერები — ელეგია ედესის აღწერაზე, კალენდარი და სხვ. [34]. ბროსეს ერთ-ერთი მოხსენება, რომელიც არ დაბეჭდილა, ეხებოდა ს. გლინკას წიგნს 1828 წელს სპარსეთის აზერბაიჯანიდან რუსეთში 40.000 სომეხი ოჯახის გადმოსახლებაზე. ეს წიგნი იმ ხანად გერმანულად თარგმნა ცნობილმა არქენისტმა დოქტორმა ნოიმახმა. V

სამით შეიძლება დავამთავროთ პარიზში მოღვაწეობის პერიოდში ბროსეს მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების ჩამოთვლა¹. როგორც დავინახეთ, უკვე ეს მეცნიერული მემკვიდრეობა მეტად მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვანია. მუშაკა იქ ჯერ კიდევ არ იყო სრული სახით გამომქლავებული ბროსეს მეცნიერული ერუდიცია და შესაძლებლობანი. ამის საშუალებას არ იძლეოდა სათანადო მასალების სიმცირე, შორს ყოფნა ქართულ სიძველეთა იმ მდიდარი საცავებისაგან, რომლებიც რუსეთში და საქართველოში მოიპოვებოდა.

ცნობილმა ისტორიკოსმა ფრასსუა გიზომ, რომელსაც იმჟამად საფრანგეთის განათლების მინისტრის პოსტი ეკავა, 1834 წელს ბროსეს შესთავაზა მივლინება რუსეთსა და საქართველოში. შედგენილი იქნა სათანადო გეგმა და ინსტრუქცია, რომელიც მოიწონა საფრანგეთის აკადემიის კომისიამ (ე. ბურნიუფი, ა. ჟობერი, კარტრემერი), საგარეო საქმეთა მინისტრმა დუკა ისანიმ ბროსე აღჭურვა სარეკომენდაციო წერილებით საფრანგეთის წარმომადგენლებთან პეტერბურგში და კონსტანტინეპოლში, აგრეთვე საფრანგეთის კონსულთან საქართველოში. ბროსე გაცხოველებით ემზადებოდა ამ მოგზაურობისათვის. ეს ამბავი მან შეატყობინა თავის მეგობრებს რუსეთში. შარმუა, ფრენი და განსაკუთრებით თეიმურაზ ბატონიშვილი ემზადებოდნენ ბროსესთან შესახვედრად, ამზადებდნენ პირობებს მისი მუშაობისათვის. თეიმურაზმა, მაგალითად, შეიპირა პეტერბურგში მკოფი დავით დადიანი, მეგზურობა გაეწია ბროსესათვის საქართველოში მოგზაურობის დროს, რაზედაც იგი სიხარულით დათანხმდა.

მაგრამ ეს საქმე კვლავ ჩაიშალა.

¹ ბროსეს სამიოდენ ნაშრომს სინოლოგიაში ჩვენ ანგეზად არ ვებეჭით

✓ ამჯერად რუსეთის მთავრობამ უარი უთხრა ბროსეს ნე-
ბართვაზე. იგი ეპკვის თვალთ უცქეროდა ბროსეს ურთიერთო-
ბას ქართველ ბატონიშვილებთან (მით უმეტეს მას შემდეგ,
რაც ქართველ თავადაზნაურთა 1832 წლის შეთქმულება აღმო-
აჩინა და ბატონიშვილებთან მისი კავშირი შენიშნა), ერთის
მხრივ, ტარიელთან და ვასტანგთან, რომლებიც 1819—1820
წლების იმერეთის აჯანყების მონაწილეები იყვნენ, მეორეს
მხრივ, კი მიწერ-მოწერას თეიმურაზ ბატონიშვილთან. რუსე-
თის საგარეო მინისტრსა და საქართველოს მთავარმართებელს
შორის ამ საკითხზე გაიმართა მიწერ-მოწერა და ორივე მოხე-
ლე მივიდა დასკვნამდე, რომ ბროსეს ურთიერთობა ქართველ
ბატონიშვილებთან „არ უნდა იყოს მოკლებული პოლიტიკურ
მიზნებს“ და ამის გამო ბროსეს უნდა უარი ეთქვას რუსეთში
შემოწვევაზეო [306; 307. გვ. 36—37]. ✓

✓ რა თქმა უნდა ეს ეპკვი სრულიად უსაფუძვლო იყო. ბრო-
სეს ურთიერთობაში ქართველ ბატონიშვილებთან არავითარი
პოლიტიკური მიზნები არ ისახებოდა. მისი ინტერესები წმინ-
და მეცნიერული იყო.

✓ პარიზში ბროსე ხელმოკლედ ცხოვრობდა. 1825 წ. მან შე-
ირთო ცოლი, რომელიც სამი წლის შემდეგ გარდაეცვალა.
1831 წელს იგი მეორედ დაქორწინდა. მისი მეუღლე იყო მა-
რია-ავგუსტა ვიქტორია შოლი, რომელთანაც მალე სამი შვი-
ლი ეყოლა. მრავალრიცხოვანი ოჯახის შენახვა ბროსეს უჭირ-
და, მით უმეტეს, რომ მას მუდმივი სამსახური და, მაშასადამე,
მუდმივი ხელფასი არ ჰქონდა. 1831—1833 წლებში მან რამ-
დენჯერმე სცადა ეშოვნა სამსახური. ჯერ ითხოვა, გაეხსნათ მის-
თვის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა სამეფო ბიბ-
ლიოთეკასთან არსებულ აღმოსავლურ ენათა სკოლაში, მაგრამ
უარი მიიღო. შემდეგ ასეთივე წინადადებით მიმართა საფრან-
გეთის კოლეჯს, აქაც უარი უთხრეს. 1833 წ. სცადა „დამწერ-
ლობისა და ლიტერატურის აკადემიის“ წევრად გახდომა, მაგ-
რამ უშედეგოდ. შემდეგ ითხოვა ბიბლიოთეკარის ადგილი უნი-
ვერსიტეტის ბიბლიოთეკაში და აქაც მოეცარა ხელი. ბოლოს
მან მიმართა სამეფო გამომცემლობას და დათანხმდა კორექ-

ტორად დაეწყო მუშაობა მის სტამბაში. მას მოთხოვეს გარკვეული ვადით შეგირდოდე ემუშავა. ამ ვადის გასვლის შემდეგ იგი სტამბაში არ მიიღეს. ამდენი გაწამაწიის შემდეგ ბროსე მოეწყო კორექტორად ვინმე რინოს კერძო ტიპოგრაფიაში. აქ მან ერთი წელი იმუშავა, შემდეგ გადავიდა იმავე თანამდებობაზე ვინმე კრაპებეტის სტამბაში. ეს წლები ყველაზე მძიმე წლები იყო მის ცხოვრებაში. ოჯახის სარჩენ ფულს ძლივს შოულობდა. მეცნიერული მუშაობისათვის მცირე დრო რჩებოდა. ძალიან დაუზიანდა მხედველობა და შემდეგ მთელი სიცოცხლე უჩიოდა თვალების ტკივილს. ერთხანს მან რწმენაც კი დაკარგა და გული გაუტყდა იმ საქმეზე, რომელსაც შეალია თავისი ახალგაზრდობა. პირდაპირ საოცარია, როგორ ახერხებდა ასეთ მძიმე მდგომარეობაში გაეგრძელებია მუშაობა ქართველოლოგიაში. მას კეშმარიტად რკინის ნებისყოფა და საქმის ფანტიკური სიყვარული ჰქონდა.

გამოსავალი გამოჩნდა სრულიად მოულოდნელად. 1836 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ბროსეს შესთავაზა დაეკავებია სწორედ იმ ხანებში რუსეთიდან ფ. შარმუას წასვლით განთავისუფლებული ადგილი და ემუშავა ქართული და სომხური ფილოლოგიის ხაზით. ამ წინადადების ინიციატორი იყო აკადემიის პრეზიდენტი ს. უვაროვი, რომელიც დაინტერესებული იყო რუსეთში აღმოსავლურ ენათა შესწავლის საქმის წინ წაწევით. ეს იყო ცის გახსნა. ბროსე სიხარულით დათანხმდა. გაიმართა მიწერ-მოწერა [BA, გვ. LVIII--LXII]. სილვესრ დე სასიმ ბროსეს კარგი რეკომენდაცია მისცა. რუსეთში ისედაც კარგად იცნობდნენ ბროსეს მუშაობას (ხ. ფრენისა და ა. შეგერენის წყალობით).

1836 წლის 14 დეკემბერს ბროსე აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტად. 1837 წლის 4 აპრილს იმპერატორმა დაამტკიცა ეს არჩევანი. ბროსეს გამოუგზავნეს სამგზავრო ფული და იმავე წლის 18 ივნისს იგი მთელი თავისი ოჯახით ჩავიდა პეტერბურგში.

დაიწყო ახალი, მეტად ნაყოფიერი პერიოდი მის ცხოვრებაში და მეცნიერულ მოღვაწეობაში.

თავი მეორე

რუსეთში, ქართული მატინამეზის გამოცემის გზაზე

1. ქართული ისტორიოგრაფიის კვალდაკვალ, მუშაობის პროგრამა

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში არჩევისა და პეტერ-ბურგში გადმოსვლის შემდეგ მარი ბროსეს მუშაობის პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა. ვარდა იმისა, რომ იგი ახლა მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო¹, მის განკარგულებაში აღმოჩნდა დიდი რაოდენობა ქართული ისტორიული მასალებისა—ხელნაწერები, მონეტები, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვ. გაფართოვდა სამუშაო ასპარეზი, განმტკიცდა დოკუმენტური ბაზა. რეალური გახდა საქართველოში სამეცნიერო მივლინებით ჩამოსვლის შესაძლებლობა.

ბროსეს მუშაობა სასარგებლო აღმოჩნდა რუსული ორიენტალისტიკის განვითარებისათვის. მისი წყალობით პეტერ-ბურგი გადაიქცა ქართველოლოგიისა და არმენოლოგიის ერთ-ერთ უმძლავრეს ცენტრად. ბროსემ რუსეთის ქართველოლოგიას მსოფლიო აღიარება მოუპოვა და ამ საქმის სათავეში ჩაყენა იგი. ✓

რუსეთში გადმოსვლას სხვა მხრივაც ჰქონდა განსაკუთრე-

¹ აკადემიაში არჩევისას ბროსეს დაუნიშნეს ხელფასი წელიწადში 1000 მან. და 72 კაპ. ვერცხლით. შემდეგ იგი გაუზარდეს და 1867 წლისათვის მას ხელფასი 1713 მან. და 97 კაპ. გაუხდა. 1851—1879 წლებში ბროსე შეთავსებით მუშაობდა სახელმწიფო ერმიტაჟში და ეს მას დამატებით 1500 მანეთს აძლევდა. გარდაცვალების წინ, ერმიტაჟიდან განთავისუფლებულს მას ხელფასი ჰქონდა 2085 მან. და 92 კაპ. (იხ. Архив АН СССР, ფ. 4, ანაწ. 4, საჭ. 701ა, ფურ. 10, 41, 92, 112—113 და შმდ.).

ბული მნიშვნელობა ბროსეს მუშაობის წარმატებისათვის. აქ მას შესაძლებლობა მიეცა უშუალოდ გაცნობოდა ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრეს ძეგლს—„ქართლის ცხოვრებას“, უმნიშვნელოვანეს მიღწევას—ვახუშტის ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაშრომს და ბრწყინვალე წარმომადგენელს—თეიმურაზ ბაკრატიონს. ამით ბროსიმ მჭიდრო კონტაქტი დაამყარა ქართულ ისტორიოგრაფიასთან, გაეცნო მის ძირითად ამოცანებს და მიმართულებას, კვალში ჩაუდგა მას. ყოველივე ამან განაპირობა ბროსეს შემდგომი წარმატებები ქართველოლოგიის გზაზე. ამ წყაროს გარეშე მას გაუქირდებოდა რაიმე ძვირფასი მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა საკუთრივ ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლა-განვითარების საქმეში. ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი: რა მდგომარეობა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში გასული საუკუნის 30-იანი წლების დამლევს? რა ძირითადი ამოცანები იდგა მის წინაშე და რა იყო გაკეთებული ამ ამოცანების გადასაქრელად? ამ საკითხების გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს თვალნათლივ დავინახოთ ბროსეს როლი და ადგილი მე-19 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში.

XIX საუკუნის დამდგენისათვის ქართულ ისტორიოგრაფიას განვითარების ხანგრძლივი და შინაარსიანი გზა ჰქონდა გავლილი. ადრეფეოდალურ ხანაში წარმოშობილი (სამწუხაროდ, წინარე ხანის ქარიული საისტორიო მწერლობა არ შემოგვრჩა) იგი ფეხდაფეხ მისდევდა ფეოდალური საქართველოს განვითარებას, ასახავდა მის ზრდასა და წინსვლას, მის მარცხსა და დაცემას, იბრძოდა მისი უკეთესი მომავლისათვის. ქართული ისტორიოგრაფია ეხმაურებოდა მისი ეპოქის საჭირობო საკითხებს, ყოველთვის ცდილობდა მდგარიყო ეპოქის მოთხოვნილების სიმალლეზე. XI—XII საუკუნეებში, როცა საქართველოს ფეოდალურმა საზოგადოებამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია, ქართული ისტორიოგრაფია, როგორც ამას მართებულად შენიშნავს პროფ. ვ. გაბაშვილი, ატარებდა იმ ნიშნებს, რომლებიც საერთოდ დამახასიათებელი იყო XV—XVII საუკუნეების ევროპული ჰუმანიტური ისტორიოგრაფიისათვის [308, გვ. 54, 59]. აქ უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო ისტორიის წერის ტექნიკური მხარე, მისი ხერხები და

მეთოდები (წყაროთა დამოწმების წესი, ისტორიულ თხზულებათა კომპოზიციური მთლიანობა, მარტივი ისტორიული კრიტიკა და სხვ.). არამედ საერთოდ ისტორიული აზროვნების იდეური მიმართულებაც, მისი პოლიტიკური მიზანდასახულება და საზოგადოებრივი როლი.

შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის მაღალი ტრადიციები კრიტიკულად იქნა ათვისებული და განვითარებული მე-18 საუკუნეში, ჯერ ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილი ე. წ. სწავლულ კაცთა კომისიის, ხოლო შემდეგ კი განსაკუთრებით ვახუშტი ბაგრატიონის მიერ. ისტორიული კვლევა-ძიებების მეთოდოლოგიაში მრავალი სიახლე იქნა შეტანილი, ისტორიის წერის ტექნიკა ახალ სიმაღლეზე იქნა აყვანილი. ახალი ქართული ისტორიოგრაფიის სათავე სწორედ სწავლულ კაცთა და, უფრო მეტად კი, ვახუშტის მეცნიერულ მემკვიდრეობაშია საძიებელი.

ამ ახალი ქართული ისტორიოგრაფიისათვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანთვისება იყო კრიტიკული დამოკიდებულება შუა საუკუნეების ქართული ისტორიული აზროვნების უმთავრეს ძეგლთან—„ქართლის ცხოვრებასთან“. „ქართლის ცხოვრების“ გამართვა, მისი კრიტიკა და შესწორება, მისი შევსება და შემოწმება იყო ის საქმე, რომელიც წამოიწყეს ვახუშტიმ და სწავლულ კაცთა კომისიამ და რომელიც შემდეგ წითელი ზოლივით გაჰყვა მიელს ახალ ქართულ ისტორიოგრაფიას. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ღრმა და საფუძვლიანი ხდებოდა „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკა, იცხრილებოდა მისი ზღაპრული ნაწილები, მოწმდებოდა, კრისტალდებოდა და იწმინდებოდა მისი ჭეშმარიტი ცნობები. „ქართლის ცხოვრებას“ გარეგან კრიტიკას მოჰყვა მისი შინაგანი კრიტიკაც, მისი შემადგენელი ნაწილების გამოყოფა. მათი ავტორების ვინაობის ძიება, ავტორთა მედასეობისა და იდეური მიმართულების რკვევა და ა. შ. დიდი და საინტერესო გზა განვლო „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკულმა შესწავლამ მე-19 საუკუნეში და შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ძველი საქართველოს ისტორიის შემუშავების დარგში.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ამ ისტორიოგრაფიულ

ამოცანას პოლიტიკური სიმასვილეც მიენიჭა. ეს იყო შედეგი იმ დიდი გარდატეხისა. რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში გასული საუკუნის კარიბჭესთან. რუსეთთან შეერთებამ, ქართული პოლიტიკური ხელისუფლების გაუქმებამ და რუსული მმართველობის დამკვიდრებამ ქართველი ისტორიკოსების წინაშე ახალი ამოცანები წამოსწია. შექმნილ ვითარებაში აუცილებელი იყო, ერთის მხრივ, მიმძლავრებული ერას კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა ყოველგვარი ჭურის ნიპილისტებისა და დიდმპყრობელური შოვინისტების შემოტევისაგან, ხოლო, მეორეს მხრივ, საჭირო იყო ქვეყნის წარსულის, მისი კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა საქართველოს ახალ მესვეურთათვის. მეორე ამოცანის განხორციელება უფრო ადვილი ჩანდა და XIX საუკუნის დასაწყისში ზედიზედ იწერება და ქვეყნდება ჩვენი ხალხის წარსულის ზოგადი მიმოხილვები. 1805 წელს პეტერბურგში დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის — „Краткая история о Грузии“ (დაწერილი გენ. ტუჩკოვისათვის). 1813 წელს იგივე დავითი რუსულ ენაზე წერს საქართველოს ისტორიის უფრო ვრცელ ვარიანტს, რომელიც შემდეგ მიაართვა გენერალ ერმოლოვს, 1814 წელს ვახტანგ ბატონიშვილი აქვეყნებს წიგნაკს — „Обозрение истории Грузинского народа“. იმავე ხანებში დავითი ბატონიშვილი წერს თავის — „Обозрение Грузии по части права и законовещения“-ს და ა. შ. ამ ნაშრომებში კარგად შეიმჩნევა ავტორთა მასწრაფება, უჩვენონ რუს მკითხველს ჩვენი ქვეყნის წარსული, მისი კულტურული სახე. ასეთი მიზანდასახულებით შექმნილნი ეს თხზულებები თითქმის არ შეიცავენ კვლევა-ძიებით ელემენტებს და ემსახურებიან მხოლოდ ჩვენი წარსულის პოპულარიზაციის საქმეს.

ამასთან ერთად ეს ისტორიკოსები ნათი დროის მემატია-ნეებადაც გვევლინებიან. ისინი აღწერენ მე-18 საუკუნის დამლევისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის ამბებს „უტყუარობისა და ქეშმარიტების“ ნიშნით, იძლევიან ამ პერიოდის მოკლენათა კრიტიკულ ანალიზს და თავისებურ შეფასებას. ასე დაიწერა დავით ბატონიშვილის — „ახალი ისტორია“, ბაგრატ ბატონიშვილის „ახალი მოთხრობა“, ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრების“ ბოლო ნაწილი და სხვ..

მაგრამ ახალ, ევროპულ სამყაროში მოხვედრილ საქართველოსათვის მხოლოდ პოპულარული ნაშრომები და მემატიანეთა თხზულებები საკმარის არ ჩანდა. ყველაფერს იმას, რასაც შემოხსენებული ისტორიკოსები წერდნენ, მეცნიერული, კრიტიკული დასაბუთება ესაჭიროებოდა. ამის გარეშე შეუძლებელი იყო ეროვნული ინტერესების დაცვა.

როცა დიდმპყრობელურ „მეცნიერულ“ წრეებს ქართველი ხალხის ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა და ქართული კულტურის დამცილება სურდათ, ისინი უტყვედნენ ქართველთა ისტორიის უმთავრეს ძეგლს—„ქართლის ცხოვრებას“, ერთი ხელის მოსმით უარყოფდნენ მის მეცნიერულ ღირებულებას და მასში მოთხრობილი ამბების სიმართლეს. ასე მოიქცა ო. სენკოვსკი 30-იანი წლების დამლევს და იგივე ამბავი განმეორდა მე-19 საუკუნის 80-იან წლებშიც (პატკანოვი).

ერთადერთი გზა ძველი ქართული კულტურის დაცვისა იყო „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერულ-კრიტიკული შეფასება, მისი ცნობების შემოწმება, შევსება და შემაგრება სხვა რიგის წყაროებით, ე. ი. იმ დიდი სამუშაოს გაგრძელება და ბოლომდე მიყვანა, რომელიც წამოიწყო ვახუშტიმ და საერთოდ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიოგრაფიამ. ამ სამუშაოს შესრულება მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში იტვირთა თეიმურაზ ბატონიშვილმა, შემდეგ კი ეს საქმე გააგრძელა მარი ბროსემ. ამრიგად, ქართული ისტორიოგრაფიის იდეური მიზანდასახულების თვალსაზრისით მარი ბროსე წინამორბედ ქართველ ისტორიკოსთა კვალში ჩადგა და მათ საქმეს აგრძელებდა.

კიდევ უფრო ადვილი აღმოჩნდა ბროსესათვის ქართული ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიური და ტექნიკური მხარისათვისება და სრულყოფა. ისტორიული კვლევაძიების ევროპული მეთოდებით აღჭურვილ ბროსეს სრულიად არ გაუჭირდებოდა განევითარებია ქართულ ისტორიოგრაფიულ პრაქტიკაში დამკვიდრებულ კრიტიკული დამოკიდებულება წყაროებისადმი, დოკუმენტების გამოყენების წესი, სპეციალური ქრონოლოგიური და გენეალოგიური ძიებები, მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი ახსნის პრინციპი (წინააღმდეგ შუასაუკუნეობრივი „პროვინდეციალიზმისა“) და ა. შ. არც ის იყო უცხო

ბროსესათვის, რომ ვახუშტის დროინდელი ქართული ისტორიოგრაფია ამხვილებდა ყურადღებას ძველი ქართული საზოგადოების შინაგანი ცხოვრებას, შინაგანი სტრუქტურისა და განვითარების საკითხებზე. ყველაფერი ეს ბროსეს მეცნიერულ მემკვიდრეობაში საკმაო სისრულითაა წარმოდგენილი და განვითარების ახალ საფეხურზეა აყვანილი (ამდენად, ბროსე ამ მხრივაც გვევლინება წინამორბედ ქართველ ისტორიკოსთა საქმის გამგრძელებლად. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მთელი მისი მუშაობა წარმართა „ქართლის ცხოვრების“ შევსება-შემოწმების გზით, ახალი ქართული ისტორიოგრაფიისათვის დოკუმენტური ბაზის შექმნის ხაზით და ცალკეული გენეალოგიური, ქრონოლოგიური თუ სხვა მოვლენების დაზუსტების მიმართულებით.)

თავისი თვალსაზრისი ქართული ისტორიოგრაფიის იმდროინდელი მდგომარეობისა და ძირითადი ამოცანების შესახებ ბროსემ ჩამოაყალიბა მოხსენებაში, რომელიც მან დაწერა აკადემიის წლიურ საჯარო სხდომაზე წასაკითხად [60]. ეს იყო მისი საპროგრამო მოხსენება. აქ თვალის ერთი გადავლებით მიმოხილულია ქართული ისტორიული აზროვნების ძირითადი მომენტები, დახასიათებულია საქართველოს ისტორიული წყაროები. მალალი შეფასება აქვს მიცემული ვახუშტი ბაგრატიონის მეცნიერულ მემკვიდრეობას (ბროსე მას „საქართველოს კარამზინს“ უწოდებს), დიდი მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული თეიმურაზ ბატონიშვილისა და მისი ძმების ისტორიოგრაფიულ მუშაობას.

მისი დროის ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრეს ამოცანად ბროსე თვლიდა ქართული ისტორიული მატრიანების კრებულის კრიტიკულ, მეცნიერულ გამოცემას. თუ ეს ამოცანა შესრულებული იქნა—შენიშნავს ბროსე—განათლებული ევროპა მიიღებს უმდიდრეს ისტორიულ კრებულს, რომელიც თამამად გაუსწორებს თვალს აზიის სხვა ხალხთა ისტორიულ ქრონიკებს (ჩინურს, სომხურს...) [60, ҃HMHII, გვ. 287]. მაგრამ ამ ამოცანის განხორციელება შეუძლებელი იქნება, სანამ მაქსიმალურად არ შეიკრიბება და ვამოიცემა შესამოწმებელი მასალა, როგორც ეროვნული (ქართული სიგელ-გუჯრები, წარწერები, ლიტერატურული ძეგლები), ასევე უცხოური (სომხუ-

რი, არაბული, თურქული, სპარსული, ბიზანტიური, რუსული).
წმინდადამე, უპირველესი ამოცანაა ამ მასალების მოძებნა, შესწავლა და პუბლიკაცია, მათი კრიტიკული განხილვა და შეფასება. ბროსემ პეტერბურგში თავისი მოღვაწეობის პირველი ათწლეული (1838—1848) უპირატესად სწორედ ამ საქმის შესრულებას მიაწვდიდა.)

სწორედ იმ დროს, როცა ბროსე თავის მუშაობის პროგრამას აყალიბებდა და ქართული ისტორიული თხზულებების მეცნიერული გამოცემის აუცილებლობას ამტკიცებდა, „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული მნიშვნელობის უარყოფით გამოვიდა ცნობილი არაბისტი პროფ. თ. ი. სენკოვსკი. სენკოვსკი არ იცნობდა არც ქართულ ლიტერატურას და არც „ქართლის ცხოვრებას“. იგი მსჯელობდა სხვა პირთა ნაშრომებიდან ამოკრეფილი ცნობებით და არც უარყოფდა ამას. აზრი ქართული ლიტერატურის სიღარიბისა და დაბალი ღირსების შესახებ, მას დაეებადა მაშინ, როცა რეცენზიას წერდა ლეგოპიტოვის რედაქციით გამოსულ წიგნზე: „Описание русских владений...“. ამ წიგნში იგი შეხვდა ქართული ლიტერატურის მხოლოდ 23 ძეგლის დასახელებას და ჩათვალა, რომ ამის მეტი ძეგლი ქართულ ლიტერატურას არც გააჩნიაო. შემდეგ სენკოვსკიმ ეს მოსაზრება გაიწეორა ეიხვალდის წიგნზე დაწერილ რეცენზიაში, ხოლო 1838 წელს გამოვიდა წერილით, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ქართველებს ძველი ისტორია არ გააჩნიათ და „ქართლის ცხოვრება“ მთლიანად 3ე-18 საუკუნეშია შეთხზული [313]. სენკოვსკი ფიქრობდა, რომ ქართველებს საქართველოში XII საუკუნემდე არ უცხოვრიათ, რომ მანამდე აქ მხოლოდ სომხები, მასაგეტები და თურქები ცხოვრობდნენ. ამასთანავე სენკოვსკიმ იცის, რომ ანტიკური დროის წყაროებში იხსენიება იბერია, რომელსაც მეცნიერები საქართველოდ თვლიან. იგი უარყოფს ქართველების და იბერიელების იდენტურობას და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ანტიკური წყაროების იბერიაში მხოლოდ დასავლეთ საქართველო იგულისხმება და რომ იქ ცხოვრობდა სხვადასხვა მოდემის მრავალი ტომი. რომელთა შორის იქნებ იყვნენ კიდევ ქართველებიც (Картавелы), ზონათესავენი დღევანდელი ქართველებისა (Грузины), მაგრამ მონათესავეობა — სენკოვსკის აზრით — სხვა ხალ-

ხის ისტორიის მითვისების უფლებას არ იძლევა. ქართველთა ისტორია — ამტკიცებდა იგი — შეიძლება დავიწყოთ მხოლოდ გიორგი I-ის, ან უფრო ზუსტად დავით III-ის დროიდან. როცა ამ უკანასკნელმა თბილისი დაიპყრო (XII საუკუნის მეორე ნახევარში). რაც შეეხება ვახტანგ გორგასალს, იგი თურქების ბელადი უნდა ყოფილიყო.

ასეთი იყო ო. ი. სენკოვსკის „თვალსაზრისი“.

ო. ი. სენკოვსკი, გარუხებული პოლონელი პროფესორი, ეკუთვნოდა იმდროინდელი რუსული პროფესურის უაღრესად რეაქციულ და ნიპილისტურად განწყობილ წრეს, თანამედროვენი მას მეტად უარყოფითად ახასიათებენ [295]. რუსული ორიენტალისტიკის ისტორიის ერთ-ერთი მკვლევარი პროფ. ა. ი. იაკუბოვსკი წერს, რომ სენკოვსკის ახასიათებდა „пренебрежительное отношение к отечественной культуре... Сенковский даже не признавал русский язык за язык на котором можно писать научные труды“. [314]. უარყოფითი აზრის იყო ო. სენკოვსკიზე ნ. გ. ჩერნიშევსკიც¹.

ასეთი განწყობილების მეცნიერი, ცხადია, არც ახლადფეხადგმულ ქართველოლოგიას დაინდობდა და, მართლაც მისი გამოსვლა მძიმე დარტყმა იყო არა მარტო ქართული კულტურის მესვეურთათვის, ქართველი ინტელიგენციისათვის, არამედ საერთოდ ქართული მწერლობითა და კულტურით დაინტერესებული მეცნიერული წრეებისათვისაც რუსეთში (ფრენი, შეგრენი, ბროსე და სხვანი).

ბროსემ იმავე წელს უპასუხა ო. სენკოვსკის. მან 1838 წლის 2 ნოემბერს აკადემიაში წაიკითხა მოხსენება ქართულ სიძველეთა შესახებ, ხოლო მომდევნო წლის დამდეგს ეს მოხსენება გამოქვეყნდა შეცნიერებათა აკადემიის მოამბეში [66]. ბროსეს ეს წერილი მეტად საინტერესოა, როგორც თავისი შინაარსით, ასევე, განსაკუთრებით, თავისი განწყობილებით.

წერილში ბროსე ამბობს, რომ, როცა მეცნიერებაში ახალი იდეა, ახალი შეხედულებები შემოდის (როგორცაა, მაგალითად, აზრი ქართული მწერლობისა და ქართული კულტურის ღირსშესანიშნაობის შესახებ), როცა ეს იდეა ჯერ კიდევ

¹იხ. მისი — Извр. философи. соч., I, 1950, გვ. 458.

არ არის საკმაოდ მომაგრებული და დასაბუთებული, ჭეშმარიტების მაძიებელი სული ორ რამეს უნდა უფრთხოდეს: ერთის მხრივ, ბრმა ენთუზიაზმს, პროზელეტიზმის მამას, მეორეს მხრივ კი დაუფიქრებელ უგულვებელყოფას, გადაქარბებულ ექვსა და უარყოფას. ასეთ შემთხვევაში, ყველაზე მიზანშეწონილია და მოსაწონია კეთილგანწყობილება და თბილი, ყურადღებიანი დამოკიდებულება ახალი იდეისადმი, მით უმეტეს მაშინ, როცა რიგი არგუმენტებისა მის სასარგებლოდ ლაპარაკობენ. განა ცოტა ვიცით შემთხვევები—აცხადებს ბროსე—, როცა სკეპტიციზმს დაუმარხია იდეები, რომელთაც არსებობის უფლება ჰქონდათ!

ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის შესწავლის გარიჟრაჟზე სწორედ ასეთი კეთილგანწყობილების, რწმენისა და ნდობის მკაფიო მაგალითი მოგვცა გამოჩენილმა მეცნიერმა ა. ე. სენ-მარტენმა, რომელმაც თავის შრომებში მრავალგზის გამოიყენა ქართული ქრონიკები, უჩვენა მათი ცნობების სანდოობა და დამთხვევა მეზობელ ხალხთა ისტორიული მწერლობის მონაცემებთან... სენკოვსკი კი (ბროსე მის გვარს არ ასახელებს. უწოდებს მას „ცნობილ ჟურნალისტს“) უგულვებელყოფს უკვე გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან ცნობებს ქართული ლიტერატურისა და ისტორიული ქრონიკების მდიდარი შინაარსის შესახებ. მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის უკვე გამოქვეყნებული იყო იმ ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კატალოგი, რომლებიც მოიპოვებოდნენ თეიმურაზ ბატონიშვილის და სხვა ქართველ მოღვაწეთა პირად წიგნთსაცავებში. კატალოგში 350-მდე ნაშრომია დასახელებული. მათი შინაარსი მრავალფეროვანია და მდიდარი.

ბროსე დოკუმენტურად ასაბუთებს. რომ ქართველები (грузины) მე-12 საუკუნეზე ბევრად ადრე ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ საქართველოში. ერთ-ერთი საამისო საბუთი ბროსეს მოაქვს სწორედ იმ სფეროდან, რომლის სპეციალისტადაც თ. სენკოვსკი ითვლებოდა — არაბული წყაროებიდან, სადაც ნათქვამია, რომ VII საუკუნეში ერთ-ერთმა არაბმა სარდალმა ჯურზანის ქვეყნის მეთაურს (თბილისის სანახებიდან) მისცა დაცვის სიგელი („კაპიტულაცია“). ჯურზანი, გურზანი მტკერის სახელწოდებასთანაა დაკავშირებული (კირ, კურ, ჯურ...) და

უძველესი დროიდან ჰქვია ამ რაიონსა და აქ მცხოვრებ ხალხს. იაყუბი თბილისს ჯურზანის დედაქალაქს უწოდებს. ჯურზანი, ჯურზანი კი იგივეა, რაც „გრუზინები“.

ბროსე აქ უთითებს თვით სენკოვსკის მიერ გამოქვეყნებულ ერთ არაბულ წყაროს, სადაც გარკვევითაა ნათქვამი, რომ ჯურზანს არაბები სწორედ მტკვარს უწოდებდნენ ჯერ კიდევ VII საუკუნეში.

ბროსე იხილავს არაბულ, სპარსულ, სომხურ და ბერძნულ წყაროებში შემონახულ ცნობებს ქართველებისა და მათი ქვეყნის ძველი სახელწოდებების შესახებ (ჯურზანი, ვირკი, იბერია, გურჯისტანი) და ასაბუთებს ქართველთა ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე დიდი ხნით ადრე XII საუკუნემდე. ნაშრომის დასკვნით ნაწილში ბროსე თავს უყრის ყველა საბუთს, რომლებიც ამას ადასტურებენ: XI საუკუნისათვის — წარწერები ქუთაისის ტაძარზე (1003 წლისა) და ატენის ტაძარზე; X საუკუნისათვის — არაბული და სომხური წყაროების ცნობები საქართველოს სამეფოსა და მეფეთა შესახებ; VII—VIII საუკუნეებისათვის — არაბი ავტორების ცნობები და ფრენის მიერ ჯერ კიდევ 1819 წელს გამოქვეყნებული ქართული წარწერიანი მონეტა (მონეტაზე იკითხება **სქოჲჩინს**), V საუკუნისათვის — ლაზარე ფარპელისა და სხვა სომეხ ავტორთა ცნობები საქართველოსა და, კერძოდ, ვახტანგ გორგასლის შესახებ. IV საუკუნისათვის — ქართლის მოქცევის ამბავი, საკმაოდ კარგად ასახული ძველ წყაროებში. ამაზე წინა ხანის ქართველთა ისტორიაზე კი დიდი რაოდენობით მოიპოვება სინქრონიული ცნობები ბერძნულ, ლათინურ, სომხურ და სპარსულ მწერლობაში.

ბროსეს წერილში ყურადღებას იქცევს ვახტანგ გორგასლის ზედსახელის ორგინალური ახსნა. ბროსე თქვამს, რომ „გორგასლანში“ შემონახულია ქართველთა ერთ-ერთი ძველი სახელწოდება „გურგ“, „გურჯ“, გიორგი. გორგასლანი კი ნიშნავს — გიორგი ~~ლამს~~ (Georges le Lion).

ამრიგად, ბროსემ ძირფესვიანად უკუაგდო სენკოვსკის „თვალსაზრისი“, დაასაბუთა ქართველთა ძველი ისტორიის ჭეშმარიტება, დაამტკიცა ქართველი ხალხის ჩამომავლობის

სიძველე, დაიცვა ქართველი ხალხის წარსული და მისი ღირსება რეაქციონერ—ნიჰილისტის შემოტევისაგან. ბროსეს ამ წერილის მნიშვნელობა გასაგები განდება ჩვენთვის თუ გავიხსენებთ, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში პეტერბურგის ოფიციალურ პრესაში (გრეჩისა და ბულგარინის პრესაში) არა ერთხელ ჰქონდა ადგილი ქართული კულტურის, ქართველთა წარსულის გაბიადრებისა და დამცირების ცდას. მოწინავე ქართველი მოღვაწეები და პროგრესულად მოაზროვნე რუსი მწერლები სასტიკად ილაშქრებდნენ ასეთი გამოხდომების წინააღმდეგ (ს. დოდაშვილი, დეკაბრისტი სუხოპუკოვი და სხვ.). ბროსე ამ მებრძოლთა რიგში ჩადგა და მისთვის ჩვეული საბუთიანობით, აკადემიური და კვალიფიციური მსჯელობით დაიცვა ქართველთა ერთ-ერთი უდიდესი განძი—ძველი ისტორია, ძველი მწერლობა და კულტურული წარსული. ეს იყო ქართველი ხალხისათვის იმ მძიმე ეპოქაში ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა.

სენკოვსკის მიერ გამოთქმული ეჭვების გასაფანტავად ბროსემ წერილის გამოქვეყნება არ იკმარა. მან 1839—1840 წლების ზამთარში აკადემიაში საქართველოს შესახებ საჯარო ლექციების კითხვა დაიწყო. იგივე ლექციები უფრო გაფართოებული სახით შემდეგ 1841 წ. მან წაიკითხა პეტერბურგის უნივერსიტეტშიც. სულ მის მიერ წაკითხული იქნა 19 ლექცია, რომლებშიც მიმოხილულია ქართველოლოგიური ლიტერატურა, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ქართული ენა, ძველი ქართული კანონმდებლობა, ქართველთა ზნეჩვეულებები, ქართული ლიტერატურა, ისტორია და სხვა საკითხები¹.

მაგრამ სენკოვსკისათვის ყველაზე კარგი პასუხი გაცემული იქნა მაშინ, როდესაც ბროსემ გამოაქვეყნა ქართულ სიძველეთა რამდენიმე კრებული და მონუმენტური „ქართლის ცხოვრება“, კრიტიკული შენიშვნებით, დამატებებითა და განმარტებებით. ეს იყო ის მძიმე არგუმენტი, რომლის წინააღმდეგ ფანატიკოს ნილილისტებს ან თავაშვებულ „ველიკოდერჟავ მეცნიერებს“ აღარაფერი არ ჰქონდათ სათქმელი და ისანიც კარგა ხნით მიუყუჩდნენ.

¹ შემონახულია ამ ლექციების ხელნაწერი — ИНА, ხელნაწ. განყ., Е — 152, (ძვ. შიფრი).

გავეცნოთ ბროსეს მიერ გაწეულ ისტორიოგრაფიულ მუშაობას. ჯერ, როგორც აღვნიშნეთ, ბროსე უპირატესად კრებს, სწავლობს და აქვეყნებს სხვადასხვა ხასიათის ისტორიულ მასალებს. ეს შემგროვებლობითი, მოსამზადებელი მუშაობა ძირითადად მოავრდება არქეოლოგიურ¹ მოგზაურობით საქართველოში. შემდეგ 1849—1858 წლებში ბროსეს უმთავრესი საქმეა „ქართლის ცხოვრების“ გამოცემა. ხოლო 60-იანი წლებიდან საქართველოს ისტორიის წყაროების გამდიდრების მიზნით ბროსე ძირითად ყურადღებას უთმობს სომხური ძეგლების თარგმნასა და გამოქვეყნებას.

ქვემოთ ჩვენ ბროსეს მოღვაწეობას განვიხილავთ ამ ეტაპების მიხედვით.

2. მასალების შეკრება, აღწერა, გამოქვეყნება

(1836 წლის 2 დეკემბერს ბროსე რუსეთის აკადემიის ადიუნქტად აირჩიეს¹. ორი წლის შემდეგ იგი ექსტრაორდინარულ აკადემიკოსად იქნა დამტკიცებული². აკადემიის მუშაობაში მას ქართველოლოგიური და არმენოლოგიური კვლევა-ძიებების გაძღოლა ევალებოდა მის განკარგულებაში იყო აკადემიის აზიური მუზეუმის მასალები, ზრუნვა ამ მუზეუმში ქართული და სომხური მასალების თავმოყრაზე მისი პირდაპირი მოვალეობა იყო) ამ მხრივ მან მართლაც მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა. ბროსე დაუახლოვდა პეტერბურგში მყოფ განათლებულ და მწიგნობრობის მოყვარულ ქართველებს (პეტრე ქებაძეს, სიმონ ტაბიძეს, გიორგი ავალიშვილს, იოსებ ნაზარიშვილს და სხვებს), შემოიკრიბა ისინი და მათი დახმარებით დაიწყო ქართული ხელნაწერების შეკრება-გადაწერა აკადემიის აზიური მუზეუმისათვის: ამავე მიზნით იგი დაუკავშირდა საქართველოში მოღვაწე პირებსაც—პლ. იოსელიანს, ნიკოლოზ ქუთათელაძეს და სხვებს. მათ მიერ ბროსეს თხოვ-

¹ ЦГИАЛ, ф. 733, оп. 12, 1837, № 484. ნაწ. I, Об избраннии Броссе адюнктом.

² იქვე, ნაწ. II, Об утверждении Броссе экстраординарным академиком.

ნით გაგზავნილმა მასალებმაც საგრძნობლად გაამდიდრეს აზიური მუზეუმის ფონდი.

სწორედ იმ ხანებში კავკასიის მხარეში სპეციალური დავალებით მოემგზავრებოდა ბარონი განი. ბროსეს ინიციატივით აკადემიამ სთხოვა მას, ეზრუნა აკადემიისათვის ქართული და სომხური ხელნაწერების შეკრებაზე. სათანადო ინსტრუქცია განისათვის ბროსემ შეადგინა.

ცოველივე ამის შედეგად 1838 — 1844 წლებში აზიური მუზეუმის ფონდი განუხრელად იზრდებოდა. თუ 1838 წლისათვის აკადემიის აზიურ მუზეუმს მხოლოდ სამიოდე ქართული ხელნაწერი ჰქონდა, 1844 წლისათვის ხელნაწერთა რაოდენობამ 90-ს გადააჭარბა, ხოლო 1846 წელს, თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკის აკადემიისათვის გადაცემის შემდეგ ქართულ ხელნაწერთა რიცხვმა რამდენიმე ასეულს მიაღწია.)

მარი ბროსე საისტემატურად აქვეყნებდა ცნობებს აზიურ მუზეუმში შემოსულ ხელნაწერთა და სხვა ქართულ სიძველეთა შესახებ. ეს ცნობები საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ქართულ ხელნაწერთა ფონდის ყოველწლიურ ზრდას აზიურ მუზეუმში. 1838 წელს პეტრე ქებაძემ აზიურ მუზეუმს შესწირა 45 ძველი ქართული ხელნაწერი [65], მათ შორის იყო „ქართლის ცხოვრება“, ვახტანგ VI-ის სამარჯლის წიგნი, ანტონ I-ის გრამატიკა, სტეფანოზ ორბელიანის თხზულების ქართული თარგმანი, შესრულებული ასლან ათაბეგოვის მიერ. სულხან-საბასა „სიბრძნე-სიცრუისა“, არჩილიანი, ომანიანი, ვისრამიანი, ამირან-დარეჯანიანი, ვეფხისტყაოსანი და სხვა საყურადღებო ძეგლები ქართული მწერლობისა. ცოტა ხნის შემდეგ იმავე პ. ქებაძემ აკადემიის აზიურ მუზეუმს შესწირა კიდევ ერთი ხელნაწერი—„ანჯარი—სოჰაილი“ ანუ პიდპაის არაკები [71].

იმავე ხანებში პლ. იოსელიანმა აზიურ მუზეუმს საქართველოდან გაუგზავნა ანტონ I-ის „წყობილ-სიტყვაობა“ [59], ხოლო ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა ბარონ განს აკადემიისათვის გადასცა 6 ქართული ხელნაწერი—ქართლის ცხოვრება (ე. წ. ფალავანდიშვილისეული ნუსხა), ვახუშტის ნაშრომი, ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა“ და სხვა [62].

შემდეგ ამისა აზიურ მუზეუმის ფონდი გამდიდრდა გი-

ორგი ავალიშვილის შეწირულობათა ხარჯზე. ავალიშვილმა მუზეუმს გადასცა 13 ხელნაწერი [81]. სოლო 1843 წელს მუზეუმმა საქართველოს ეგზარქისისაგან მიიღო XII საუკუნის ხელნაწერი „ძილისპირი“, რომელსაც მეტად საყურადღებო მინაწერები ჰქონდა [92].

1844 წ. დავით ჩუბინაშვილმა შეადგინა აზიური მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა პირველი კატალოგი, რომელიც ბროსემ ფრანგულად თარგმნა და გამოაქვეყნა დორნის მიერ გამოცემულ კრებულში [315].

ყოველივე ამან საფუძველი მისცა ბროსეს ეთქვა, რომ აზიური მუზეუმი ქართული ხელნაწერების თვალსაზრისით ევროპაში ყველაზე მდიდარ საცავად გადაიქცაო. ამ საქმეს მისი დიდი ღვაწლიც ედო.

ქართულ ხელნაწერთა კერძო კოლექციებს შორის ყველაზე შესანიშნავი იყო თეიმურაზ ბატონიშვილის კოლექცია, რომელსაც ბროსე პეტერბურგში ჩასვლისთანავე გაეცნო. მან თეიმურაზის მიერ შედგენილი კატალოგი ფრანგულად თარგმნა და გამოაქვეყნა [316, გვ. 119—178]. თეიმურაზის წიგნთსაცავში ბროსე პირველად გაეცნო „ქართლის ცხოვრებას“ (ე. წ. თეიმურაზისეული ნუსხა), ვახუშტის ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაშრომს, არჩილიანს, დავითიანს და სხვა ძეგლებს. 1846 წელს ეს კოლექცია (214 ერთეული) გადავიდა აზიური მუზეუმის განკარგულებაში.

საინტერესო შენაძენს წარმოადგენდა, აგრეთვე, ვახუშტა ბატონიშვილისეული რუკები, რომლებიც 1837 წლის დამლევს აკადემიას გადასცა იმერეთის ყოფილმა დედოფალმა ანა მათეს ასულმა ორბელიანმა. ბროსემ სპეციალურ წერილში მიუთითა ამ რუკების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე [56].

(ხელნაწერებთან ერთად აზიური მუზეუმის ფონდში ქართული სიველ-გუჯრების თავმოყრაც დაიწყო. ზემოხსენებულმა პეტრე ქებაძემ ხელნაწერებთან ერთად მუზეუმს გადასცა 28 ქართული საბუთი) ნიკოლოზ ქუთათელაძემ საქართველოდან მუზეუმს გაუგზავნა X-V საუკუნის ჭაფარიძეთა საბუთი სვანეთის შესახებ. პეტერბურგელ ქართველთაგან დიდძალი საბუთი შემოვიდა. ამათ შორის იყო იმამ-ყული ხანის წერილები, ელენე დედოფლის, თეიმურაზ II-ის, ანტონ I-ის და

ერეკლე II-ის მიწერ-მოწერა. ერთ-ერთ წერილში ბროსე ხაზგასმით აღნიშნავდა სიგელ-გუჯრების მნიშვნელობას ქვეყნის შინაგანი ცხოვრების შესასწავლად, აყენებდა საკითხს საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან მათი შეკრებისა და დაცვის აუცილებლობის შესახებ [57].

რაც შეეხება ქართულ მონეტებს, ამ მხრივ აკადემიის აზიურ მუზეუმს უკეთ ჰქონდა საქმე. აქ ინახებოდა ლორეში აღმოჩენილი განძი (67 მონეტა), რომელიც კარგ საფუძველს ქმნიდა ახალი დაკვირვებებისათვის ქართული ნუმისმატიკის საკითხებზე [51].

დაბოლოს ბროსეს წყლობით აზიური მუზეუმის ქართულ ფონდში იწყებს შემოსვლას ქართული ეპიგრაფიკული მასალა (ქვეყნის იყო და ნიკოლოზ ქუთათელაძემ მუზეუმს გაუგზავნა წარწერები გადმოღებული იმერეთში დაცული საფლავის ქვებიდან, ხატებიდან და სხვა ნივთებიდან. შემდეგ ასეთივე მასალა ბროსემ მიიღო პლ. იოსელიანისაგან [63], ამასთან ასზე მეტი წარწერა მუზეუმმა მიიღო საქართველოს ეგზარქოს ევგენისაგან [94]; ამათ ბროსემ მიუმართა დიუბუა დე მონპეროს მიერ მისთვის ჯერ კიდევ პარიზში გადაცემული წარწერები და ყოველივე ამის შედეგად აზიურ მუზეუმში ქართული წარწერების საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა დაგროვდა.

ცალკე გვინდა აღვნიშნოთ ერთი შემთხვევა, როცა ბროსეს განკარგულებაში აღმოჩნდა რამდენიმე წიაღისეული არქეოლოგიური ნივთი. 1841 წელს ზემო რაჭაში, წულუკიძეთა მამულში, მიწის სამუშაოების დროს გლეხებმა იპოვნეს ბრინჯაოს ორი ბალთა, მანკვალი და ვერძის პატარა ქანდაკება. ეს ნივთები გაეგზავნა აკადემიას და ბროსემ გამოაქვეყნა მათი აღწერა [85], სათანადო საილუსტრაციო მასალის თანდართვით. თუ არ ვცდებით, ეს უნდა იყოს ქართული არქეოლოგიური მასალის პირველი პუბლიკაცია.

ესე თანდათანობით მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა ქართველოლოგიის ბაზა პეტერბურგში გასული საუკუნის 40-იან წლებში

ცხლა საკითხი იდგა ამ მასალების გამოქვეყნების, მეცნიერულ მიმოქცევაში მათი შემოტანის შესახებ. ამ მხრივ საქმეს

სერიოზული დაბრკოლება ელოებოდა წინ. ეს იყო სათანადო შრიფტის უქონლობა.) რუსეთის აკადემიის განკარგულებაში ამ დროს იყო მხოლოდ ხუცური შრიფტი, ჩამოსხმული მე-18 საუკუნეში თეიმურაზ მეორის რუსეთში ყოფნის დროს. ეს შრიფტი, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებდა ქართველოლოგიის მოთხოვნილებებს. ბევრს ზრუნავდა ქართული შრიფტის ჩამოსახმაზე თეიმურაზ ბატონიშვილი, მაგრამ უშედეგოდ (1837 წ. ბროსემ აკადემიის წინაშე დააყენა საკითხი ქართული მხედრული შრიფტის ჩამოსხმის აუცილებლობის შესახებ) უნდა ჩამოსხმულიყო ორგვარი მხედრული შრიფტი: მსხვილი—ტექსტებისათვის და წვრილი—შენიშვნებისათვის. ამ შრიფტების დასამზადებლად ბროსემ გამოიყენა მის მიერ ჯერ კიდევ პარიზში თეიმურაზის სხოვნითა და ნახაზების მიხედვით დამზადებული მატრიცები. (1838 წლისათვის შრიფტი უკვე მზად იყო) წვრილი შრიფტი პირველად გამოყენებული იქნა ა. შეგარენის ერთ-ერთი წერილის დაბეჭდვისას [БСЭ, III, 1838, გვ. 252]. იმავე წელს აკადემიამ ბროსეს ინიციატივითა და მეთვალყურეობით სომხური შრიფტიც დაამზადა.

ქართული ისტორიული მასალების პუბლიკაცია ბროსემ ეპიგრაფიკული ძეგლებით დაიწყო. 1837 წელს მან გამოსცა დიუბუა დე მონპეროს მიერ შეკრებილი მასალების ნაწილი [50]. 1840 წელს კი მთლიანად გამოაქვეყნა მის ხელთ არსებული ეპიგრაფიკული ძეგლები [67].

საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლებიდან ევროპაში და რუსეთში იმ დროს ძალიან ცოტა იყო ცნობილი. დონაითეოს პატრიარქის „იერუსალიმის ისტორიაში“ იხსენიებოდა მოქვის ეკლესიის ბერძნული წარწერები, გიულდენშტეტს მოჰყავდა რამდენიმე ქართული წარწერა (გირშელის ტაძრისა სტეფანწმინდაში, გრემის, ახტალის, მცხეთის და ქუთაისის), თითო-ოროლა ქართულ წარწერას მკითხველი იპოვნიდა ინჰიჭიანისა და კლაპროტის ნაშრომებში. გამბას მოეპოვებოდა ცნობა გელათისა და მცხეთის წარწერებზე, ხოლო გელათის არაბული წარწერა გამოქვეყნებული ჰქონდა ხ. ფრენს. ახლა თუ ამას მივეუმატებთ თვით ბროსეს მიერ პარიზში გამოქვეყნებულ ორ წარწერას (ნუხალის და ქულუხევისას) ცნობები იმაჟამად ცნობილ ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე ამოიწურება.

ახლა ბროსემ გამოაქვეყნა 50-მდე წარწერა. ამ წარწერების დიდი უმრავლესობა დიუბუას მიერ იყო შეკრებილი, ბროსემ იგი შეავსო ნიკ. ქუთათელაძისგან, მ. ბარათაშვილისაგან და სხვა პირთაგან მიღებული მასალებით. აქ წარმოდგენილია გელათისა და ბაგრატის წარწერები) კაცხის, ნიკორწმინდის, ჭრუჭის, თამარციხის, აწყურის, ხერთვისის, ახალციხის, მარტვილის, ხოჯის, შემოქმედის, გორის, უფლისციხის, ატენის, მცხეთის და ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული მასალები. ბროსეს გაშიფრული, წაკითხული და თარგმნილი აქვს ეს წარწერები. (შეიხედავად მრავალი შეცდომისა და ხარვეზებისა, ბროსეს ეს ნაშრომი მდიდარ მასალას იძლეოდა ქართული ისტორიული ქრონიკების შესამოწმებლად. წარწერები იძლეოდნენ საშუალებას რიგი მოვლენების ზუსტად დათარიღებისათვის, შეიცავდნენ ცნობებს ზოგიერთ უცნობ პირთა შესახებ, მათ გენეალოგიაზე და სხვა.)

ბროსე ყურადღებას აქცევს აგრეთვე წარწერების პალეოგრაფიულ თავისებურებებს. იგი ამ შემთხვევაში ემყარება დიუბუას ჩანახატებს. ყველაზე კარგი მოხაზულობისად თვლის ბაგრატის ტაძრის წარწერებს, შემდეგ ნიკორწმინდისას და კაცხისას) რაიმე დამახასიათებელ ნიშნებს იგი არ გამოჰყავს და არც ამის მიხედვით წარწერათა სიძველეზე არ მსჯელობს. (მხოლოდ ყურადღებას აქცევს ასოთა მოხაზულობის თავისებურებებს.) მაგალითად, ლომისის წარწერის ასოები კუთხოვანიანო, თამარციხისას ჩიტისმაგვარი მოხაზულობა აქვთ, ხოფის, ჭრუჭის და ხერთვისის წარწერები შერეული ხელითაა შესრულებული და ა. შ.

საინტერესოა, აღინიშნოს, რომ დიუბუასეული წარწერების ამოკითხვისა და თარგმნის საქმეში მონაწილეობა მიუღია სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს. საქართველოში ყოფნისას დიუბუას მიუმართავს მისთვის და უთხოვია ამ მხრივ დახმარება. დავით დადიანს სიხარულით უკისრია ეს საქმე, ამოუკითხავს წარწერების დიდი ნაწილი და უთარგმნია ისინი ფრანგულად. ბროსე საგანგებოდ გამოჰყოფს დავით დადიანის მიერ წაკითხულ წარწერებს. წარწერების გაშიფრვაში ბროსეს დახმარება გაუწია თეიმურაზ ბატონიშვილმაც.

ბროსემ ყურადღება მიაქცია აგრეთვე რუსეთში დაცულ

ქართულ სიძველეებს--ეკლესიებს, საფლავის ქვებს, სხვადასხვა წარწერიან ნივთებს. მან გამოაქვეყნა მოსკოვისა და პეტერბურგის ქართულ საფლავთა წარწერები [74]. ამ წარწერებმა მას მრავალი გენეალოგიური და ქრონოლოგიური ცნობა შესძინეს. განსაკუთრებით, იმ ქართველ მოღვაწეთა შესახებ, რომლებიც მე-18—19 საუკუნეებში რუსეთში ცხოვრობდნენ და იქ მოღვაწეობდნენ.

ბროსეს ამ პუბლიკაციებით ქართული წარწერები ჩაყენებულ იქნა „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკულ შესწავლის სამსახურში.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბროსე ქართული დოკუმენტური მასალების გამოქვეყნებასაც. მან ჯერ 1833 წელს დაბეჭდა როსტომ მეფის 1652 წლის გუჯარი სათანადო კომენტარებით, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ გამოაქვეყნა ჯაფარიძეთა საბუთი 1432 წლისა [57]. ორივე ეს საბუთი მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს შესაბამისი ეპოქის საქართველოს ისტორიის შესახებ. 1840 წელს ეპიგრაფიკულ ძეგლთა პუბლიკაციის დამატების სახით ბროსემ დაბეჭდა ერეკლე 11-ის წერილები საფრანგეთის მეფესთან ლუი XVI-თან [67, გვ. 423—426].

დოკუმენტური მასალების ძიებამ ბროსე მიიყვანა რუსეთის არქივთსაცავებში, სადაც მას ეგულებოდა დიდძალი მასალები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან. ამ მხრივ ყველაზე საყურადღებო უნდა ყოფილიყო საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი მოსკოვში, რომელმაც მართლაც სავსებით გაამართლა ბროსეს იმედები.

მოსკოვში სამუშაოდ ბროსემ ორჯერ აიღო მივლინება აკადემიიდან (1837 წ. და 1844 წ.). მან საკმაოდ ხანგრძლივად იმუშავა საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში, დაათვალიერა და შეისწავლა მოსკოვში დაცული ქართული სიძველეები (ტაძრები—პიატნიცკის ეკლესია, ეკლესიები დონის მონასტერში, ვსესვიატსკოეში, სამლოცველო ნიკოლსკის კარებთან, კიტაი გოროდში და სხვ; ხატები და ნივთები...).

ამ მასალების პუბლიკაციასთან ერთად ბროსე შეეხო რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხებს, მოგვცა ამ ურთიერთობის საკმაოდ ვრცელი ჰიმოხილევები.

რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის მნიშვნელობაზე ბროსე ჯერ კიდევ თავის საპროგრამო მოხსენებაში ლაპარაკობდა 1837 წ. და აღნიშნავდა არასახარბიელო მდგომარეობას მისი შესწავლის მხრივ. მართლაც და ბროსემდე რუსეთში ორიოდე ავტორს თუ მოეპოვებოდა ცნობები ამ ურთიერთობის შესახებ, ჯერ იყო და ნ. ნოვიკოვმა თავის „Древняя Российская Библюофика“-ს მეხუთე ტომში გამოაქვეყნა 1650 წ. იმერეთში ნამყოფი რუსი ელჩების სტალინიკ ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი ივლევის მოგზაურობის მუხლობრივი აღწერილობა („Статейный список“), შემდეგ მანვე გამოსცა ჩანაწერი არჩილ მეფის რუსეთის მფარველობაში მიღების შესახებ. ნ. კარამზინმა თავის „ისტორიაში“ შეიტანა იმერეთის მეფის ფიცის წიგნი 1651 წლისა, ხოლო პ. ბუტკოვმა გამოაქვეყნა რუსული მატიანეების ცნობა იზიასლავ მსტისლავის ძის ქართველ ბატონიშვილზე დაქორწინებაზე. მანვე დაბეჭდა წერალი არჩილ მეფის ანდერძის შესახებ. და ბოლოს 1841—1842 წლებში „АКТЫ исторические“-ში დაიბეჭდა პატრიარქ იოვის წერალი ალექსანდრე კახთა მეფისადმი 1589 წლისა და რამდენიმე საბუთი თეიმურაზ I-სა და არჩილ II-ის რუსეთში ყოფნის შესახებ.

სულ ეს იყო ცნობილი იმ დროს რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ამსახველი მასალებად. საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან ბროსემ რამდენიმე ასეული საბუთი გადმოიწერა. მათი ერთი ნაწილი მან გამოაქვეყნა ჯერ კიდევ მოსკოვში პირველი მივლინების ანგარიშში [62]. აქ დაბეჭდილია ქართლას მეფის გიორგი სიმონის ძის წერილი ბორის გოდუნოვისადმი (რუსული თარგმანი ბერძნული დედნიდან), ალექსანდრე იმერთა მეფის და თეიმურაზ პირველის წერილების მოკლე ანოტაციები.

შემდეგი პერიოდის მასალები ბროსემ 1842 წელს გამოაქვეყნა [86]. ამ პუბლიკაციაში შევიდა თეიმურაზ პირველის, ნიკიფორე მიტროპოლიტის, ერეკლე პირველისა და ელენე დედოფლის მიწერ-მოწერა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ამავე ნაშრომის დამატებაში დაბეჭდილია მოკლე შინაარსი თუშ-ფშავ-ხევსურთა 1658 წლის წერილისა მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი. ნაშრომს ერთვის 1492—1740

წლებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის უმთავრეს მოვლენათა ქრონოლოგია.

საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან ამოკრეფილი მასალების დიდი ნაწილი შევიდა ბროსეს ნარკვევში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. [97]. ამ ნარკვევის მიზანი იყო ქართული მატიანების შევსება და შემოწმება რუსული საარქივო დოკუმენტების მიხედვით. ნაშრომში თანმიმდევრულადაა გადმოცემული რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა 1492 წლიდან 1861 წლამდე, აღწერილია თითქმის ყველა ელჩობა, რომელიც კი ვაცხავანა ამ პერიოდში რუსეთიდან საქართველოში ან საქართველოდან რუსეთში (სულ 31 ელჩობის მასალებია წარმოდგენილი), საუბარია ელჩობათა შემადგენლობაზე, მიზანზე, მარშრუტზე, შედეგებზე, მოტანილია ვრცელი ამონაწერები ელჩობათა დოკუმენტებიდან.)

საარქივო მასალები დაედო საფუძვლად, აგრეთვე, ბროსეს ნარკვევს ვახტანგ VI-ის რუსეთთან ურთიერთობისა და რუსეთში გამგზავრების შესახებ [104].

ამრიგად, რუსეთის საარქივო მასალებმა შესაძლებლობა მისცეს ბროსეს გადმოეცა რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორია XV საუკუნიდან XVIII საუკუნის დამდეგამდე. ამასთანავე ბროსე რა თქმა უნდა არ იტყვებოდა საარქივო მასალების მონაცემებით, იგი ამ ურთიერთობას ამიერ-კავკასიის პოლიტიკური ისტორიის საკმაოდ ფართო ფონზე განიხილავდა. შესანიშნავად აქვს მას, მაგალითად, აღწერილი ის ვითარება, რომელიც შეიქმნა ამიერ-კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში მე-16—17 საუკუნეთა მიჯნაზე. ქართლ-კახეთის მძიმე მარცხი შაჰ-აბასთან ბრძოლაში (ქვეყნის აოხრება, ქართველთა აყრა-გადასახლება ირანში, გიორგი მეფის მოწამვლა, თეიმურაზის შვილების დასახიჩრება, ქეთევანის წამება, ლუარსაბის დაღუპვა.), რუსეთის წარუმატებლობა იმიერ-კავკასიაში (ბუტურლინისა და ხვოროსტინის დამარცხება...), თეიმურაზის მიერ დახმარების ქიება დასავლეთში და სხვა მოვლენები სათანადო სისრულით არის წარმოდგენილი ბროსეს ამ ნარკვევში. საქართველოს რუსეთთან დაკავშირებისა და დაახლოების პროცესს ბროსე ის-

ტორიულად აუცილებელ, გამართლებულ და მიზანშეწონილ მოვლენად თვლის.

შეიძლება ითქვას, რომ ბროსეს ამ ნარკვევებმა ჩაუყარეს საფუძველი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის სისტემატურ შესწავლას რუსეთში.

ყურადღებას იქცევს საარქივო მასალების არქეოგრაფიული დახასიათება ბროსეს მიერ. ერთ-ერთ მოხსენებაში [96] იგი შენიშნავს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი საარქივო მასალები შეიძლება სამ ჯგუფად გაიყოს: 1. დავალების დოკუმენტები ანუ „дѣла“ -ები, რომელთა შინაარსი შუქს პფენს ელჩობის მიზანს, ძირითად ამოცანას და კერძო დავალებებს. 2. სხვადასხვა პირებისადმი მიწერილი წერილების ასლები ანუ „отписки“-ები, რომლებიც ცირითადად სარეკომენდაციო ხასიათისანი არიან და 3. ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა — „Статейный список“, რომელიც ელჩობის დღიურს წარმოადგენს, შეიცავს ელჩების დაკვირვებებს მათ მიერ ნახული ქვეყნებისა და ხალხების მდგომარეობაზე და შინაარსის მხრივ დიდი სიმდიდრით გამოირჩევა. საარქივო დოკუმენტებს — შენიშნაქ ბროსე — ახასიათებს მოვლენების დეტალური აღწერა, ზუსტი ქრონოლოგია და შეუძლიათ კარგად შეავსონ მატიაწეთა ცნობები.

პეტერბურგში ბროსე განაგრძობდა ჯერ კიდევ პარიზში დაწყებულ სხვა სამუშაოსაც—საქართველოს შესახებ უცხოელ ავტორთა ცნობების გამოქვეყნებას. ამ მხრივ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი პუბლიკაცია იყო დოსითეოს იერუსალიმელი პატრიარქის ცნობების გამოქვეყნება [70] სათანადო კომენტარებით და შენიშვნებით. ეს ცნობები ძირითადად მე-17 საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ და საეკლესიო მდგომარეობას ასახავდნენ. ამასთან ერთად აქ მოყვანილია ცნობები იბერიისა და ლაზიკის საეკლესიო ისტორიიდან (ქრისტიანობის მიღება, ავტოკეფალიის მოპოვება, ქართველთა დამკვიდრება იერუსალიმში და სხვ.).

ბროსეს ისტორიოგრაფიული მუშაობის ყველაზე თვალსაჩინო შედეგად ამ პერიოდში უნდა მივიჩნიოთ ვახუშტის გეოგრაფიული ნაშრომის გამოქვეყნება 1842 წელს. [67]. იგი ემ-

ყარებოდა აზიური მუზეუმის ხელნაწერს, რომელიც იმა დედოფალმა შესწირა აკადემიას). ხელნაწერი ავტოგრაფულია.

(გეოგრაფიის ტექსტი ამ გამოცემაში დაბეჭდილია ქართულად და ფრანგულად) en regard, აღჭურვილია გამომცემლის სტრიქონქვეშა შენიშვნებით. გამოცემის თავში მოთავსებულია ვახუშტის ნაშრომის შესავალი: „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“. ბოლოში დამატებებია: 1. ქართლ-კახეთის სოფლების სია, 2. ეკლესიების სია, 3. ქართველი თავადაზნაურობის საგვარეულოთა სია. ნაშრომს ერთვის 6 რუკა.

(შესავალში ბროსე იძლევა ბიოგრაფიულ ცნობებს ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსის შესახებ. ეს იყო პირველი ცდა ვახუშტის ბიოგრაფიის შედგენისა.) შემდეგში ვახუშტის ცხოვრებას ბროსემ სპეციალური წერილი უძღვნა [170] და მნიშვნელოვნად შეაგრო და გაასწორა აქ წარმოდგენილი ცნობები.

ასეთი იყო ბროსეს ისტორიოგრაფიული მუშაობის ძირითადი მომენტები აღნიშნულ პერიოდში. ეს მუშაობა, როგორც ვთქვით, მიზნად ისახავდა „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული გამოცემისათვის ნიადაგის მომზადებას. მისი უკანასკნელი² აკორდი იყო ბროსეს არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოში, რომლის შესახებ სპეციალურად მომდევნო ქვეთავში ვისაუბრებთ.

ახლა კი გადავხედოთ ბროსეს მუშაობას ქართული ლიტერატურის, ენის, ნუმისმატიკისა და სხვა დარგში, თვალი გადავავლოთ მის მიერ ამ მხრივ გამოქვეყნებულ ნაშრომებს,

ბროსეს ამ ხანებში მოუხდა მუშაობა ძველი ქართული ლიტერატურის სამ მნიშვნელოვან ძეგლზე: ამირან-დარეჯანიანზე, რუსუდანიანზე და ვეფხისტყაოსანზე. ამათგან მან პირველი ორი ძეგლის მოკლე შინაარსი გამოაქვეყნა, ხოლო ვეფხისტყაოსანი დავით ჩუბინაშვილთან და ზაქარია ფალავანდიშვილთან ერთად დაბეჭდა მთლიანად [84].

ამ ძეგლებზე მუშაობისას ბროსემ წამოჭრა ქართული

¹ ამჟამად ეს ხელნაწერი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. მისი აღწერა იხ. [317, გვ. XXI—XXXVIII].

² რა თქმა უნდა, მასალების შეკრება და გამოქვეყნება ბროსეს არ შეუწყვეტია მისი ცხოვრების მთელს მანძილზე. ჩვენ მხოლოდ პირობით ვთვლით მას ძირითად სამუშაოდ „ქართლის ცხოვრების“ გამოცემის დაწყებამდე.

რაინდული რომანის საკითხი, მისი თავისებურებებისა და ისტორიული ბედის საკითხი. ამ რომანის წარმოშობას ბროსე უკავშირებს თამარ მეფის ეპოქას, როცა ქართული სინამდვილე სავსე იყო რაინდული შემართებებით, მაღალი რაინდული სულისკვეთებით. ძლევამოსილი ომები, ბრწყინვალე გამარჯვებები კვებავდნენ ქართველთა რაინდულ სულს და მათ პოეტურ ფანტაზიას. რაინდობის ხანა იყო იმ დროს დასავლეთ ევროპაშიც, მაგრამ, უენიშნავს ბროსე, თუ დასავლეთში რაინდობა მალე მივიდა დონ-კიხოტობამდე, საქართველოში მას ბოლომდე შერჩა სიწმინდე და მიმზიდველობა [52, გვ. 8]. ქართულ რაინდულ რომანს ახასიათებს იდეალური გმირები, ზეადამიანური, საოცარი მოვლენები. ხობტა გმირისა და სხვ. აღმოსავლური კულტურის წიაღში ქართული რაინდული რომანი ერთერთი შესანიშნავი მოვლენაა. დასავლეთმა ბევრი რამ იაესხა აღმოსავლეთისაგან, ისეცხა რაინდული რომანის დარგშიც. ქეშმარიტადაა ნათქვამი: Ex Oriente lux!

ბროსე თვლის, რომ ქართულ რაინდულ რომანს შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ისტორიულ კვლევა-ძიებას. მათში მოცემულია XII საუკუნის ზნე-ჩვეულებათა სურათი, ბრძოლების, ნადიმის, სტუმარ-მასპინძლობის, რაინდული შეჯიბრებებისა და სხვა მოვლენების აღწერა. ვეფხისტყაოსანში ქართული სინამდვილეა ასახული (თამარ მეფის გამეფება, შვიდი სამეფო, ხორეზმთან ურთიერთობა, მსხვილი ქალაქების არსებობა და სხვ.), ქართველი გმირებია გამოყვანილი. ამრიგად, ამ ძეგლებს ბროსე საქართველოს ისტორიის თვალსაჩინო წყაროთა რიგში აყენებდა.

ბროსეს ანცვიფრებდა ამ ძეგლთა ენის სიმდიდრე და მრავალფეროვნება. ამირან-დარეჯანიანში იგი ხედავდა კლასიკური. სამწერლობო და ხალხური ენების შერწყმა-შეერთებას, ვეფხისტყაოსანი კი კლასიკური ქართული ენის ბრწყინვალე ნიმუშად მიაჩნდა, მდიდარი მხატვრული ფერებით ხასიათდება რუსუდანიანც, რომელსაც ბროსე XV საუკუნის ძეგლად მიიჩნევდა [58, გვ. 53].

რაინდული რომანი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში. ამით აიხსნება, რომ ამ რომანებს ბევრი გამგრძელებელი ჰყავდა. ამირან-დარეჯანიანს ორი კარი დაუმატეს,

ვეფხისტყაოსანს კი 1500-მდე სტროფი. ეს უკანასკნელი რამდენიმე ავტორს მიუმატებია მისთვის: დავით ალექსიძეს, დავით ჩოლოყაშვილს, ნინუჩა ციციშვილს და სხვებს. ბროსემ დააყენა საკითხი ვეფხისტყაოსნის ჩამატებებისა და გავრძელებების საგანგებო გამოყოფის და კრიტიკული განხილვის აუცილებლობის შესახებ.

ქართული ენის შესწავლის ხაზით გასული საუკუნის 40-იან წლებში რამდენიმე საყურადღებო მოვლენას ჰქონდა ადგილი. ამ ხანებში გამოქვეყნდა ცნობილი ენათმეცნიერის გ. როზენის გამოკვლევები ჭანური, მეგრული, სვანური, აფხაზური და ოსური ენების შესახებ. მათ გამოეხმაურა ცნობილი ინდიანისტი ფ. ბოპი, რომელმაც თავის რეცენზიაში გაიმეორა ძველი დებულება ქართულის ინდოევროპულობის შესახებ და სცადა მისი დასაბუთება.

ბროსე გამოეხმაურა ფ. ბოპის ამ მოხსენებას [95]. მას სასიამოვნოდ დაუოჩა ის ამბავი, რომ ბოპი იზიარებდა ქართულის ინდოევროპულობის აზრს, რომ იგი, ისევე როგორც ბროსე, ქართულის ნათესაობას ინდოევროპულ ენებთან ხედავდა არა მარტო სიტყვათა ძირების მსგავსებაში, არამედ გრამატიკულ მოვლენებშიც (ფლექსიებში და ფორმანტებში, ზედსართავი სახელების ხარისხის წარმოებაში, ზმნის უღვლილების ფორმებში და სხვ.). ამასთანავე ბოპსა და ბროსეს შორის კამათი გაიმართა იმ საბუთების გარშემო, რომელთაც აყენებდა ეს ორი მეცნიერი ქართულის ინდოევროპულობის დასამტკიცებლად. ამ კამათში არც ერთი მხარე არ იყო სწორი, არც ერთის არგუმენტები დამაჯერებელი არ იყო, ვინაიდან ორივე მეცნიერი ამოდიოდა მცდარი წინამძღვრიდან — ქართულის ინდოევროპულობის აზრიდან¹.

რაც შეეხება ქართულ ლექსიკოლოგიას, ამ მხრივ პეტერბურგში ბროსეს მუშაობა აღარ გაუგრძელებია, საფიქრებელია იმიტომ, რომ აქ მას დახვდა ქართველ მოღვაწეთა მიერ შედგენილი ლექსიკონები (ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი

¹ ფ. ბოპის და მ. ბროსეს კამათი განხილულია აკად. ა. ჩიქობავას ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ მოხსენებაში (წაკითხული იყო 1962 წ. 10 აპრილს). რომლის ხელნაწერის გაცნობისათვის პატივცემულ მეცნიერს დიდ მადლობას მოვახსენებთ.

და სხვანი). ბროსეს მონაწილეობა ქართული ლექსიკონების შექმნის საქმეში ამოიწურა დ. ჩუბინაშვილის ნაშრომების რეცენზირებით და ლექსიკონების გამოცემაში მონაწილეობით [55; 76; 110].

დ. ჩუბინაშვილის ლექსიკოლოგიურ ნაშრომებს ბროსე მაღალ შეფასებას აძლევს. მათი ავტორის მუშაობას ბროსე თვლის იმ დიდი სამწიგნობრო ტრადიციის გაგრძელებად, რომელიც მოსდევდა ჩუბინაშვილთა გვარს ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან. ბროსეს რეკომენდაციით დ. ჩუბინაშვილის ორ ლექსიკონს ქართულ-რუსულ-ფრანგულსა და რუსულ-ქართულს აკადემიამ დემიდოვის პრემიები მიანიჭა.

უკვე ამ დროს ქართული ნუმისმატიკის დარგში გამოჩნდა ორი თვალს.ჩინო მკვლევარი მ. ბარათაშვილი და ი. ბარტოლომეი. მ. ბარათაშვილის ნაშრომი: „Нумизматические факты грузинского царства“ (1844), რომელმაც ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული ნუმისმატიკა, წარდგენილი იქნა დემიდოვის პრემიაზე და მოწონებული საამისოდ გამოყოფილი კომისიის მიერ (უსტლიაროვი, დორნი, ბროსე) [99]. კომისიის წევრებმა დორნმა და ბროსემ თავიანთ დასკვნას დაურთეს მიმოხილვითი წერილები. დორნი სასაზღვრო წარმოშობის მონეტებზე ამახვილებდა ყურადღებას [BA. გვ. 192]. ბროსე კი ახალ მასალებზე დაყრდნობით ქართული ნუმისმატიკის საერთო მიმოხილვას იძლეოდა [100]. ამ წერილში ხაზგასმულია ნუმისმატიკური კვლევა-ძიებების განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნის წარსულის შესწავლისათვის და მოცემულია ქართული მონეტების ტიპოლოგიური დახასიათება. ბროსეს ამ მიმოხილვას 1847 წელს გამოეხმაურა ი. ბარტოლომეი, რომელმაც გააკრიტიკა ბროსეს ცალკეული დებულებები (მაგ. ვახტანგ გორგასლის მონეტების შესახებ). ამან გამოიწვია კამათი ბროსესა და ბარტოლომეის შორის ქართული ნუმისმატიკის საკითხებზე [113; და BA, 209—210]. კამათს შედეგად ის მოჰყვა, რომ ი. ბარტოლომეიმ ხელი მოჰკიდა ქართული ნუმისმატიკის კვლევას და რამდენიმე ხნის შემდეგ შესანიშნავი ნაშრომები შექმნა ამ დარგში.

ბროსეს ყურადღების გარეშე აღებულ ხანაში არც ქართული ბეჭდები და მათი წარწერები დარჩენილა, მოსკოვში და

პეტერბურგში მან დიდძალი ახალი ბეჭდები ნახა, აღწერა და გამოაქვეყნა (თეიმურაზ I, ბაგრატ იმერთა მეფის, არჩილის, ვახტანგ VI, ბაქარის, ერეკლე I-ის, იმაჟყული ხანის და სხვათა, სულ 26 ბეჭდის წარწერაა გამოქვეყნებული) [62; 74; 77]. დაბოლოს მივეუთითოთ, რომ ამავე ნაშრომებში ბროსემ აღწერა მოსკოვში დაცული ნივთები ქართული წარწერებით (ვერცხლის ვაზა ალექსანდრე ბატონიშვილის წარწერით, ასეთივე ვაზა იმერეთის უფლისწულის გიორგი ალექსანდრეს ძის წარწერით, ყუთი, რომელშიც დაცული იყო ზოგიერთი საეკლესიო რელიკვია და რომელსაც ჰქონდა დავით ნარინისეული წარწერა და ა. შ.).

(ამრიგად, ბროსეს მეცნიერული მუშაობა პეტერბურგში, ისევე მრავალმხრივი იყო, როგორც პარიზში. ახალმა მასალებმა, მუშაობისათვის უკეთესმა პირობებმა და ქართველებთან დაახლოებამ ნაყოფიერი გახადა მისი მოღვაწეობა) იგი ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობისათვის არაერთხელ იქნა დაჯილდოებული. ვახუშტის გეოგრაფიის გამოცემისათვის რუსეთის იმპერატორმა იგი ბრილიანტის ბეჭდით დააჯილდოვა, საფრანგეთის მეფემ კი, პარიზის აზიური საზოგადოების შუამდგომლობით—ოქროს მედლით. ბროსე დააჯილდოვეს აგრეთვე წმ. ანას მესამე ხარისხის ორდენით, აირჩიეს ლაზარევის ინსტიტუტის საბჭოს წევრად, იყო კოპენჰაგენის სიძველეთა სამეფო საზოგადოების წევრი და ა. შ.

ერთხანს იგი მიიწვიეს პეტერბურგის ბიბლიოთეკაშიც, სადაც ერთი წელი იმუშავა. 1842—1844 წლებში დანიშნული იყო პეტერბურგის კერძო სკოლებისა და პანსიონების ინსპექტორად, ხშირად უხდებოდა რუსეთის აკადემიის ისტორიო-ფილოლოგიის განყოფილების მუდმივი მდივნის მოვალეობის შესრულებას.

(დაძაბულმა მუშაობამ მალე შეარყია მისი ჯანმრთელობა, განსაკუთრებით უჩიოდა თვალების ტკივილს. 1845 წ. დასვენების მიზნით მან ითხოვა ნებართვა, ემოგზაურა სამხრეთ ევროპის ქვეყნებში) იმავე წლის ივნისში იგი მართლაც გაემგზავრა იტალიისაკენ. პოლონეთზე გავლით იგი ჯერ ვენაში ჩავიდა და აქ რამდენიმე დღით დარჩა. ვენაში იგი გაეცნო მხითარისტების კოლონიას, მათ მუშაობას. (შემდეგ ბროსე ვენე-

ციაში ჩაკიდა და აქაც ვენეტიკის სომეხ მხითარისტთა კონგრეგაციის წევრებს დაუახლოვდა) (ბარნაბ ისაიას, ლეონ ალიშანს, სუკიას სომალიანს და სხვებს), (ვენეციაში ბროსემ მრავალი ახალი სომხური ხელნაწერი გაიცივნო და შემდეგ გამოიყენა თავის არმენოლოგიურ შრომებში) ხოლო მიწერ-მოწერა ზემოხსენებულ პირებთან მას შემდეგ აღარ შეუწყვეტია.

ვენეციიდან ბროსემ გადაჰყვება ჩრდილოეთ იტალია (გაიარა პადუა, რივაგო, ფერარა, ბოლონია, ფლორენცია, პიზა, ლივორნო და გენუა) და ტულონში ჩავიდა, სადაც მოინახულა თავისი მეგობარი ფ. შარმუა. აქ იგი მცირე ხნით დარჩა, ხოლო შემდეგ ავინიონისა და ლიონის გავლით პარიზს გაემგზავრა. (1845 წ. 24 ივლისს ბროსე უკვე პარიზში იყო. მან თვენახევარი დაჰყო თავის მშობლიურ ქალაქში და იმავე წლის 15 სექტემბერს ჰავრიდან ზღვით გამოემგზავრა უკან) პეტერბურგისაკენ. გზად იგი ესტუმრა კოპენჰაგენს, 25 სექტემბერს კი უკვე პეტერბურგში იყო.

(პეტერბურგში დაბრუნებისთანავე ბროსემ დაიწყო ზრუნვა დიდი ხნის მიზნის—საქართველოში სამეცნიერო მოგზაურობის—განხორციელებაზე და მალე სისრულეში მოიყვანა კიდევ ეს საზრუნავი)

3. ურთიერთობა ძარბაზაშვიტთან, მოგზაურობა საძარბაზაშვიტში

ზემოთ ჩვენ არაერთხელ შევნიშნეთ, რომ ბროსეს მეცნიერული მუშაობის წარმატებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის ურთიერთობას ქართველ მოღვაწეებთან, ქართველ საზოგადოებასთან, ამ უკანასკნელთა მიერ გაწეულ დახმარებას. ახლა გვინდა, ცოტა უფრო დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველს ამ ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი.

პეტერბურგში ბროსემ პირადად გაიცნო თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელმაც ფართოდ გაუხსნა მას თავისი მდიდარი წიგნთსაცავის კარები და ისეთივე ხალისით ეხმარებოდა ქართველოლოგიის საკითხების გარკვევაში, როგორც აღრეთეიმურაზი სინჯავდა ბროსეს ნაშრომებს, აძლევდა რჩევებს, შენიშვნებს და უსწორებდა დაშვებულ შეცდომებს. თეიმურა-

ზის გარდაცვალება 1846 წელს მეტად მძიმე დანაკლისი იყო ბროსესათვის. თეიმურაზის ცხედართან მან ქართულ ენაზე წარმოთქვა სიტყვა: სადაც აღნიშნა თეიმურაზის დიდი განსწავლულობა და აღიარა იგი თავის ნამდვილ მოძღვრად. თეიმურაზი იყო—გკითხულობთ ამ სიტყვის ჩანაწერში—„დილითგან საღამომდინ მკითხველი საქართველოს მათიანეთა და ასე ისწავლა ძველი მისი ისტორია და სიტყვიერება, რომ ახლანდელს დროს ამისთანა მეცნიერებაში არ იპოება სწორი მისი... განა თუ როგორმე მოვასწარი და წინ წარვემართე საქართველოს სწავლაში—განაგრძობს ბროსე—თუ როგორმე მოეწონათ ქართველთა ბეჯითობისა ჩემისა მცირესა ნაყოფი, ვაღვიარებ მაღლის კმით ვემოწმები, ამისი მოვალე ვარ ბატონიშვილის თეიმურაზის სწავლისა“¹.

1838 წლიდან ბროსე მიწერ-მოწერით დაუკავშირდა პლატონ იოსელიანს, უაღრესად ფართო განათლებისა და ერუდიციის მქონე ქართველ ისტორიკოსს. ამ უკანასკნელმა მას გაუგზავნა თავისი ბიბლიოთეკის კატალოგი, რომელიც ძველი ქართული ლიტერატურის 140 ძეგლის დასახელებას შეიცავდა, ამასთანავე სისტემატურად აწვდიდა ისტორიულ-ლიტერატურულ მასალებს. ასე მაგალითად, პლატონ იოსელიანისაგან ბროსემ მიიღო ანტონ 1-ის „წყობილსიტყვაობა“, „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტის თხზულება, „ცხოვრება პეტრე მაიმუელის ეპისკოპოსისა“ და სხვა ძეგლთა ხელნაწერები. მიიღო აგრეთვე თვით პლატონ იოსელიანის ნაშრომები: „ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ძველისა საქართველოსა“, „მოხელეობისათვის ქართველთ და იმერეთის სამეფოთა“, მის მიერვე გამოქვეყნებული „თამარიანი“ და „აბდულ-მესია“, კალენდრები, ქართული გრამატიკა და სხვა გამოცემები. ერთერთ წერილში პლ. იოსელიანი ატყობინებს ბროსეს საქართველოს შესახებ რუსულ ენაზე არსებული წერილებისა და წიგნების სიას, რათა მას რუსულიც კარგად შეესწავლა და საქართველოზე „შემეცნება მიეღო“².

თავის მხრივ ბროსეც უგზავნიდა პლ. იოსელიანს აკადემიის გამოცემებს, აძლევდა რჩევებს, ხელს უწყობდა მუშაო-

¹ ИНА, ხელნაწერთა განყოფილება, P — 19, № 115. შდრ. [103].

² ИНА, ხელნაწერთა განყოფილება, ბროსეს ფონდი, P — 19.

ბაში. ბროსეს თხოვნითა და შუამდგომლობით პლ. იოსელიანმა მიიღო ნებართვა სინოდალური კანტორის არქივში მუშაობისა და დიდძალი სიგელ-გუჯრები გადმოიწერა იქიდან.

პლ. იოსელიანის მეშვეობით ბროსე უკავშირდება სხვა ქართველებსაც: ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ნიკოლოზ ფალავანდიშვილს, იოსებ წილოსანს (ჯერ კიდევ პარიზში გაცნობილს), მიხეილ ბარათაშვილს და სხვა. ბროსეს მიწერ-მოწერა პლ. იოსელიანთან [282] ძირითადად საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებს, მასალების შეკრებასა და შესწავლას შეეხებოდა.

მკვიდრო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ბროსეს დავით იესეს ძე ჩუბინაშვილთან. მათი თანამშრომლობა კარკად გამოქვდავდა ვეფხისტყაოსნისა და ქართლის ცხოვრების გამოცემისას. როგორც ვიცით, ამ ტვირთის გარკვეული ნაწილი დ. ჩუბინაშვილმა იკისრა და ღირსეულადაც შეასრულა იგი. ბროსესა და დ. ჩუბინაშვილის მეგობრობა სამამაგალითო იყო. „В течение почти подстоletия — წერდა ალ. ცაგარელი — Д. И. Чубинов и М. И. Броссе трудились на поприще грузинологии рука оу руку, с редким единодушием, поддерживая и помогая друг другу словом и делом, оттого и совершили в этой области так много“

ბროსეს მეგობარი იყო აგრეთვე ზაქარია მიხეილის ძე ფალავანდიშვილი, სრულიად ახალგაზრდა ჭაბუკი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ვეფხისტყაოსნის დასაბეჭდად მომზადებაში. შემდეგ იგი გამოემგზავრა თბილისს და აქ პლ. იოსელიანთან ერთად მუშაობდა „Закавказский Вестник“-ის რედაქციაში. 1845 წელს ზაქარია მოულოდნელად გარდაიცვალა (282, გვ. 190). ამით დამწუხრებულმა ბროსემ წერილი მისწერა ზაქარიას ბიძას ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილს. გამოთქვა თავისი გულსტიკვილი და დაუბრუნა მას ზაქარიას კუთვნილი ოქროს ბეჭედი და ფული (1000 მანეთი). რომლითაც ბროსეს, ზაქარიას თხოვნით, წიგნები უნდა ეყიდა თბილისში დაარსებული ბიბლიოთეკისათვის¹.

¹ ИНА, ხელნაწერთა განყოფილება, P — 19, № 95.

ხანგრძლივი თანამშრომლობა და მეგობრობა აკავშირებდა ბროსეს სიმონ ტაბიძესთან [318] და პეტრე ქებაძესთან რომლებიც დიდ დახმარებას უწევდნენ მას ქართული ხელნაწერების შემოკრებისა და გადაწერის საქმეში. ქებაძე ბროსეს ახლდა მოსკოვის სიძველეთა დათვალიერება-შესწავლის დროს.

ბროსე საგანგებოდ აღნიშნავდა ქართველთა აქტიურ მონაწილეობას ისტორიულ-ფილოლოგიურ კვლევა-ძიებებში და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ფაქტს [63].

შეგარამ არაფერს არ შეეძლო შეეცემა ბროსესათვის საქართველოს ნახვად არც რუსეთის ქართველთა ბიბლიოთეკებს, არც მოსკოვისა და პეტერბურგის ქართულ სიძველეებს, არც ქართველთა გულთბილ და უხანგარო დახმარებას არ შეეძლო დაეკმაყოფილებოდა ბროსეს მოთხოვნილებები, მიეცა მისთვის ამ ქვეყნისა და მისი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის სრული ცოდნა, მიეყვანა ბროსე იმ რწმენამდე, რომ შეიძლებოდა ქართული მატერიალების კრებულის გამოცემის დაწყება.

ეს უნდა გაეკეთებია სამეცნიერო მივლინებას საქართველოში, ამ ქვეყნის უშუალო გაცნობას.

ევროპიდან დაბრუნებისთანავე ბროსემ დაიწყო ზრუნვა ამ მივლინების განხორციელებაზე. მან გააჩაღა მიწერ-მოწერა თავის მეგობართან ნიკ. ხანიკოვთან, რომელიც იმხანად მუშაობდა თბილისში მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის კანცელარიის დიპლომატიურ განყოფილებაში. ბროსემ სთხოვა მას, გამოეერკვია, დაუჭერდა თუ არა მხარს კავკასიის ადგილობრივი მმართველობა მის სამეცნიერო მოგზაურობას საქართველოში. ვორონცოვი კარგად შეხვდა ამ ამბავს, გამოთქვა თანხმობა და აღუთქვა დახმარება: იკისრა ბროსეს საქართველოში მოგზაურობის ხარჯების ერთი ნაწილის ანაზღაურება. საამისოდ მან გამოჰყო კიდევ თანხა (1000 მან.).

ამის შემდეგ ბროსემ აკადემიაში დააყენა საკითხი და ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ 1847 წლის 25 აპრილს მიღებული იქნა მინისტრთა კომიტეტის ნებართვა—ბროსეს მიეცა ერთწლიანი სამეცნიერო მივლინება საქართველოში.

ბროსე გულდასმით და საფუძვლიანად ემზადებოდა საქართველოში სამოგზაუროდ. მან ხელმეორედ გადაიკითხა

წინამორბედ მოგზაურთა ჩანაწერები, თავი მოუყარა ადვილზე შესამოწმებელ მასალას, აღიჭურვა სარეკომენდაციო წერილებით სხვადასხვა პირებისადმი. ამ პერიოდში მან გამოაქვეყნა შენიშვნები ცნობილი ბოტანიკოსის კ. კოხის საქართველოში მოგზაურობის წიგნზე [105], სადაც, სხვათა შორის, საქართველოში ნამყოფ სხვა მოგზაურთა ნაშრომებიც მიმოიხილა, კოხს კი გაუსწორა ქართულის უცოდინარობით დაშვებული შეცდომები და უზუსტობანი. ცოტა ხნის შემდეგ ბროსე აქვეყნებს საქართველოში თავისი მოგზაურობის გეგმას [111]. ეხება ამ მოგზაურობის უმთავრეს მიზანდასახულებას—ქართული მატიანეების გამოცემის წინ ახალი მასალების შეკრებისა და ძველთა შემოწმების აუცილებლობას. ამას გარდა იგი აქ აღდგენს ფართო ისტორიულ-ფილოლოგიური და ეთნოგრაფიული დაკვირვებების პროგრამას. დაკვირვება ხალხის წინჩვეულებზე, ჩაცმულობაზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხის თავისებურებებზე, ქართულ კილოკავებზე და სხვ. ისევე შედიოდა ბროსეს სამუშაო გეგმაში, როგორც ისტორიული მასალების მოძიება-შემოწმება და ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხების გარკვევა.

მარი ბროსეს სამეცნიერო მოგზაურობა საქართველოში წარმოადგინდა ფართო ჩასიათის ღონისძიებას, რომელსაც მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, მან მნიშვნელოვნად შეავსო და გააფართოვა ბროსეს განკარგულებაში არსებული ქართული ისტორიული მასალები, სიგელ-გუჯრები, რომელთაც მკვლევარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ძველი საქართველოს შინაგანი ცხოვრების შესწავლისათვის. შემდეგ ამისა, ბროსე გაეცნო ქვეყანას, მის გეოგრაფიულ სანესს, მთებსა და მდინარეებს, გზებსა და გადასასვლელებს, სოფლებს და ქალაქებს და ამას უნდა გაეადვილებია მისთვის რაღი ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხების გამორკვევა. ამ მოგზაურობის წყალობით დიდად გაფართოვდა ბროსეს ქართველ ნაცნობთა წრე, მას გაუჩინდნენ ახალი ხელისშემწყობი პირები, კორესპონდენტები, მასალების მიმწოდებელნი (ასეთები იყვნენ—დამ. მეღვინეთხუცესიშვილი, რაფიელ ერისთავი, იობ ცისკარიშვილი და სხვანი). საქართველოში ბროსეს ყოფნამ გარკვეულად გამოაცოცხლა და ვააძ-

ლიერა აქ ინტერესი ისტორიული კვლევა-ძიებებისადმი. ქართველი ინტელიგენციის გარდა ეს ინტერესი აღეძრა რუს ოფიცერთა და მოხელეთა გარკვეულ ნაწილსაც, რომელმაც დაიწყო ძველი ქართული წარწერების შეგროვება, ძეგლების აღწერა და გამოქვეყნება.

(ბროსეს არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოში თავის მასშტაბებით და შედეგებით ბევრად აღემატებოდა რუსეთის აკადემიის მიერ ადრე განხორციელებულ ანალოგიურ ღონისძიებებს.)

1847 წლის 13 აგვისტოს ბროსე გამოემგზავრა პეტერბურგიდან, სპეციალურად ამ მოგზაურობისათვის შექმნილი ტარანტასით, გამოიარა მოსკოვი, ტულა, ნოვოჩერკასკი, სტავროპოლი, გეორგიევსკი, ვლადიკავკაზი და დარიალის გზით იმავე წლის 31 აგვისტოს ჩამოვიდა თბილისში. მას თან ახლდნენ ტოპოგრაფები—მელინი და პოლპეტი. თბილისში ბროსე დაბინავდა ნ. ხანიკოვთან.

(თერთმეტი თვე დაჰყო ბროსემ საქართველოში. ამ ხნის განმავლობაში მან მოიარა თბილისის მიდამოები, თელავისა და თეთრი წყაროს რაიონები, ახალციხის მხარე, გორის რაიონი, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, სამურზაყანო, რაჭა, ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. შვიდი თვე მოანდომა მან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობას, დანარჩენი დრო კი თბილისის სინოდალური კანტორის სიგელ-გუჯრებსა და ექიმიაძინის ბიბლიოთეკის ხელნაწერებს ეცნობოდა)

ქართველი საზოგადოება ყველგან დიდი სიხარულითა და პატივისცემით ხვდებოდა ბროსეს, მას თითქმის ყოველთვის ახლდა ხოლმე ქართველი ინტელიგენციის ესა თუ ის წარმომადგენელი, რომელიც იზიარებდა მოგზაურობის სიძნელესაც და ახალი მასალების აღმოჩენის სიხარულსაც. გენ. ლადინსკიმ გასცა ყოველგვარი განკარგულება, რაც კი საჭირო იყო ბროსეს დაუბრკოლებელი მიმოსვლისათვის, ეგზარქოსმა ისიდორემ ბროსეს მისცა ღია ფურცელი, რომელიც მას ანიჭებდა უფლებას, თავისუფლად შესულიყო საქართველოს ეკლესია-მონასტრებში, გასცნობოდა მათ სიძველეებს (ხელნაწერებს, საეკლესიო ნივთებს, წარწერებს...).

სწორედ იმ ხანებში, როცა ბროსე ჯერ კიდევ თბილისში

იმყოფებოდა, სვანეთიდან ჩამოიტანეს ერთ-ერთი ძველი ქართული ხელნაწერი—„მრავალთავი“. ბროსეს ყურადღება მიიქცია ამ კრებულში შეტანილმა აბოს წამებამ, რომელიც შეიცავდა თარიღიან ცნობას აბოს სიკვდილით დასჯის შესახებ. ბროსემ კრიტიკულად განიხილა ეს ცნობა, შეადარა სხვა წყაროთა მონაცემებს და დაადასტურა მისი ჭეშმარიტება. ამავე ხელნაწერში აღმოჩნდა საიდუმლო ანბანით შესრულებული ერთი მინაწერი. კრებული ბროსემ დაათარიღა X—XI საუკუნეებით (მის მინაწერებში მოხსენებული პირების—იოანე მტბევაარსა და მამა თევდორეს მიხედვით).

პირველად ბროსე თბილისიდან თეთრიწყაროს რაიონში გავიდა, ინახულა ფარცხისი და სამშვილდე, ვარხუნო და ნადარბაზევი, შემდეგ მოიარა კოჯრის მიდამოები და ინახულა კაბენის მონასტრის ნანგრევები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ კაბენის მონასტრის სააელი ბროსესთვის უცნობი დარჩა. გზად შეხვედრილმა გლეხებმა ამ ნანგრევებს უბრალოდ—„მონასტერი“ უწოდეს, ვერც სოლოლაშვილების ერთ-ერთი ოჯახის წევრმა გაიხსენა მისი სახელი. ბროსე სამწუხარო ამბად მიიჩნევს ისტორიული ძეგლის სახელის დაეწეებას ადგილობრივ ძველთა ბიერ.

ამ მოგზაურობის დროს ბროსეს ახლდა და დახმარებას უწევდა ნიკ. ხანიკოვა.

17 სექტემბერს ბროსემ პლ. იოსელიანის თანხლებით მცხეთისა და შიომღვიმის ძეგლები დაათვალიერა. მან აქ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საფლავის ქვების წარწერებს, მათში მოხსენებულ პირთა ვინაობას და გენეალოგიას. ბროსემ შეამოწმა და შეაესო მცხეთის ეპიგრაფიკული ძეგლების ის მარაგი, რომელიც მას აღრიდანვე დაუგროვდა (პლ. იოსელიანისა და ეგზარქოს ევგენის წყალობით).

სექტემბრის დამლევს ბროსე თელავისაკენ გაემგზავრა. მარტყოფში იგი მოულოდნელად შეხვდა თავის ქუთაისელ ნაცნობს (მიწერ-მოწერით) ნიკოლოზ ქუთათელაძეს, რომელიც იმხანად მარტყოფში იყო განწეახებული. ნ. ქუთათელაძემ დაათვალიერებინა ბროსეს მარტყოფის მიდამოების სიძველეები, ხელნაწერები. ბროსემ აქაც დადი ყურადღება დაუთმო საფლავის ქვებს, რომლებიც შეიცავდნენ ცნობებს რუსთველ

ეპისკოპოსთა შესახებ. შემდეგ ბროსემ ნახა უჯარმის ციხე, ზაშმის სამება და გომბორის გზით გადავიდა შიდა კანკეთში, ცოტა ხნით შეჩერდა შუამთაში და იმავე დღეს ჩავიდა თელავში. თელავში ბროსეს უმასპინძლა იერონიმე ალექსი-შვილმა, მწიგნობრობის მოყვარულმა პირმა, რომელიც თან ახლდა მას ალავერდისა და იყალთოს დათვალიერებისას. მატანში ბროსემ გაიცნო დავით ერისთავი, მამა ჩვენი სასრქა-ღულო პოეტის, რაფიელ ერისთავისა. დავითმა ბროსე ქისტაურში მიიპატიჟა. აქ ბროსემ გაიცნო დავითის ოჯახის წევრები—რაფიელი და მისი და ანა. ბროსე მოიხიბლა მათი განსწავლულობითა და გონებამახვილობით. ანას შესახებ ბროსე შენიშნავდა, რომ ეს მშვენიერი ქალი ამჟღავნებს ქართული ლიტერატურის შესანიშნავ ცოდნასო. მას მშობლიურ ენაზე წაუკითხავს იმ წიგნთა დიდი უმრავლესობა—წერდა ბროსე,—რომელთაც კი გაუვლია ჩემს ხელში, იგი არა მარტო კარგად იცნობს მათ, არამედ შესანიშნავადაც მსჯელობს წაკითხულის შესახებ [136, წიგნი 11, გვ. 84].

ასეთივე მაღალი აზრისა იყო ბროსე რაფიელის შესახებაც. რაფიელს იმჟამად შესანიშნავი სიტყვა წარმოუთქვამს ლეკებთან შეტაკებაში მოკლულ მიხეილ ანდრონიკაშვილის დაკრძალვაზე. შემდეგ იგი ბევრს ესაუბრებოდა ბროსეს საქართველოს წარსულზე, დაჰყვებოდა მას ისტორიულ ძეგლებზე, აცნობდა გეოგრაფიულ ადგილთა სახელებს და იმ რაიონის პატარა რუქაც შეადგინა მისთვის. ამის წყალობით—წერდა ბროსე—ჩვენ ბევრი რამ შევასწორეთ ამ ადგილების ვახუშტისეულ აღწერაშიო. ბროსეს განსაკუთრებით აინტერესებდა ერისთავების კახეთში გადასვლის ისტორია, მათი გენეალოგია, რის შესახებაც რაფიელმა მას საინტერესო ცნობები მიაწოდა. ბროსემ იხანულა თუშების სოფელი ალვანი. აქ მან გაიცნო განათლებული და მწიგნობარი თუში იობ ცისკარიშვილი. რომელიმაც ბროსეს თხოვნით შეადგინა წოვიური ენის მოკლე გრამატიკა და ამ ენაზე თარგმნა ნაწყვეტები „ახალი აღთქმის“ წიგნებიდან¹. ეს მასალები ბროსემ

¹ იობ ცისკარიშვილი ერთ-ერთ უადრესი თუში მწიგნობარი იყო. იგი ხშირად აქვეყნებდა წერილებს თბილისის რუსულ გაზეთებში, უპი-

მალე გამოაქვეყნა კიდევ [125]. ალვანში ბროსემ უურადღობა მიაქცია თუში ქალის ჩაცმულობას და აღწერა იგი. იქვე მან ჩაიწერა რამოდენიმე თუშური სიტყვა და ფრაზა..

თელავიდან ბროსე თიანეთს გაემგზავრა. მას თან ახლდა რაფიელ ერისთავიცი, რომელიც იმხანად სწორედ თიანეთში მსახურობდა. თუშ-ფშავ-ხევსურთა ოლქის უფროსის კანცილარიაში. გზად მათ ინახულეს ბოქორმის ციხე, დაათვალიერეს იგი. თიანეთში ბროსემ გაიცნო ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი, იმხანად თუშ-ფშავ-ხევსურთა ოლქის მმართველი ზისერმანი. ამ უკანასკნელმა ბროსეს გადასცა რამდენიმე ქართული მონეტა. ამის შემდეგ ბროსემ ინახულა ხარჭაშო, ბოდავი, ყინვანი, ლაფანი და 8 ოქტომბერს დაბრუნდა თბილისში.

ამრიგად, თბილისიდან პირველი გასვლები დამთავრდა, პირველი მასალები შეკრებილ იქნა, ეს მასალები დაედო საფუძვლად ორ მოხსენებას, რომლებიც ბროსემ გაგზავნა პეტერბურგში 13 და 17 ოქტომბერს [114; 115]. ამ მოხსენებებმა შეადგინეს შემდეგ ბროსეს ცნობილი წიგნის [136] პირველი „Rappor“t-ი.

1847 წლის პირველ ოქტომბრამდე ბროსე თბილისში დარჩა და სინოდალური კანტორის საბუთების შესწავლას შეუდგა. საქართველოს სიძველეებით დაინტერესებული პირები უკავშირდებიან ბროსეს და აწვდიან მას მასალებს. ცნობილმა მეცნიერმა და მოგზაურმა გერმან აბიხმა ბროსეს გადასცა მის მიერ ანისში შეკრებილი 19 სომხური წარწერა და ერთი წარწერიანი ქვა (რომლის წარწერაც 1206 წელს ეკუთვნოდა და იხსენიებდა ზაქარია მხარგრძელს). ნიკ. ფალავანდიშვილმა ბროსეს გააცნო თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა და გადასცა ერთი ძველი ქართული ხელნაწერი—კლემაქსი.

თბილისის გიმნაზიის დირექტორს ვინმე როსტოვჩენკოს აღმოაჩნდა მდიდარი ნუმისმატიკური კოლექცია. მასში ბროსემ სასაზურ და სომხურ მონეტებთან ერთად თამარ მეფის დროინდელი მონეტებაც აღმოაჩინა. ასევე საინტერესო ნუმისმატიკური კოლექცია ჰქონდა ვინმე ლუცენკოს, რომელმაც

რატესად, ეთნოგრაფიულ საკითხებზე. სამწუხაროდ, ამ უაღრესად საინტერესო პირის მოღვაწეობა დღემდე შეუსწავლელი რჩება.

აზიური მუზეუმისათვის ბროსეს გადასცა რამდენიმე მონეტა, მათ შორის ქართულიც (დავით ნარინის მონეტა). ბროსეს მონეტები გადასცა ნიკ. ხანიკოვმაც, დაბოლოს, ბროსემ თვითონაც „შავ ბაზარზე“ შეიძინა 21 სასანური და ბიზანტიური მონეტა აზიური მუზეუმისათვის. ეს მონეტები ბროსემ პეტერ-ბურგში გაგზავნა [117]. მათთან ერთად გაგზავნა საქართველოს რუკა, შედგენილი 1845 წელს და სარგის ჯალალიანის ნაშრომი „მოგზაურობა დიდ სომხეთში“.

ყველაფრის შეძენას ბროსე ვერ ახერხებდა იმის გამო, რომ აკადემიამ საამისოდ მას მხოლოდ 300 მანეთი გამოუყო. ასე მაგალითად, ბროსემ სიძვირის გამო ვერ შეიძინა და ხელიდან გაუშვა 6 ძველი სომხური ხელნაწერი, რომლებიც შეიცავდნენ ავათანგელოსის, მოსე ხორენელის, არისტარქეს ლასტივერტელის, სამუელ ანელის, თომა მეწოფელისა და მხითარ გოშის თხზულებებს. ასევე გაუშვა მან ხელიდან რაშიდ-ედ-დინის ისტორიის ერთი ხელნაწერი. ყველაფერს ამას ბროსე დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა.

პირველმა მოგზაურობებმა ბროსეს დაანახა, რომ მხოლოდ ტოპოგრაფის ხლება მისთვის საკმარისი არ იყო. მას ჭირდებოდა მხატვარიც, წარწერათა პალეოგრაფიული მონახულობის გადმოსაღებად და ზოგიერთი ძეგლის ჩასახატად. საამისოდ მოწვეული იქნა თბილისში მყოფი ერთი მხატვარი ივანე მუსლოვი, რომლის ჩანახატებმა დიდად შეუწყო ხელი ბროსეს მეცნიერული მოგზაურობის ფიქსაციის საქმეს.

ოქტომბერში მ. ბროსემ პლ. იოსელიანთან ერთად მოიარა მცხეთის მიდამოები, იყო ძეგვში, ქვათახევში, ნიჩბისში და სხვა ადგილებში. ამ მოგზაურობის დროს იგი ქვემო ავჭალაში ესტუმრა თადეოზ გურამიშვილს, დიდი ილაას მომავალ სიმამრს. თადეოზ გურამიშვილს შესანიშნავად მოწყობილი მეურნეობა ჰქონია—ვენახი, წისქვილი, ხილის ბაღი, მარანი (უზარმაზარი ქვევრებით). ამ მეურნეობამ და თადეოზის მასპინძლობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს მეცნიერზე.

მალე ამის შემდეგ ბროსე გაემგზავრა ხანგრძლივ მოგზაურობაში ახალციხის მიმართულებით. თითქმის თვენახევარი დაჰყო მან მესხეთში, „ბაგრატიონთა ამ აკვანში“, როგორც წერდა თვითონ. მან ინახულა ვალე და აწყური, საფარა და

ზარზმა, კულევი და ხეროვისი, თმოგვი და ნიალა, ღავეთი და კარზამეთი, ვარნეთი და ვარძია, წუნდა და კუმურდო და სხვა ძეგლები. ბროსემ აქ დიდძალი ახალი ეპიგრაფიკული მასალა მოიპოვა (არა მარტო ქართული, არამედ ამასთან ერთად სომხურიც, ებრაულიცა და არაბულიც). მესხეთში მას მეგზურობას უწევდა გიორგი გამრეკელი, მწიგნობრობაში ხელნაცადი პირი, ავტორი რამდენიმე საეურნალ-გაზეთო წერილისა ისტორიულ საკითხებზე.

5 დეკემბერს ბროსე დაბრუნდა ახალციხის მხარიდან და ერთი კვირის შემდეგ მას უკვე მზად ჰქონდა მოხსენება ამ მოგზაურობის შესახებ [116]. თბილისში იგი კვლავ მიუბრუნდა სინოდალური კანტორის დოკუმენტების შესწავლას. ამა-სობაში მას ისევ აწვდიან ახალ-ახალ მასალებს. მ. ბარათაშვილმა და მაიორმა ტრეაკოვსკიმ ბროსეს გადასცეს შემოქმედის (გურიანში) წარწერები, გ. აბიხმა—ჯუმათის ვერცხლის ხატის წარწერა, სულხან ბარათაშვილმა—რამდენიმე ძველი ქართული წარწერა. სამეგრელოს ისტორიული ძეგლების შესახებ ბროსემ ცნობები მიიღო პოლკოვნიკ პოტოცკისაგან, ზემოხსენებულმა ტრეაკოვსკიმ ბროსეს გადასცა შემოქმედის ჟამ-გულანისა და მისი მინაწერების აღწერა და ა. შ. ბროსეს კორესპონდენტთა და ხელისშემწყობთა წრე კოველდლიურად ფართოვდებოდა. მამაცაშვილმა მას გააცნო თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა.

1848 წლის 14 იანვრისათვის ბროსემ დაამთავრა სინოდალური კანტორის სიგელ-გუჯრების განხილვა და ამის შესახებ სათანადო მოხსენება გაგზავნა პეტერბურგში [118]. ეს მოხსენება მან კავკასიის მეფისნაცვალს მ. ვორონცოვს მიუძღვნა.

მესამე დიდი გასვლა ბროსემ სომხეთში მოაწყო, ერევანის ოლქში. იგი აქ დარჩა თვენახევარი, 1848 წლის 12 მარტამდე, ინახულა რიფსიმეს, გაიანესა და მარიანეს ტაძრები და ძირითადად იმუშავა ეჩმიადინის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში სომხურ ხელნაწერებზე.

აპრილში ბროსე ერთი კვირით ესტუმრა გორის რაიონს. გორის საზოგადოებამ სასურველი სტუმრის პატივსაცემად დიდი ნაღმი მოაწყო. მასზე სიტყვა წარმოუთქვამს გიორგი დავი-

თის ძე ერისთავს და მადლობა განუცხადებია ბროსესთვის საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლაზე გაწეული მუშაობისათვის. ბროსემ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს და აღნიშნა: „ნუ დაგავიწყდებათ თავად-აზნაურნო, ახლა მეფობენ ქუჭყანაზე და დედოფლობენ ჰსწავლა და კელოვნებანი. თქუჭნცა ეცადენით, რომ განსწავლოთ ყმაწვლნი სხუა და სხუა კხელოვნებითა. შეეწიენით თავსა თვსსაო“ [319]. ამით შესაძლებელი იქნება—ამბობდა ბროსე—აღდგეს საქართველოში ის მძლავრი კულტურული ცხოვრება, რითაც აღნიშნულია XI—XII საუკუნეები.

ბროსემ აქ, ნადიმზე, გაიცნო ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტი დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი, რომლის თანსლებითაც მან დაათვალიერა რუისის, ურბნისის, ატენის, გორიჯრის, ბნავისის და სხვა სოფლების ისტორიული ძეგლები. სხვათა შორის ბროსემ ინახულა ელიზბარ ერისთავის მინის ქარხანა ლვარებში (ბნავისი), მოეწონა იგი და აღნიშნა, რომ ეს საწარმო კარგად ადასტურებს ქართველების უნარს წარმატებით გაართვან თავი რთულ სამრეწველო საქმიანობას, რაც აგრერიგად ესაჭიროება მათ ქვეყანასო.

გორიდან ბროსე დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა, სამი დღე დაჰყო ქუთაისში და ზუგდიდს მიაშურა. აქ იგადავით დადიანს ესტუმრა. ბროსე აღტაცებით იგონებს დადიანთან და მის შესანიშნავ მეუღლესთან ეკატერინე ქავჭავაძესთან გატარებულ დღეებს. მდიდარი ბიბლიოთეკა, შესანიშნავი საოჯახო მეზეუმე, სადაც ბროსეს ყურადღება მიიქცია ბრინჯაოს გრიფონმა, აღმოჩენილმა ნათარეულში, დავითის სიმამრის მამულში, საუბრები საქართველოს წარსულზე, აღდგომის დღესასწაულზე, ნადიმი, შეჯიბრება, ნადირობა, დადიანის შესანიშნავი ბალი და სხვა მრავალი რამ სასიამოვნო მოგონებად დარჩა ბროსეს მეხსიერებაში. ბროსემ დაათვალიერა ზუგდიდის, ცაიშის და ხოფის სიძველეები, ყურადღებით შეისწავლა დადიანის ნუმიზმატიკური კოლექცია, ჩაიწერა მეგრული მეტყველების ნიმუშები, ჩაცმულობა და ხალხის ზოგიერთი ზნეჩვეულება (ტირილი, ნადიმი და სხვ.). სამეგრელოს ზოგიერთ სიძველეთა აღწერა (შხეფის, ეკის, ქაქვი-

ჯისა და სხვ.) მას გადასცა მთავრობის დავალებით იმ ხანად სამეგრელოში მყოფმა არქიტექტორმა ნოროვმა.

27 აპრილს ბროსე აფხაზეთს გაემგზავრა. გაეცნო ოქუ-მის, ბედიის, ილორის და მოქვის ძველ ტაძრებს. ოჩამჩირეში მისი ყურადღება მიიქცია ლონდონიდან და ბრისტოლიდან შემოზიდულმა საქონელმა. 3 მაისს ის უკვე სოხუმში იყო, აქედან ზღვით გაემგზავრა ფსირსტაში და ბომბორში, შემდეგ სოუჯ-სუში აფხაზეთის მთავრის რეზიდენცია დაათვალიერა, დაბოლოს მიაღწია ბიჭვინთამდე და უკან გამობრუნდა. 12 მაისს სოუჯ-სუში ბროსე შეხვდა აფხაზეთის მთავარს გიორგი შერვაშიძეს და ესაუბრა მას. აფხაზეთიდან ბროსე ორთქლის გემით დაბრუნდა სამეგრელოში (რედუტ-კალეში) და 24 მაისს ისევ ზუგდიდში ჩავიდა. ახლა მან ლეჩხუმისაკენ აიღო გეზი. გზად გაიარა კორცხელი, წალენჯიხა, ნოქალაქევი, გორდი, ოყურეში, ნამარნევი, აღწერა მათი ძეგლები. ლეჩხუმში მან ნახა შემდეგი ადგილები: აღვი, ნაყურალეში, უდიერი, დეხვირი, მური და ცაგერი. შემდეგ ლენტეხის რაიონში გადავიდა და მოიარა სოფლები: ლუდილიში, ჩოლური, ლაშხეთი, ჭიხუნდერი, შნეთი და აქედან ალპანის გზით ქუთაისს მიაშურა. 11 ივნისს ქუთაისში ზემოთ ხედებოდნენ მ. ვორონცოვის მეუღლეს, რომელიც იქ „ქალთა ინსტიტუტის“ პირველ გამოცდებზე დასასწრებად ჩავიდა. ბროსე დაესწრო ამ ზეიმს და შემდეგ კი ბაგრატიისა და გელათის დათვალიერებას შეუდგა. ერთი კვირა მოანდომა ამ ძეგლებს და 17 ივნისს ნაქრალას გზით რაქას გაემგზავრა. გზად მან აღწერა ტყიბულის ქვანახშირის საბადოები, რომლის ექსპლოატაცია ის ის იყო იწყებოდა (იძლევა ცნობას, რომ ეს საბადოები 1845 წ. აღმოაჩინა კულიშინმა). რაჭაში ბროსეს ახლდენ ივ. მაჭავარიანი და დიმიტრი ერისთავი. მათი თანხლებით ბროსემ მოინახულა ნიკორწმინდა და ბარაკონი, ონი, ლები, უწერა და გლოლა. ბროსეს დავალებით მხატვარი მუსლოვი მრავალძალში ავიდა და მისი ტაძრის წარწერები გადმოიხატა. რაქის მმართველმა პოლკოვნიკმა კოცებუმ ბროსეს ზემო სვანეთში აყვანა აღუთქვა, მაგრამ მივლინების ვადა იწურებოდა და ბროსემ თავი შეიკავა, იგი ქართლისაკენ გამოეშურა, შქმერზე გადმოვიდა, დაათვალიერა ჯრუჭის, მღვიმის, კაცხის („სვეტი“), უბისის ეკ-

ლესიები და ხარაგოულის გზით სურამის უღელტეხილი ვად-
მოვლო. შემდეგ ინახულა თიღვის, ოქონის, ატოცის, იტრიისა
და ულუმბოს ტაძრები და 26 ივნისს გორში ჩავიდა.

პეტერბურგში გამგზავრებამდე ცოტა დრო კიდევ დარჩა
და ბროსემ გადაწყვიტა, გორის ჩრდილო მიდამოები მოევლო.
დ. მეღვინეთხუცესიშვილთან ერთად იგი ცხინვალს ავიდა,
ნახა შინდისის, ნიჭოზის, წუნარის, ბოციჯვარის და ტბეთის
სიძველეები. ცხინვალში ორიოდ დღე დარჩნენ, შემდეგ და-
ათვალღერეს თირის, აჩაბეთის, საბაწმინდის და აბოს ძეგლე-
ბი და იკორთაში გადავიდნენ. აქედან კორინთას, ყანჩაეთის,
წირქოლისა და ლარგვისის მიდამოები მოიარეს და თბილისი-
საკენ წამოვიდნენ. გზაში ინახულეს ოძისი, ქსოვრისი, ღარ-
თისკარი, მჰალიჯვარი, წილკანი და სხვა პუნქტები.

4 ივლისს ბროსე უკვე თბილისშია და პეტერბურგში გა-
სამგზავრებლად იწყებს ეზადებას. მას წესრიგში მოჰყავს თა-
ვისი საქმეები, ცდილობს, არაფერი დარჩეს დაუმთავრებელი,
დამშვიდობა ნაცნობ-მეგობრებს და 23 ივლისს გაუდგა გზას
პეტერბურგისაკენ. 8 აგვისტოს ის უკვე თავის ოჯახში იყო.
დამთავრდა ბროსეს საპეცნიერო მივლინება საქართველოში
და დიდძალი მასალებით დატვირთული მეცნიერი დაუბრუნდა
თავის ყოველდღიურ მუშაობას რუსეთის მეცნიერებათა აკა-
დემიაში.

ბროსეს ამ მოგზაურობას ნაკვალევივით გაჰყვა მისი
მკიდრო ურთიერთობა ახლადგაცნობილ ქართველებთან, გან-
საკუთრებით, რაფიელ ერისთავთან და დიმიტრი მეღვინეთხუ-
ცესიშვილთან.

რაფიელმა ბროსეს გაუგზავნა თავისი საგვარეულოს გე-
ნეალოგიური ნუსხა, რომელიც მის პაპას შეუდგენია რუსეთის
მთავრობისათვის თავისი თავადური ჩამომავლობის დასამტკი-
ცებლად¹. რაფიელმა ამ ნუსხას მისი, თაობის წარმომადგენ-
ლებიც მიაწერა. ეს გენეალოგია ბროსემ უცვლელი სახით გა-
მოაქვეყნა 1856 წელს [129, წიგნი V, გვ. 632]. ცოტა გვიან რა-
ფიელმა ბროსეს გაუგზავნა ქსნის ციხისა და კასპის ერთი ეკ-
ლესიის (ე. წ. აშურიანის) წარწერები, რომლებიც ბროსემ აგ-
რეთვე გამოაქვეყნა 1851 წელს [136. ტ. III, გვ. 125—126].

¹ იხ. საქართველოს სახ. ცენტრ. არქივი, ფონდი № 1, საქმე № 699.

თავის მხრივ ბროსეც უგზავნიდა რაფიელს მისთვის საინტერესო მასალებს. ასე მაგალითად, მან რაფიელს გამოუგზავნა თუშ-ფშავ-ხევსურთა წერილები მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი, მიწერილი 1657—1658 წლებში, რომლებიც რაფიელმა გამოიყენა თავის ნარკვევში თუშ-ფშავ-ხევსურთა შესახებ.

კიდევ უფრო ნაყოფიერი იყო ბროსეს ურთიერთობა დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილთან. საქართველოდან ბროსეს გამგზავრების შემდეგ დიმიტრიმ დამოუკიდებლად განაგრძო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობა და ისტორიული მასალების შეკრება. მან შენოიარა გორისა და სურამის რაიონები, იყო რმერეთში, სომხითში, საციციანოში. ამ მოგზაურობების დროს დიმიტრიმ მართლაც პირველხარისხოვანი მასალები შეკრიბა. საკმარისია ითქვას რომ მან აღმოაჩინა „ძეგლი ერისთავთა“, ტყავზე ნაწერი დედანი, ერეკლე II-ის წერილი, გამოგზავნილი ინდოეთიდან მისი დისადმი, დავით ციციშვილის ნარკვევი ქართველ თავადაზნაურთა საგვარეულოების შესახებ და სხვა [283].

ბროსემ დიმიტრის ამ მოგზაურობებისათვის სპეციალური ინსტრუქცია დასწერა [127], მის მიერ შეკრებილი დიდძალი ეპიგრაფიკული მასალა კი ჯერ ცალკე გამოაქვეყნა [123], ხოლო შემდეგ დამატების სახით დაურთო თავისი „Rapports“-ის მესამე ტომს. დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის მიერ ბროსესთვის გაგზავნილი სხვა მასალები (მოგზაურობათა დღიურები, ერეკლე II-ის მეჯობის ისტორია, შეთხზული დიმიტრის მიერ, მისივე — საქართველოს ისტორია, დასაწყისი ნაწილი და სხვ.) ამჟამად აზიის ხალხთა ინსტიტუტშია დაცული¹.

საქართველოში მოგზაურობის შედეგები ბროსემ გამოაქვეყნა 1849—1851 წლებში სამ წიგნად [136], 12 მოხსენების სახით.

„ჩემი უმთავრესი მიზანი—წერდა ბროსე ამ წიგნის შესავალში—იყო სიძველეთა მოძიება, შეკრება ცნობებისა ქარ-

¹ ИНА, ხელნაწერთა განყოფილება, Н — 47 და Н — 78.

თული მატრიანეების შესამოწმებლად ყველგან, სადაც კი მათ ვიპოვიდი და რა სახითაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი და-
 ცულნი“ (გვ. VIIII). იმისათვის, რომ ამ საქმეს საზოგადოებ-
 რივი რეზონანსი ჰქონოდა, ბროსემ თბილისში ჩამოსვლისთა-
 ნავე დაწერა წერილი საქართველოს ისტორიული ძეგლების
 შესწავლის ხერხებისა და მისი აუცილებლობის შესახებ, რომ-
 ლის რუსული თარგმანი შესრულებული ნ. ხანიკოვის მიერ
 გამოქვეყნდა „Кавказский календарь“-ში [112]. წერილში ნაჩ-
 ვენებია, როგორ ავსებენ, აზუსტებენ და ამოწმებენ ქართული
 მატრიანეების ცნობებს სხვადასხვა ხასიათის ისტორიული მასა-
 ლები (ეპიგრაფიკული ძეგლები, მონეტები, ძველი ნანგრევე-
 ბი, საეკლესიო ინვენტარის წარწერები, საბუთები) და გამოთ-
 ქმულია იმედი, რომ ამ სიძველეთა შეკრება-აღწერის საქმეში
 ყველა მიიღებს მონაწილეობას, რომ საქართველოში შეიქმნე-
 ბა სიძველეების მოყვარულთა საზოგადოება, რომელიც უხელ-
 მძღვანელებს მათი შეკრების საქმეს, მიწვდის მათ მეცნიერე-
 ბათა აკადემიას. ამ წერილის გამოქვეყნებას უშედეგოდ არ
 ჩაუვლია ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ მასალების შეგროვებაში
 ბროსეს დახმარება აღმოუჩინა ქართველი და რუსი ინტე-
 ლიგენციის ფართო წრემ. ამან ერთგვარად გააპირობა ბროსეს
 მიერ გამოქვეყნებული მასალების საუხვე და სიმრავლე. გარ-
 და საკუთრივ მის მიერ შეკრებილი მასალებისა ბროსემ თავის
 წიგნში შეიტანა ნ. ხანიკოვის მიერ ანისში შეკრებილი წარწე-
 რები, დ. მელვინეთხუცესიშვილის არქეოლოგიურ მოგზაურო-
 ბათა ანგარიშები, აბიხის, ბარონ ნიკოლაის და სხვათა მიერ
 მოწოდებული მასალები.

ბროსეს „არქეოლოგიური მოგზაურობა“ უპირველეს
 ყოვლისა შეიცავს დიდძალ ეპიგრაფიკულ მასალას, რომელსაც
 თან ახლავს გამომცემლის ვრცელი კომენტარები და შენიშვნ-
 ები. ამ წარწერების სადღეძველზე ბროსეს შედგენილი აქვს
 ზოგიერთ საგვარჯულოთა გეხეალოგიები: ამილახვრებისა (შიო
 მღვიმის წარწერებთან დაკავშირებით), დადიანებისა (ხოფის
 სიძველეთა გაცნობისას), ბაგრატიონ-დავითაშვილების, ქსნის
 ერისთავების, შერვაშიძეთა, ქართლის მეფეთა და სხვათა

ნაშრომში აღწერილია დიდძალი ისტორიული ძეგლები,
 ნივთები, ხელნაწერები, საბუთები. საქართველოს ისტორიული

ძეგლები ბროსეს უმთავრესად წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით აინტერესებდა. ამ ძეგლების არქიტექტურულ ღირსებებზე მსჯელობისაგან იგი, როგორც არასპეციალისტი, თავს იკავებდა. მართალია, მას ჰყავდა მხატვარი, რომელმაც ჩაიხატა რამდენიმე ძეგლი, ერთვან იგი ძეგლის გეგმას და მის განაკვეთს იძლევა (მცხეთის ჯვრისას), მაგრამ აქ ძეგლის ზომები და მისი ცალკეული ნაწილების შეფარდება ზუსტად არაა გადმოღებული. აკად. გ. ჩუბინაშვილი ამ ჩანახატებთან დაკავშირებით შენიშნავს: „Они являются передачей скорей впечатления зрительного, чем реального соотношения масс и форм храма. О действительном взаимоотношении масс, храма, конструкции купола и т. д. эти наброски не дают никакого представления“¹. მაგრამ ის მაინც აღსანიშნავია, შენიშნავს შემდეგ აკად. გ. ჩუბინაშვილი, რომ ძეგლების ჩანახატთა საჭიროება გარკვეული მეცნიერული მიზნებისათვის ბროსეს მაინც ესმოდა.

ქართული დოკუმენტების განხილვისას ბროსე მსჯელობს ძველი საქართველოს შინაგანი ცხოვრების საკითხებზე (ბროსეს თვალსაზრისს ამ მხრივ შემდეგ თავში გავეცნობით).

მოგზაურობის შედეგები ბროსემ შეაჯამა სპეციალურ წერილში [128], რომელიც შემდეგ რეზიუმეს სახით დაურთო თავის წიგნს. აქ იგი მოპოვებულ მასალას განიხილავს ორი თვალსაზრისით: ჯერ იძლევა მათ ქრონოლოგიურ მიმოხილვას, შემდეგ კი აჯგუფებს მათ სახეობათა მიხედვით. ქრონოლოგიურ მიმოხილვაში აღნიშნულია, თუ რას იძლევიან საქართველოს ისტორიული ძეგლები ამა თუ იმ მეფის პოლიტიკოსობისთან დაკავშირებით, ამა თუ იმ საგვარეულოს გენეალოგიურ-ქრონოლოგიურ ისტორიასთან დაკავშირებით, რა ახალი ცნობებით თუ თარიღებით ავსებენ ქრონიკის მიხედვით შექმნილ წარმოდგენას მათზე.

შემდეგ კი ბროსე ცალ-ცალკე ახასიათებს მის მიერ ნახულ წარწერებს, ხატებს, ხელნაწერებს, წიგნებს და საბუთებს,

¹ Г. Чубинашвили — Введение в изучении грузинского искусства, ხელნაწერი, გვ. 166. ამ ნაშრომის გაცნობისათვის აკად. გ. ჩუბინაშვილს დიდ მადლობას მოვახსენებთ.

გამოჰყოფს ზოგიერთ მათგანს ქრონოლოგიის თვალსაზრისით და მსჯელობს მათი მონაცემების მნიშვნელობაზე.

(საინტერესოა აღინიშნოს, რომ მოგზაურობის შედეგების ეს შეჯამებული მიმოხილვა ბროსემ ჯერ გაზეთ „L'Asie" -ში გამოაქვეყნა, ხოლო შემდეგ კი პარიზის „აზიურ ჟურნალში“ და რუსეთის აკადემიის უწყებებში) ბოლოს, როგორც ვთქვით, დაურთო დამატებებს სახით თავისი არქეოლოგიური მოგზაურობის მესამე წიგნს. ასეთი ფართო პუბლიკაცია მოგზაურობის შედეგების პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. ეს წერილი ადასტურებდა, რომ საქართველოს ისტორიული ძეგლებს შესწავლას, საქართველოში არქეოლოგიურ მოგზაურობებს და არქივთსაცავებში მუშაობას შეუძლია მეცნიერებისათვის ფრიად სასარგებლო შედეგები მოგვცეს, შეავსოს წერილობითი წყაროების ცნობები, შეამოწმოს და დაადასტუროს ისინი. ბუნებრივია, ამ გარემოებას ხელი უნდა შეეწყოს სამეცნიერო მოგზაურობებისადმი ფართო წრეების ინტერესის გაღვივებასა და გაძლიერებისათვის. მართალია, ქართველ მოღვაწეთა მიერ უკვე იყო წამოწყებული ამგვარი არქეოლოგიური მოგზაურობანი (ნიკ. ჩუბინაშვილი, პლ. იოსელიანი). მაგრამ ის, რაც ამ ხაზით კეთდებოდა, ჯერ კიდევ ძალიან ცოტა იყო. ბროსეს მაგალითმა მართლაც გამოიწვია ინტერესი, აამოძრავა ქართველი და რუსი ინტელაგენციის წარმომადგენლები და არაერთი ახალი მასალა მოუპოვა საქართველოს ისტორიის მკვლევართ.

ამრიგად, დასრულდა „ქართლის ცხოვრებისა“ და სხვა ქართული მატრიანეების გამოცემისათვის მზადება, შეიკრიბა და შემოწმდა დიდძალი მასალა. ბროსეს ახლა უკვე შეეძლო შესდგომოდა თავისი უმთავრესი ისტორიოგრაფიული ამოცანის შესრულებას—„ქართლის ცხოვრებისა“ და სხვა ქართული მატრიანეების გამოცემას.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულით გამოქვეყნება

1. „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკა და გამოქვეყნება

გასული საუკუნის ქართველოლოგიაში „ქართლის ცხოვრება“ განსაკუთრებული ყურადღებით იყო გარემოცული. ეს იყო ძირითადი და უმთავრესი ეროვნული წყარო ქართველი ხალხის ძველი ისტორიული წარსულის გაცნობისათვის. ის იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფუნდამენტი და მისი ღირსება-ნაკლოვანებების გამორკვევა შეადგენდა ამ ისტორიოგრაფიის უმთავრეს ამოცანას.

! რუსეთში „ქართლის ცხოვრების“, როგორც ისტორიული წყაროს, შესწავლისა და გამოქვეყნების აუცილებლობის შესახებ საკითხი პირველად დააყენა აკადემიკოსმა ხრ. ფრენმა. 1836 წ. მან ყურადღება მიაქცია რუმიანცევის მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა შორის დაცულ „ქართლის ცხოვრებას“ და ზოგადად აღნიშნა მისი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის [BCS, 7, 183, გვ. 157], სასურველად სცნო მისი გამოქვეყნება.

პეტერბურგში ჩამოსვლისთანავე ბროსემ გაიცნო ეს ძეგლი და მის გამოსაცემად საკონტროლო მასალების შეკრებასთან ერთად ხელი მიჰყო ძეგლის კრიტიკულ შესწავლას. თავდაპირველად ბროსეს განკარგულებაში იყო ამ ძეგლის სამი ხელნაწერი: თეიმურაზისეული, რუმიანცევისეული და ფალავანდიშვილისეული. სამივე ხელნაწერს გამოვლილი აქვს ე. წ. ვახტანგისეული რედაქცია [309, გვ. 124 და შმდ]. ამათგან ყველაზე ვრცელი იყო ფალავანდიშვილისეული ნუსხა, რომელიც ბროსეს 1839 წელს ჩაუვარდა ხელთ და მაშინვე გადააწერინა

ს. ტაბიძეს. ეს ხელნაწერი დაედო საფუძვლად ამ ძეგლის ბროსესეულ პუბლიკაციას. ათიოდე წლის შემდეგ, 1847 წელს ბროსე პეტერბურგის გაზეთში აქვეყნებს თავის დაკვირვებებს და დასკვნებს „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობაზე და რაობაზე [108] (1858 წელს მან ეს ნარკვევი, მცირე ცვლილებებით შეიტანა „ქართლის ცხოვრების“ გამოცემის შესავალში [129, ტ. VII, გვ. III—XXVII]). მე-19 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თვალსაზრისით ბროსეს ამ წერილს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ჩვენ მას ცოტა უფრო ახლოს გავეცნობით.

ძირითადი საკითხი, რომლის ირგვლივაც ტრიალეზა იმჟამად მკვლევართა აზრი, იყო „ქართლის ცხოვრების“ შექმნის თარიღი. გავრცელებული შეხედულებით „ქართლის ცხოვრება“ XVIII საუკუნეში ვახტანგ VI-ის მიერ შეთხზულად იყო მიჩნეული. ამ საფუძველზე იყო აღმოცენებული რუსეთის სამეცნიერო წრეებში ზოგიერთ მკვლევართა სკეპტიკური და უარყოფითი დამოკიდებულება ამ ძეგლთან (295). ზემოთ ჩვენ უკვე გავეცანით ერთ-ერთი ასეთი მეცნიერის ო. სენკოვსკის გამოსვლას „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკით.

მარი ბროსე 1847 წელს პირველად იმდროინდელ ქართველოლოგიურ ლიტერატურაში გამოვიდა ამ შეხედულების უარყოფით. ბროსე ასაბუთებდა, რომ „ქართლის ცხოვრება“, როგორც ქართული მათიანეების კრებული, არსებობდა XVIII საუკუნემდე, ვახტანგ მეფის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე, რომ ამ კრებულის შედგენა არამც და არამც არ შეიძლება მიეწეროს ვახტანგ VI-ს. რას ემყარებოდა ბროსე ამ შემთხვევაში? რა საბუთები მოჰყავდა მას ამის დასამტკიცებლად?

უპირველეს ყოვლისა, ძველი სომხური მწერლობის მონაცემები. ქართულ მათიანეებს იხსენიებენ ისეთი სომხური წყაროები, როგორცაა მხითარ ერეცის, მხითარ აირივანელის, ვარდანისა და სტეფანოზ ორბელიანის თხზულებები. ამასთანავე, სტეფანოზ ორბელიანი ამ მათიანეს პირდაპირ უწოდებდა „ქართლის ცხოვრებას“. მაშასადამე, ეს ძეგლი უნდა არსებებულიყო უკვე XIII საუკუნეში და უნდა არსებებულიყო არა ცალ-ცალკე თხზულებათა სახით, არამედ, სახელდობრ, როგორც მათიანეთა კრებული.

მეორე მნიშვნელოვან საბუთად „ქართლის ცხოვრების“ ადრინდელობის დასამტკიცებლად ბროსეს მიაჩნდა ამ ძეგლის შემოკლებული ძველი სომხური თარგმანის არსებობა. აქ იგულისხმებოდა ის სომხური ძეგლი, რომელიც მან შემდეგ ფრანგულად თარგმნილი „Cronique arménienne“-ის სახელწოდებით დაბეჭდა „ქართლის ცხოვრების“ დამატებებში.

„ქართლის ცხოვრების“, ძველი სომხური თარგმანის შესახებ ბროსეს პირველად ცნობები მიაწოდა 1839 წელს პლ. იოსელიანმა. მან ეს ძეგლი იპოვა თბილისის სომეხთა არქიეპისკოპოსის კარაპეტის წიგნთსაცავში და გადმოაწერინა იგი ბროსესათვის [282, გვ. 169 და შმდ]. მისი მეორე ნუსხა ბროსემ ნახა 1845 წ. ვენეციაში და აღმოაჩინა, რომ იგი იდენტური იყო თბილისში დაცული ნუსხისა¹. ეს თხზულება მოთავსებული იყო სომხური წელთაღრიცხვით 1123 წ. [უდრის 1674 წელს] გრიგოლ ერეწის მიერ ქ. ვანში გადაწერილ კრებულში.

გასარკვევი იყო საკითხი—მართლა წარმოადგენს თუ არა ეს სომხური თხზულება ქართული მატიანის თარგმანს? ან იქნებ ქართული მატიანე იყო თარგმნილი მისგან? ამ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. თუ დამტკიცდებოდა, რომ ეს ძეგლი ქართულიდანაა თარგმნილი, ვახტანგ VI-ის ავტორობა „ქართლის ცხოვრებისა“ თავისთავად მოიხსნებოდა, ვინაიდან 1675 წელს დაბადებული ვახტანგი არ შეიძლება და ყოფილიყო ისეთი თხზულების ავტორი, რომლის სომხური თარგმანი შესულია 1674 წელს შედგენილ და გადაწერილ კრებულში.

სომხური ტექსტის შესანიშნავი ფილოლოგიური ანალიზით ბროსემ უეჭველ ჰყო, რომ ეს თხზულება „ქართლის ცხოვრების“ შემოკლებულ თარგმანს წარმოადგენდა. ბროსემ მიუთითა, რომ სომხურ ტექსტში ზოგიერთი ქართული სიტყვა ან გეოგრაფიული სახელი გადატანილია არა მათი შესატყვისა სომხური სიტყვით, არამედ თარგმნილია მათი სემანტიკური მნიშვნელობის მიხედვით. ასე მაგალითად, ქართული დედნის

¹ ამ ძეგლის შესამე ნუსხას, დაცულს ეჩმიაძინის ბიბლიოთეკაში ბროსე გაეცნო 1848 წელს და დაათარიღა იგი 1279 — 1311 წლებით. ეს თარიღი გახიარებულია დღესაც [321, გვ. 04].

სიტყვა „ჩრდილოეთი“ სომხურ ტექსტში მისი შესატყვისი სომხური სიტყვით — *չսխս* ით კი არ არის შეტანილი, არამედ თარგმნილია აზრის მიხედვით და „ჩრდილიანი, ბნელა ქვეყნის“ აღმნიშვნელი სიტყვითაა წარმოდგენილი. ასევე გეოგრაფიული სახელები — უფლისციხე, დედაციხე, ტყე—ტბა და სხვა თარგმნილია მათი შინაარსის გამომხატველი სიტყვებით.

იმის ერთ-ერთ საბუთად, რომ სომხური თხზულება იყო თარგმნილი ქართულიდან და არა პირიქით, ბროსეს მიაჩნდა პირველის სიმოკლე მეორესთან შედარებით. მთარგმნელს, როგორც ჩანს, გამოუტოვებია დედნის ზოგიერთი ადგილები. ამავე დროს ჩანდა, რომ სომეხ მთარგმნელს ხელთ ჰქონია „ქართლის ცხოვრების“ რამდენადმე განსხვავებული ვარიანტი. თარგმანში მოიპოვებოდა ზოგიერთი ისეთი დეტალი, რომელსაც არ შეიცავდა ბროსეს განკარგულებაში არსებული ხელნაწერები. ბროსე ფიქრობდა, რომ ის ხელნაწერი. საიდანაც თარგმნა და შეამოკლა სომეხმა მწერალმა „ქართლის ცხოვრება“, უფრო სრულიც უნდა ყოფილიყო.

ამრავად, უდავოა, რომ სომხური „ქართლის ცხოვრება“ („ქართული ისტორია“ — *Պատմութիւն Վրաց*) არის შემოკლებული თარგმანი ქართულიდან და, მაშასადამე, „ქართლის ცხოვრება“-ს ვახტანგ VI-მდე უნდა ეარსება. ამის გარეშე ეს თარგმანი ვერ გაჩნდებოდა.

„ქართლის ცხოვრების“ სიძველის კიდევ ერთ საბუთად ბროსეს მოჰყავს „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის წინასიტყვაობა, სადაც აღნიშნულია, რომ ვახტანგ VI-ის ბრძანებით მოხდა ამ ძეგლის ხელნაწერთა შეკრება („მოიხვნა, რაც რომ ქართლის ცხოვრებანი ჰპოვნა...“) და არა მისი შეთხზვა.

გვიან, „ქართლის ცხოვრების“ შესავალში (1858 წ.) მთელ ამ არგუმენტაციას ბროსემ დაუმატა კიდევ ერთი არგუმენტი. მან ყურადღება მიაქცია რუმეიანეცვისეულ ნუსხაზე არსებულ ერთ მინაწერს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ხელნაწერი გადაიწერა პასკალური ციკლის 397 წელს, რაც უდრის 1709 წელს. ვახტანგი ამ დროს 34 წლის იყო. 1703—1704 წლებში იგი საქანონმდებლო ძეგლზე მუშაობდა. როდისღა

შეეძლო ასეთ ახალგაზრდა კაცს შეეთხზა ეს უზარმაზარი ისტორიული თხზულება — „ქართლის ცხოვრება“, — რომელსაც მას მიაწერენ? — კითხულობს ბროსე.

ბროსე არ უარყოფდა, რომ ვანტანგ VI-მ ამ ძეგლში ზოგიერთი ცვლილება შეიტანა, რომ მან გარკვეული წვლილი დასდო ამ ძეგლის რედაქტირებას, მაგრამ ვინაიდან მას ეს საგანგებოდ არ აღუნიშნავს, ახლა ძნელია, გამოვარკვეოთ, რა ცვლილებებია მის მიერ შეტანილი ამ ძეგლშიო—წერს ბროსე.

ბროსეს ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ აღარ რჩებოდა საფუძველი „ქართლის ცხოვრების“ სიძველისა და მისი სანდოობის უარყოფისათვის. ახლა საჭირო იყო მისი ცნობების კრიტიკული განხილვა, მათი შეჭერება-შემოწმება სხვა წყაროებთან და მათი ღირსების გამორკვევა. ეს სამუშაო ბროსემ ძირითადად შეასრულა თავისი გამოცემის დამატებებში და განმარტებებში. აქ კი, ამ წერილში ხაზი გაუსვა „ქართლის ცხოვრების“ პირველ ნაწილში მოთხრობილი ამბების შესაბამისობას, საერთოდ, ძველი ისტორიის ცნობილ ფაქტებთან.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ბროსემ ასევე პირველად წამოჭრა ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ეს იყო საკითხი ქართლის ცხოვრების შედგენილობის, მისი შემადგენელი ნაწილების შესახებ. ძეგლის ტექსტზე დაკვირვებით ბროსე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ქართლის ცხოვრება“ არ უნდა წარმოადგენდეს ერთ მთლიან, ერთი ავტორის მიერ დაწერილ თხზულებას. მისი ესა თუ ის ნაწილი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირის მიერ უნდა იყოს შეთხზული, ხოლო შემდეგ—გაერთიანებული. ბროსემ სცადა კიდევ გამოეყო ის ნაწილები, რომლებიც ადრე ცალკე თხზულებების სახით უნდა არსებულიყო. ასეთად მიიჩნევდა იგი წმ. ნინოს ცხოვრებას, მოთხრობილს ამ ძეგლში სამი სხვადასხვა პირის—აბიათარის, სიდონიას და სალომე უჯარმელის მიერ. ბროსე ფიქრობდა, რომ თვითოეული ამათგანის მონათხრობი თავის დროზე ცალკე თხზულება უნდა ყოფილიყო. ასევე ცალკე თხზულებებად წარმოუდგენია მას იმ მეფეთა მოღვაწეობის აღწერა, რომელთა შესახებაც ამ ძეგლში დაწვრილებითაა საუბარი (მაგ. ფარნავაზის, ადერკის, მირიანის და ვანტანგ გორგასლის). თუ სხვა მეფეთა ცხოვრებაზე—შენიშნავს ბროსე—ორიოდე სიტყვაა

მხოლოდ ნათქვამი, ამ მეფეთა ცხოვრება ფართოდაა წარმოდგენილი და საფიქრებელია, რომ მათი მოღვაწეობის აღწერა ცალ-ცალკე თხზულებებს წარმოადგენდაო. ეს თხზულებები ბროსეს ამ მეფეთა თანამედროვე ან ცოტა გვიან მცხოვრებ პირთა მიერ დაწერილად მიაჩნია.

თავისი აზრის დასასაბუთებლად ბროსე იმოწმებს „ქართლის ცხოვრების“ ცნობილ მინაწერს: „ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად. ხოლო ვახტანგ მეფითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ-ჯუანშერიანმა...“, საიდანაც ასკვნის, რომ ვახტანგ მეფის ცხოვრების ტექსტს ჰყავს საკუთარი ავტორი — ჯუანშერ-ჯუანშერიანი და ეს ტექსტი საგრძნობლად განსხვავდება ძეგლის სხვა ნაწილებისაგანსო. ასევე უნდა იყოს სხვადასხვა პირთა მიერ შეთხზული ზემოხსენებულ მეფეთა ცხოვრება („აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად“). ცალკე ავტორთა და თანამედროვეთა შეთხზულად მიაჩნია ბროსეს ბაგრატ III-ის, ბაგრატ IV-ის და დავით აღმაშენებლის ისტორიებიც.

როგორც ვხედავთ, ბროსე გვევლინება პიონერად „ქართლის ცხოვრების“ შინაგანი აღნაგობის კვლევის გზაზე. მართალია, მცირე გამონაკლისის გარდა, მან ვერ შესძლო სავსებით სწორი და დასაბუთებული წარმოდგენა მოეცა „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელ ნაწილებზე, მაგრამ მისი უდავო დამსახურებაა მკვლევართა ყურადღების წარმართვა ამ მიმართულებით. სწორედ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის შინაგანი კრიტიკის გზით მივიდა ჩვენი ისტორიოგრაფია დღევანდელ წარმოდგენამდე ამ ძეგლის შედგენილობისა და შემადგენელი ნაწილების შესახებ. ამ მხრივ ბროსეს დამსახურება უდავოა.

დაბოლოს უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ბროსემ ყურადღება მიაქცია „ქართლის ცხოვრების“ წყაროების საკითხსაც. იგი ამ შემთხვევაშიც თვით ამ ძეგლში შემონახულ ცნობებს აკვირდებოდა. იგი, მაგალითად, ყურადღებას აქცევს იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ ჯელალ-ედ-დინის მიერ თბილისის აღებისა და გაძარცვის ამბავი დაწერილებით ჰქონია აღწერილი ვიღაც მღვიმელ ბერს, რომლის სახელი, სამწუხაროდ, შემორჩენილი არ არის. ეს თხზულება, ბროსეს, სიტყვით, „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი წყარო უნდა ყოფილიყო.

„ქართლის ცხოვრებაში“ იხსენიება აგრეთვე სხვა თხზულებებიც: მეფეთა წიგნი, აფხაზთა ისტორია, ძველი წიგნი ქართლისა და სხვ.

ასეთი იყო უკვე 1847 წლისათვის ბროსეს შეხედულებები „ქართლის ცხოვრებაზე“. შემდგომ მუშაობაში ბროსეს ეს თვალსაზრისი არ შეუცვლია და იგი ძირითადად უცვლელად გაიმეორა თავის ცნობილ „Introduction“-ში (1858 წ.). ამ რიგად, როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული შესწავლის საქმეში ბროსეს თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის. მის სახელთანაა დაკავშირებული ამ ძეგლის ძველი დათარიღების გადასინჯვა და მისი შინაგანი ნაწილების კვლევა-ძიების დაწყება. ორივე ეს საქმე გასული საუკუნის შუა ხანებისათვის ქართული ისტორიოგრაფიის დიდმნიშვნელოვან ძვრებს გამოხატავდა. კრიტიკულმა ისტორიოგრაფიამ ახალ საფეხურზე დაიწყო ასვლა.

1849—1858 წლებში ბროსემ შვიდ წიგნად გამოსცა „ქართლის ცხოვრება“. [129] ვჩქარობთ შევნიშნოთ, რომ ეს არ იყო მხოლოდ საკუთრივ „ქართლის ცხოვრების“ პუბლიკაცია. არსებითად ბროსემ ამ სახელწოდების ქვეშ გააერთიანა რიგი ქართული მატრიანეებისა, მასში შევიდა: „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი, ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიული თხზულების მეორე ნაწილი („შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ-სამეფოდ და ხუთ-სამთავროდ...“), მისივე „ქორონიკონები“, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის და ომან ხერხეულიძის თხზულებები და ნაწილი ფარსადან გორგიჯანიძის საქართველოს ისტორიისა. გარდა ამისა ბროსემ ამ გამოცემაში გამოაქვეყნა ზემოხსენებული „სომხური ქრონიკის“ ფრანგული თარგმანი და ასევე თარგმანი დავით ბატონიშვილისა და მისი ძმების მიერ შეკრებილი ისტორიული მასალებისა (XVIII—XIX საუკუნეთა შესახებ). როგორც ვხედავთ ამ პუბლიკაციის სათაური უფრო ვიწროა, ვიდრე მისი შინაარსი. არსებობდა ეს არის „ქართლის ცხოვრებისა“ და სხვა ქართული ისტორიული მატრიანეების კრებული. ამ გამოცემას „ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ პირობით შეიძლება ეწოდოს. მასში შეტანილია ისეთი თხზულებები, რომლებიც არ შედიოდნენ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში.

პირველ ტომში, რომელიც 1849 წელს გამოქვეყნდა, წარმოდგენილია „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი 1469 წლამდე. მას ეწოდება „ძველი მოთხრობა“. ამ ნაწილს ბროსემ წინ წარუძღვარა ვახუშტის თხზულების წინასიტყვაობა, სადაც სწავლული ბატონიშვილი ზოგიერთი ქრონოლოგიური ცნობის დაზუსტებასა და ახსნას იძლევა. ამ ნაწილის ფრანგული თარგმანი მოცემულია მეორე ტომში, რომელიც იმავე წელს გამოვიდა. ორიოდ წლის შემდეგ კი გამოქვეყნდა მესამე ტომი, შემცველი „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილისადმი დართული შენიშვნების, დამატებებისა და განმარტებების. აქ სულ 26 დამატებაა. აქვეა „სომხური ქრონიკის“ ფრანგული თარგმანიც.

მეოთხე ტომი, „ახალი მოთხრობა“, შეიცავს „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილს, ვახუშტის, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძის და ფარსადან გორგიჯანიძის ზემოხსენებულ თხზულებებს. ეს ტომი გამოვიდა 1854 წელს პროფ. დ. ჩუბინაშვილის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით. ამით დ. ჩუბინაშვილმა გაიზიარა ამ მონუმენტური კრებულის გამოცემის ტვირთი და შეუმსუბუქა საქმე ბროსეს, რომელსაც იმხანად ძალიან აწუხებდა თვალების ტკივილი.

მეხუთე ტომში (გამოვიდა 1856 წ.) დაიბეჭდა ვახუშტას ნაშრომისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების ფრანგული თარგმანი. აქვე დაბეჭდილია „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილისათვის დართული ცხრა დამატება. მეოთხე ტომის დანარჩენი მასალისა და დავით ბატონაშვილის ისტორიული მასალების ფრანგული თარგმანი გამოქვეყნდა მეექვსე ტომის სახით 1857 წ. ამავე ტომში დაიბეჭდა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილის კიდევ 8 დამატება (სულ, მამასადაძმე, მეორე ნაწილს დართული აქვს 17 დამატება). დაბოლოს, 1858 წელს ბროსე ცალკე წიგნად აქვეყნებს მთელი ამ გამოცემის წინასიტყვაობასა და საძიებლებს. ასეთია ამ მონუმენტური კრებულის შედგენილობა.

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტი ბროსემ თავისებურად გამართა. როგორც უკვე ვთქვით, მან საფუძვლად აიღო ფლანდრიშვილისეული ნუსხა, რომელიც ყველა სხვა ნუსხაზე ვრცელი იყო. შემდეგ ამ ხელნაწერის ტექსტში ბროსემ შექა-

ნიკურად ჩართო ის განსხვავებული ადგილები, რომლებიც მოიპოვებოდა დანარჩენ ორ ნუსხაში, ჩართო ისე, რომ არ მიუთითა, თუ რომელი ნუსხიდან შემოჰქონდა ესა თუ ის ადგილი. იგი კმაყოფილდება მხოლოდ ცალკეული სიტყვების კითხვასხვაობის მითითებით და ისიც არა ყოველთვის. ამის შედეგად გამოვიდა ერთგვარი კომპილაცია, რომელიც არც ერთ მანამდე არსებულ ნუსხას არ ემთხვეოდა. ამ ახალ ნუსხას შემდეგში „ბროსესული“ ნუსხა შეერქვა. გამოცემისათვის ასეთი ტექსტის გამზადება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს. სწორედ ამას მოჰყვა ის „ზოგიერთი უცნაურობანი“. რომელთაც კ. გრიგოლია ამ ნუსხაში უთითებს (ზოგიერთი მოვლენის აღწერა ერთდროულად ორი სხვადასხვა ვარიანტით, სათაურებში მეფეთა ორმაგი სათვალავის შეტანა და სხვ.) [309, გვ. 190—194].

ბროსე თავისებურად ხსნიდა თავის ამ ნაბიჯს. იგი ფიქრობდა, რომ ვინაიდან „ქართლის ცხოვრება“ კოლექტიური შრომის ნაყოფს წარმოადგენდა, არც ერთი ხელნაწერის ტექსტის უცვლელად დაბეჭდვა არ იქნება გამართლებული. მხოლოდ არსებული ხელნაწერების საფუძველზე სრული რედაქციის შექმნას შეუძლია მთლიანად ასახოს ყველა ავტორის თუ რედაქტორის მიერ ამ ძეგლზე გაწეული მუშაობა. ამით ამართლებდა იგი კომპილაციური ტექსტის შექმნას.

ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ბროსეს, რომ ყველა ხელნაწერში წარმოდგენილი კითხვა-სხვაობისა და განსხვავებათა ჩვენება ძეგლის კრიტიკული გამოცემისას მართლაც აუცილებელია, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა იმ სახით, როგორც ეს მან გააკეთა. ასეთ შემთხვევაში ზუსტად უნდა ყოფილიყო მითითებული რომელი ხელნაწერიდან რა ადგილი შემოაქვს გამომცემელს ძირითად ტექსტში, რათა ამა თუ იმ ნუსხის თავდაპირველი სახე მთლიანად არ გაქრეს მკითხველის თვალსაწიერადან, ბროსემ კი ეს სამუშაო მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა, მხოლოდ ზოგიერთ ადგილას მიუთითა რედაქციული კითხვა-სხვაობანი ან ამა თუ იმ ხელნაწერის სიმეტრიკულულოვანებანი. ტექსტი კი ძირითადად კომპილაციური დარჩა და ამაშია ბროსეს გამოცემის ძირითადი ნაკლი.

ბროსემ ხელოვნურად გაჰყო „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი ორ ნაწილად და მიჯნად 1469 წელი აიღო. ამ შემთხვევაში იგი ვახუშტი ბაგრატიონის გზას გაჰყვა და მექანიკურად გაიმეორა სწავლული ბატონიშვილის დაუსაბუთებელი ნაბიჯი. 1469 წელს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფია შეცდომით მიიჩნევდა ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის თარიღად და, მამასადამე, ძველი და ახალი პერიოდების წყალგამყოფ ხაზად. ეს ტრადიცია ვახუშტიმ დაამკვიდრა ჩვენს ისტორიოგრაფიაში და იგი დიდხანს შერჩა მას. იგი გაიმეორეს ქართველმა ბატონიშვილებმა (დავითი, ვახტანგი), ნიკო დადიანმა და სხვა ისტორიკოსებმა. ეს ტრადიცია ვერც მარი ბროსემ გადალახა.

„ქართლის ცხოვრების“ და სხვა მატრიანეების ფრანგულ თარგმანს ახლავს გამომცემლის მრავალრცხოვანი შენიშვნები, რომლებიც განმარტავენ, ავსებენ ძეგლის ცნობებს, ადარებენ მათ სხვა წყაროთა მონაცემებს. ამაში იყო, ბროსეს აზრით, ისტორიული ძეგლის კრიტიკული გამომცემის არსი. საკუთრივ ძეგლის ტექსტის ფილოლოგიურ-ლინგვისტური და ისტორიული ანალიზის აუცილებლობაზე მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შემუშავებული წარმოდგენა.

ქართული ისტორიული მატრიანეების ამ მონუმენტური კრებულის პუბლიკაცია გასული საუკუნის შუა ხანებისათვის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თვალსაზრისით ეპოქალურ მოვლენას წარმოადგენდა. საქართველოს ისტორიით დაინტერესებულმა მკითხველმა მიიღო პირველხარისხიანი ძეგლი ქართველი ხალხის გმირული წარსულის შესახებ, ძეგლი, რომელიც ძირითადი წყაროა, ფუნდამენტია საქართველოს ისტორიისა. დიდი ერუდიციითა და გულმოდგინეობით შედგენილი შენიშვნები, დამატებები და განმარტებები, საშუალებას უქმნიდნენ მკითხველს გაეთვალისწინებია ამ კრებულის მეცნიერული ღირებულება და მნიშვნელობა. დიდხანს, ძალიან დიდხანს (და ნაწილობრივ დღესაც) ბროსეს ეს პუბლიკაცია საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირთა უპირველეს სამაგიდო წიგნსა და ცნობარს წარმოადგენს.

2. დამატებები და განმარტებები

ბროსეს მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრება“ ანუ ძველი ქართული მატიანეების კრებული შედგება სამი ნაწილისაგან: დედნის ენაზე დაბეჭდილი ძველებისაგან, მათი ფრანგული თარგმანისაგან და გამომცემლის მიერ დართული დამატებებისა და განმარტებებისაგან. ეს უკანასკნელი—განმარტებები და დამატებები—წარმოადგენს ბროსეს ხანგრძლივი ორიგინალური კვლევა-ძიებითი მუშაობის ნაყოფს, სადაც ავტორმა თავი მოუყარა უამრავ საკონტროლო და დამატებით მასალეს, დააჯგუფა ისინი ცალკეული საკითხების მიხედვით, კრიტიკულად განიხილა და განმარტა. ეს მასალები ამოკრებილია საოცრად მრავალგვარი და მრავალფეროვანი წყაროებიდან, მრავალი მათგანი პირველად იქნა გამოყენებული და გამოქვეყნებული. ისინი ამოწმებენ და ავსებენ ქართული მატიანეების ამა თუ იმ ნაწილს, ამდიდრებენ მათ ცნობებს და საშუალებას იძლევიან, ვიმსჯელოთ ამ მატიანეთა ავტარგზე.

მაგრამ ზოგიერთი დამატება სცილდება ასეთ სპეციალურ მიზანდასახულებას და არა მარტო მასალების თვალსაზრისითაა საინტერესო, არამედ ავტორის დაკვირვებებით, მსჯელობით და ამა თუ იმ საკითხზე გამოთქმული ორიგინალური თვალსაზრისით. ეს დამატებები დამთავრებულ და მისი დროის კვალობაზე მაღალ დონეზე შესრულებულ ნარკვევებად გვევლინებიან.

სულ, როგორც აღვნიშნეთ, ბროსემ გამოაქვეყნა 43 დამატება, ამთგან „ქართლის ცხოვრების“ პირველ ნაწილს, 1469 წლამდე დაურთო 26 დამატება, მეორე ნაწილს—„ახალი მოთხრობა“—17 დამატება. მათ შედგენაზე ბროსემ მუშაობა დაიწყო მასალების შეკრების პარალელურად და რამდენიმე მათგანი ადრევე გამოაქვეყნა ცალკე წერილების სახით. ასეთებია: ნარკვევი ბაგრატიონთა წარმომავლობისა და მათი ადრეული თავგადასავლის შესახებ [90], შენიშვნა თამარ მეფის რუს უფლისწულზე გათხოვების შესახებ [91], ქრონოლოგიური ძიება აფხაზთა კათალიკოსების შესახებ [93], ნარკვევი ვახტანგ VI-ის მეფობის უკანასკნელი სამი წლის ამბებზე [104] და სხვა.

დამატებათა ქრონოლოგიური საზღვრებია V—XVIII საუკუნეები. წინარე ხანის მოვლენები ბროსეს არ უქცევია სპეციალური განხილვის ' -გნად. ყველაზე ადრეული მოვლენა, რომელსაც ეხება იგი ამ დამატებებში, არის ქართველ-სომეხთა ბრძოლა სპარსეთის აგრესიის წინააღმდეგ V საუკუნეში. უკანასკნელი დამატება კი ეხება ერეკლე II-ის მიწერ-მოწერას გენ. პოტიომკინთან XVIII საუკუნის 80-იან წლებში.

ისმის საკითხი—რატომ დასტოვა ბროსემ განმარტებებისა და დამატებების გარეშე „ქართლის ცხოვრების“ ის ნაწილი, რომელიც ქართველთა უძველეს ისტორიას ეხება? რატომ მაინცდამაინც V საუკუნის მოვლენებით დაიწყო მან ამ ძეგლის კომენტირება? ვფიქრობთ, ამისი ძირითადი მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ ქართველთა ისტორიის ეს უძველესი პერიოდი კრიტიკულად უკვე იყო განხილული თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომში [322] და ბროსე, როგორც ჩანს ზედმეტად თვლიდა ქართველთა უძველესი ისტორიის საკითხებზე სპეციალურად და დაწვრილებით შეჩერებას. ბროსემ სწორედ იმ პერიოდიდან დაიწყო ქართლის ცხოვრების კომენტარების შედგენა, რომლითაც დაამთავრა თეიმურაზ ბატონიშვილმა და როგორც ჩანს, იგი თვლიდა, რომ თეიმურაზის მიერ დაწყებულ საქმეს აგრძელებდა.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ამ დამატებებისა და განმარტებების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის დოკუმენტური ბაზის გაფართოებისათვის და ცალკეული საკითხების კრიტიკული შესწავლისათვის, საჭიროდ მიგვაჩნია გავეცნოთ მათში გამოქვეყნებულ მასალებს და მათ საფუძველზე ბროსეს მიერ ჩატარებულ კვლევა-ძიებათა შედეგებს.

მიეყვით საკითხებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ქართველების ბრძოლა სპარსეთის აგრესიასთან V საუკუნის მეორე ნახევარში, ვანტანგ გორგასლის დროს, მეტად მკრთალადაა ასახული „ქართლის ცხოვრებაში“. ზოლო ამ ბრძოლაში ქართველ-სომეხთა კავშირისა და ერთობლივი გამოსვლის შესახებ საერთოდ არაფერია ნათქვამი. ამავე დროს ეს მოვლენები დაწვრილებით და ვრცლადაა გაშუქებული სომეხი ისტორიკოსების—ლაზარე ფარპელისა და ელიშეს თხზულებებში. მათ აღწერილი აქვთ იუზდიგერდ მეორის აგრესი-

ული პოლიტიკა ამიერ-კავკასიის ხალხთა მიმართ, მისი მინისტრის მიჰრ-ნერსეჰის მიმართვა სომეხი ეპისკოპოსებისადმი ქრისტიანობის უარყოფის მოთხოვნით, სომეხთა აჯანყება ვარდან მამიკონიანის მეთაურობით, ვარდანის დაღუპვა, ვაჰან მამიკონიანის ჩადგომა ბრძოლის სათავეში, დაკავშირება ქართველებთან, ვანტანგ გორგასლის მოსვლა და სომეხ-ქართველთა ერთობლივი ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ. ბროსეს თავის III დამატებაში მოჰყავს ეს ცნობები სათანადო კომენტარებითა და განმარტებებით. ძნელია, კაცმა გადაჰარბებით შეაფასო ამ ცნობების მნიშვნელობა V საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის. მათი წყალობით ჩვენი წარმოდგენა ამ ეპოქის ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენების—ირანის აგრესიასთან ბრძოლის შესახებ ნამდვილ მეცნიერულ საფუძველზე დგება.

ამავე დამატებაში ბროსე ზემოხსენებული სომეხი ისტორიკოსების ვინაობასა და ბიოგრაფიასაც ეხება. თვლის მათ მამიკონიანთა საგვარეულოს წევრებად და იმეორებს იმჟამად გავრცელებულ შეხედულებას, რომ ელიშეს ეყუთვნოდა მხოლოდ 442—461 წლების მოვლენათა აღწერა, ლაზარე ფარბელს კი მომდევნო ხანისა. დღეს ეს შეხედულება გადასინჯულია [323], მაგრამ ბროსეს ამ ნარკვევს თავისი დროისათვის უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საქართველოს, არამედ სომხეთის წარსულით დაინტერესებულ პირთათვის.

ასე შეივსო ამ დამატების წყალობით ერთი ხარვეზი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში, შეივსო პირველხარისხოვანა ისტორიული მასალებით.

„ქართლის ცხოვრება“ თითქმის არავითარ ცნობას არ იძლეოდა ისეთ საყურადღებო მოვლენაზე, როგორცაა VI საუკუნეში ბიზანტიასა და ირანს შორის გაჩაღებული დიდი ომიანობა დასავლეთ საქართველოში, ე. წ. ლაზიკის სამეფოში. ამ მოვლენის შესახებ კი დიდძალი ცნობები მოეპოვებოდათ ბიზანტიელ ისტორიკოსებს. ეს ცნობები არ იყო უცხო ორიენტალისტებისათვის, მათ იყენებდა ლეზო, დიუბუა დე მონპერო. სტრიტერს გამოქვეყნებული ჰქონდა ბიზანტიელ ისტორიკოსთა ცნობები საერთოდ VI საუკუნის ირან-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ. ბროსემ საჭიროდ დაინახა ამ ცნობების შემოტანა „ქართლის ცხოვრების“ პუბლიკაციაში და IV

დამატების სახით მათ საფუძველზე იგი იძლევა ამ ომიანობის დაწვრილებით აღწერას. მას აქ საუბარი აქვს ქართლის ცხოვრების ცნობებზე ეგრისის უძველესი თავგადასავლის შესახებ, ბიზანტია-ირანის წინააღმდეგობებზე ლაზიკაში, სპარსელების შეჭრაზე. ლაზების აჯანყებაზე; სპარსელების დამარცხებაზე, ლაზიკის ამა თუ იმ პუნქტის (პეტრას, ფაზისის, ინსულას) ადგილმდებარეობაზე და სხვა საკითხებზე. ბროსე აღნიშნავს, რომ ლაზიკის საკითხით მეცნიერები ადრეც იყვნენ დაინტერესებულნი, რომ უკვე არსებობს ბერძენ ავტორთა ცნობების კრიტიკული განხილვა (დიუბუასი), ნაშრომი ლაზური ენის შესახებ (როზენისა) და სხვა ლიტერატურა.

ამ დამატების მეორე ქვეთავად ბროსე ბექდაჯს ლაზიკის ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვას, სადაც ბიზანტიელ ისტორიკოსთა ცნობებთან შეჯერებით გამოყენებულია ვახუშტის ცნობებიც. ეს გეოგრაფიული მიმოხილვა ბროსეს გამოქვეყნებული ჰქონდა ჯერ კიდევ ადრე 1839 წ., როცა მან რუსეთის აკადემიას ვახუშტის გეოგრაფიული ნაშრომის გამოქვეყნების გეგმა წარუდგინა [73].

ლაზიკის სამეფოს შესახებ ისტორიული ცნობების შეკრება-გამოქვეყნებისა და ამ პოლიტიკური ერთეულის მეცნიერული შესწავლის მნიშვნელობა ბროსეს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული. ლაზიკის ისტორიას, მისი სიტყვით, მკიდრო კავშირი ჰქონდა აფხაზთა სამეფოს წარმოქმნასთან, ბაგრატიონთა თავგადასავალთან, იგი ავსებდა და აცოცხლებდა ადრე შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ბუნდოვან ფურცელს.

ბროსემ უცხოური ცნობებით „ქართლის ცხოვრების“ კიდევ ერთი ხარვეზი შეაუზო. ამჯერად იგულისხმება ის დიდი საეკლესიო განხეთქილება, რომელიც მოხდა ქართველებსა და სომხებს შორის VI—VII საუკუნეთა მიჯნაზე. მეტად ძვირფას ცნობებს ამის შესახებ მან მიაგნო X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის უხტანესის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ნაშრომში — ისტორია ქართველთა განყოფინა სომეხთაგან, რომლის ერთ-ერთი ხელნაწერი აზიურ მუზეუმში იყო დაცული.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ამ

ამბავზე სრულიად არაფერია ნათქვამი, ხოლო არსენ კათალიკოსის თხზულება ამავე საკითხზე ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი მეცნიერთათვის, ნათელი გახდება უხტანესის ცნობების გამოქვეყნების მნიშვნელობა, მიუხედავად იმისა, რომ, ი. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ცნობებს „სარწმუნოებრივ-ეროვნული ტენდენციის დაღი აზის“. უხტანესის ცნობების საფუძველზე დაიწერა მეხუთე დამატება. აქ ბროსე ამ ცნობების გადმოცემასთან ერთად განმარტავს რაგ გეოგრაფიულ და ქრონოლოგიურ მოვლენებს (მაგ. გუგარკოს, ცურტავს, განხეთქილების თარიღს და სსვ.).

შემდეგი სამი დამატების მასალა ბროსემ უკვე ქართული ხელნაწერებიდან ამოკრიფა. მეექვსე დამატება ქართლში სირიელ მამათა შემოსვლის საკითხს მიუძღვნა. იმხანად ამ საკითხს გაკვირით შეეხო პლ. იოსელიანი [314] და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ მოვლენას V საუკუნის შუა ხანებში უნდა ჰქონოდა ადგილი. ბროსე უარყოფს ამ აზრს. იგი ამტკიცებს, რომ სირიელი მამები ქართლში VI საუკუნეში უნდა მოსულიყვნენ, ვინაიდან, ჯერ ერთი, იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში მოხსენებული ქართლის მეფე ფარსმანი VI საუკუნის მოღვაწე იყო და შემდეგ ამავე საუკუნეში მოღვაწეობდა სეიმონ მესვეტე, რომელთანაც სირიელ მამებს რალაც ურთიერთობა ჰქონიათ. ეს თარიღი დღესაც გაზიარებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ბროსემ სცადა, უფრო მიახლოებით დაეთარიღებია სირიელ მამათა ქართლში მოსვლის ამბავი. მას მიაჩნია, რომ იოანე ზედაზნელი და ანტონ მარტყოფელი ქართლში 540 წელს მოვიდნენ, ხოლო აბიბოს ნეკრესელი და სხვები ცოტა გვიან 565—600 წლებს შორის. შემდეგ ბროსე გადმოსცემს სირიელ მამათა (იოანეს, დავითის, შიოს, აბიბოსის, ანტონის და იოსების) მოღვაწეობას ქართლში, მათ მიერ მონასტრის დაარსებას, მოსწავლე-მიმდევართა გაჩენას და სხვა მოვლენებს.

ამავე დამატებაში გამოთქმულია მოსაზრება ზოგიერთი სირიელი მამის ცხოვრების ავტორთა ვინაობის შესახებაც. ბროსე თვლიდა, რომ აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება არსენ დიდი კათალიკოსის (IX საუკ.) დაწერილი უნდ იყოს, შიო მღვიმელის ცხოვრება კი—იოანე კოსტანტინეპოლელისა. იოა-

ნე ზედაზნელის ცხოვრების თავდაპირველი ტექსტი დაკარგულა—ამბობს ბროსე, X საუკუნეში იგი განუახლებია უცნობ არსენ კათალიკოსს და ამ სახით მოაღწია მან ჩვენამდეო.

ცნობები სირიელ მამათა შესახებ ბროსემ ამოიღო წმინდანთა ცხოვრების კრებულიდან, რომელიც მეტაფრასტული ხელნაწერი იყო და გვიან საფუძვლად დაედვა მ. საბინინის ცნობილ წიგნს: „საქართველოს სამოთხე“.

ამავე ხელნაწერიდანაა ამოღებული აბო თბილელის ცხოვრება, რომლის ცნობებიც მეშვიდე დამატებაშია წარმოდგენილი. ბროსე დაწვრილებით იხილავს აბოს ცხოვრების ქრონოლოგიას, ადგენს VIII საუკუნის 70—80-იანი წლების ქართლის მმართველთა (ერისთავთა) გენეალოგიას და ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს იოანე საბანისძის ცნობებს მათი სანდოობის თვალსაზრისით. ბროსე აქებს, აგრეთვე იოანეს შესანიშნავ ენასა და სტილს.

მერვე დამატებაში წარმოდგენილია ნეოფიტე ურბნელის ცხოვრება და წამება (VIII საუკ.) ამოღებული კათალიკოზ ანტონ I-ის „მარტირიკი“-დან.

დამატებებში განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი მასალაა წარმოდგენილი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესახებ. ეს მასალა ძირითადად ბაგრატიონთა წარმოშობის, მათი გამეფებისა (IX დამატება) და ამ დინასტიის სხვადასხვა წარმომადგენელთა მეფობის მიხედვითაა დაჯგუფებული. ბროსეს, მცირე გამოწაკლისით, ცალ-ცალკე აქვს განხილული გაერთიანებული საქართველოს მეფეთა მოღვაწეობის შესახებ არსებული ცნობები: ბაგრატ III-ის (X დამატება), გიორგი I-ის (XI დამატება), ბაგრატ IV-ის (XII დამატება) დავით აღმაშენებლის (XIII დამატება), დიმიტრის და მისი შვილის დავითის (XIV დამატება), გიორგი მესამის (XVI დამატება), თამარის (XVII დამატება), გიორგი ლაშას და რუსუდანის (XVIII დამატება). სპეციალური ნარკვევია მიძღვნილი ქ. თბილისის მაჰმადიან მმართველთადმი (XV დამატება), ორბელიანთა საგვარეულოსადმი (XIX დამატება) და ქსნის ერისთავთა წარმოშობის საკითხისადმი (XXI დამატება). თემურ-ლენგის ამოხრებელი შემოსევებიც საგანგებო განხილვის ობიექტად გახდა (XXII დამატება), ასევე თემურის შემკვიდრებისა,

ვიდრე 1459 წლამდე (XXIII დამატება). ზოგიერთი ისტორიკოსის თხზულებათა ნაწყვეტები კი ცალკე დამატებების სახით აქვს დართული „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილს. ასეთებია: კირაკოზ განძაკელის (XXIV დამატება), მალაქია აბელას (XXV დამატება) და მოსე კალანკატუელის (XXVI დამატება) თხზულებებიდან ამოღებული ნაწყვეტები.

ენახოთ, რა მასალებია წარმოდგენილი ამ დამატებებში, რა მოსაზრებებია გამოთქმული საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხზე.

ბაგრატიონთა წარმომავლობის შესახებ „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა შესამოწმებლად ბროსეს მოჰყავს კოსტანტინე პორფიროგენტის ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ ბაგრატიონები ებრაელთა მეფის დავითის ჩამომავლები არიანო. ეს აზრი—ბიბლიურ პერსონაჟებთან ბაგრატიონთა ნათესაობის შესახებ, გამოთქმულია ეახუშტი ბატონიშვილის მიერაც. განსხვავება მხოლოდ დეტალებშია. სომხური წყაროები კი რამდენადმე განსხვავებულ ცნობებს იძლევიან: მათი მიხედვით ბაგრატიონთა წინაპარი იყო ვინმე სუმბატი, მცხოვრები ნაბუქოდონოსორის ეპოქაში (VII საუკ. ძვ. წ. ა.) რომლის ერთ-ერთი ჩამომავლის — ბაგრატის სახელი დაედვა საფუძვლად ბაგრატიონთა გვარ-სახელს. ამ ბაგრატს ვალარშაკის დროს [149—127 წ. ქრისტეს წინ] უნდა ეცხოვრა და ამ უკანასკნელისაგან უნდა მიეღო წყალობად სპერის მხარე.

ბროსე ფიქრობს, რომ ქართული (და ბიზანტიური) ტრადიცია ბაგრატიონთა ბიბლიური წარმოშობის შესახებ მოკლებულა რეალურ საფუძველს. უფრო მართებული უნდა იყოს სომხურ წყაროებში დაცული ცნობები მათი წარმოშობის შესახებ.

ბაგრატიონთა შემდგომ თავგადასავალს ბროსე გადმოგვცემს სომხური წყაროებისა და კოსტანტინე პორფიროგენეტის ცნობების მიხედვით. იგი თითქმის მთლიანად თარგმნის კოსტანტინე პორფიროგენეტის თხზულების („De administrando imperio“) შესაბამის თავებს (45-ე და 46-ე თავებს), ადგენს ბაგრატიონთა გენეალოგიას კოსტანტინეს ცნობების საფუძველზე და ადარებს ასეთსავე გენეალოგიას შცდგენილს „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით. მესამე გენეალოგიურა

ტაბულა ბროსეს შედგენილი აქვს სომხური ცნობების მიხედვით. ბროსე ასკვნის, რომ ბაგრატიონთა თავგადასავალი ბიზანტიური და სომხური წყაროების მიხედვით თითქმის ერთნაირად წარმოგვიდგება, რომ ეს წყაროები ადასტურებენ ქართლის, სომხეთის და აფხაზეთის ბაგრატიონთა საერთო წარმომავლობას, მათ ნათესაობას.

ევროპულ ქართველოლოგიაში ბაგრატიონთა წარმომავლობით და თავგადასავალით ბროსემდეც იყვნენ დაინტერესებული (ლ. ინჰიჰიანი, პ. ბუტკოვი), მაგრამ ასეთი ვრცელი და საფუძვლიანი კვლევა ამ საგვარეულოს ადრეული ისტორიისა არავის არ უწარმოებია. ამ მხრივ ბროსეს ეს ნაშრომი (მისი გენეალოგიური ტაბულებითურთ) ფუძემდებლური ღასიათისაა.

ბაგრატ III-ის მეფობის დროიდან ბროსეს აინტერესებდა საკითხი იერუსალიმში ქართველთა დამკვიდრების, მონასტრების მშენებლობისა და სამონასტრო ცხოვრების ჩასახვა-განვითარების შესახებ. ამ საკითხზე მას ტიმოთე გაბაშვილის ცნობები მოჰყავს: სათანადო ახსნა-განმარტებებით და კომენტარებით. შემდეგ ტიმოთეს ბიოგრაფიასაც გადმოსცემს და ადგენს მისი მოგზაურობის თარიღებს („მომოსლვის“ ტექსტში წარმოდგენილი შინაგანი ქრონოლოგიის მიხედვით).

შემდგომი ეპოქიდან (გაორგი I) ბროსეს ყურადღების საგანია ქართველ-სომეხთა ურთიერთობა და ბრძოლა ბიზანტიის აგრესიის (ბასილი I-ის) წინააღმდეგ. აქ უკვე იგი რამდენიმე სომეხი ისტორიკოსის ცნობებს ემყარება: ასოლიკს, არისტარკეს ლასტივერტელს, მათე ედესელს, ვარდანს და სხვ. ბროსე საგანგებოდ ჩერდება კლდეკართა ერისთავების ისტორიაზე, გადმოსცემს მათ თავგადასავალს IX საუკუნიდან დავით აღმაშენებლამდე. ბროსე ხარკს უხდის იმ დროს გავრცელებულ აზრს ამ ერისთავთა ორბელიანობის შესახებ (დამკვიდრებულს სტეფანოზ ორბელიანის წყალობით) და ზემოაღნიშნულ პერიოდს ამ საგვარეულოს ისტორიის პირველ პერიოდად მიიჩნევს. აქაც ბროსე არ ღალატობს თავის მეთოდს და ადგენს კლდეკარის ერისთავთა („ორბელიანთა“) გენეალოგიას სტეფანოს ორბელიანის თხზულებსა და „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით.

XI საუკუნის შუა ხანებში ახლო-აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნებს თავს დაატყდა თურქ-სელჯუკთა გამანადგურებელი შემოსევები. სელჯუკებთან ბრძოლაში მარცხი განიცადეს ბიზანტიამაც და საქართველომაც. ბროსე თავს უყრის სომეხი და ბიზანტიელი ავტორების ცნობებს ამ მოვლენების შესახებ (მათე ედესელი, ვარდანი, სტეფანიაზ ორბელიანი, კედრენი და სხვ.), ყურადღებას ამახვილებს კლდეკარის ერისთავის ლიპარიტის მონაწილეობაზე ამ ბრძოლებში და იძლევა უმთავრეს მოვლენათა თარიღებს.

დავით აღმაშენებლის მეფობისა და დიდგორის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ ბროსეს პირდაპირ მოაქვს ამონაწერები სომეხი და არაბი ისტორიკოსების თხზულებებიდან: მათე ედესელი, ვარდანი, იაყუთი, მოჰამედ ელ ჰამეკი, აბულ ფარაჯი, აბულ-ფედა, ელ-სეჰები, იბნ-კესირი, იბნ-ხალდენი, ელ-აინი, ჰაჯი ჰალფა და სხვანი. ამათგან ბროსე საგანგებო ყურადღებას უთმობს მათე ედესელსა და მის თხზულებას, რომელიც იმხანად ჯერ კიდევ არ იყო მთლიანი სახით გამოქვეყნებული¹. სათანადო მოვლენების ქრონოლოგია დამატებითა ამ ნაწილსაც ერთვის.

ფრიად საინტერესოა თბილისის მაჰმადიან მმართველთა ორი სია, შედგენილი ლევონდისა და ასოლიკის ცნობების მიხედვით, რომელიც ბროსემ XV დამატების სახით გამოაქვეყნა.

საკმაოდ ვრცელი ნარკვევები უძღვნა ბროსემ გიორგი III-სა და თამარის მეფობის ხანას. ბრძოლა ჩრდილოეთ სომხეთის მიწების განთავისუფლებისათვის (ანისი, დვინი), დემნა ბატონიშვილის შეთქმულება და მისი შედეგები, გიორგისა და თამარის მეფობის უმთავრესი თარიღები, მხარგრძელთა საგვარეულოს ისტორია, თამარის გათხოვება რუს უფლისწულზე და დავით სოსლანზე—ეს და სხვა საკითხები საგანგებო კვლევის ობიექტადაა ქცეული ამ დამატებებში. სომხური და არაბული ცნობების გვერდით აქ რუსული მათიანეების ცნობებიცაა გამოქვეყნებული (იზიასლავის შესახებ). უხვადაა გამოყენებუ-

¹ ნაწყვეტები ჯვაროსანთა ლაშქრობების შესახებ მათე ედესელის თხზულებიდან შეტანილი რეოლანდო კრეზულში სილვესტო დე სასისა და დიულორიეს მიერ, ხოლო 1828 წ. ამ უკანასკნელმა სრულად გამოაქვეყნა მათე ედესელის თხზულების ფრანგული თარგმანი (იხ. გვერთო).

ლი სათანადო ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალებიც-
მრავალი დაკვირვება, მრავალი შენიშვნა უდავოდ საყურად-
ღებო, ანგარიშგასაწევი და გასათვალისწინებელია ამ საკითხე-
ბის სპეციალური კვლევის დროს. მათი ჩამოთვლა ჩვენ ახლა
შორს წაგვიყვანს. როგორც წესი, ქრონოლოგიური და გენეა-
ლოგიური ტაბულები ამ დამატებებსაც ახლავს.

მდიდარი წყაროებითაა წარმოდგენილი მონღოლებისა
და ჯელაღდინის შემოსევები საქართველოში. ბროსე აქ
იყენებს სომეხ ავტორთა თხზულებებს (ვარდანს, კირაკოზ
განძაკელს, მალაქია აბელას, მიქაელ ასორის, ჰეთუმს და
სხვებს) და აგრეთვე ნესევის თხზულებას ხორეზმშაჰების (ჯე-
ლაღედდინის) შესახებ. აქვე ბროსეს შემოაქვს დასავლეთ ევ-
როპული წყაროები. კერძოდ, იგი აქვეყნებს რუსუდანის წე-
რილს რომის პაპისადმი, შემონახულს რეინალდის მასალებში
(XVII ს.). შემდეგ მოაქვს ისტორიკოს სანუტის ცნობები ამა-
ვე საკითხზე და ქართველთა მონაწილეობაზე მონღოლთა ლაშ-
ქრობებში.

დავით ულუსა და დავით ნარინის მონღოლეთში გამგ-
ზაერებისა და ამის შემდეგდროინდელი ამბების შესახებ XVIII
დამატებაში ჩართულია ვრცელი ნაწყვეტი სტეფანოზ ორბე-
ლიანის ისტორიიდან, ხოლო ამ ისტორიის ბოლო ნაწილი და
ორბელიანთა გენეალოგია, რომელიც შედგენილია სტეფანო-
ზის თხზულებისა და სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების სა-
ფუძველზე, შეადგენს ცალკე დამატების შინაარსს.

მონღოლთა ბატონობის შემდგომი ხანა ვიდრე ერთი-
ანი ქართული სამეფოს დაშლამდე დამატებებში წარმოდგენი-
ლია თემურ ლენგის ისტორიკოსის შერეფ-ედ-დინის თხზუ-
ლებით. ვრცელ ამონაწერს ამ თხზულებიდან ბროსე ურთავს
მკირე კომენტარებს და შემდეგ კი დაწვრილებით გადმოსცემს
XV საუკუნის მოვლენებს უპირატესად სომხური და სპარსუ-
ლი საისტორიო მწერლობის მონაცემებზე დაყრდნობით. ამ
დამატებაში იგი იყენებს ლათინურ წყაროებსაც, შექმნილს
აღმოსავლეთის ქვეყნებში ნამყოფ მისიონერთა მიერ.

როგორც ამ ეპოქის ძეგლს, ბროსე ერთ-ერთი დამატების
სახით ბეჭდავს „ძეგლი ერისთავთა“-ს ფრანგულ თარგმანს.
იგი ამ ძეგლს უაღრესად საყურადღებო წყაროდ თვლის, მაგ-

რამ თავს იკავებს მისი დეტალური განხილვისაგან. როგორც აღვნიშნეთ, ბროსეს ხელთ ჰქონდა დ. მეღვინეთხუცესიშვილის მიერ მისთვის გაგზავნილი დედანი ამ ქეგლისა [შდრ. 325]

✓ ერთი სიტყვით, „ქართლის ცხოვრების“ ამ პირველ ნაწილთან დაკავშირებით, ბროსეს არ გამოუტოვებია თითქმის არც ერთი იმ დროს ცნობილი ისტორიული წყარო (გამოცემული თუ გამოუცემელი) სომხური, ბერძნული, სპარსული და არაბული საისტორიო მწერლობიდან, რომელთა გამოყენებაც კი შეიძლებოდა XI—XV საუკუნეთა საქართველოს ისტორიის გასაშუქებლად. ამ წყაროების შემოკრებით მან მნიშვნელოვნად შეავსო „ქართლის ცხოვრების“ ცნობები ამ პერიოდის შესახებ, ასე თუ ისე გააარკვია მრავალი ქრონოლოგიური და გენეალოგიური საკითხი, გაათართოვა საქართველოს ისტორიის დოკუმენტური ბაზა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს წყაროები არ იყო გამოქვეყნებული დედანთა ენაზე, ხოლო ბროსესეული მათი ინტერპრეტაცია ყოველთვის არაა დაზღვეული შეცდომისაგან, ამ სახითაც კი ისინი დიდად უწყობდნენ ხელს საქართველოს ისტორიის ფაქტოლოგიურ გამართვას, მის დაფუძნებას მეცნიერულ საფუძვლებზე, მის შემუშავებას ეპოქის მოთხოვნილებათა მიხედვით.

ასეთივე შინაარსის მუშაობა ჩაატარა ბროსემ „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილის შესავსებად და შესამოწმებლად. მან ამ ნაწილს დაურთო 17 დამატება, შედგენილი სხვადასხვა წყაროებისა და ნასალების საფუძველზე.

XIX საუკუნის დასაწყისში ვარშავაში ერთ-ერთმა სწავლულმა არქივში აღმოაჩინა რუსული თარგმანი კოსტანტინე შეფის წერილისა ესპანეთის მეფის იზაბელასადმი. ეს წერილი მაშინვე გამოქვეყნდა, ხოლო 1850 წ. იგი პლ. იოსელიანმა მეორედ დაბეჭდა „Закавказский вестник“-ში.

„ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილის პირველ დამატებას სწორედ ამ წერილის ფრანგული თარგმანი შეადგენს, ბროსე მას მცირე კომენტარებს ურთავს. წერილის თარიღად მითითებულია 1465 წ. ეს უჩვეულო თარიღი იყო, ვინაიდან ამ დროს არც იზაბელა იყო ესპანეთის ხელმწიფე და არც კოსტანტინე—ქართლის მეფე. ბროსე ვერ პოულობს პასუხს ამ

წინამდებარეობის ასახსნელად და უშვებს, რომ კოსტანტინეს შეეძლო ბატონიშვილობაშივე გაეგზავნა წერილი ესპანეთში, ხოლო იზაბელა უნდა იყოს არა ესპანეთის ხელმწიფე და ფერდინანდის მეუღლე, არამედ მისი წინამორბედი, იოანე II კასტილიელის ცოლი. ბროსეს ეს მსჯელობა დამაჯერებელი არაა. უფრო რეალურია, თუ დაუშვებთ, როგორც ამას ი. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ წერილის თარიღის გადაწერაში შეცდომა მოსვლიათ და დედანში იქ 1465-ის ნაცვლად 1495 უნდა ყოფილიყო [326, გვ. 154 და შმდ.]

XVI საუკუნის ამბებს, დიდ ომს თურქეთსა და სპარსეთს შორის, რომლის ასპარეზად ამიერკავკასიაც იქცა, ბროსე გადმოსცემს ჰამერის წიგნის მიხედვით. ჰამერის მონათხრობს იგი ავსებს სხვა წყაროთა ჩვენებით (პ. ბიზარი, ოლეარიუსი, ჩამჩიანი და სხვ.) და განმარტავს ამა თუ იმ პიროვნების ვინაობას. შემდეგ იმავე ხანისა და მომდევნო პერიოდის შესახებ მოტანილია ვრცელი ნაწყვეტები არაქელ თავრიზელის (I⁷ დამატება), ისკანდერ მუნ'შის (V დამატება, თარგმანი ეკუთვნის ბ. დორსს) და გორგიჯანიძის (VI დამატება) თხზულებებიდან. ეს უკანასკნელი (ფარსადანის თხზულება) ბროსეს გააცნო პლატონ იოსელიანმა, გაუგზავნა რა პირი, გადაწერილი მის ხელთ არსებული ხელნაწერიდან. ბროსე იძლევა თხზულების აღწერას და ცნობებს ფარსადან გორგიჯანიძის ვინაობისა და ცხოვრების შესახებ. ნაწყვეტის ბოლოს კი აღგენს ბაგრატიონთა ერთ-ერთი უმცროსი განშტოების — დავითიშვილების (ე. წ. თვალდამწვრიშვილთა) გენეალოგიას ფარსადანისა და რუსეთის არქივებში აღმოჩენილი მასალების მიხედვით.

საქართველოში არქეოლოგიური მოგზაურობის დროს სამეგრელოში ყოფნისას დავით დადიანმა ბროსეს გააცნო და აჩუქა ერთი ძველი ქართული ხელნაწერი, შემცველი ფეშანგი ფაშვიბერტყაძის თხზულებისა — „შაჰნავაზიანი“. „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილის VIII დამატებაში ბროსე გადმოსცემს ამ ძეგლის შინაარსს, იძლევა ხელნაწერის აღწერას და ცნობებს მისი ავტორის შესახებ. ამ მასალით ბროსე მიზნად ისახავდა შეეცნო „ქართლის ცხოვრების“ მონათხრობი XVII საუკუნის მეორე ნახევრის შესახებ.

რამდენიმე დამატებას საფუძვლად დაედო რუსეთის არ-

ქიევიდან ამოკრებილი დოკუმენტები და საერთოდ რუსეთში მოპოვებული ქართული სიძველეები და წარწერები. მათი მიხედვითაა შედგენილი აღწესანდრე კახთა მეფისა და თეიმურაზ I-ის მეფობის უმთავრეს მოვლენათა ქრონოლოგია (დამატება X), რომელიც წარმოადგენს ამ პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ ადრე გამოქვეყნებულ ნაკრევების შეჯამებას, ნაკრევი ვახტანგ VI-ის მეფობის უკანასკნელი სამი წლისა და მისი რუსეთში გადასვლის შესახებ (დამატება VII), არჩილის ყოფნაზე რუსეთში (დამატება XI, § 2), იმამ-ყული ხანის წერილები (დამატება XIV), მასალები 1770 წლის ამბებზე (დამატება XII, § 2, 3, 4), რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე (მიწერ-მოწერა) 1772—1792 წლებში (დამატება XIII), და ერეკლე მეორისა და პავლე პოტიომკინის მიწერ-მოწერა 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით (დამატება XVII). ყველა ამ საკითხის გაშუქებას საფუძვლად უდევს რუსეთის არქივთსაცაგებიდან ამოკრებილი საბუთები.

ეს მასალა მეტად მრავალფეროვანია. აქ ვხვდებით როგორც საარქივო დოკუმენტებს, ასევე რუსი ელჩებისა და მეცნიერ-მოგზაურთა ჩანაწერებს, ეპიტაფიკულ მასალებს, წარწერებს ქართულ ბეჭდებზე, ეპიტაფიებს და სხვა. ბროსე მათზე დაყრდნობით ან იძლევა ისტორიული მოვლენების მიმოხილვას, ან კიდევ კმაყოფილდება ფრანგულ ენაზე ამ წყაროების გამოქვეყნებით.

სხვა მასალებიდან მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ უცნობ თურქულ ქრონიკაზე, რომელშიც აღწერილი იყო იმერეთის ამბები 1661—1664 წლებისა, როცა არჩილ მეფე იძულებული გახდა დაეტოვებია იმერეთი და დაბრუნებულიყო ქართლში. ეს ქრონიკა დაცული იყო საფრანგეთის სამეფო ბიბლიოთეკაში და ჯერ კიდევ 1734 წელს უთარგმნია იგი ფრანგულიდან ლუი დანტანს. 1845 წელს ამ ხელნაწერის ასლი თარგმანითურთ პარიზის ბიბლიოთეკამ გამოუგზავნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას და მისი მოკლე შინაარსი ბროსემ გამოაქვეყნა XI დამატების I პარაგრაფში. ქრონიკის ცნობები რამდენადმე ავსებდა ქართული მატეანის მონათხრობს ზემოაღნიშნულ მოვლენებზე.

ასევე აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ერეკლე მეორის წერილი ინდოეთიდან (დამატება XII, § 1), მიწერილი მისი დისადმი, ანასადმი. ეს წერილი, როგორც ზემოდ ვთქვით, ბროსეს გაუგზავნა 1849 წ. დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილმა, რომელმაც, თავის მხრივ, იგი იპოვა დავით ესტატეს ძე ციცივილის ოჯახში და 1851 წ. გაზ. „Кавказ“-ში გამოაქვეყნა მისი რუსული თარგმანი.

წერილი წარმოდგენას გვაძლევს ერეკლე მეორის ცხოვრების ერთ-ერთ უაღრესად საინტერესო პერიოდზე—სახელდობრ, ერეკლეს მონაწილეობაზე ნადირ შაჰის ლაშქრობაში ინდოეთის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, სწორედ იქ გაიარა ქაბუქმა მეფემ დიდი საბრძოლო წრთობა.

საგანგებო კვლევის საგნად აქცია ბროსემ აფხაზეთის კათალიკოსთა საკითხი. დამატებებში მას შემოაქვს ჯერ კიდევ ადრე გამოქვეყნებული ნარკვევი ამ საკითხზე. ნარკვევში ბროსე ეხება საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საწყის პერიოდს, აკრიტიკებს აზრს იმის შესახებ, თითქოს ქართულ ეკლესიას დამოუკიდებლობა მხოლოდ XI საუკუნეში მიეღოს, თვლის, რომ მეორე კათალიკოზი (ე. ი. აფხაზეთა კათალიკოზი) მხოლოდ XIV საუკუნის დამლევებიდან ჩნდება. შემდეგ კი ადგენს აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოზთა ვრცელ სიას XIV საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნის ბოლომდე.

ფრიად ღირსშესანიშნავი და დიდი შრომის შედეგადაა შედგენილი IX დამატება. ესაა—ქართველ მეფე-მთავართა გენეალოგიური ტაბულები. ასეთი გენეალოგიური ნუსხების შედგენის ცდას ევროპაში წინათაც არაერთხელ ვხვდებით (დევინი, ბრენერი, ბრაიტენბაუზი, გიულდენშტედტი, კლაპროტი და სხვანი). მაგრამ ასეთი სრული და სანდო წყაროებზე დამყარებული გენეალოგია არც ერთისა არ იყო.

ბროსეს მოცემული აქვს ქართლის, კახეთის და იმერეთის მეფეთა, სამცხის ათაბაგთა, ქსნის, არაგვის და რაჭის ერისთავთა, დადიანთა, აფხაზეთის და გურიის მთავართა გენეალოგიები, ამა თუ იმ პირთა ზეობის ან ცხოვრების წლების მითითებითა და ზოგიერთი ცნობების დართვით. არაერთგან იგი ამა თუ იმ ცნობის წყაროსაც უთითებს. ეს დამატება შესანიშნა-

ვი საცნობარო მასალაა, რომელსაც დღემდე არ დაუქარგავს თავისი მეცნიერული მნიშვნელობა.

ასეთია „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილზე დართული დამატებების შინაარსი. როგორც ვხედავთ, ბროსემ საქართველოს ისტორიის ეს პერიოდიც უხვი და მრავალფეროვანი მასალებით წარმოადგინა, მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართლის ცხოვრების მონაცემები და მკვიდრ დოკუმენტურ ბაზაზე დაამყარა იგი.

ერთი სიტყვით, ბროსეს „Additions“-ები მისი დროისათვის საქართველოს ისტორიის წყაროთა მთელი ენციკლოპედია იყო, რომელსაც ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების გზაზე ეპოქალური მნიშვნელობა ჰქონდა. იგი პასუხს იძლეოდა იმ დროის უმთავრეს ისტორიოგრაფიულ საკითხზე—არის თუ არა სანდო წყარო „ქართლის ცხოვრება“. დასტურდება თუ არა მისი მონათხრობი სხვა ისტორიული წყაროებით? ამ კითხვაზე გაცემული იქნა დადებითი პასუხი. „ქართლის ცხოვრების“ ღირსება-ნაკლოვანებები დღის სინათლეზე იქნა გამოტანილი. ნაჩვენები იქნა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა უმრავლესობა დადასტურებას პოულობს სხვა წყაროებში, რომ ამ წყაროების მიხედვით შესაძლებელი ხდება შემოწმდეს და შეივსოს „ქართლის ცხოვრების“ ცნობები.

ამ უმთავრესი ისტორიოგრაფიული საკითხის გადაწყვეტასთან ერთად ბროსეს „დამატებები და განმარტებები“ დიდ სამსახურს უწევდა, აგრეთვე, შუა საუკუნეთა საქართველოს ფაქტოლოგიური ისტორიის კრიტიკული გამართვის საქმეს. მისი მასალები ამ ისტორიის მეცნიერულად დაზუსტებისა და დასაფუძვლების საშუალებას წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი რჩებოდა გასაკეთებელი, ჯერ კიდევ მრავალი მასალა იყო მოსაძიებელი, განსახილველი და შემოსატანი მეცნიერულ მიმოქცევაში, საქართველოს კრიტიკული ისტორიის შემუშავებას ჯერ კიდევ დიდი გზა ელოდა წინ, მაგრამ ის რაც უკვე გაკეთდა ბროსეს მიერ, საგრძნობლად წინ სწევდა ამ საქმეს. აგრძელებდა წინა თაობის ქართველ ისტორიკოსთა მიერ დაწყებულ მუშაობას და საფუძველს უყრიდა ახალ ეტაპს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ვეიქრობთ, რომ ბროსეს დამსახურება ამ მხრივ არ იწვევს არავითარ ეჭვს.

3. საბატოველოს ისტორია და „სოციოლოგია“

დიდალი მასალები შეკრებისა და გაცნობის პროცესში, ბროსეს, ბუნებრივია, უნდა შეემუშავებია ერთიანი წარმოდგენა საქართველოს ისტორიაზე, უნდა გასჩენოდა სურვილი, შეექმნა საქართველოს ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა და ეს, მართლაც, ასე მოხდა. 1855—1858 წლებში მან რუსულად დაწერა საქართველოს ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა და მისი ორი ნაწილი, შემცველი ისტორიისა, უძველესი დროიდან 1744 წლამდე—წარუდგინა აკადემიას. ამავე დროს საქართველოს ისტორიის ზოგადი მიმოხილვა, უმთავრესად უცხოური წყაროების შუქზე „ქართლის ცხოვრების“ ცნობების შემოწმების თვალსაზრისით, მან შეიტანა თავის „Introduction“-ში.

ბროსეს ზოგადი თვალსაზრისის, მისი ისტორიული კონცეფციის წარმოსადგენად ეს მასალა ერთობ მცირეა. ბროსე, საერთოდ, იშვიათად მიმართავდა განზოგადებებს და მსჯელობას საქართველოს განვითარების საერთო პროცესის შესახებ. იგი, უმთავრესად, ემპირიკოსი და ანალიტიკოსი იყო. თავის მთავარ საქმედ იგი ფაქტოლოგიურ კვლევას, წყაროთმცოდნეობით ძიებებს და ისტორიული მეცნიერებისათვის მტკიცე მეცნიერული დოკუმენტალური ბაზის შექმნას თვლიდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს საქმე სავსებით შესაფერისი, საჭირო და აუცილებელი იყო იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიისათვის. ასეთი კრიტიკული ეტაპის (თუ ეპოქის) გარეშე საქართველოს ნამდვილი მეცნიერული ისტორიის შექმნა შეუძლებელი იყო.

როგორც ჩანს, საქართველოს ისტორიის დაწერას ბროსე ნაადრევად თვლიდა და ამით უნდა აიხსნას, რომ მას ზემოხსენებული კრიტიკული მიმოხილვა არც დაუმთავრებია და არც გამოუქვეყნებია¹.

¹ ეს ნაშრომი ლავრენტი ბროსეს ნებართვით ქართულად თარგმნა ს. ლოლობერიძემ და გამოსცა ნ. ლოლობერიძემ. პირველი ნაწილი დაიბეჭდა თბილისში 1895 წ. მეორე ნაწილი — 1900 წ. დედანი ხელნაწერი

მიუხედავად ამისა, ჩვენ შესაძლებლად ვთვლით, ამ ნაშრომზე დაყრდნობით გავაცნოთ მკითხველს ბროსეს საერთო წარმოდგენა საქართველოს ისტორიაზე და ალენიშნოთ მისი ზოგიერთი თავისებურება.

(მარი ბროსეს მეცნიერული მემკვიდრეობა ძირითადად შუა საუკუნეების ე. ი. ფეოდალური ეპოქის (კერძოდ. V—XVIII საუკუნეთა) საქართველოს ისტორიას ეხება. წინარე ხანა არ გამხდარა ბროსეს კვლევა-ძიებათა საგანი. ამ პერიოდს იგი მხოლოდ გაკვრით ეხება მიმოხილვით შრომებში. მომდევნო ეპოქა (XIX ს. პირველი ნახევარი) მის შრომებში წარმოდგენილია მხოლოდ ბატონიშვილების მიერ შეკრებილი მასალებით, რომელთაც გამომცემლის უმნიშვნელო შენიშვნები ახლავს.

ბროსეს სპეციალური ქრონოლოგიური, გენეალოგიური და წყაროთმცოდნეობითი კვლევა-ძიების ასპარეზი V—XVIII საუკუნეების საქართველოა. ამდენად, იგი „მედიევისტი“, შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის სპეციალისტია.)

ფეოდალურ საქართველოს ჰქონდა საკუთარი შეხედულება ქვეყნის წარსულზე, ჰქონდა მის მიერვე შექმნილი ისტორია, გაბმული მოთხრობა ქვეყნის თავგადასავალისა უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე. ეს ისტორია წარმოდგენილია „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც, როგორც ვთქვით, ფეოდალური ქართველი საზოგადოების ისტორიული ნააზრვის ძირითადი ძეგლია, ამ საზოგადოებისათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოა. „ქართლის ცხოვრება“-ში აისახა ფეოდალური საქართველოს იდეოლოგია, მისი შეხედულებები, იდეალები. ეს ძეგლი ძირითადად აკმაყოფილებდა ფეოდალური ქართველი საზოგადოების მოთხოვნილებებს, როგორც მეთოდოლოგიურად, ისე შინაარსის მიხედვით, მასში გამოთქმული თვალსაზრისით ისტორიაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, შათი შეფასებებით. ამიტომ იყო, რომ თითქმის მთელი ფეოდალური საქართველოს ისტორიოგრაფია იმეორებდა ქვეყნის ისტორიის იმ სქემას, რომელიც მოცემული

იყო „ქართლის ცხოვრებაში“, იმეორებდა მის შეხედულებებს, აზრებს, იდეებს. ფეოდალური საქართველოს ისტორიოგრაფია მთლიანად ემყარებოდა ამ ძეგლს. რა იყო დამახასიათებელი ფეოდალური ისტორიოგრაფიის შეხედულებებისათვის ქვეყნის წარსულზე? რა იყო ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ფეოდალური ისტორიული აზროვნებისათვის?

ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნისა და ხალხის ისტორიის დაყვანა შეფეთა და მთავართა, უფალთა და დიდებულთა ნამოქმედარის აღწერამდე, ხალხის მდგომარეობის, მათი მოძრაობის, მათი ინტერესებისა და მათი ისტორიის სრული უგულვებელყოფა. მხოლოდ აქა იქ, უნებლიედ და შემთხვევით თუ გამოკრთებოდა ხალხის ისტორიის ამანხველი ცნობები ფეოდალურ ისტორიოგრაფიაში. სწორედ ამის გამო დაიწუნა „ქართლის ცხოვრებაზე“ დამყარებული და უკრიტიკოდ გამართული ისტორია დიდმა ილიამ და მოითხოვა ქვეყნის შინაგანი ისტორიის შესწავლა, ხალხის ცხოვრების შესწავლა „ქართლის ცხოვრების“ გარეგანი კრიტიკა, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, დამახასიათებელ ნიშნად გასდევდრ ახალ ქართულ ისტორიოგრაფიას, თანდათანობით გადაიზარდა ამ ძეგლის იდეურ კრიტიკაში. ახალი ისტორიოგრაფია თანდათანობით ითავისუფლებდა თავს „ქართლის ცხოვრებაში“ მიცემული სქემისაგან, ამანხვილებდა ყურადღებას ქვეყნის შინაგან მდგომარეობაზე ამა თუ იმ ეპოქაში, ხალხის ცხოვრებაზე, მის მდგომარეობაზე... ეს ხდებოდა თანდათან. ფეოდალური ურთიერთობების შერყვევის, რღვევისა და დაშლის და ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩასახვანვითარების კვალდაკვალ. მუშავდებოდა ახალი, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული დაძლევის გზით მიდიოდა წინ.

ახალ ისტორიოგრაფიას ბევრი რამ ჰქონდა სადავო „ქართლის ცხოვრებასთან“. მას აღარ აკმაყოფილებდა ხალხთა წარმოშობის ახსნა ბიბლიური პირებისა და ეთნარქების საშუალებით და ეთნოგენეზის საკითხებს ახლებურად აყენებდა. მას აღარ აკმაყოფილებდა მხოლოდ პოლიტიკური თავგადასავალის ცოდნა და საზოგადოების შინაგან ორგანიზაციას, სოციალურ

აღნაგობასა და ეკონომიურ მდგომარეობას სწავლობდა. სოციოლოგიის დანერგვა ისტორიაში დამახასიათებელია ახალი, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის. ამის საფუძველზე ახლებურად იმართებოდა ქვეყნის ისტორია, იქმნებოდა კრიტიკული (როგორც მაშინ იტყოდნენ პრაგმატული) ისტორია.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოცემული სქემის დათვლა, ბროსემ ვერ შეძლო. თავის კრიტიკულ მიმოხილვაში იგი ძირითადად ემყარება ამ ძეგლს. მის პერიოდიზაციას, მის მეთოდოლოგიას. მაგრამ ეს მხოლოდ ძირითადად. ისე კი ცალკეულ შემთხვევებში იგი კრიტიკულად და ეჭვით ეკიდება ამ ძეგლის ცალკეულ დებულებებს, განსაკუთრებით იმათ, ქართველი ხალხის წარმოშობასა და უძველეს ისტორიას რომ შეეხება.

რა მასალებით შეიძლება „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობების შეწოდება? საამრსოდ ბროსეს განკარგულებაში იყო საქართველოს მეზობელი ხალხების უძველეს ისტორიაში დადგენილი ცალკეული ფაქტები, ამ ხალხთა თქმულებები და გადმოცემები, ძველი აღმოსავლეთის საერთო ისტორია და ბიბლია, როგორც ამ ისტორიის თავისებურად ამსახველი ძეგლი. ამ წყაროებთან „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემათა შეჯერებამ ბროსე მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს გადმოცემები „საზოგადოდ, სარწმუნო გამოდის“. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ძეგლის ცნობებს საქართველოს უძველეს ისტორიაზე, ქართველთა წარმოშობაზე, ქართლოსის, მისი ძმებისა და შვილების თავგადასავალზე ბროსე მაინც ზეპირისტყვიერების სფეროში სტოვებს და შენიშნავს: „რასაკვირველია, ერის ამ ზეპირ-გადმოცემას ჩვენ ვერაფრით დავამტკიცებთ, მაგრამ ჩვენ დიდს სიმკაცრეს გამოვიჩინოთ, თუ უარყავით ზოგიერთ იმის ნაამბობთ სინამდვილე, რომ ის არ ეწინააღმდეგება უკვე ცნობილთა და დამტკიცებულთ ფაქტებს“. გადმოსცემს რა ამ ცნობებს, ბროსე განუწყვეტლივ ხმარობს „ამბობენ“, „ზეპირ-გადმოცემა გვიამბობს“, „თქმულებით“ ეს ასე მოხდა და სხვა.

ბროსე შესაძლებლად მიიჩნევს, დაიჭეროს ქართულ მატერიალში მოთხრობილი ამბები იმ ბრძოლების შესახებ, რომელნიც

ქართველებს ჰქონდათ სპარსელებთან უძველეს დროში (აფრიდონის წინააღმდეგ). „ძლიერ დასაჯერებელია — წერს ბროსე, — რომ სპარსეთის მეფენი მაშინაც ცდილობდნენ დაეპყრათ მშვენიერნი და ნაყოფიერნი ხეობანი კავკასიის მთების ძირში მდებარენი“. ასევეა თქმულება არგონავტების შესახებ: უნებლიედ გვებადება აზრი, რომ აღნიშნულ დროს ბერძნებმა დაათვალიერეს კოლხიდა ან ომის და ან სააღებმიცემო მიზნით და იწყეს მტკიცედ გამაგრება ექსინის პონტის ჩრდილოეთ მხარეს“. ასევე ვარაუდით მოგვითხრობს ბროსე ბუნ-თურქთა დასახლებაზე ქართლში, ებრაელთა მოსვლაზე, ენების სიმრავლეზე იბერიაში და სხვა საკითხებზე. ეს კრიტიკული დამოკიდებულება „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ნაწილთან (ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობამდე და ქართლში ფარნავაზის გამეფებამდე) უთუოდ საყურადღებო მომენტია ბროსეს ისტორიულ ნააზრევში. სწორედ ასეთი კრიტიკული გზით მივიდა ჩვენი ისტორიოგრაფია „ქართლის ცხოვრების“ ამ უძველესი სქემის გადასინჯვამდე და შეცვლამდე.

ბროსეს შემდეგ „ქართლის ცხოვრების“ ამ სქემას უფრო გაბედულად შეუტიეს. დიმიტრი ბაქრაძემ ქართველთა წარმოშობის საკითხი სულ სხვაგვარ ასპექტში დააყენა და მეცნიერული მიმართულება მისცა მას. ბროსე ასე შორს არ წასულა. მიუხედავად ეპკებისა მან „ქართლის ცხოვრების“ თვალსაზრისი ქართველთა უძველეს ისტორიაზე ხელუხლებლად დასტოვა.

ქვეყნის შემდგომი ისტორია ბროსეს „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით აქვს მოთხრობილი, მაგრამ ყოველთვის უკრიტიკოდ როდი იმეორებს მის ცნობებს, მართალია, ბროსეს სჯერა მრავალი ლეგენდა და სასწაული, რომელთა აღწერასაც ვხვდებით ამ ძეგლში (ანდრია პირველწოდებულის, წმ. ნინოსი და სხვანი), მაგრამ რიგ შემთხვევაში კრიტიკულად უყურებს „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს და უპირატესობას აძლევს სხვა წყაროებს. ამავე დროს ქვეყნის ისტორიას ბროსე გაცილებით უფრო სრულად გადმოსცემს, ვიდრე ეს „ქართლის ცხოვრებაში“ იყო წარმოდგენილი. თავის მიმოხილვაში ბროსეს შემოაქვს ცნობები ქართულ დამწერლობაზე, ლაზიკის

დიდ ომიანობაზე, ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილებაზე და სხვა მრავალ მოვლენაზე, რომელთა შესახებ მასალები მას ზემოთგანხილულ „დამატებებში და განმარტებებში“ აქვთ თავმოყრილი. ამდენად ბროსეს მიმოხილვა გამოირჩევა მეტი სისრულითა და დოკუმენტურობით, ვიდრე „ქართლის ცხოვრების“ მონათხრობი ქვეყნის ისტორიულ წარსულზე.

სხვა მხრივ კი ბროსეს მიმოხილვა არც მეთოდოლოგიურად (მეფეთა და მთავართა ისტორია) და არც მიზანდასახულებით არ გასცდენია ფეოდალური ისტორიოგრაფიის ფარგლებს.

ბროსეს საერთო თვალსაზრისის დასახასიათებლად და შესათვალად უფრო ანგარიშგასაწევია მისი კვლევა-ძიებანი ძველი საქართველოს შინაგანი წყობისა და სოციალური მდგომარეობის ხაზით, ე. ი. პირობითად რომ ვთქვათ, მისი „სოციოლოგიური“ ინტერესი. როგორც ვთქვით, ეს „სოციოლოგიური“ პრობლემატიკა და მისი დაკავშირება ისტორიასთან არსებითად განასხვავებს ახალ, ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას ფეოდალურისაგან. ამ მხრივ ბროსეს მიერ წარმოებული მუშაობა და მისი მსჯელობა ძველი საქართველოს სოციალურ ორგანიზაციაზე სწორედ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისაკენ წადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს „სოციოლოგიური“ კვლევა-ძიებები ბროსეს მეცნიერულ მემკვიდრეობაში არაფრით არ არის დაკავშირებული ქვეყნის ისტორიულ წარსულთან, არ არის გამოყენებული ისტორიული განვითარების ახსნისათვის. ამდენად იგი ჯერ კიდევ შორს დგას ნაწივლი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიული თვალსაზრისისაგან.

მაინც რას იკვლევდა ბროსე ამ მხრივ და რა საკითხები აინტერესებდა მას?

ბროსე აღწერს ძველი საქართველოს სოციალურ აღნაგობას, ჩამოთვლის სოციალურ ჯგუფებს, კლასებს და მოაქვს მათი მდგომარეობის დამახასიათებელი ცნობები დოკუმენტებიდან და იურიდიული ძეგლებიდან. ქვეყნის სოციალური დაყოფა, ბროსეს წარმოდგენით უძველესი ამბავია. იგი ეძიებებს სტრაბონის ცნობას იბერიის ოთხი გენეს შესახებ და ანალოგიისათვის მოაქვს ცნობები ძველი სპარსეთისა და ძველი ინდო-

ეთის მოსახლეობის სოციალური დაყოფის შესახებ [136, 111, გვ. 39].

საქართველოში ფეოდალური წყობილება იყო გაბატონებული. ბროსე თვლის რომ ეს წყობილება აქ გაჩნდა არა დაპყრობის გზით, არამედ თავდაპირველი პატრიარქალური წყობილების გარდაქმნის გზით. ქართული ფეოდალიზმი, მისი აზრით, განვითარდა საგვარეულო წყობილებიდან, ძველი საგვარეულოების და სახლების ფეოდალურ სახლებად გადაქცევის გზით. საგვარეულო, სახლი—ძირითადი ფეოდალური ერთეულია.

ფეოდალიზმი ბროსეს. რა თქმა უნდა, ესმის არა როგორც კარკვეული სოციალ-ეკონომიური სისტემა, არამედ როგორც პოლიტიკური სისტემა (ვასალიტეტი). „ერთი სიტყვით—წერს იგი — სუვერენული სახლი. მსხვილი ვასალური საგვარეულოები, მთავრები და ერისთავები, შემდეგ მათი ვასალები, თავადები და აზნაურები და საკუთრივ ხალხი—აი, არსებითად ქართული ფეოდალიზმი...“ [127, VII, გვ. LXXV]. ბროსე ჩამოთვლის და ახასიათებს სოციალურ ჯგუფებს: თავადებს—სამი კატეგორიისა, აზნაურებს—ასევე სამი კატეგორიისა, მოქალაქეებს, ვაჭრებს, მსახურებს. გლეხებს და მონებს.

შემდეგ იგი იძლევა ცნობებს მეფის მდგომარეობაზე, სამეფო საქონელზე, ფულის მოჭრაზე, როგორც მეფის პრივილეგიაზე. ბროსეს დაწვრილებით აქვს ჩამოთვლილი საქართველოში გავრცელებული ფულის ერთეულები და ზოგ შემთხვევაში მითითებული აქვს მათი მნიშვნელობა.

ბროსე ახასიათებს ფეოდალურ ქონებას და საკუთრებას. სამამულო დავას და მისი გადაწყვეტის წესს, სისხლის ფასსა და მისი დაურევების წესს, ქართული ეკლესიის ორგანიზაციას, მის ქონებას, ყმებს, შეწირულებებს და სხვა. ეს ოვლენები ბროსეს მოკლედ აქვს ნახსენები და შემდეგ მოტანილი აქვს საილუსტრაციო მასალები ქართული საბუთებიდან. ასევე განმარტებითი (და არა ახსნითი) ხასიათი აქვს ბროსეს მსჯელობას ძველი საქართველოს მოხელეებზე და, გასსაკუთრებით კი გადასახადებზე. ბროსე აქ დაწვრილებით ჩამოთვლის იმ პრავალრიცხოვან გადასახადებს, რომელსაც იხდიდა ქართველი

ხალხი უცხოელი მოძალადის თუ საკუთარი მებატოხეების სასარგებლოდ [129, VII, გვ. CLX—CLXVII]. ყველა შემთხვევაში ბროსე უთითებს, თუ რომელ საბუთში შეხვდა იგი ამა თუ იმ მოხელის და გადასახადის დასახელებას.

ამრიგად, ბროსემ, როგორც ვხედავთ, საინტერესო „სოციოლოგიური“ საკითხებიც განიხილა. ქართული ისტორიოგრაფიისათვის ეს, რა თქმა უნდა, არ იყო სავსებით ახალი პრობლემა და თემატიკა, ვახუშტი ბაგრატიონს მოეპოვება ძველი საქართველოს სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის შესანიშნავი დახასიათება. მაგრამ ამ მიმართულებით ბროსემ გარკვეული ნაბიჯი მაინც გადადგა წინ—მისი ცნობები უფრო დაწვრილებითია და დოკუმენტირებულია, თუმცა სრული, რა თქმა უნდა, არაა.

სიგელ-გუჯრებისა და იურიდიული ძეგლების საფუძველზე ძველი საქართველოს შინაგანი ცხოვრებისა და განვითარების შემდგომი კვლევა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველმა ისტორიკოსებმა განაგრძეს (დ. ბაქრაძე, თ. უორდანი და სხვანი), ახალი ქართული ისტორიოგრაფიის საბოლოო ჩამოყალიბება XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე მოხდა. ის, რაც ბროსემ გააკეთა ამ მხრივ, გარკვეული წვლილი იყო ახალი ქართული ისტორიოგრაფიის შექმნის გზაზე.

რუსეთის ქართველოლოგიის სათავეში

1. კვლავ მასალების ძიებაში

„ქართლის ცხოვრებისა“ და სხვა ქართული მატრიანეების გამოქვეყნებით ბროსემ გასული საუკუნის 50-იანი წლების დამლევისათვის შეასრულა თავისი უმთავრესი ისტორიოგრაფიული მიზანი, დასახული მის წინაშე რუსეთში გადმოსვლის-თანავე. ამის შემდეგ მისი მეცნიერული მუშაობის ძირითად ამოცანად იქცა ძველი სომხური მწერლობის იმ ძეგლთა თარგმნა და გამოქვეყნება, რომლებიც შეიცავდნენ ცნობებს საქართველოს შესახებ. „რათა გავამდიდრო საქართველოს ისტორიის დოკუმენტური ბაზაო“—წერდა იგი ამ სამუშაოს მიზანდასახულების შესახებ [228], მაგრამ ამის გამო ბროსეს ოდნავადაც არ შეუწინებია მუშაობა საკუთრივ ქართული მასალების ძიებისა და გამოქვეყნების ხაზით. ეს სამუშაო ძირითად ზოლად გასდევს ბროსეს მეცნიერულ მოღვაწეობას, როგორც ქართული მატრიანეების გამოქვეყნების პერიოდში, ასევე მის შემდეგაც. მით უმეტეს, რომ ბროსეს ავტორიტეტი რუსეთისა და ევროპის სამეცნიერო წრეებში, როგორც უპირველესი ქართველოლოგისა, „ქართლის ცხოვრების“. მონუმენტური გამოცემის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა და ახლა მას ქართული სიძველეებით დაინტერესებული პირები ყოველი მხრიდან უგზავნიან მასალებს, თხოვენ ახსნა-განმარტებებს, რჩევას და მითითებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

ბროსე ცენტრალური ფიგურაა ევროპულ ქართველოლოგიაში და მის ირგვლივ იზრის თავს რუსეთში და ევროპაში

ქართულ სიძველეებზე მუშაობის ყველა ძაფი. ბროსეს მასალები მოსდის საქართველოდან, ქართველი თუ რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან, მას მასალებს აწვდიან საფრანგეთიდან, ვენეციიდან და ევროპული ქართველოლოგიის სხვა ცენტრებიდან. რუსეთის არქივთსაცავებში დაცულ მასალებზე ბროსე ან თვითონ უშუალოდ მუშაობს ან მისი კოლეგები აწვდიან მას ცნობებს მათ შესახებ. ერთი სიტყვით, ბროსე გვევლინება რუსეთის ქართველოლოგიის მეთაურად, მის აღიარებულ ხელმძღვანელად და მედროშედ. ბროსე ყურადღებით ადევნებდა თვალს ქართველოლოგიურ მუშაობას ევროპაში, რუსეთში და საქართველოში. ეს უკანასკნელი მას განსაკუთრებით აინტერესებდა. მის წერილებში ქართველოლოგიაა წინაპირად მიხედვით სისტემატურად ვხვდებით თხოვნას, მიაწოდონ მას ცნობები საქართველოში გამოცემულ წიგნებზე, აქ მიმდინარე მეცნიერულ მუშაობაზე, გაუგზავნონ ახალ-ახალი გამოცემები, ჟურნალები, წიგნები, ბროშურები.

ბროსეს ისტორიოგრაფიული მუშაობა კვლავ მრავალმხრივია. საქართველოს ისტორიის ყოველგვარი წყარო ხდება მისი დაკვირვებისა და გამოქვეყნების ობიექტი: ეპიგრაფიკული ძეგლები, ძველი ქართული ხელნაწერები, ძველი ქართული და რუსული დოკუმენტები, ძველი ქართული მონეტები და სხვა.

ჩვენ ისევ წყაროთა სახეობათა მიხედვით დავაჯგუფებთ ბროსეს ნაშრომებს, გამოქვეყნებულს 50-იანი წლების შემდეგ და გაეაცნობთ მკითხველს მათში წარმოდგენილ მასალებს.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები კვლავ ყურადღების ცენტრშია. მათი რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება ახალ-ახალი აღმოჩენების ხარჯზე. 1849 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით რაჭაში და იმერეთში იმოგზაურა ბ. პერევალენკომ. მან ამ მოგზაურობის დროს ინახულა და აღწერა ამ რაიონების მრავალი ისტორიული ძეგლი: შხოვისა და ხოტევის ციხეები, ონის, ნიკორწმინდის, ჭრუჭის და საჩხერის ეკლესიები, მოდინახეს ციხე და სხვა. თავისი მოგზაურობის შესახებ პერევალენკომ გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი „Зав-кавказский вестник“-ში და გაზ. „Кавказ“-ში. ამავე დროს

მან აკადემიას გაუგზავნა ანგარიში მის მიერ ნაბუნ და აღწერილ სიძველეთა შესახებ. პერევალენკოს მოხსენება ბროსემ გამოაქვეყნა აკადემიის უწყებაში [134], დაუროთ მას თავისა შენიშვნები და განმარტებები. პერევალენკო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ნიკორწმინდის ეკლესიასა და მის წარწერებს; საინტერესოდ მიიჩნევდა ბაგრატ კუროპალატის მოხსენიებას მასში. მოღინახეს ციხეში მას უნახავს იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ქვემეხი. რომელსაც 1780 წლის წარწერა ჰქონდა. ჯრუჟის მონასტერში მისთვის უჩვენებიათ ძველი წარწერიანი ხატები და ხელნაწერები, რომელთა შორის იგი გამოყოფს X საუკუნის ხელნაწერ სახარებას, გადაწერილს 936 წელს გაბრიელ შატბერდელის მიერ. ეს ხელნაწერი ბროსეს არაერთხელ აქვს გამოყენებული და დახასიათებული.

ცოტა ხნის შემდეგ იმავე პერევალენკომ მოიარა ჯავახეთის მხარე, იყო ფოკაში, განძაში, ბურნაშეთში, იხტილაში, აბულში, ახალქალაქში და სხვა პუნქტებში. აქ შეკრებილი მასალები მან აკადემიას გაუგზავნა და მათ საფუძველზე ბროსემ ორი პუბლიკაცია განახორციელა [151; 155]. ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი, ბროსეს ნახული და გამოქვეყნებული ჰქონდა და ამიტომ პერევალენკოს მასალებს მხოლოდ საკონტროლო მნიშვნელობა ენიჭებოდა; ახალი და უცნობი მხოლოდ რამდენიმე წარწერა იყო.

იმავე ხანებში ბროსემ აკადემიის უწყებებში გამოაქვეყნა გ. ტოკარევის წერილი ჩრდილოეთ კავკასიაში, იალბუზის მიდამოებში მოგზაურობის შესახებ [130], სადაც მას არა ერთი ძველი ქრისტიანული ძეგლი უნახავს. ზოგიერთ მათგანს ჰქონდა ისტორიული წარწერები ბერძნულ ენაზე. ამავე რაიონში უპოვიათ რუსუდან მეფის მონეტა, მოჭრილი 1227 წელს.

დიდძალი მასალები დაუგროვდა ბროსეს მანგლისის ტაძრის წარწერების შესახებ. ეს მასალები მას მიაწოდეს მ. ბარათაშვილმა, დ. ჩუბინაშვილმა, დ. მეღვინეთხუცესიშვილმა, ი. სლივიცკიმ, ი. ბარტოლომეიმ და უმანეცმა. ამათ საფუძველზე მანგლისის წარწერები ბროსემ რამდენჯერმე გამოსცა. 1838 წელს გამოქვეყნებულ კრებულში მან ეს წარწერები შე-

იტანა მ. ბარათაშვილის მიერ გადმოღებული პირების მიხედვით [67], შემდეგ დაბეჭდა ისინი ი. სლივიცკის მასალების საფუძველზე [133]. 1851 წელს ბროსე თავისი შენიშვნებით აქვეყნებს ბარტოლომეის წერილს მანგლისის წარწერებზე [140]. დაბოლოს იგი ამ წარწერებს ეხება დ. მეღვინეთხუცი-სიშვილის მიერ შეკრებილი ეპიგრაფიკული ძეგლების მიმოხილვისას [147].

ასევე საყურადღებო მოვლენა იყო სავანეს (საჩხერაში) წარწერების გამოქვეყნება 1856 წ. ბროსეს ამ პუბლიკაციას [172] საფუძვლად დაედო დ. მეღვინეთხუციშვილის, პოლკოვნიკ ხოძკოსა და ი. ბარტოლომეის მასალები ამ წარწერების შესახებ. ზოძკომ ბროსეს გაუგზავნა სავანეს ეკლესიის ფასადისა და იკონოსტასის ჩანახატები, რომლებიც ბროსემ დამატების სახით დაურთო ამ პუბლიკაციას. სულ აქ ქვეყნდებოდა სავანეს 7 წარწერა ბროსეს ტექსტუალური შენიშვნებითა და უმნიშვნელო კომენტარებით.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შეკრებაში იმ ხანებში თვალსაჩინო როლი ითამაშა ი. ბარტოლომეიმ, რომელმაც ქართულ სიძველეთა შესწავლის მიზნით შემოიარა საქართველოს მრავალი რაიონი. იგი იყო სამშვილდეში, გუდარეხში და პიტარეთში, შემდეგ იმოგზაურა ბორჯომის ხეობაში, ნახა დაბის, ლიკანის და ტიმოთესუბნის ეკლესიები. მანვე ინახულა კოჯრის მიდამოები და იქ საფლავის ქვების წარწერები გადმოიწერა; შემდეგ ბარტოლომეიმ ინახულა და აღწერა ზემო (თავისუფალი) სვანეთი, მისი ეკლესია—მონასტრები და წარწერებიანი საეკლესიო ინვენტარი. ბარტოლომეი ავიდა იკორთაშიც, დაათვალიერა ქსნის ხეობა. შემდეგ იმოგზაურა ქვემო ქართლში, შემოიარა დმანისის, კაზრეთის, წულრულაშენის, ვანქის, ბოლნისის, ტანძიის, ხატის სოფლის, სახუნდარის, სამტრედოსა და სხვა სოფლების ძეგლები, შეკრიბა დიდძალი ეპიგრაფიკული მასალა და აკადემიაში გაგზავნილ მოხსენებებში აღწერა ისინი. ბარტოლომეის მასალები ბროსემ ორჯონის გამოაქვეყნა [148; 155]. პირველში შევიდა სამშვილდის, გუდარეხის და პიტარეთის წარწერები, მეორე წერილში კი წარწერები სხვა ძეგლებიდან (საერთო რაოდენობით 50-მდე). პირველ წერილში ბარტოლომეი იძლევა აგრეთვე რამდენიმე

ქართული და სომხური მონეტის აღწერას. ეს მონეტები მას უნახავს ვინმე ლუცენკოს ნუმისმატიკურ კოლექციაში. ბარტოლომეის მასალებში ბევრი იყო ახალი და უცნობი ბროსესათვის. მათი გამოქვეყნებით საგრძნობლად შეივსო ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ფონდი.

1843—1853 წლებში ვენეციის მხითარისტთა კონგრეგაციის ერთ-ერთმა წევრმა ნერსეს სარგისიანმა იმოგზაურა ძველი სომხეთისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. სხვათა შორის მან მოინახულა ქართული მონასტრები: ოშკი, ხახული, იშხანი, ეკეკი (ეგრეკი), იყო ყარსში და ჩანგლში, გადმოიხატა და გადმოიწერა ქართული წარწერები და გამოაქვეყნა ისინი ვენეციის მხითარისტთა ჟურნალში „ბაზმავეკში“, სადაც სისტემატიურად იბეჭდებოდა ნ. სარგისიანის მოგზაურობის ანგარიშები. ბროსეს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ყურადღების გარეშე დაეტოვებინა ეს საინტერესო მასალა. მან ჯერ გამოაქვეყნა მოკლე ცნობა ნერსეს სარგისიანის მოგზაურობისა დამის მიერ ნანახი ძეგლებისა და წარწერების შესახებ [205], ხოლო შემდეგ დაბეჭდა მის მიერ შეკრებილი წარწერები [211]. მათი ჩანახატების დართვით. წარწერების რიცხვი 30-ს უდრიდა. ბროსე აღნიშნავდა მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიისათვის, ახასიათებდა ამ მხარის როლს საქართველოს ისტორიაში და იძლეოდა მის მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვას. ამ პუბლიკაციამ ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ფონდი საინტერესო მასალებით გაამდიდრა.

რამდენიმე ქართული წარწერა აღმოჩნდა რუსეთის ეკლესიებში დაცულ ინვენტარზე. ჩესმენის მონასტერში (პეტერბურგში) ერთ ბერძნულ გარდამოხსნაზე (плаганинн) იყო საღვთისმეტყველო წინაარსის ქართული წარწერა. ბროსემ იგი დაბეჭდა 1861 წ. [190]. რამდენიმე წლის შემდეგ ვ. ტიზენჰაუზმა ბროსეს გაუგზავნა მოსკოვის ერთ-ერთ ეკლესიაში (Инокровская церковь) დაცული გარდამოხსნის ქართული წარწერა, რომელშიც მეფე ბაგრატი და მისი მეუღლე ელენე იხსენიებოდნენ. ბროსემ გამოაქვეყნა ეს წარწერა [220] და აღნიშნა, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს ქართლის მეფის კონსტანტინეს (1469—1505) ძე ბაგრატი და მისი მეუღლე. ეს გარდამოხსნა

საქართველოდან წაუღიათ 1724 წელს რუსეთში გადახვეწილ ქართველებს.

იმავე ტიზენჰაუზმა ბროსეს მიაწოდა აგრეთვე ფრიად საინტერესო წარწერა ერთ ქართულ ხატზე, რომელიც ქ. ვლადიმირში ჰქონდა ვინმე ვაჰარ უდინს. წარწერა ეკუთვნოდა ალექსანდრე კახთა მეფეს და მის მიერ ნიკოსციხის აშენებას იუწყებოდა [215]. ეს წარწერა ჯერ კიდევ 1847 წ. პეტრე ქებაძესაც ჰქონდა გადმოწერილი და ბროსემ იგი მაშინ თავის „არქეოლოგიურ მოგზაურობაში“ გამოაქვეყნა. პეტრე ქებაძემ ბროსეს მეორე ქართული ხატის წარწერაც შეატყობინა. ამ წარწერაში ყვარყვარე ათაბაგი, მისი მეუღლე ანა და შვილები მზეჭაბუკი და ქაიხოსრო ღვთისმშობელს შემწეობას ევედრებიან [იქვე]. ეს ხატი 1858 წ. ისტორიკოს პოგოდინის საკუთრება იყო.

ამ წარწერებთან დაკავშირებით ბროსე იძლევა მოკლე ისტორიულ ცნობებს, როგორც ალექსანდრე კახთა მეფის, ასევე ათაბაგისა და მისი ოჯახის წევრთა შესახებ.

ბროსემ შეკრიბა აგრეთვე წარწერები რუსეთში დაცულ ქართულ იარაღზე, მაგრამ ეს მასალა მას გამოუქვეყნებელი დარჩა [BA, 392].

ცალკე გვინდა აღვნიშნოთ სოლომონ II-ის ეპიტაფიის გამოქვეყნება ჩვენი მეცნიერის მიერ. ეს ეპიტაფია ბროსეს ჯერ პლ. იოსელიანმა შეატყობინა (პლ. იოსელიანმა გამოაქვეყნა კიდევ იგი), ხოლო შემდეგ 1867 წ. სოლომონის საფლავისა და მისი ბერძნული წარწერების შესახებ ბროსეს მასალები მიაწოდა ტრაპიზონში ნამყოფმა სამხედრო ექიმმა გიორგი დიმიტრის ძე ზუმბულიძემ. ეპიტაფიის ტექსტი აღმოაჩნდა, აგრეთვე, პეტრე ქებაძესაც. ბროსემ ეს მასალები დაუღო საფუძვლად ეპიტაფიის გამოცემას 1869 წ. [220].

1870 წელს ბროსეს განკარგულებაში აღმოჩნდა ფოტოგრაფ ერმაკოვის მიერ გადაღებული ქართული ისტორიული ძეგლებისა და ნივთების სურათები (სულ 190 ცალი). ეს ფოტო-სურათები ბროსეს გააცნო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების მდივანმა ფრ. ოსტენ-საკენმა. ერმაკოვს შემოვლილი ჰქონდა სამხრ. დასავლეთ საქართველო (ჭოროხისა და თორთუმის ხეობები), გურია, იმერეთი, აფხაზეთი და სვანეთი, მი-

ნი ფოტო-სურათები ასახავდნენ ამ მხარეთა ისტორიულ ძეგლებს და ნივთებს, მათ წარწერებს. ბროსემ წარწერების თვალსაზრისით განიხილა ერმაკოვის გადაღებული ფოტო-სურათები [231], შეასწორა ზოგიერთი წარწერის წაკითხვა, ამოიკითხა რამდენიმე ახალი წარწერა.

დაბოლოს, 1877 წელს ბროსე ბეჭდავს მცხეთის სვეტიცხოვლის ერთ-ერთ წარწერას, რომელიც მას დ. ბაქრაძემ გაუგზავნა. წარწერა სვეტიცხოვლის გუმბათის დაქვევასა და როსტომ მეფის მიერ 1656 წ. მის აღდგენას შეეხებოდა [245].

ასეთი იყო ის ახალი ეპიგრაფიკული მასალა, რომელიც შეკრება და გამოაქვეყნა ბროსემ „ქართლის ცხოვრების“ გამოქვეყნების შემდეგ. როგორც ვხედავთ, ეს მასალა საკმაოდ ძრავალფეროვანი და საინტერესო შინაარსისა იყო. ს. ნერსისიანის წარწერებთან დაკავშირებით, ბროსე საერთოდ ეხება ქართული ეპიგრაფიკული მასალების შეკრების საქმეს და ხაზგასმით აღნიშნავს მის საგრძნობ დაწინაურებას. წარწერების საერთო რაოდენობამ 2000-ს მიაღწია—შენიშნავს იგი—და ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის დიუბუეს, მ. ბარათაშვილს, დ. მეღვინეთბუცესიშვილს, პფ. იოსელიანს, ი. ბარტოლომეის, დ. ბაქრაძეს და სხვებს. ბროსე არაერთხელ აღნიშნავს, რომ ამ მასალას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მატრიანების შესავსებად და შესამოწმებლად, საქართველოს ისტორიის კრიტიკული მიმოხილვის შესადგენად. ზედმეტია ემაზე ლაპარაკი, რომ ბროსეს მიერ ეპიგრაფიკული მასალების გამოქვეყნება ყოველთვის ვერ იდგა სათანადო დონეზე, მრავალი რამ შესწორდა და დაზუსტდა შემდეგ ხანებში მათ წაკითხვაში, უამრავი ახალი წარწერა იქნა აღმოჩენილი და წაკითხული ბროსეს მემკვიდრეების მიერ, მაგრამ ვფიქრობთ, კრიტიკული შენიშვნები ბროსეს მიერ გაწეულ მუშაობაზე ახლა უადგილო იქნება. თავისი დროისათვის ეს იყო ფრიად სასარგებლო საქმე, შესრულებული მისი დროის მოთხოვნილებათა მიხედვით და მეცნიერის შესაძლებლობათა ფარგლებში. ბროსეს ღვაწლი ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის წყაროთმცოდნეობით სამუშაოში დიდია და დასაფასებელი.

ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლას ბროსემ რამდენიმე წერილი უძღვნა. მან ყურადღება მიაქცია პეტერბურ-

გის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ ერთ ქართულ ხელნაწერს. რომელიც ტიშენდორფისაგან იყო შეძენილი და ფრიად საინტერესო კრებულს წარმოადგენდა. ბროსემ აღწერა ეს ხელნაწერი [175] და აღნიშნა, რომ მისი ის ნაწილი, რომელიც ძველი ქართული კალენდრის განმარტებას შეიცავს, X საუკუნით თარიღდება და 964—965 წლებშია გადაწერილი. შემდეგში ბროსემ ხელნაწერის ეს ნაწილი მთლიანად გამოაქვეყნა და თარგმნა ფრანგულად (იხ. ქვემოთ).

არანაკლებ საყურადღებო აღმოჩნდა 1859 წ. ი. სრეზნევესკის მიერ აკადემიაში წარდგენილი ერთი ძველი ქართული ხელნაწერი. ეს იყო პალიმფსესტი, რომლის გვიანდელი ტექსტი, ბროსეს აზრით, XI—XII საუკუნეებით თარიღდებოდა [176]. ტექსტი საეკლესიო შინაარსისა იყო.

60-იან წლებში ათონის მთაზე იმოგზაურა პ. სევასტიანოვმა, რომელმაც გადაიღო იქ დაცული ბერძნული და ქართული ხელნაწერების ყდების, მხატვრობების და სხვა საეკლესიო ნივთების ფოტოსურათები. პ. სევასტიანოვმა ეს მასალები წარუდგინა რუსეთის არქეოლოგიურ საზოგადოებას, ხოლო ბროსემ გამოაქვეყნა მათი მიმოხილვა [186], ამოიკითხა მათი ბერძნული და ქართული წარწერები, გაშიფრა ისინი და განმარტა მათში მოხსენებული ზოგიერთი ისტორიული პირის ვინაობა (გიორგი დადიანისა, რომელსაც ბროსე XIV საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევს, და შერმაზან ჩოლოყაშვილისა). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვ. ლანგლუას თხოვნით, ბროსემ ფრანგულად თარგმნა ათონის ქართულ ხელნაწერთა აღწერა, შედგენილი ილარიონის მიერ 1836 წ. და მიაწოდა მასვე ცნობები ივერიის ქართული მონასტრის ისტორიის შესახებ. ვ. ლანგლუამ 1867 წ. პარიზში დაბეჭდა ეს მასალა [216].

ბროსეს ეკუთვნის აგრეთვე ე. წ. კორიდეთის სახარების აღწერა [227]. ეს სახარება ჯერ კიდევ 1853 წ. ნახა ი. ბარტოლომეიმ ზემო სვანეთში წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესიაში. მაშინ მან მოკლედ აღწერა იგი და ყურადღება მიაქცია მის მინაწერებს. შემდეგ ეს ხელნაწერი სვანეთიდან წამოუღია ვინმე ლევაშოვს. რომლისგანაც იგი გადასულა გრაფ პანინის საკუთრებაში. აქ ეს ხელნაწერი უნახავს აკად. ბიჩკოვს, რომელმაც გადმოიღო მისი ბერძნული და ქართული მინაწერები

და გააცნო ისინი ბროსეს. ბროსე შიფრავს წარწერებს და იძლევა მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნობებს თავისუფალ სვანეთის შესახებ.

დაბოლოს კიდევ ერთი ქართული ხელნაწერის შესახებ. 1872 წ. ოდესაში ა. ს. პავლოვმა გამოაქვეყნა „რჯულის კანონის“ რუსული ტექსტი და მისი ბერძნული დედანი. გამოცემას ერთვოდა ბერძნული საეკლესიო კანონიკური სამართლის ისტორიის ვრცელი მიმოხილვა. ამასთან დაკავშირებით ბროსემ გაიხსენა აზიურ მუზეუმში დაცული ქართული „რჯულის კანონი“, რომელიც ექვთიმე ათონელის თარგმანს წარმოადგენდა და შესული იყო XIV საუკუნეში გადაწერილ ერთ-ერთ კრებულში. ბროსე აღწერს ამ ქართულ ხელნაწერს, გადმოსცემს მის შინაარსს და იძლევა რჯულის კანონის ასივე მუხლის ფრანგულ ანოტაციას [236]. ამ მასალას შეეძლო სამსახური გაეწია ბერძნული საეკლესიო კანონმდებლობის ისტორიის შესწავლისათვის. ბროსე აქ აყენებდა რამდენიმე საკითხს, რომელთა გარკვევისათვის ქართული რჯულის კანონის ტექსტს ხელი უნდა შეეწყო.

ა. პავლოვი გამოეხმაურა ბროსეს ამ ნაშრომს. მისი წერილი ბროსესადმი, რომელიც აკადემიის შრომებში დაიბეჭდა¹, შეიცავდა პასუხს ბროსეს მიერ აღძრულ საკითხებზე. ეს წერილი მოწმობდა, რომ ქართული რჯულის კანონის მონაცემების გათვალისწინებას მართლაც შეეძლო საგრძნობლად შეეწყო ხელი ძველი ქართული და ბერძნული კანონიკული სამართლის ამა თუ იმ საკითხის შესწავლისათვის.

ბროსეს ნაშრომები ქართულ ხელნაწერთა შესახებ ამით ამოიწურება. ეს ნაშრომები საგრძნობლად ავსებდნენ ცნობებს ძველი ქართული ხელნაწერების შესახებ, რომლებიც თანდათან სულ უფრო და უფრო მეტად იქცევდნენ ორიენტალისტთა ყურადღებას და აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის გამოიყენებოდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეყნის შინაგანი ისტორიის შესწავლისათვის ბროსე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დოკუ-

¹ Замечания о грузинском номоканоне, письмо проф. А. С. Павлова, из Одессы, к акад. М. И. Броссе, об. Записки И. А. Н., XV, кн 1, 1874, გვ. 29 — 42.

მენტური მასალების გამოვლინებას და გამოყენებას. ქართული სიგელ-გუჯრების შეგროვების საქმეს იგი დიდი გულისყურით ეკიდებოდა. 1856 წ. მან გამოაქვეყნა ერთი საყურადღებო ქართული დოკუმენტი—მარიამ დედოფლის მზითვის წიგნი, შედგენილი 1635 წელს, მარიამის როსტომ მეფეზე გათხოვების დროს. ეს დოკუმენტი ბროსეს ყვარელიდან გაუგზავნა ისტორიკოსმა სულხან ბარათაშვილმა. დოკუმენტი აღმოჩნდა ქობულაშვილების ოჯახში, რომელთა ერთ-ერთი წინაპარი მარიამ დედოფლის დროს მდივან-ბეგად იყო მეფის კარზე. მზითვის წიგნი შეიცავდა მრავალ საინტერესო ცნობას XVII საუკუნის საოჯახო ინვენტარისა და საქონებელის შესახებ, იგი მდიდარი იყო ტერმინოლოგიის თვალსაზრისითაც კერძოდ, ყურადღებას იქცევდა აღმოსავლური სიტყვების სიმრავლე ამ დოკუმენტში (ზითევი, ბადიშხანი, ფარეში, მერიჩიფე, ხაბაზი, მეჭინიბე და სხვა). შენიშვნებში ბროსე განმარტავს ამ სიტყვებს [შდრ: 327].

1861 წელს საქართველოში მყოფმა აკად. ბ. დორნმა მცხეთის საპატრიარქო არქივში გამოავლინა და გადმოიწერა მე-18 საუკუნის შუა ხანების თურქული და სპარსული საბუთები, რომლებიც თურქეთის, ირანის და საქართველოს ურთიერთობას შეეხებოდა. ეს საბუთები—26 ცალის რაოდენობით—რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით რუსულად თარგმნა ამავე საზოგადოების წევრმა მოლა ჰუსეინმა და შესასწავლად გაუგზავნა ბროსეს. ბროსემ დაწერა ამ დოკუმენტების მიმოხილვა, აღნიშნა მათი მნიშვნელობა 1727—1762 წლების კავკასიის დიპლომატიური ისტორიისათვის, უპირატესად, მოვლენათა ქრონოლოგიის თვალსაზრისით [BA, 419—420].

დიდალი დოკუმენტური მასალა გაუგზავნა ბროსეს ად. ბერკემ, იმხანად კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის ხელმძღვანელმა. 1862 წლის დეკემბერში ბროსემ მისგან მიიღო 167 ქართული დოკუმენტის პირი. დოკუმენტები გადმოწერილი იყო მარტვილის, ცაიშის, საირმეს, ნამარნევის, სოფისა და ბიჭვინტის ეკლესიების არქივებიდან. 1868 წელს ბერკეს ბროსესათვის გაუგზავნია კიდევ 112 ქართული საბუთის პირი. ასე გრძელდებოდა შემდეგაც. ბროსემ აკადემიის უწყებებში გამოაქვეყნა ცნობა ამ მასალების შესახებ [203].

ბროსე ვულთბილი რეცენზიით გამოეხმაურა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მუშაობას და მოიწონა მის მიერ გამოქვეყნებული „აქტები“... [218]. მაგრამ იქვე იგი მწუხარებით აღნიშნავდა ამ გამოცემის ნაკლს—ქართული დოკუმენტების სიმცირეს „აქტების“ პირველ ტომში. ბროსეს აზრით, არქეოგრაფიულ კომისიას თავისუფლად შეეძლო გაემდიდრებია „აქტები“ ქართული საბუთებით, რომლებიც უკვე დიდი რაოდენობით იყო ცნობილი მკვლევართათვის.

1878 წელს ბროსე კიდევ ერთხელ დაუბრუნდა ქართული სიგელ-გუჯრების მნიშვნელობისა და მათი გამოქვეყნების აუცილებლობის საკითხს, როცა მან მხარი დაუჭირა დ. ბაქრაძის პროექტს ქართული სიგელ-გუჯრების შეკრებისა და პალეოგრაფიული შესწავლის შესახებ [238]. მაშინ ეს პროექტი არ განხორციელებულა. აკადემიამ ვერ გამოიხატა სახსრები ამ ღონისძიების დასაფინანსებლად.

ბროსე განაგრძობდა მუშაობას რუსეთის არქივთსაცავების მასალებზე. იგი ვულდასმით სწავლობდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიას და რუსეთში გადასული ქართველების თავგადასავალს. არჩილის, ვახუშტისა და სხვათა ბედი ბროსეს ყოველთვის საგანგებოდ აინტერესებდა. ვახუშტის გეოგრაფიული ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ მან ახალი მასალები მოიპოვა ამ სახელოვანი ისტორიკოსის შესახებ, ასევე მდიდარი ცნობები შეკრიბა მან არჩილისა და ვახტანგ VI-ის შემკვიდრეთა შესახებ და ყოველივე ამის საფუძველზე 1859 წ. გამოაქვეყნა ფრიად საინტერესო ნარკვევი [170] რუსეთში მოღვაწე ქართველების შესახებ (ვახუშტი, ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილები და სხვანი). ბროსეს ეს ნარკვევი განსაკუთრებით საინტერესოა რუსეთში გახიზნულ ქართველთა გენეალოგიისა და მათი ბიოგრაფიების შესწავლის თვალსაზრისით. რუსეთის ქართულ ახალშენთა შესახებ იგი მრავალ საყურადღებო მასალას იძლეოდა, ახალ შუქს ჰფენდა ქართველთა მონაწილეობას რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნარკვევს ერთვის იმ ქართველთა სია, რომელთაც მიღებული ჰქონდათ რუსეთის უმაღლესი ორდენები.

იმავე ხანებში ბროსემ ერთ საინტერესო დოკუმენტს მიაგნო. ჰელსინფორსის უნივერსიტეტის პროფესორს გოტლუნდს

აღმოაჩინდა ქართული დედანი არჩილ მეფის წერილისა შვეციის მეფისადმი კარლოს XII-სადმი 1706 წლის 2 თებერვლის თარიღით. წერილი შეიცავდა არჩილის თხოვნას გაენთავისუფლებიათ ტყვეობიდან (შვედ ტყვეებზე გაცვლის გზით) მისი შვილი ალექსანდრე, რომელიც ნარვასთან ბრძოლის დროს ჩაუვარდა ტყვედ შვედებს. როგორც ცნობილია, ამ თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია.

ბროსემ გამოაქვეყნა არჩილის წერილი და მისი ფრანგული თარგმანი [153]. მისადმი დართულ ნარკვევში მან რუსეთის არქივების მასალების საფუძველზე დაწვრილებით აღწერა არჩილის ურთიერთობა რუსეთის ხელისუფლებთან 1680—1696 წლებში, რუსეთში მისი რამდენჯერმე გადასვლისა და უკან დაბრუნების დრამატიზმით აღსავსე ამბები. ეს ნარკვევი ოდნავ შეცვლილი სახით ბროსემ შემდეგ „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომის დამატებაში შეიტანა.

რუსეთის არქივთსაცავების მასალების ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან პუბლიკაციას წარმოადგენდა 1861 წელს გამოქვეყნებული წიგნი— „Перписка, на иностранных языках, грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г.“... ეს იყო ბროსეს მრავალწლიანი შემგროვებლობითი მუშაობის შედეგი. აქ გამოქვეყნებულია 111 დოკუმენტი ბერძნულ (11 ცალი), ლათინურ (2 ცალი), თურქულ (3 ცალი), სპარსულ (1 ცალი), ქართულ (88 ცალი) და რუსულ (1 ცალი) ენებზე. მცირე გამონაკლისით დოკუმენტები თარგმნილია რუსულად და დაბეჭდილია en regard ძირითადი ტექსტის გვერდით. კრებულს ერთვის ძირითად მოვლენათა ქრონოლოგიური ცხრილი და 1586—1739 წლების რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ვრცელი მიმოხილვა, შედგენილი რუსეთის მთავარი არქივის თანამშრომლის ფრანცისკ პლოენის მიერ ჯერ კიდევ 1801 წელს.

რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის მეცნიერულად შესწავლის გზაზე ბროსეს ამ ნაშრომის გამოქვეყნება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მკვლევართა განკარგულებაში აღმოჩნდა პირველხარისხოვანი მასალა გულდასმით შერჩეული, დამუშავებული და თარგმნილი¹ რუსულ ენა-

¹ ქართული საბუთების თარგმანში ბროსეს დაეხმარნენ დ. ჩუბინა-შვილი და ლავრენტი ბროსე. ბერძნული თარგმნა გ. გრეფემ და შეამოწმა

ზე. დიდა ფაქტოლოგიური სიმდიდრით ხასიათდებოდა ფ. პლოენის მიერ შედგენილი მიმოხილვაც. ბროსეს ამ ნაშრომის მნიშვნელობა ზემოხსენებული საკითხისათვის ძნელია გადაჭარბებით იქნას შეფასებული.

დაბოლოს გვინდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი საინტერესო ნაშრომი. 1852 წ. ბროსემ გამოაქვეყნა რუსული თქმულების—დინარ დედოფლის ბრძოლა სპარსელების მეფესთან—ტექსტი და ნარკვევი მისი მნიშვნელობის შესახებ. ამ თქმულებას ჯერ კიდევ 1820 წელს მიაქცია ყურადღება სტროევა, შემდეგ იგი მოიხსენია პ. ბუტკოვა და ამით აღიძრა ერთგვარი ინტერესი მისდამი. მაგრამ თქმულების ტექსტი გამოუქვეყნებელი დარჩა და მისი ისტორიული ღირებულება და მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ იყო ნათელი მეცნიერთათვის. თავისი კოლეგების მ. ობოლენსკის, უსტლიაროვის და ი. ბერედნიკოვის დახმარებით ბროსემ გადმოიწერა და გამოსცა ამ თქმულების ტექსტი ორი სხვადასხვა ხელნაწერის მიხედვით [144, § 1¹], მიუთითა სხვა ხელნაწერთა არსებობაზე და შემდეგ გამოთქვა მოსაზრება, რომ თქმულება არ უნდა ეხებოდეს ქართლის ცხოვრებაში მოხსენიებულ ჰერეთის დედოფალს დინარას, არამედ ის უნდა გულისხმობდეს თამარ მეფეს და მის დროს მომხდარ შამქორის დიდ ბრძოლას. ბროსე თვლიდა, რომ XVI—XVII საუკუნეებში ასეთი თქმულების წარმოქმნა და ჩაწერა რუსეთში არ უნდა წარმოადგენდეს უჩვეულო მოვლენას, ვინაიდან მას წინ უძღოდა ან თან ახლდა ხანგრძლივი პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, სწორედ ამ საფუძველზე იყო შესაძლებელი ამ საინტერესო და ისტორიული შინაარსის მქონე თქმულების გაჩენა რუსულ მწერლობაში.

საკითხმა ამ თქმულების რაობისა და მნიშვნელობის შესახებ დიდი ინტერესი გამოიწვია რუსული ლიტერატურის მკვლევართა შორის. მის ირგვლივ მრავალი საინტერესო მო-

მა დესტუნისმა. სპარსულ-თურქული დოკუმენტები თარგმნილია აკად. ვ. ველიამინოვ-ზერნოვის მიერ.

¹ ფრანგულ წერილში ტექსტი დაბეჭდილია აღდგომის მონასტრის (Воскресенский монастырь) ხელნაწერის მიხედვით, რუსულ თარგმანში კი — აკადემიის ბიბლიოთეკის ხელნაწერის მიხედვით.

საზრება გამოითქვა, გამოქვეყნდა იარკვევები, შენიშვნები. ბროსეს მოსაზრებები ძირითადად გაზიარებული იქნა. ინტერესი ამ თქმულებისადმი არც დღესაა შენელებული.

ახალი ისტორიული მასალების ძიებაში ბროსე არც ქართულ ნუმისმატიკას ივიწყებს. მ. ბარათაშვილის ზემოხსენებული ნაშრომის შემდეგ გასული საუკუნის 50-იან წლებში ქართული ნუმისმატიკის შესწავლის ხაზით რამდენიმე საყურადღებო ნარკვევი გამოქვეყნდა. მათი ავტორები იყვნენ ვ. ლანგლუა და ი. ბარტოლომეი. ვ. ლანგლუამ 1851 წ. გამოაქვეყნა ნაშრომი შუა საუკუნეების ქართულ ნუმისმატიკაზე¹. ნაშრომს სერიოზული ხარვეზები დაჰყვა და ბროსემ გადაწყვიტა მათი განხილვა სპეციალურ რეცენზიაში. რეცენზია დაწერა 1857 წელს, მას შემდეგ, რაც ვ. ლანგლუამ გამოაქვეყნა „დამატება“... თავისი პირველი ნაშრომისა, მაგრამ იგი არ გამოქვეყნებულა. ეს რეცენზია ბროსემ გააცნო ი. ბარტოლომეის, რომელიც იმ ხანებში ინტენსიურად მუშაობდა ქართულ ნუმისმატიკაზე და ამ უკანასკნელმა კიდევ გამოიყენა იგი. თავისი ნაშრომის სისუსტეს ვ. ლანგლუაც გრძნობდა. მან იგი გადაამუშავა. შეაესო და 1860 წელს გამოსცა იგი ახალი სათაურით: „Essai de classification des suites monétaires de la Géorgie“. ამ დროისათვის უკვე გამოქვეყნებული იყო ი. ბარტოლომეის ნაშრომი ქართულ ნუმისმატიკაზე. ეს ნაშრომი² ბროსეს რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით გამოვიდა 1859 წელს და შეიცავდა დიდძალ ახალ და საინტერესო მასალას—მოპოვებულს ავტორის მიერ საქართველოში ხანგრძლივი მუშაობისა და მოგზაურობის შედეგად. ი. ბარტოლომეი თავისი მუშაობისა და დაკვირვებების შედეგებს წლების განმავლობაში წერილების სახით უგზავნიდა ბროსეს. 1867 წ. ბროსემ აკადემიის უწყებებში დაბეჭდა მისი 4 წერილი [164], ხოლო 1859 წელს, როცა ბროსეს ხელთ აღმოჩნდა ბარტოლომეის 32 წერილი, მან ითხოვა ცალკე წიგნად მა-

¹ Numismatique de la Géorgie au moyen-âge, ჯერ დაიბეჭდა ეურნალში: Revue archéologique, 1851, ტ. VIII, ხოლო შემდეგ 1852 წელს გამოქვეყნდა ცალკე წიგნად.

² Lettres numismatiques et archéologiques relatives à la Transcaucasie, SPb, 1859.

თი გამოქვეყნება [169], რაც იმავე წელს განხორციელდა კიდეც. ბარტოლომეის მიერ შეკრებილმა მასალებმა და აგრეთვე სხვა გზით მოპოვებულმა ცნობებმა ბროსეს საშუალება მისცეს საფუძვლიანად განეხილა ვ. ლანგლუას ახალი ნაშრომი [184]. გზადაგზა იგი ასწორებს და ახალი მასალებით ავსებს ლანგლუას ცნობებს, ზოგადად ახასიათებს ქართული ნუმისმატიკის შესწავლის მდგომარეობას და გამოთქვამს მოსაზრებას ზოგიერთ სადავო საკითხზე, რომელიც წამოჭრილი იყო ამ დარგში. ასეთ სადავო საკითხთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ლორეში აღმოჩენილი XV საუკუნის ქართული მონეტების ზომჭრელის ვინაობა, სასანური ტიპის ქართული მონეტების დათარიღება და სხვა.

ამასთანავე ბროსე სისტემატურად აქვეყნებდა ცნობებს ახლად მოპოვებული ნუმისმატიკური მასალების შესახებ. არაერთი წერილი დაწერა მან საერთოდ აღმოსავლური ნუმისმატიკის ცალკეულ საკითხებზე (სამანიღურ, ხელჭუქურ, ყუფურ და მონღოლურ მონეტებზე). გვინდა ვახსენოთ აგრეთვე ბროსეს შენიშვნები გ. ლაკიერის ცნობილ წიგნზე „Русская геральдика“ [160].

საყურადღებოა ბროსეს წერილი 1790 წლის ერთი მედალის შესახებ, რომელიც რუსეთის მთავრობას მოუჭრევიანებია რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წელს დადებული ხელშეკრულების აღსანიშნავად [139]. ბროსე აქვეყნებს მედალის აღწერას და იქვე იხსენიებს სხვა მედლებსაც, რომლებიც საქართველოსთან დაკავშირებით იქნა მოჭრილი რუსეთის სამონეტო დეპარტამენტის მიერ.

სხვა მასალების ჩამოთვლას აღარ გამოვუდგებით. როგორც ვხედავთ, ქართული ისტორიული მათიანეების გამოცემის პროცესში და მის შემდეგაც ბროსე ინტენსიურად კრებდა და აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის მასალებს საქართველოს ისტორიის შესახებ. მისი ინტერესების არე ძველებურად ფართე იყო და მრავალმხრივი.

მოსახსენებელი დაგვრჩა ორი საკითხი: ბროსეს მუშაობა ქართული ქრონოლოგიის საკითხზე და მისი დაკვირვებები ენის თვალსაზრისით ახალ ქართულ ლიტერატურაზე, რა-

საც თან ახლდა ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“-ს თარგმნა ფრანგულად.

60-იან წლებში ბროსეს მოუხდა მუშაობა ძველი ქართული წელთაღრიცხვის საკითხებზე. 1863 წელს მეცნიერებათა აკადემიაში დემიდოვის პრემიის მოსაპოვებლად წარადგინეს ვ. ცვეტკოვის ნაშრომი „О гpyзшнском корониконе“, რომელიც სარეცენზიოდ გადასცეს ბროსეს. ბროსეს დასკვნა ცვეტკოვის ამ ნაშრომზე გამოუქვეყნებელი დარჩა [BA, გვ. 428]. ამ შემთხვევამ ბროსე აიძულა, საფუძვლიანად გასცნობოდა მასალებს ძველი ქართული წელთაღრიცხვის შესახებ. მან შეკრიბა და გამოაქვეყნა ეს მასალები. მან ჯერ გამოაქვეყნა ნაწყვეტი ერთი ძველი ქართული ხელნაწერიდან, რომელიც ეხებოდა წელთაღრიცხვის წესს. ეს იყო ცნობილი ტრაქტატი აბუსერიძე ტბელისა, მოთავსებული მცხეთის ერთ-ერთ ხელნაწერში. ძველი 1233 წლით თარიღდებოდა [214], შემდეგ მან გამოსცა კრებული, რომელშიც ამ მასალასთან ერთად შესულია სხვა მასალებიც, კერძოდ, ნაწყვეტი ტიშენდორფისეული ხელნაწერიდან და ვახუშტის ტრაქტატი [219]. ვრცელ წინასიტყვაობაში ბროსე მიმოიხილავს ძველი საეკლესიო წელთაღრიცხვის წესებს საერთოდ და მკითხველს აცნობს ფორმულებს, გამოყენებულთ აღდგომის დღის გამოსაანგარიშებლად. ბოლო, შემაჯამებელი ნარკვევი ქართული წელთაღრიცხვის შესახებ ბროსემ გამოაქვეყნა 1877 წელს [243]. ნაშრომში ჩამოთვლილია წელთაღრიცხვის წესება, რომლებიც გვხვდება ძველ ქართულ წყაროებში, ახსნილია საეკლესიო წლის შემადგენელი ნაწილების სახელწოდებები და წელთაღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა ტერმინები. ეს ნაშრომები საკმაოდ კარგ და სრულ წარმოდგენას აძლევდნენ ქართული წელთაღრიცხვით დაინტერესებულ პირთ ამ მოვლენაზე და აძლევდნენ მასალებს ძველ წყაროებში დასახელებული თარიღების გადასაყვანად მიღებულ იულიანურ წელთაღრიცხვაზე.

1877 წელს ბროსემ ერთი საინტერესო სამუშაო წამოიწყო, მან მოინდომა შეეპირისპირებია ერთმანეთისათვის ძველი ქართული საგმირო-საზღაპრო ეპოსი და მე-19 საუკუნის ქართული რეალისტური პროზა, იმას გასათვალისწინებლად, თუ როგორი ცვლილება განიცადა ქართულმა ენამ საუკუნეე-

ბის მანძილზე. ამ მიზნით მან აიღო ორი ლიტერატურული ძეგლი—„ყარამანიანი“ და ილია ქავჭავაძის—„კაცია ადამიანი?!“ ამათან დაკავშირებით ეს უკანასკნელი მან თარგმნა ფრანგულად [BA, გვ. 505]. თარგმანი საკმაოდ კარგადაა შესრულებული. მკვლევარი რ. დოდაშვილი წერს:—„თარგმანი შესრულებულია ბროსესათვის დამანასიათებელი გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერებით. არ არის დაკარგული არც ერთი სიტყვა, არც ერთი გამოთქმა... შესანიშნავად არის თარგმნილი თათქარაძის სახლ-კარის აღწერა, დარეჯანისა და ლუარსაბის კამათი საქმელებზე, ბუზების თვლა. დიდი იუმორით გამსჭვალული ადგილები კარგადაა ნაგრძნობი და განწყობილებაც ზუსტად არის გადმოცემული“ [296]. სამწუხაროდ, განზრახული საქმის შესრულება ბროსემ ვეღარ მოასწრო. ავადმყოფობამ და შემდეგ გარდაცვალებამ შეწყვიტა მისი მუშაობა ამ საკითხზე. ის, რაც ბროსემ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოაქვეყნა [246], წარმოადგენს მხოლოდ ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას, სადაც ჩამოთვლილია ქართული წიგნების არსებული კატალოგები (ოეიმურაზის ბიბლიოთეკისა, დ. ციციშვილის, გ. ავალიშვილის, დ. ჩუბინაშვილის, დ. დადიანის, პლ. იოსელიანის, იოანე ბატონიშვილის წიგნთა კატალოგები).

ამით შეიძლება დავამთავროთ იმ მასალებისა და საკითხების მიმოხილვა, რომლებზედაც მოუხდა ბროსეს მუშაობა 50-იანი წლებიდან გარდაცვალებამდე. ეს მუშაობა, როგორც ვნახეთ, ბროსესათვის ჩვეული ნაყოფიერებით ხასიათდებოდა. ქართული ისტორიოგრაფიის ზოკუმენტური არსენალი საგრძნობლად გაიზარდა. მრავალი ახალი და საყურადღებო მასალა შემოვიდა მეცნიერულ მიმოქცევაში. სულ უფრო და უფრო ფართოდებოდა საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ და კვლევა-ძიებაში ჩაბმულ პირთა წრე.

ბროსეს გავლენა ქართველოლოგიურ ძიებათა განვითარებაზე ინტენსიური იყო.

2. არმენოლოგიური შრომები

მარი ბროსეს მეცნიერულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არმენოლოგიურ ნაშრომებს. საქართვე-

ლოს ისტორიის წყაროების ძიებამ მას უკარნახა, ღრმად და საფუძვლიანად გასცნობოდა ძველ სომხურ ლიტერატურას. სომხეთის მატერიალური კულტურის ძეგლებს და მათ საფუძველზეც შეევესო და შემომოწმებინა ძველი ქართული მატიანების მონაცემები. ბროსე არაერთხელ აღნიშნავს, რომ სომეს ავტორთა თხზულებებს იგი სწავლობდა საქართველოს ისტორიის წყაროთა გამდიდრების მიზნით. მაგრამ არ იქნება სწორი, თუ ვიფიქრებთ, რომ ბროსეს არმენოლოგიურ კვლევებებს მხოლოდ საქართველოს ისტორიისათვის ჰქონდა მნიშვნელობა. მათ დიდი როლი ითამაშეს გასული საუკუნის მეორე ნახევრის ევროპული არმენოლოგიის დაწინაურებაში. საკითხის ამ მხარეს, ალბათ, სათანადო სპეციალისტები შეისწავლიან, ჩვენ კი მოკლედ გვინდა, მიმოვიხილოთ ბროსეს არმენოლოგიური ნაშრომები, ვინაიდან უამისოდ არასრული იქნება მისი ქართველოლოგიური შემკვიდრების დახასიათება.

60-იანი წლებიდან არმენოლოგიური ძიებები ბროსეს მუშაობაში უპირატეს ადგილს იჭერს. თავისი უმთავრესი ნაშრომები ამ დარგში ბროსემ სიცოცხლის ორი უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში შექმნა.

არმენოლოგიაში ბროსე ისეთივე უნივერსალურ ერუდიტი-ისტორიკოსად გვევლინება, როგორც იგი ქართულის კვლევაში იყო. აქაც მის ყურადღებას იპყრობს სომხეთის წარსულის ყოველგვარი ძეგლი, ყოველგვარი ნაშთი, ერთნაირი ინტერესით სწავლობს იგი როგორც საისტორიო მწერლობას, ასევე ლიტერატურულ ძეგლებს, ეპიგრაფიკას, ნაქალაქარებს და სხვა. ბროსე ყურადღებით ადევნებდა თვალს იმ დროს ევროპაში მიმდინარე არმენოლოგიურ მუშაობას და სისტემატურად ეხმაურებოდა მას, იგი ამ მუშაობის ერთგვარ მეპატიანედაც გვევლინება. მკითხველი მის ნაშრომებში იპოვის არმენოლოგიური ლიტერატურის დახასიათებას, სათანადო ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს, რეცენზიებს და სხვა ისტორიოგრაფიულ მასალას [207; 251]. ეს საშუალებას აძლევდა ბროსეს, ყოველთვის ყოფილიყო არმენოლოგიური მუშაობის კურსში, თვალი ედევნებია მისი მიღწევებისათვის, განვითარებისათვის, ახალი ამოცანებისათვის...

გასული საუკუნის შუა ხანებისათვის არმენოლოგიას ევროპაში განვითარების საკმაოდ დიდი გზა ჰქონდა გავლილი. იმხანად ამ დარგშიც, ისევე როგორც ქართველოლოგიაში, ძირითადად წყაროთმცოდნეობითი მუშაობა მიმდინარეობდა. ხდებოდა ახალ-ახალი მასალების შესწავლა, პუბლიკაცია, კრიტიკული განხილვა. გამოქვეყნებული იყო დიდძალი საღვთისმეტყველო ლიტერატურა, არსებობდა სომხური ენის რამდენიმე გრამატიკა (ე. გალანოს, ფ. რივოლასი, ვოსკანის. იოანე ჯულფელის და, განსაკუთრებით, მხითარ სებასტიელის შესანიშნავი ნაშრომი), სომხური ანბანი და ლექსიკონები [328]. შიშველებოდა ძველი სომხური ლიტერატურის რამდენიმე მიმოხილვა (სუკიას სომალიანის, შ. ფ. ნოიმანის, ს. ნაზარიანის), წიგნები სომხეთის ისტორიის შესახებ (ჩამჩიანის, შახნაზარიანის, ტაკეჯიანის და სხვათა.) ევროპაში მრავალგან იყო თავმოყრილი სომხური ხელნაწერები, მონეტები, სხვა სიძველენი (ვენეციაში, ვატიკანში, ვენაში, პარიზში, მოსკოვში, პეტერბურგში და სხვ.). ხელნაწერთა მდიდარი კოლექციები იყო აგრეთვე კონსტანტინეპოლში, ჯულფაში, სმირნაში, კალკუტაში. ყველაზე მდიდარი იყო ეჩმიადინის საპატრიარქო ბიბლიოთეკა. განსაკუთრებული ყურადღება, ბუნებრივია, ექცეოდა სომხურ საისტორიო მწერლობას. მე-19 საუკუნის 50-იანი წლებისათვის ევროპული არმენოლოგია იცნობდა 35-მდე ძველ სომეხ ისტორიკოსს, ამათგან 24 უკვე გამოქვეყნებული იყო [329].

არმენოლოგიური მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი კერა იყო სომეხ მხითარისტთა კონგრეგაცია ვენეციაში [328]. მე-19 საუკუნეში აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ფილოლოგები და ისტორიკოსები: იოანე ზორაბი, მკრტიჩ ავგერიანი, ლუკა ინჰიპიანი, სუკიას სომალიანი, მინას ბეიშკიანი და სხვანი. ბროსე, როგორც აღვნიშნეთ, იცნობდა ბევრ მათგანს და მიწერ-მოწერაც ჰქონდა მათთან. 1846 წ., როცა გარდაიცვალა კონგრეგაციის იმდროინდელი მეთაური სუკიას სომალიანი, ბროსემ პეტერბურგის გაზეთში გამოაქვეყნა მოკლე ნეკროლოგი [101] და გაკვრით დაახასიათა კონგრეგაციაში მიმდინარე მეცნიერული მუშაობა.

საკმაოდ ძლიერი არმენოლოგიური სკოლა იყო პარიზ-

შიც (გაივზოვსკი, ედ. დიულორიე, ვ. ლანგლუა, ე. პრიუდომი და სხვანი). ბროსეს მკიდრო ურთიერთობა ჰქონდა მათთანაც. ლანგლუა და დიულორიე სისტემატიურად ატყობინებდნენ ბროსეს მათი მუშაობის მიმდინარეობას. 1854 წელს დიულორიმ დაიწყო სომხური წელთაღრიცხვის შესწავლა. იგი ამზადებდა დიდ მონოგრაფიას ამ საკითხზე. ბროსემ ერთ-ერთ მოხსენებაში გააცნო სურეთის მეცნიერებათა აკადემიას დიულორიეს მუშაობა და მიუთითა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ამ საკითხის გარკვევას შემდეგი არმენოლოგიური კვლევა-ძიებებისათვის [163].

რუსეთში მიმდინარე არმენოლოგიური მუშაობა მკიდროდ იყო დაკავშირებული ბროსესთან. ბროსეს განუყრელი კავშირი ჰქონდა დამყარებული ლაზარევის აღმოსავლურა ენების ინსტიტუტთან მოსკოვში, მისი მეთვალყურეობით დაიწყეს მუშაობა აკადემიაში ცნობილმა არმენისტებმა მკრტიჩ ემინმა და ქეროპე პატკანიანმა. ბროსეს სისტემატურად უზღებოდა სომხეთისა და სომხურის შესახებ დაწერილი წიგნების რეცენზირება [82—შოპენის წიგნზე; 137—ბეროევის სახელმძღვანელოზე და სხვა]. მისი ყურადღების გარეშე არ დარჩენილა სომხეთთან დაკავშირებული ისეთი, თითქოს და უმნიშვნელო ფაქტიც კი, როგორც იყო პოლკოვნიკ ხოძკოს ასვლა არარატზე 1850 წელს [135].

ბროსეს არმენოლოგიური შრომები შეიძლება ორ ჯგუფად გავყოთ: პირველი—შემცველი სომხურ სიძველეთა (ნაქალაქარები, ხელნაწერები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ეკლესიამონასტრები) აღწერებისა, მეორე — სომეხ ისტორიკოსთა თხზულებების თარგმანებისა. გავეცნოთ მათ ამავე თანმიმდევრობით.

სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები აღრიხდანვე იქცევდნენ მკვლევართა ყურადღებას. ეს ძეგლები, საკუთრად სომხეთს ვარდა, დიდი რაოდენობით ზოიპოვებოდა ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებში: პოლონეთში, ყირიმში, მცირე აზიაში. მათი ერთი ნაწილი გამოაქვეყნა მინას ბეიშკიანმა თავის „პონტის ისტორიაში“. მანვე დაბეჭდა ანისის წარწერების მნიშვნელოვანი ნაწილი. სომხური წარწერები გვხვდება ყ. სენ-მარტენისა და პ. ი. კლაპროტის ნაშრომებში.

ბროსემ ჯერ კიდევ პარიზში შესძლო რამდენიმე სომხური ემიგრაციული ძეგლის შეკრება. სომხური წარწერები მას გადასცეს კ. შილინგმა და დიუბუა დე მონპერომ. რუსეთში ჩამოსვლისთანავე მას მოუხდა ვოლგის ბულგარში აღმოჩენილ სომხურ ეპიტაფიებზე მუშაობა. ეს წარწერები ჯერ კიდევ 1819 წელს იყო ნაპოვნი პოლკოვნიკ პოტის მიერ. მაშინ ისინი გაშიფრა და გამოაქვეყნა ჟ. სენ-მარტენმა პარიზის აზიური საზოგადოების ჟურნალში (JAS, VIII, 1831, გვ. 503—506). სენ-მარტენმა ერთ-ერთ წარწერაში ამოიკითხა თარიღი — 1435 წელი და დაკრძალული პირის სახელი — არუთაუნი. 1836 წ. ეს წარწერები ხელმეორედ გადმოიღო ვინმე კაჟტანიკოვმა და ხრ. ფრენის მეშვეობით გამოუგზავნა ბროსეს. ბროსემ შეასწორა წარწერის თარიღი—ნაცვლად 1435 წლისა— 1335 წელი, მაგრამ მცდარად ამოიკითხა დაკრძალული პირის სახელი—„ბარონი ოშინი“ [53]. უფრო გვიან, 1853 წელს პ. საველიევისაგან ბროსემ მიიღო ამ წარწერების უკეთ შესრულებული (მელნის მეთოდით) პირი და აღმოაჩინა, რომ სახელის სენ-მარტენისეული წაკითხვა—არუთიუნი სწორი იყო. ეს გახდა ამ წარწერის მესამედ გამოქვეყნების მიზეზი [188]. აქვე ბროსე აქვეყნებს სხვა, კიდევ უფრო ძველ წარწერას (1321 წლისას) იმავე ბულგარიდან. ამ წარწერებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ბულგარში სომხური მოსახლეობის წარმოქმნისა და ისტორიის შესასწავლად. დიუბუას მიერ გადაცემული მასალებიდან ბროსემ ცალკე გამოაქვეყნა სოფ. აკორის წარწერები და ნარკვევი ამ სოფლის წარსულზე [179].

40-იანი წლების დასაწყისში ბროსეს განკარგულებაში აღმოჩნდა ახალი სომხური ემიგრაციული მასალა. როგორც ვიცით, 1837 წელს ამიერკავკასიაში გამოგზავნილ სენატორს—ბარონ განს აკადემიამ სთხოვა ეზრუნა ქართული და სომხური სიძველეების შეკრებაზე. ბარონი განი დაუკავშირდა სომხურ-გრიგორიანული სინოდის პროკურორს თ. ყორღანოვს და ამ უკანასკნელმა მისი თხოვნით აკადემიას გაუგზავნა: ეჩმიაძინის საპატრიარქო ბიბლიოთეკის კატალოგი, შედგენილი ყორღანოვისა და იოანე შახატუნოვის მიერ, მოსე კალანკატუელისა და მხითარ აირივანელის თხზულებათა პირები, ძველი სომხეთის ეკლესია-მონასტრების აღწერა (შედგენილი შახატუნოვის მი-

ერ) და იოანე ყირიმელის ნაშრომი — აღწერა სანაჰინისა და ახპატის მონასტრებისა. ამ ორ უკანასკნელ თხზულებას დართული ჰქონდა ოთხასამდე ძველი სომხური წარწერა, გადმოღებული ეკლესია-მონასტრებიდან [89]. 1841 წ. რამდენიმე სომხური ეპიგრაფიკული ძეგლი ბროსეს გაუგზავნა პლ. იოსელიანმაც. ბროსემ გადაწყვიტა შეედგინა და გამოქვეყნებინა სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების სრული კრებული.

თავდაპირველად მან დაბეჭდა ნარკვევი სანაჰინისა და ახპატის მონასტრებზე და მათ წარწერებზე [88]. ამ ძეგლებით ბროსეს დაინტერესება სავსებით გასაგებია: მათი ადგილმდებარეობა ისეთ რაიონშია, სადაც ქართული და სომხური მოსახლეობა საუკუნეების მანძილზე მონაცვლეობდა, სადაც იყო ამ ორი ხალხის გზაშესაყარი (სომხითი, ვრაცდაშტი, ლორე [330]). ეს გარემოება განსაკუთრებულ ინტერესს აღუძრავდა ბროსეს. ახპატისა და სანაჰინის წარწერები მრავლად შეიცავდნენ ცნობებს ქართველი ბაგრატიონების, ქორიკიანების (კვირიკიანების) და, განსაკუთრებით, მხარგრძელთა საგვარეულოების შესახებ. ბროსე იხილავს ამ ცნობებს ძველი სომხური და ძველი ქართული წერილობითი წყაროების მონაცემების შუქზე და ადგენს აღნიშნულ საგვარეულოთა გენეალოგიურ ტაბულებს. ამავე ნაშრომში ბროსე მსჯელობს საზოგადოდ სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების თავისებურებებისა და მნიშვნელობის შესახებაც.

თ. ყორღანოვისაგან მიღებული მასალებიდან ბროსემ გამოსაცემად მოამზადა იოანე ყირიმელის თხზულება—აღწერა სანაჰინისა და ახპატის მონასტრებისა, რომელიც გვიან, 1863 წელს, ცალკე წიგნად გამოქვეყნდა კიდევ [197]. ამ გამოცემისათვის ბროსემ დაწერა ახალი ნარკვევი აღნიშნული მონასტრების სიძველეთა შესახებ. ნარკვევი ჯერ ცალკე წერილის სახით დაიბეჭდა [205], ხოლო შემდეგ დამატების სახით დაერთო იოანე ყირიმელის წიგნს.

გარდა ამისა, იოანე ყირიმელის წიგნს ბროსემ დაურთო ახალი მასალები სანაჰინისა და ახპატის შესახებ. ეს მასალები ამოკრებილი იყო სარგის ჯალალჩიანის ზემოთ უკვე ნახსენები წიგნიდან — მოგზაურობა დიდ სომხეთში (წიგნი I, 1842, თბილისი). 1862 წ. აკადემიამ მიიღო იულიუს კესტნერის მიერ

შესრულებული ამ მონასტრების ანაზომები, გეგმები, რომლებიც ბროსემ აგრეთვე დაურთო იოანე ყირიმელის წიგნს. ამავე წიგნში ბროსემ შეიტანა ზოგი ისეთი წარწერა სანაპიინიდან და ახპატიდან, რომელიც არ მოეპოვებოდა იოანე ყირიმელს და აღმოჩნდა შილინგისეულ კოლექციაში. ამრიგად, 1863 წ. გამოცემული იოანე ყირიმელის წიგნი მასალების მხრივ საგრძნობლადაა გამდიდრებული ბროსეს მიერ, რომ არაფერი ვთქვათ გამოცემლის იმ მრავალრიცხოვან სტრიქონქვეშა შენიშვნებზე და განმარტებებზე, რომელიც თან ახლავს მას.

ცალკე წერილის სახით გამოქვეყნებულ ნარკვევში ყურადღებას იქცევს სპეციალური ისტორიულ-გენეალოგიური ექსკურსი წარწერებში მოხსენებული ემირ კურდის (სასუნელის) და სადუნ მანკაბერდელის შესახებ [205, გვ. 219—231]. ბროსე აქ სომეხი ისტორიკოსების (კირაკოსი, მალაქია-აბელა, ვარდანი) ცნობებისა და წარწერების საფუძველზე არკვევს მათ გენეალოგიას და ურთიერთობას მხარგრძელთა საგვარეულოსთან.

სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების შემდეგი პუბლიკაცია ბროსემ განაზორციელა 1849 წ., როცა გამოაქვეყნა მოხსენება თავისი მოგზაურობის შესახებ ეჩმიადინში [136, წ. I, გვ. 84—114]. აქ ბროსე აქვეყნებს აბიხის მიერ ანისში შეკრებილ წარწერებს, ნ. ხანიკოვის მიერ ანისის დათვალიერების დღიურს [იქვე, გვ. 121—150] და შენიშვნას კეჩარუს (დარაჩიჩაგშია) სომხური ეკლესიის წარწერების შესახებ. კეჩარუს ეკლესიის წარწერებს მან სპეციალური წერილიც უძღვნა მას შემდეგ, რაც 1850 წ. მიიღო ტოკარევისაგან ამ ეკლესიის წარწერათა უკეთ გადმოღებული პირები [150]. წარწერებთან ერთად ბროსე აქვეყნებს ამ ეკლესიის აღწერას—მოცემულს ი. შახატუნოვის მიერ ზემოთნახსენებ ნაშრომში. აქვე ბროსე გადმოგვცემს ისტორიულ ცნობებს ამ ეკლესიის შესახებ, ამოკრებილს სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებიდან. წარწერებში გვხვდება ცნობები საქართველოს შესახებაც.

1855 წ. ბროსემ ი. ბარტოლომეისაგან მიიღო პირი ერთ-ერთი უძველესი სომხური ეპიგრაფიკული ძეგლისა—წმ. იოანეს ტაძრის წარწერისა, რომელიც 635 წლით თარიღდებოდა. წარწერაში ნათქვამია, რომ ტაძარს ჰერაკლე კეისრის ხანაში

ჩაეყარა საფუძველი. ძეგლი მდებარეობდა ბაიაზეთის საფაშო-ში, მდ. მურად ჩაიზე დიადინის ციხის მახლობლად. ბროსემ ბარტოლომეის წერილი და წარწერა სათანადო კომენტარებით გამოაქვეყნა აკადემიის უწყებებში [170].

დაბოლოს უნდა ვახსენოთ ბროსეს პატარა ნარკვევი მაზენდარანში ნაპოვნი სამი სომხური ეპიტაფიის შესახებ [240]. ეს ეპიტაფიები XVII საუკუნეს მიეკუთვნება. ისინი გადმოიწერა რუსეთის წარმომადგენელმა ასტარაბადში ვინმე ბაკულინმა და გამოუგზავნა მეცნიერებათა აკადემიას.

შეიძლება ითქვას, რომ სომხეთის ისტორიულ ძეგლთაგან ანისის ნანგრევებმა თითქმის ყველაზე ადრე მიიქცია მკვლევართა და მოგზაურთა ყურადღება. ჭერ კიდეც 1734 წ. ეს ძეგლი აღწერა იოანე კათალიკოსმა, შენიშვნები მასზე მოეპოვება გამელი კარერს (1738 წ. ბერჟერონის კრებულში). იმავე საუკუნის დამლევს ზუბოვის ლაშქრობის მონაწილე უცნობ რუს მხატვარს ანისის ხედიც ჩაუხატია, ხოლო მინას ბუიშკიანს ნაშრომში „პონტის ისტორია“ (1806), როგორც ვთქვით, მოეპოვება ანისის წარწერები და ძეგლის აღწერა. მე-19 საუკუნეში ანისის არაერთი ავტორი შეეხო (პამილტონი, ევგენი ბორე, ლუკა ინჭიკიანი, სერსეი, აბიხი, ხანიკოვი და სხვანი). 1845 წელს აბიხმა აკადემიას გაუგზავნა ანისის ნანგრევების აღწერა და მისი წარწერების პირები. აკადემიამ ამ მასალის გამოქვეყნება დაავალა მ. ბროსეს. აბიხის წერილს, თავის მხრივ, ბროსემ დაურთო ნარკვევი ანისის წარსულის შესახებ [98], შედგენილი უპირატესად წერილობითი წყაროების საფუძველზე. აქ საუბარია ბაგრატიონთა აღმშენებლობით საქმიანობაზე ანისში, მის გადაქცევაზე სომხეთის დედაქალაქად 961 წლიდან, ბიზანტიელთა ბატონობაზე ქალაქში 1040 წლის შემდეგ, სელჩუკთა გაბატონებაზე (შედადიანები ანისში), ქართველთა ბრძოლებზე ანისისათვის (მისი შემოერთება), ანისის დანგრევაზე მიწისძვრისაგან XIV საუკუნის დასაწყისში და ა. შ.

აბიხის მიერ ანისში შეკრებილი წარწერები, როგორც უკვე ვთქვით, ბროსემ შეიტანა თავის წიგნში არქეოლოგიური მოგზაურობის შესახებ, სადაც მან აგრეთვე მოათავსა ნ. ხანიკოვის მიერ 1848 წ. ანისის დათვალიერების დღიური.

წარწერები აქ დალაგებულია ქრონოლოგიურად, ეპოქების მიხედვით (სომხური სამეფო, ბერძენთა ბატონობა, ქართველთა ეპოქა, მონღოლთა ეპოქა, სხვა წარწერები). საკონტროლოდ მოყვანილია სხვა წყაროთა მონაცემები, შედგენილია მოხსენებულ პირთა გენეალოგიები.

ეს ადრეული შრომები ანისის შესახებ მრავალ ხარვეზს შეიცავდა. წარწერები არ იყო კარგად გადმოღებული და ბევრი იყო ბუნდოვანი, გაურკვეველი ადგილები, ყველა წარწერა ჭერ კიდევ არ იყო გადმოღებული და წაკითხული.

1849 წელს ანისში იმოგზაურა იულიუს კესტნერმა, კვალიფიციურმა მხატვარმა—მოგზაურმა, რომელმაც ჩაიხატა ანისის ნანგრევები, მისი ცალკეული ძეგლები, გადმოიწერა წარწერები. კესტნერი შემდეგ წლებშიც არაერთხელ იყო სომხეთში და საბოლოოდ მან შექმნა შესანიშნავი სამტომიანი ალბომი სომხეთის ისტორიული ძეგლების შესახებ.

კესტნერმა გადმოიხატა ანისის 42 წარწერა (მანამდე ბროსეს განკარგულებაში იყო მხოლოდ 18 წარწერა, რომელთაგან 10 ეკუთვნოდა აბიხს). ამთგან 5 იყო არაბულ-სპარსული, 2 ქართული, 1 ბერძნული და დანარჩენი სომხური. ერთი წარწერა სამენოვანი იყო, სამი—ორენოვანი, წარწერების ქრონოლოგიური ჩარჩოები იყო XI—XIV სს. ამ წარწერების განხილვა პირველად ბროსემ გამოაქვეყნა 1852 წელს [142]. მათგან ბროსემ საგანგებოდ გამოჰყო აბუსაიდის წარწერა ანისის მეჩეთზე, რომელიც ჭერ კიდევ ხანიკოვს ჰქონდა ამოკითხული თავის დღიურში. ნ. ხანიკოვმა 1852 წ. მეორედ ნახა ეს წარწერა, უკეთესად გადმოიღო და გაშიფრა. ბროსემ გამოაქვეყნა ხანიკოვის წერილი აბუსაიდის წარწერის შესახებ [146].

მასალებმა ანისის შესახებ ერთბაშად განიცადეს ზრდა ს. ჯალალიანის ზემოთ უკვე ნახსენები წიგნის წყალობით. ამ წიგნის მეორე ტომში მოიპოვებოდა 150 წარწერა ანისიდან, ამ ნაქალაქარის დაწვრილებითი აღწერა. ჯალალიანის მასალებიდან ბროსემ საგანგებო ყურადღება მიაქცია 4 წარწერას, რომლებიც ქრონოლოგიის თვალსაზრისით აღმოჩნდნენ საინტერესონი. ესენი იყო: ა) კატრანიგ დედოფლის წარწერა, ბ) სარგის სამუელის ძის წარწერა 1215 წლისა, ზაქარია მხარგრძელის მოხსენიებით, გ) ლოშავანქის წარწერა 1032 წლისა და

დ) წარწერა სოფელ ანისიდან, რომელიც ბროსემ VII საუკუნით დაათარიღა [178].

თავისი ხანგრძლივი მუშაობა ანისის სიძველეთა შესწავლა-აღწერაზე ბროსემ დამთავრა ვრცელი მონოგრაფიით, რომელიც 1865—1861 წლებში გამოქვეყნდა ორ წიგნად [187]. ეს იყო საუკეთესო ნაშრომი ანისის შესახებ ნ. მარის ცნობილი წიგნის [331] გამოქვეყნებამდე. პირველი ტომი ანისის ნანგრევების აღწერას შეიცავდა, მეორე ტომი კი—ქალაქის ისტორიას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო წიგნის პირველი ნაწილი, ვინაიდან ბროსემ აქ შესძლო შეეკრიბა პირველხარისხოვანი აღწერილობითი მასალები ანისის შესახებ: ნაქალაქარის გეგმები—აბინისეული, ტექსიეს მიერ შედგენილი, ტოპოგრაფ ბუჩუგინისა და ხუდობაშევის მიერ შედგენილი და სხვა. გეგმებს თან ერთვოდა აღწერები. ბროსე იყენებს კესტნერისა და გრიმის ჩანახატებს, ფეხდაფეხ მიჰყვება ანისის ძეგლებს, აღწერს მათ, შიფრავს წარწერებს, მოაქვს ისტორიული ცნობები ამ ძეგლთა შესახებ და სხვა. ამრიგად, აღწერილია ანისის 46 ძეგლი (ეკლესიები, კოშკები, სასახლეები, კედლები, ჯვრები და ა. შ.).

აბუსაიდის წარწერა ბროსეს ხელმეორედ წაუკითხვიანებია ერთი თურქი ოფიცრისათვის (ვინმე ოსმან ალასათვის) და ამ უკანასკნელის წანაკითხი მას შეტანილი აქვს მონოგრაფიაში. ამავე მონოგრაფიაში ბროსეს შემოაქვს მარმაშენის (შემდეგ ხალინჯა) და არიკის ეკლესიების აღწერებიც, შედგენილი აბელ მხითარაიანის მიერ 1856 წელს.

ბროსეს ამ ნაშრომმა თვალსაჩინოდ წასწია წინ ძველ სომხეთის დედაქალაქის ისტორიისა და ნანგრევების შესწავლის საქმე. ანისის ბროსემ კიდევ ერთი წერილი უძღვნა. ეს მაშინ, როცა დაწერა რეცენზია ლ. ალიშანის წიგნზე—„დიდი სომხეთის აღწერა“. ამ წიგნიდან ბროსემ ამოკრიბა დამატებითი ცნობები ანისზე და სათანადო კომენტარებით გამოაქვეყნა ისინი [198].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ძველი სომხეთის ნაქალაქარებიდან ბროსემ ყველაზე მეტი ყურადღება დაუთმო ანისის ნაქალაქარს, მის აღწერას, წარწერებს და ისტორიას. ძველი სომხეთის ამ ერთ-ერთი დედაქალაქის ისტორიული და

არქეოლოგიური (ძველი გაგებით) შესწავლის საქმეს ბროსემ საქმაოდ დიდი ღვაწლი დასდო.

საგანგებოდ გვინდა შევეხოთ ბროსეს რამდენიმე ნაშრომს სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლურსმული დამწერლობის ძეგლების შესახებ. ამ წარწერათა შესწავლის საქმე იმ ხანად თავისი განვითარების საწყის სტადიაში იმყოფებოდა, ამის გამო ყოველგვარი წვრილმანი ცნობაც კი მათ შესახებ სპეციალისტების მიერ განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლებოდა.

1862 წელს ზემოთ უკვე არაერთხელ ნახსენებმა იულიუს კესტნერმა სომხეთში მოგზაურობის დროს მდ. არპაჩაის ნაპირზე სოფ. ხანლიჯასთან (ანდრიაანოპოლიდან 8 კმ-ის დაშორებით, მარმაშენის ცნობილ მონასტერთან) იპოვა ერთი ლურსმული წარწერა და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა ერმიტაჟის ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელს ჯილს (Gille). ამაზე ადრე მან ასეთივე ლურსმული წარწერიანი ქვა ნახა არმავირთან (არაქსის შენაკად მდ. კახახზე). ჯილმა კესტნერის წერილი და ხანლიჯასთან აღმოჩენილი ლურსმული წარწერის ჩანახატი გადაუგზავნა ბროსესა და კუნიკს. ამ უკანასკნელთ გულდასმით შეისწავლეს წარწერა, შენიშნეს მისი მსგავსება შულცის მიერ ვანის ტბასთან აღმოჩენილ წარწერებთან (გამოაქვეყნა პარიზის აზიურმა საზოგადოებამ. იხ. JAs, 3^e serie, IX, 1840, გვ. 273-323) და სათანადო მოხსენება წარუდგინეს მეცნიერებათა აკადემიას [199]. მოხსენებაში მათ მოჰყავთ კესტნერის წერილი და წარწერის ჩანახატი. ამავე დროს მოხსენებას მათ დაურთეს აკად. ლერპის დასკვნა ამ წარწერის მსგავსების შესახებ შულცისეულ წარწერებთან, რაც ადასტურებდა მათ საკუთარ დაკვირვებას [იქვე, გვ. 431—435].

ამ მასალამ სპეციალისტთა ყურადღება მიიქცია. მეცნიერებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შემუშავებული გარკვეული წარმოდგენა ლურსმული წარწერების ენაზე. ერთნი ფიქრობდნენ, რომ ამ წარწერების ენა სემიტურიაო (სოლსი), მეორენი არიულად თვლიდნენ მას (პინკი, მორდმანტი). ლერპი ლურსმული წარწერების ენად ასირიულს მიიჩნევდა და ხანლიჯის წარწერაში სავარაუდოდ კითხულობდა მხოლოდ მეფის სა-

ხელს „არგიშტი“, ტექსტის გაშიფრვას კი ვერ ახერხებდა. ორიოდ წლის შემდეგ ბროსემ ჯილისაგან მიიღო კესტნერის მიერ არმავირთან ნაპოვნი ლურსმული წარწერის პირი და გამოაქვეყნა ისიც [210].

ლურსმულმა წარწერებმა ბროსეს წინაშე წამოქრეს საკითხი მათ საფუძველზე სომხური საისტორიო მწერლობის უძველესი ცნობების შემოწმების შესახებ. ბროსემ გადაწყვიტა შეეკრაბა ეგვიპტისა და ასურეთ-ბაბილონის ისტორიიდან სომხეთთან დაკავშირებული ფაქტები და შეემოწმებინა ძველი სომხური მწერლობის ცნობები [229]. ძირითად წყაროდ მან აიღო ლენორმანის ნაშრომი: „Manuel d'histoire ancienne de l'Orient“, რომელიც მეოთხედ გამოიცა პარიზში 1869 წ. ბროსეს განკარგულებაში იყო აგრეთვე ლურსმული წარწერები ვანიდან (შულცის მიერ შეკრებილი), ხანლიჯიდან და არმავირიდან (ი. კესტნერის გამოგზავნილი), წარწერები ნოვო-ბაიაზეთიდან (სამი წარწერა, რომლებიც გამოაქვეყნა მესრობ სუმბატთანმა მოსკოვის ერთ-ერთ სომხურ ჟურნალში)¹.

სომხური ცნობით ასურეთ-ბაბილონთან და ძველ სპარსეთთან ურთიერთობა ჰქონდათ ძველი სომხეთის ისტორიულ პირებს: არას—რომელიც დაკავშირებული იყო სემირამიდასთან, ზარმაირს — იხსენიება ტროას ალყასთან დაკავშირებით, პარუირს—გამეფა არბაკ მიდიელმა ასურეთთან ომში დახმარებისათვის, ჰრაჩიას—აზლდა ნაბუხოდონოსორს იერუსალიმში და მოიყვანა ბაგრატი, ბაგრატიონთა წინაპარი, ტიგრან I-ს—აზლდა კიროსს ასტიავთან ბრძოლაში და ვაჰეს—მოკლეს ალექსანდრე მაკედონელთან ბრძოლაში. სომხური წყაროების ეს პირები და მათთან დაკავშირებული მოვლენები ნაწილობრივ დადასტურებას პოულობდნენ ძველ აღმოსავლურ წყაროებში.

ამას გარდა, ძველი ეგვიპტის იეროგლიფური ძეგლები უკვე XVII საუკ. ქრისტეს წინ (XVIII დინასტიის ხანაში) მესოპოტომიის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანას უწოდებენ რემენეს. ბროსე ფიქრობს, რომ აქ არმენია იგულისხმება. ლურსმულ წარწერებში არმენების ქვეყანასთან ერთად იხსენიება ურაუსტუ, აქ, ბროსეს აზრით, არარატის ქვეყანაზე უნდა იყოს

¹ *სამარაღასკერ მისიხიე*, 1862, № 45 და 53.

ლაპარაკი. იგივე წყაროები არმენიაში ასურელი მეფეების ლაშქრობებზე მოგვითხრობენ (ტიგლათფილესარის—X ს; სარდანაპალ III-ს, სალმანასარ IV-ს, IX ს-ში; სარგონის...). ზოგა ამ ლაშქრობათაგან ძველ სომხურ წყაროებშიც აისახა (მაგ., თომა არწრუნთან).

ამრიგად, უძველესი სომხური ცნობები და ძველ აღმოსავლური წყაროების მონაცემები (ლურსმული ძეგლებისა) რიგ შემთხვევაში ემთხვევიან და ადასტურებენ ერთმანეთს.

ამით შეიძლება დავამთავროთ სომხეთის ეპიგრაფიკული მასალებისა და ძველი ნაქალაქარების შესახებ ბროსეს მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების მიმოხილვა.

დიდი მუშაობა გასწია ბროსემ სომხური ხელნაწერების შესწავლისა და სომეხი ისტორიკოსების თარგმნა-გამოქვეყნების ხაზით. ბროსეს ეკუთვნის არაერთი სომხური ხელნაწერის აღწერა, მან ფრანგულად თარგმნა და გამოაქვეყნა ეჩმიადინის მდიდარი წიგნთსაცავის კატალოგი [78], რომელსაც დაურთო ისტორიული ნარკვევი ეჩმიადინის შესახებ [75]. კატალოგი შედგენილი იყო ყორღანოვისა და იოანე შახატუნოვის მიერ. იგი შეიცავდა 655 დასახელებას. წიგნები და ხელნაწერები დალაგებული იყო დარგების მიხედვით. კატალოგთან ერთად ბროსემ 1839—1840 წლებში ყორღანოვისაგან მიიღო მხითარ აირივანელისა და მოსე კალანკატუელის თხზულებათა პირები. ამავე დროისათვის სომხურ ხელნაწერებს იგი გაეცნო აზიურ მუზეუმში და საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიურ ინსტიტუტში. ამ უკანასკნელში დაცული სამი ხელნაწერის აღწერა ბროსემ გამოაქვეყნა 1838 წელს [54]. განსაკუთრებით დაინტერესდა ბროსე მოსე ხორენელის თხზულების ხელნაწერით, რომელიც ჯერ კიდევ 1827 წელს ნახიჩევანში შეუძენია გენერალ პ. სუხტელენს და გაუგზავნია ინსტიტუტის დირექტორისათვის ადელუნგისათვის. ამ ხელნაწერით დაინტერესება გამოიწვია საფრანგეთში გამოქვეყნებულმა ცნობამ, რომ მზადდებოდა მოსე ხორენელის თხზულების ახალი გამოცემა და სასურველი იყო გამომცემლებს ჰქონოდათ სრული ცნობები ამ ძეგლის არსებული ხელნაწერების შესახებ. მოსე ხორენელის თხზულებასთან ერთად ბროსემ აღწერა ზემოხსენებულ ინსტიტუტში დაცული გრიგოლ ერამეცის (1340—1410)

თხზულების ხელნაწერი (გადაწერილი 1421 წ.) და ერთი სომხური კრებული, რომელიც სხვადასხვა დროის თხზულებებს შეიცავდა.

1838 წლის დამლევს ბარონმა განმა აკადემიის თხოვნით ეჩმიაძინის ბიბლიოთეკაში დედნიდან გადაწერინა მიქაელ სირიელის კომპილაციური ისტორია და გაგზავნა პეტერბურგში. ამ ძეგლის ერთი ნაკლები პირი აზიურ მუზეუმშიც იყო დაცული, მეორე ნუსხას კი ბროსე გაეცნო ჯერ კიდევ პარაზის სამეფო ბიბლიოთეკაში. ამ თხზულებამ ბროსეს ყურადღება მიიქცია თავისი ქრონოლოგიური ცნობებით საქართველოს შესახებ (ლაზებზე, მცხეთაზე, ვარაზ-ბაყურზე, პეტრე იბერიელზე, კირიონ ეპისკოპოსზე, სელჯუკთა შემოსევებზე და სხვა). ბროსემ აღწერა ახლად მიღებული ხელნაწერი [69] და ხაზგასმით აღნიშნა მიქაელ სირიელის ქრონოლოგიური ცნობების მნიშვნელობა საქართველოს, სომხეთის და საერთოდ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისათვის.

ყორდანოვის მიერ გაგზავნილი ხელნაწერებიდან საყურადღებო იყო აგრეთვე მისე კალანკატუელის თხზულება— ალბანთა ისტორიის შესახებ. ამ ძეგლში მოხსენებული იყო რუსთა ლაშქრობა ბარდავს X საუკუნეში. ეს საკითხი კი იმხანად განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა რუსეთის სამეცნიერო წრეებში. არაბ ისტორიკოსთა ცნობებზე დაყრდნობით ამ მოვლენას სპეციალური გამოკვლევები უძღვნეს ფ. ერდმანმა (1826 წ.), ფ. შარმუამ და ე. გრიგორიევმა (1835 წ.), კუნიკმა და სხვებმა. ბროსემ აკად. კუნიკს შეატყობინა მისე კალანკატუელის ცნობა (უთარგმნა მას ფრანგულად) და კუნიკმა იგი დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა აკადემიის უწყებებში [109].

არანაკლებ საინტერესო იყო საკითხი ალბანური ალფაბეტის შესახებ, რომელსაც ეხმაურებოდა ყორდანოვის მიერ გამოგზავნილი წერილი და სხვა მასალები. ეს საკითხი წამ. აჭრა ევგენი ბორემ, ცნობილმა ფრანგმა არმენისტმა, რომელმაც 30-იანი წლების დამლევს გამოაქვეყნა ცნობა, რომ მან ეჩმიაძინში იპოვა ალბანური ალფაბეტი, გადმოიწერა იგი მაგრამ, სამწუხაროდ, შემდეგ დაკარგა ეს გადმონაწერი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ყორდანოვს სთხოვა მოეძებნა ალბანური

ალფავიტი და გაეგზავნა პეტერბურგში. ყორღანოვს მიუღია საამისო ზომები და სასურველი შედეგისათვის მიუღწევია კიდევ—ალბანური ალფავიტი აღმოჩნდა ერთ-ერთ სომხურ ხელნაწერში, რომელიც გადაწერილი ყოფილა 1701 წელს ვინმე გრიგოლის მიერ. ყორღანოვი ატყობინებს ამ ამბავს აკადემიას [89] და ამასთან ერთად სთავაზობს მას: ალბანელთა ენის ელემენტარულ გრამატიკას შედგენილს სომხურ ენაზე (უტიელთა მეტყველების მიხედვით), ალბანელ პატრიარქთა სიას და ისაია პასან ჯალალიანის თხზულებას ალბანელების შესახებ. ამ უკანასკნელის თხზულება მ. ბროსემ შემდეგში ფრანგულდ თარგმნა და გამოაქვეყნა (იხ. ქვემოთ).

აკადემიისათვის სომხური ხელნაწერების მიწოდების საქმეში თავი გამოიჩინა იოანე შახატუხოვმაც. მან 1849 წ. აკადემიას შესძინა მხითარ გოშის სამართლის წიგნის ხელნაწერი. ამ ხელნაწერის პირველი აღწერაც ბროსეს ეკუთვნის [126]. ცოტა გვიან ბროსეს ყურადღება მიიქცია ერთი სომხური ხელნაწერის მინაწერმა. ხელნაწერი შეიცავდა წმ. პავლეს 14 ეპისტოლეს. მინაწერიდან ჩანდა, რომ ეს ხელნაწერი გადაწერილი იყო 1508 წელს ვინმე კარაპეტის მიერ ძველი (1280 წლის) ხელნაწერიდან სოფელ კოტორაშენში, ვაშლოვანის ოლქში (district), შდ. ქოროხის აუზში, მინაწერის ავტორი აღნიშნავს, რომ ხელნაწერი გადაიწერა მზეჭაბუკის პატრონობისას და ბატონიშვილ იოანეს სიცოცხლეშიო. ამ მინაწერის შინაარსი ბროსემ გამოაქვეყნა 1859 წელს [175] და აღნიშნა, რომ ეს ცნობა გულისხმობს სამცხის ცნობილ ათაბაგს მზეჭაბუკს (ბროსეს სიტყვით, გარდაიცვალა 1516 წ.), რომელსაც მაწინ მართლაც ემორჩილებოდა ქოროხის მხარე. ბატონიშვილი იოანე კი უცნობი იყო ბროსესთვის.

სომხური ხელნაწერებიდან კიდევ სამმა დაინტერესა ბროსე. ორი მათგანი შეიცავდა ლეგენდას ვარლამისა და იოსადაფის შესახებ აღწერილს პროზად და ლექსად. პირველი—პროზად აღწერილი მას XIII საუკუნის ხელნაწერში შეხვდა, ეჩმიადინში ყოფნისას 1846 წ. თებერვალში. მეორე—გალექსილი არაქელ ბითლისელის მიერ—გამოქვეყნებული იყო კოსტანტინეპოლში 1831 წელს. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი ხელ-

ნაწერიც დაცული იყო ეჩმიადინში. ამ ლეგენდის არც ერთი სომხური რედაქცია, არც პროზაული და არც გალექსილი არ იყო გამოყენებული ევროპელ მკვლევართა მიერ ამ ნაწარმოების ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევა-ძიებისას. ამდენად ეს მასალა ახალი უნდა ყოფილიყო ამ საკითხით დაინტერესებულ პირთათვის. 1878 წელს ბროსე აქვეყნებს მოკლე ცნობას აღნიშნული სომხური ხელნაწერების შესახებ [237].

მესამე ხელნაწერი კრებული იყო და ძირითადად ასტრონომიული და ასტროლოგიური ნარკვევებისაგან შედგებოდა. ეს ხელნაწერი XVII—XVIII საუკუნეებით თარიღდებოდა იგი პ. ბუტკოვის ბიბლიოთეკიდან გადავიდა პეტერბურგის საჯარო ნიბლიოთეკის განკარგულებაში. [240].

აზიენოლოგიის სხვა საკითხებთან დაკავშირებით საყურადღებოა ბროსეს ნარკვევი სომხურ საიდუმლო დაწერლობაზე [207]. საამისო მასალა ბროსეს თავდაპირველად იწიშნის დაკავშირებით ჩაუვარდა ხელთ. შემდეგ კი ბერჟემ შიფნერს გაუგზავნა ერთ სომხურ ხელნაწერში მოთავსებული კრიპტოგრაფიები, შესრულებული ინდურისა და არაბულის მიმსგავსებული ასოებით. სწორედ ეს უკანასკნელი გახდა ბროსეს განხილვის საგანი. ბროსე აქვეყნებს მათ და იძლევა გამოყენებულ ასოების ახსნას.

დაბოლოს გვინდა შევჩერდეთ ერთ საინტერესო საკითხზე.

1825 წელს პარიზში გამოქვეყნდა ტოლეს (M. de Taulés) წიგნი, იმხანად საკმაოდ გახმაურებული რკინის ნილაბიანი კაციის შესახებ. ამ წიგნში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ რკინის ნილაბში ჩაქედლილი კაცი უნდა ყოფილიყო კონსტანტინეპოლელი სომეხი პატრიარქი ავეტიკი, XVII საუკუნის დამლევისა და XVIII საუკუნის დამდეგის მოღვაწე. ამ ავეტიკს ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთის მთავრობასთან და მის წარმომადგენელთან კონსტანტინეპოლში, ზემოხსენებულ მარკიზ ფერიოლთან. ავეტიკი ითხოვდა საფრანგეთის მფარველობას და იძლეოდა დაპირებას, რომ თვითონაც და მისი სამწყსო სომხებიც კათოლიკობას მიიღებდნენ (საინტერესოა, რომ ეს ამბავი თანმხედრობია სულხან-საბას ანალოგიური მიმართვისა საფრანგეთის მთავრობისადმი!). ამის გამო გართულებულ ვითარებაში ავეტიკი იძულებული გამხდარა გადამდგარიყო

პატრიარქობიდან და დამკვიდრებულიყო პარიზში. აქ იგი 1711 წელს გარდაიცვალა.

ავეტიკი ფრიად განათლებული ადამიანი ყოფილა, მას დარჩა ლექსები, მემუარები და სხვა ლიტერატურული მემკვიდრეობა (მათ შორის დიდძალი პირადი წერილები). ავეტიკთან ერთობ დაახლოებული იყო პეტი ლე-კრუა, რომელმაც ავეტიკის გარდაცვალების შემდეგ თარგმნა ფრანგულად მისი ლექსები და მემუარები. ეს თარგმანები არ გამოქვეყნებულა და ინახებოდა საფრანგეთის სამეფო არქივში.

არქივის თანამშრომელმა ვინმე ბიანჩიმ ეს მასალები გააცნო ბროსეს. ბროსე გაეცნო აგრეთვე მარსელის არქივის მასალებსაც ავეტიკის შესახებ, შემდეგ ამ პატრიარქის შესახებ იპოვა მასალები ჩამიიანის წიგნში და კონსტანტინეპოლელი ფრანგი ელჩების მიწერ-მოწერაში. ამ მასალების საფუძველზე ბროსემ ჯერ კიდევ 1838 წელს დაბეჭდა პატარა ნარკვევი. სადაც იგი ახასიათებს ამ მოღვაწეს, იძლევა მისი მასალების აღწერას და უსაფუძვლოდ თვლის ტოლეს მიერ გამოთქმულ ზემოხსენებულ მოსაზრებას [61], ხოლო 1875 წელს მან გამოაქვეყნა ავეტიკის მემუარები და სხვა მასალები [234].

სომხურ ნუმისმატიკას ბროსემ მხოლოდ ერთი წერილი უძღვნა [72, § 2]. აქ იგი ჯერ იძლევა ბიბლიოგრაფიულ ცნობას იმ ავტორთა შესახებ, რომლებსაც მოეპოვებათ ცნობები სომხურ მონეტებზე (ტრისტანი, დიუკანჯი, კორსინი, სესტინი და სხვანი), მიძიხილავს მათ შრომებს, ხოლო შემდეგ აღწერს სესტინის მიერ გამოქვეყნებულ მონეტებს. იძლევა ცნობებს იმ სომეხ მმართველთა შესახებ, რომლებსაც ეკუთვნის ესა თუ ის მონეტა. შემდეგ ამისა ბროსე აღწერს კიდევ 18 სომხურ მონეტას. რომლებიც აღმოჩნდა მის განკარგულებაში. ნაშრომში ბროსე აქვეყნებს კილიკიის მეფეთა და ქორიკიანთა (კვირიკიანთა) დინასტიის გენეალოგიურ ტაბულებს.

სომხურ სიძველეებზე მუშაობასთან დაკავშირებით ბროსეს არაერთხელ უხდება მსჯელობა ძველი სომხური წელთაღრიცხვის შესახებ. ამ საკითხს იგი ფართოდ აშუქებს სომეხი ისტორიკოსის უხტანესის შესახებ დაწერილ ნარკვევში [222]. ძველი სომხური ქრონოლოგიის შესწავლის მიზნით ბროსემ ფრანგულად თარგმნა ხაჩატურ სურმელიანის ტრაქტატი ამ

საკითხზე გამოქვეყნებული ვენეციაში 1818 წელს [BA, XLII] შემდეგ იგი ეცნობა ედ. დიულორიეს ვრცელ ნაშრომს სომხური წელთაღრიცხვის შესახებ.

თავის ნარკვევში ბროსე განმარტავს სომხური წელთაღრიცხვის თავისებურებებს, მის დასაწყისს, წლის ნაწილებს, სახელებს და სხვა ელემენტებს.

სომხური ქრონოლოგიის საკითხებს ბროსე ეხება თავის სხვა ნაშრომებშიც: 1873 წ. სამეულ ანელის თხზულების განხილვისას [223] და 1879 წ. ზემოხსენებული ასტრონომიულა და ასტროლოგიური სომხური ხელნაწერის შესახებ ცნობის გამოქვეყნების დროს [240]. მაგრამ ისეთი ფუნდამენტალური ნარკვევები, როგორც მან შექმნა ძველი ქართული წელთაღრიცხვის სისტემაზე, ამ საკითხზე მას არ შეუქმნია.

ახლა გავეცნოთ ბროსეს მუშაობას სომეხ ისტორიკოსთა თარგმნისა და გამოქვეყნების ხაზით.

საკითხი სომეხ ისტორიკოსთა თხზულებების გამოცემის აუცილებლობის შესახებ ბროსემ აკადემიის წინაშე დააყენა 1840 წელს [80], როცა წაეკითხა მოხსენება კოცებუს ბიბლიოთეკაში მის მიერ სტეფანოზ ორბელიანის თხზულების სრული ტექსტის აღმოჩენის შესახებ. ბროსე მიუთითებდა, რომ სომხური ისტორიული თხზულებები პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენენ არა მარტო საკუთრივ სომხეთის ისტორიისათვის, არამედ ვრცევე საქართველოს, სპასეთის, მონღოლეთის, ბიზანტიისა და სხვა ქვეყნების წარსულის შესწავლისათვისაც. მართალია, შენიშნავდა ბროსე, სომეხ ისტორიკოსებს ახასიათებთ ძლიერი პროვიდენციალიზმი, ზოგჯერ მშრალი და მძიმე სტილი, მაგრამ სამაგიეროდ ისინი საოცრად ზუსტნი და დაწვრილებითნი არიან მოვლენების აღწერის დროს. ბროსე საერთოდ მაღალი აზრისა იყო სომხური ისტორიული მწერლობის ღირსებებზე.

40-იან წლებში ბროსეს მიერ წამოყენებული სომეხ ისტორიკოსთა თხზულებების გამოცემის პროგრამა რუსეთში ერთხანს განუხორციელებელი დარჩა. 50-იან წლებში ამ მიმართულებით მუშაობა გაიშალა საფრანგეთში, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ ედ. დიულორიე, ვ. ლანგლუა და სხვები. 1856 წ. ედ. დიულორიემ წამოაყენა თავისი პროგრა-

მა სომეხ ისტორიკოსთა კრებულის გამოცემისა [BA, 467—468]. 1858 წელს მან გამოსცა კიდევ ამ კრებულის პირველი ტომი: „Bibliothèque historique arménienne“, რომელშიც შევიდა მათე ედესელის თხზულება. იმავე წლებში იქვე, პარიზში კ. შაჰნაზარიანმა გამოსცა რამდენიმე სომეხი ავტორი: ლევონდი, ასოლიკი, სტეფანოზ ორბელიანი, მოსე კალანკატუელი. 1869 წელს ედ. დიულორიემ გამოაქვეყნა სომეხ ავტორთა ცნობები ჯვაროსნების შესახებ, ამოღებული 19 ავტორის ნაშრომიდან¹. ხოლო მისმა კოლეგამ ვ. ლანგლუამ იმავე ხანებში დაბეჭდა სომეხ ისტორიკოსთა თხზულებების ორტომიანი კრებული: „Collection des historiens anciens et modernes de l'Arménie“. ამ კრებულში შევიდნენ: აგათანგელოსი, ფავსტოს ბიზანტიელი, ლერუბნი, ზენობი, იოანე მამიკონიანი. კორიუნი, მოსე ხორენელი. ელიშე, ლაზარე ფარპელი და სხვანი [329]².

რუსეთში სომეხ ავტორთა გამოცემისათვის უყეტესი პირობები იყო, ვიდრე საფრანგეთში. საკმარისია ითქვას, რომ რუსეთის არმენისტთა განკარგულებაში იყო ეჩმიადინის მდიდარი წიგნთსაცავი, სადაც 1863 წლისათვის ძველი წიგნების ხელნაწერების რიცხვმა 2000-ს გადააჭარბა, 1880-იან წლებში კი 2700-ს მიაღწია. 50-იანი წლების მეორე ნახევარში ეს საქმე რუსეთში წინსვლას განიცდის. 1855 წელს მ. ბროსეს შუამდგომლობით მეცნიერებათა აკადემიამ ახალგაზრდა სომეხ მეცნიერს ქეროპე პატკანიანს მიანდო სამი ისტორიკოსის— ლევონდის, მოსე კალანკატუელის და სებეოსის თხზულებათა თარგმნა და მომზადება გამოსაქვეყნებლად. იმავე დროს ნ. ემინი გამოსაცემად ამზადებდა მხითარ აირივანელის, ვარდან დიდის და სტეფანოს ორბელიანის თხზულებებს. 1860 წ. ემინმა მოსკოვში დაბეჭდა მხითარ აირივანელის—„ქრონოგრაფიული ისტორია“. ერთი წლის შემდეგ კი გამოქვეყნდა ვარდანის—„მსოფლიო ისტორია“ და სტეფანოს ორბელიანის

¹ Recueil des historiens des Croisades. Documents arméniennes, P., 1869.

² საინტერესოა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში სომეხ ისტორიკოსთა გამოცემის საქმეა დიდ დაზარებას უწყევდა ეკვიპტის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ნუბარ ფაშა, წარმოშობით სომეხი.

თხზულება. 1861 წ. პატკანიანმა პეტერბურგში დაბეჭდა მოსე კალანკატუელის თხზულების რუსული თარგმანი. 1862 წელს მანვე გამოაქვეყნა რუსულად ლევონდის „ხალიფათა ისტორია“.

როგორც ვხედავთ 60-იანი წლებისათვის სომეხ ისტორიკოსთა გამოქვეყნების საქმე რუსეთშიც წინ წავიდა. ამავე ხანებში ბროსე ჩაება ამ მუშაობაში. მან თარგმნა და გამოაქვეყნა 12 სომეხი ისტორიკოსის თხზულება: სტეფანოს ორბელიანის, მხითარ აირივანელის, უხტანესის, კირაკოზ განძაკელის, არაქელ თავრიზელის, თომა არწუნის, იოანე ძარელის, ზაქარია ოპანავანელის, ესაია ჰასან ჯალალიანის, უცნობი ავტორის—დავით ბეგის ისტორია, აბრაჰამ კრეტელის და სამუელ ანელის თხზულებები.

გავეცნოთ ცალკალკე თვითოეული მათგანის გამოცემას. დავიწყოთ სტეფანოს ორბელიანით. ბროსემდე ცნობილი იყო სტეფანოს ორბელიანის თხზულების მხოლოდ ერთი ნაწილი— ორბელიანთა ისტორია, რომელსაც მეცნიერები დამოუკიდებელ თხზულებად თვლიდნენ და ფიქრობდნენ, რომ სტეფანოსს მეტი ისტორიული თხზულება არ ჰქონდა დაწერილი. 1849 წელს ბროსემ კოცებუს წიგნთსაცავში აღმოაჩინა სტეფანოსის თხზულება მთლიანი სახით და გამოარკვია, რომ „ორბელიანთა ისტორია“ ამ თხზულების მხოლოდ ერთ-ერთ თავს, მე-6-ს თავს წარმოადგენდა. ეს ამბავი ბროსემ მაშინვე აცნობა მეცნიერულ საზოგადოებრიობას [80, გვ. 182—187], გამოაქვეყნა მთლიანი თხზულების სარჩევი და მოგვცა სტეფანოს ორბელიანის, როგორც ისტორიკოსის, დახასიათება. სტეფანოსის თხზულება უტყუარი ცნობების შემცველიაო, წერდა ბროსე, ენა და სტილი სანიმუშოა, სტეფანოსი გვევლინება როგორც ერთი უშესანიშნავესი წარმომადგენელი ძველი სომხური საისტორიო მწერლობისა. განსაკუთრებით ძვირფასია მისი ცნობები ძველი სომხური წელთაღრიცხვის წესზე და საქართველოს წარსულზე. ეს არ იყო გადაჭარბება. ასეთსავე აზრს გამოთქვამს სტეფანოს ორბელიანის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი. იგი წერს: „სომეხ ისტორიკოსთა შორის სტ. ორბელიანი არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ის სხვა დანარჩენ სომეხ ისტორიკოსთაგან როგორც საისტორიო მასალებს შერ-

ჩვეთ, ისევე მოთხრობას შინაარსით, თვალსაჩინოთ განსხვავდება. არც ერთ მათგანს იმის შესახებ ცნობებიც არა აქვს, რაც სტ. ორბელიანმა სომხეთის შინაური ყოფაცხოვრებისა და წესწყობილების შესასწავლად შეაგროვა თავის თხზულებაში“ [332].

ბროსემ დიდი მუშაობა ჩაატარა ამ თხზულებასთან დაკავშირებით. მან მთლიანად თარგმნა იგი ფრანგულად, შეკრიბა დიდძალი მასალა სივნიეთის (სინაქანის) ისტორიის შესახებ, შეადგინა ამ ქვეყნის მმართველთა და მიტროპოლიტთა გენეალოგიური სიები, სათანადო ქრონოლოგიური შენიშვნებით, შეაგროვა აღწერილობითი ცნობები სივნიეთის ეკლესია-მონასტრების, ამ ქვეყნის საეკლესიო ისტორიის შესახებ, ასეთივე ცნობები მან შეკრიბა მეზობელ ოლქებზეც (ხაჩენი, ყარაბაღი, ალბანეთი და სხვ.) და ყოველივე ამის საფუძველზე დასწერა ვრცელი ნარკვევი სტეფანოსისა და მისი თხზულების შესახებ.

თვდაპირველად ბროსემ ცალკე გამოაქვეყნა სივნიეთის მფლობელთა და მიტროპოლიტთა გენეალოგიურ-ქრონოლოგიური სიები [201], ხოლო 1864 წელს გამოსცა ამ ძეგლის სრული თარგმანი ორ წიგნად [218]. ამათგან მეორე წიგნი მთლიანად შეიცავს ბროსეს შესავალ ნარკვევს სტეფანოსის შესახებ. ამ შესავალში ბროსეს ჩართული აქვს სტეფანოსის სხვა თხზულებებიც: ელეგია ეჩმიაძინის მონასტერზე და აკროსტიხი [218, II, გვ. 171--178].

რაც შეეხება ძეგლის ტექსტის თარგმანს, ბროსე არ დალატობს თავის ჩვეულებას და ურთავს მას დიდძალ სტრიქონქვეშა შენიშვნებსა და განმარტებებს. მეტად ფართოა ამ შენიშვნების თემატიკა, დიდია იმ წყაროების წრე, რომელთაც იყენებს ბროსე ამა თუ იმ საკითხის განმარტებისას.

როგორც უკვე ვთქვით, ბროსე ამ ძეგლს ფართოდ იყენებდა „ქართლის ცხოვრების“ დამატებების შედგენისას.

სტეფანოს ორბელიანის თხზულებასთან ერთად ბროსემ თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა მხითარ აირივანელის— „ქრონოგრაფიული ისტორია“. ამ თხზულებასაც ბროსე 1840 წელს გაეცნო, როცა ბარონ ჰანის შუამდგომლობით მისი პირი აკადემიას გაუგზავნა სომხურ-გრიგორიანული სინოდის

პროკურორმა თ. ყორღანოვმა. 1860 წ. ემინია გამოსცა ეს ძეგლი მოსკოვში ლაზარევის ინსტიტუტში დაცული ხელნაწერის მიხედვით. ბროსემ შენიშნა, რომ აკადემიის განკარგულებაში მყოფი ხელნაწერი უფრო სრული იყო და ამის გამო მისი გამოქვეყნებაც აუცილებელი იყო. ამის შესახებ მან მოახსენა აკადემიას [213], თარგმნა ეს თხზულება მთლიანად, შეადგინა ვრცელი ნარკვევი ამ ისტორიკოსზე და წარადგინა აკადემიაში გამოსაცემად. ნარკვევი ჯერ ცალკე დაიბეჭდა 1865 წელს [221], ხოლო შემდეგ 1869 წ. შევიდა მხითარ აირივანელის თხზულების ფრანგული თარგმანის გამოცემაში [232].

მხითარ აირივანელი XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსია. მისი თხზულება სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში საღვთისმეტყველო შესავლის შემდეგ ავტორი იძლევა ბიბლიურ წინაპართა, წინასწარმეტყველთა, მღვდელმთავართა, ებრაელ, სომეხ, ქართველ, ალბანელ და სხვა მეფეთა, მთავართა, კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა სიებს. მეორე ნაწილი შეიცავს ბიბლიურის ისტორიისა და სომხეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ჩამოთვლას, მათ ქრონოლოგიას სამყაროს გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე. მესამე ნაწილი წარმოადგენს ასეე ივე ქრონოლოგიური ცნობების კრებულს ქრისტეს დაბადებიდან 1289 წლამდე. ამ ნაწილში ავტორს მოეპოვება მრავალი საინტერესო ცნობა საქართველოს შესახებაც.

ამდენად, ეს ძეგლი პირდაპირ პასუხობდა იმ მიზანდასახულებას—ქრონოლოგიურ-გენეალოგიურ კვლევა-ძიებებს—, რომელსაც ბროსე ასე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის მეცნიერულ მუშაობაში. ამით იყო შეპირობებული მისი განსაკუთრებული ინტერესი მხითარ აირივანელის თხზულები-სადმი.

შესავალ ნარკვევში ბროსე მხითარის ბიოგრაფიას გადმოსცემს, თავს უყრის ისტორიულ ცნობებს აირივანქის (გელარდის) მონასტრის შესახებ, სადაც მოღვაწეობდა ეს ისტორიკოსი. ახასიათებს ძეგლის თვითოეულ ნაწილს ცალ-ცალკე და არკვევს მათი წყაროების საკითხს. ბროსეს აინტერესებდა აგრეთვე წელთაღრიცხვის წესი გამოყენებული მხითარის მი-

ერ. მან დაადგინა, რომ მხითარ აირივანელი თავის ქრონოლო-
გიურ მითითებებში ჯერ (ქრისტეს დაბადებამდე) მისდევს ევ-
სევი კესარიელის სისტემას (5198 წელი სამყაროს გაჩენიდან
ქრისტეს დაბადებამდე), ხოლო შემდეგ ხან სირიულ წესს იყე-
ნებს, ხან სომხურს და ხან ბიზანტიურს, იმისდამხედვეთ თუ
რა ხასიათის წყაროებს იყენებს ამ ეპოქის (I—XIII სს) მოვ-
ლენების დათარიღებისას.

ორი სომეხი ისტორიკოსი—უხტანესი და კირაკოზ გან-
ძაკელი — ბროსემ თარგმნა და ერთად გამოაქვეყნა 1871 წელს
[228]. კირაკოზ განძაკელის თხზულების პირი რუსეთის აკადე-
მიამ მიიღო 1847 წელს ვენეციის მხითარისტთა კონგრეგაციის
ერთ-ერთი წევრისაგან გიორგი ხურმუზიანცისაგან. ბროსეს
ყურადღება მაშინვე მიექცია კირაკოზის ცნობამ გელათში და-
ცული რკინის კარების შესახებ. ამ კარებს და მასზე მოთავსე-
ბულ არაბულ (ყუფურ) წარწერას, როგორც ვიციტ მეცნიე-
რებმა აღრევე მიაქციეს ყურადღება. გაურკვეველი იყო კა-
რების სადაურობა. ევგ. ბოლხოვიტინოვი თვლიდა, რომ ეს კა-
რები ქართველებმა დარუბანდიდან წამოიღესო, ხ. ფრენს მი-
აჩნდა, რომ კარები ბარდავიდან იყო წამოღებული, ფ. დიუ-
ბუა მას ანისიდან წამოღებულად თვლიდა... კირაკოზი იძლე-
ოდა ცნობას, რომ რკინის კარები ქართველთა მეფეს წაუღია
განძიდან 1139 წელს. ბროსემ დაბეჭდა შენიშვნა ამის შესახებ
პეტერბურგის გაზეთში [106].

იმავე წელს აკადემიამ ეჩმიადინიდან მიიღო უხტანესის
თხზულების პირიც. აქ ბროსე დაინტირესა უხტანესის ცნო-
ბამ ნაბუქოდონოსორის იბერიაში ლაშქრობის შესახებ. იმეა-
მად ორაინტალისტიკაში გავრცელებული იყო აზრი, რომ ნა-
ბუქოდონოსორმა ილაშქრა საქართველოში. უხტანესის ცნო-
ბის ანალიზით, ბროსე ამტკიცებდა, რომ ნაბუქოდონოსორმა
ილაშქრა არა საქართველოში (იბერიელების ქვეყანაში), არა-
მედ სრულიად სხვა ხალხის (ებრაელებს) ქვეყანაში.
ამ უკანასკნელთ გულისხმობს მეგასთენე (ძვ. წ. ა.
III საუკ.), ერთად-ერთი ძველი წყარო ნაბუქოდონოსორის
ამ ლაშქრობის შესახებ.

უხტანესისა და კირაკოზ განძაკელის თხზულებები ბროსემ
ფართოდ გამოიყენა „ქართლის ცხოვრების“ დამატებებში.

1869 წელს ბროსე აქვეყნებს ნარკვევს უხტანესის შესახებ [212], რომელიც შემდეგ შევიდა ძეგლის გამოცემის წინასიტყვაობაში.

1874—1876 წლებში ბროსემ ორ წიგნად გამოსცა რამდენიმე სომეხი ისტორიკოსის თხზულებათა თარგმანები [247]. პირველ ტომში შესულია: თომა არწრუნის, არაქელ თავრიზელის, იოანე ძარელის თხზულებები. მეორე ტომში შევიდნენ: ზაქარია ოპანავანელის—„სეფიანთა ისტორია“, მისივე—ოპანავანქის სავანეს სამონასტრო საბუთები, ესაია ჰასან-ჯალალიანის—ალვანთა ისტორია, უცნობი ავტორის—დავით ბეგის ისტორია, აბრაჰამ კრეტელის—ნადირ შაჰის ისტორია და სამუელ ანელის—ქრონოლოგიური ტაბულები.

ამ კრებულს ბროსე დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდა. თომა არწრუნის შესახებ ნარკვევი მან ჯერ კიდევ 1863 წელს გამოაქვეყნა [200]. ნარკვევში ბროსე ამ ისტორიკოსის ბიოგრაფიასთან ერთად გადმოსცემს საერთოდ არწრუნთა საგვარეულოს ისტორიას და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თომა არწრუნის ქრონოლოგიურ ცნობებს. ადრევე იცნობდა ბროსე სამუელ ანელის ქრონოგრაფიას. თავის დროზე სამუელ ანელის ცნობა თურქების მიერ კოსტანტინეპოლის აღებაზე ბროსემ გამოიყენა ლეზოს „ბიზანტიის ისტორიის“ კომენტარებში. 1871 წელს მან გამოაქვეყნა სამუელ ანელის ქრონოლოგიის მიმოხილვა [223], სადაც იგი იძლევა საერთოდ ძველ სომხურ წყაროებში გავრცელებული წელთაღრიცხვის სისტემების დახასიათებას. ქრონოლოგიის თვალსაზრისითვე იხილავს ბროსე სპეციალურ წერილში არაქელ თავრიზელის თხზულების V თავს, სადაც მოყვანილია VI—XVII საუკუნეების ქრონოლოგია [222, გვ. 22—60]. თითქმის ყველა ქრონოლოგიური ცნობის შესამოწმებლად ბროსეს მოჰყავს სხვა წყაროების ჩვენებები იმავე მოვლენების თარიღის შესახებ. ბროსე იხილავს ბიოგრაფიულ ცნობებს არაქელ თავრიზელის შესახებ, ეხება მისი თხზულების გამოცემას 1669 წელს ამსტერდამში (ოსკანის მიერ) და მიუთითებს, რომ ამ გამოცემის LI და LII თავები არ უნდა ეკუთვნოდეს არაქელ თავრიზელს, ისევე როგორც LIV თავი (რომლის ავტორია იოანე ძარელი) და LVII—LVIII თავები (უნდა ეკუთვნოდეს თვით ოსკანს).

ამავე ნარკვევშია მოხაზული სომეხ ისტორიკოსთა ზემოხსენებული ორტომიანი კრებულის გამოცემის გეგმა.

ამ კრებულს, გარდა ზემოხსენებული ძეგლები-სა, საფუძვლად დაედო 1870—1871 წლებში ეჩმიადინში განხორციელებული გამოცემები. 1870 წ. აქ გამოიცა ზაქარია ოპანავანელის—სეფიანთა ისტორია, იმავე წელს გამოვიდა აბრაჰამ კრეტელის თხზულება, 1871 წელს კი აბგარ გულამირიანმა ეჩმიადინშივე გამოაქვეყნა უცნობი ავტორის—დავით ბეგის ისტორია. ბროსემ სწორედ ამ გამოცემებით ისარგებლა და თარგმანა ზემოხსენებული ძეგლები ფრანგულად.

თითქმის ყველა თხზულებას დაურთო ბროსემ მოკლე ნარკვევი ავტორისა და ძეგლის შესახებ. ასეთი ნარკვევი ზაქარია ოპანავანელის შესახებ ბროსემ ცალკეც გამოაქვეყნა [225]. ასე თანდათანობით შედგა მასალა სომეხ ისტორიკოსთა ამ ორტომეულის გამოცემისათვის¹. ამით დაამთავრა ბროსემ სომეხი ისტორიკოსების თარგმნა—გამოცემის საქმე. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა შეგვემოწმებოდა ამ თარგმანების დონე, მისი სიზუსტე და ხარისხი. თუ დაეჭვრება ქ. პატკანიანის რამდენადმე ტენდენციურ განცხადებას, ეს თარგმანები არ იყო მაინცდამაინც მაღალი ხარისხისა. პატკანიანის სიტყვით, ბროსეს თარგმანებში იგრძნობა, რომ მთარგმნელი ხშირად ვერ ახერხებს ჩასწვდეს სომხური ენას, სომხური გამოთქმების ზუსტ აზრს, სწორად გაიგოს ზოგიერთი დიალექტური გამოთქმა ან აღმოსავლური ენებიდან შემოსული სიტყვა. ამ თარგმანებს ახასიათებს—წერს პატკანიანი— „Неточная передача оригинала и малое знакомство с новыми армянскими диалектами, выражающееся весьма часто в недостаточном понимании слов простонародного языка и выражений заимствованных у мусульман“ [329, გვ. 471].

მიუხედავად ამისა, ბროსეს თარგმანებმა დიდი სამსახური გაუწიეს სომხური ისტორიული თხზულებების მეცნიერული

¹ ამ ორტომეულში სრულიად უადგილოდ არის შეტანილი ფრანგული თარგმანი ბარონ რორნაუს მოგონებებისა (რუსულად გამოქვეყნდა 1865 წ. მოსკოვში).

გამოყენების საქმეს. მრავალი მათგანი მხოლოდ ბროსეს თარგმანითაა ხელმისაწვდომი ევროპელი მკითხველისათვის.

რაც შეეხება ვარდან დიდის „მსოფლიო ისტორიას“, ბროსეს ამ ძეგლის სრული თარგმანი გამოუქვეყნებელი დარჩა [BA, გვ. 155]. 1861 წ. ეს თხზულება რუსული თარგმანითურა გამოაქვეყნა ემინმა. ბროსე დაკმაყოფილდა ამ გამოცემის კრიტიკული განხილვით [194]. იგი იწონებს მას.

3. ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

ჩვენ შეძლებისდაგვარად გადმოვეცით მარი ბროსეს მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობის შინაარსი, ჩამოვთვალეთ მის მიერ გამოქვეყნებული მასალები, დავახასიათეთ მისი თვალსაზრისი საქართველოს ისტორიაზე, ძველი საქართველოს შინაგან სოციალურ ორგანიზაციაზე, ვისაუბრეთ ბროსეს მეცნიერული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე მე-19 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში. ახლა დაგვრჩენია თვალი გადავავლოთ ბროსეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრეს მომენტებს 40—50-იანი წლებიდან მის გარდაცვალებამდე.

1847 წელს, როცა ბროსე ჯერ კიდევ საქართველოში იყო სამეცნიერო მივლინებით, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრთა რიგებს გამოაქლდა აკად. შმიდტი და განთავისუფლდა ორდინარული აკადემიკოსის ადგილი. ბროსეს მეგობრებმა ა. შეგრენმა, გროტმა და ფუსმა დაუყოვნებლივ აღძრეს შუამდგომლობა ამ ადგილზე მისი არჩევის შესახებ. ბროსეს, როგორც იმხანად ყველაზე უფროს ექსტრაორდინარულ აკადემიკოსს, დანსახურების მიხედვით ეკუთვნოდა ორდინარულ აკადემიკოსად გადაყვანა. აკადემიის ისტორია-ფალოლოგიის გამგეობამ ერთხმად (ცხრა წევრიდან ცხრამე) დაუჭირა მხარი ბროსეს კანდიდატურას, ხოლო იმავე წლის 4 დეკემბერს აკადემიის საერთო კრებამ ბროსე ორდინარულ აკადემიკოსად აირჩია¹.

¹ Архив АН СССР, ф. 2, оп. 17, д. № 11, ფურც. 12. შდრ. ЦГИАЛ, ф. 733, оп 13, 1847, д. № 91.

მალე ბროსე აკადემიის ისტორია-ფილოლოგიის განყოფილების მმართველი კომიტეტის წევრიც გახდა და სამი წლის განმავლობაში (1852—1855 წწ.) აქტიურად მონაწილეობდა განყოფილების მუშაობის წარმართვაში. შემდეგ წლებში ბროსე ხშირად ცვლიდა ხოლმე ისტორია-ფილოლოგიის განყოფილების მდივანს აკად. ფუსს (1854, 1856 და სხვა წლებში). ბროსეს ავტორიტეტი პეტერბურგის სამეცნიერო წრეებში წლიდან წლამდე იზრდებოდა. მას არაერთხელ უხდებოდა რუსეთის აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შესრულება, ხოლო 1872, 1875, 1877 წლებში ბროსე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს აკად. ბუნიაკოვსკის ცვლიდა ამ პოსტზე.

ბროსეს მეცნიერული ავტორიტეტი საზღვარგარეთაც იყო აღიარებული. 1859 წელს იგი აირჩიეს პარიზის ეთნოგრაფიული საზოგადოების წევრად, ხოლო 1866 წელს მას ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ირჩივენ.

ბროსე ახლოს იდგა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აზიურ მუზეუმთან, უშუალოდ მონაწილეობდა მისი ფონდების მოწესრიგებაში, ხელნაწერების კატალოგიზაციაში და სხვა სამუშაოებში. არაერთხელ ეკისრებოდა მას აზიური მუზეუმის ხელმძღვანელობა, ეს მაშინ, როცა მუზეუმის დირექტორი ხანგრძლივ სამეცნიერო მივლინებაში გაემგზავრებოდა ხოლმე.

1859 წელს ბროსე პ. საველიევმა მიიწვია რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლური განყოფილების თავმჯდომარედ და ამ თანამდებობაზე იგი კარგახანს მუშაობდა.

ხანგრძლივად ითანამშრომლა ბროსემ საიმპერატორო ერმიტაჟში. იგი აქ ჯერ კიდევ 1851 წლის 6 დეკემბერს დანიშნეს აღმოსავლური მედლებისა და მონეტების მკვლელად. ხოლო 1863 წელს, როცა განხორციელდა ერმიტაჟის რეორგანიზაცია, ბროსე დაინიშნა მედლებისა და მონეტების განყოფილების გამგედ. მისი ხელმძღვანელობით ამ განყოფილებაში თვალსაჩინო ღონისძიებები განხორციელდა: ჩატარდა მონეტებისა და მედლების სრული ინვენტარიზაცია, შექმნილი იქნა ახალი მნიშვნელოვანი კოლექციები (1851 და 1856 წლებში შეიძინეს პოლონელი კოლექციონერის რეიხელის კოლექცია; სულ 46.575 მონეტა; 1857 წელს—ლ. პეროვსკის კოლექცია

ბერძნულ-რომაული მონეტებისა; 1869 წელს—შროლისა და ვერკოვიჩის კოლექციები და ა. შ.), შედგენილი იქნა კატალოგები, მოეწყო აღმოსავლური მონეტების გამოფენა რაფაელის ლოჯიაში და სხვა.

ბროსე სისტემატურად აქვეყნებდა ცნობებს ერმიტაჟში შესული ახალი აღმოსავლური მონეტების შესახებ [165, 167, 181, 201, 206, 140], იძლეოდა მათ აღწერას, ახასიათებდა მათ მნიშვნელობას. აღმოსავლური მონეტების საერთო კატალოგი, რომელშიც 1700-მდე მონეტა იყო აღწერილი, ბროსეს ხელნაწერის სახით დარჩა ორ ტომად.

ერმიტაჟში ნაყოფიერი მუშაობისათვის ბროსე არაერთხელ იქნა დაჯილდოებული. 1869 წ. მას უბოძეს ოქროს სათუთენე. 1874 წელს იგი ფრანც-იოსების მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა ავსტრია-უნგრეთის იმპერატორმა. 1879 წელს ერმიტაჟიდან მისი გათავისუფლების დროს მას კვლავ უბოძეს საიმპერატორო ვენზელით დამშვენებულა ოქროს სათუთენე.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში ბროსე ქართველოლოგიურ და არმენოლოგიურ მუშაობას წარმართავდა. იგი დანტერესებული იყო ამ მუშაობის გაფართოებით, მისი ნაყოფიერების ზრდით. 1853 წელს ბროსეს წინადადებით აკადემიამ გამოაცხადა კონკურსი და დააწესა პრემია საუკეთესო ისტორიულ თხზულებებზე საქართველოს ისტორიაში. საკონკურსოდ ორი თემა იქნა შერჩეული: ა) საქართველოს უძველესი ისტორია, ეთნოგრაფია და გეოგრაფია (სტრაბონისა და არიანეს დრომდე); ბ) საქართველოსა და ევროპის ურთიერთობა XIII—XV საუკუნეებში. ეს ის საკითხები იყო, რომელთაც ბროსე ყველაზე ნაკლებად შესწავლილად და გაშუქებულად თვლიდა.

კონკურსის ვადად 1856 წ. აგვისტო იყო დანიშნული. საპრემიო თანხა უდრიდა 500 მანეთს, თუ ავტორი ორივე საკითხზე წარმოადგენდა დამაკმაყოფილებელ ნარკვევებს, და 300 მანეთს—თუ მხოლოდ ერთ-ერთ საკითხს გააშუქებდა.

აღნიშნულ ვადაში წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ერთი ნაშრომი: „Origines de l'histoire de Géorgie“ (ავტორი ვინ

იყო. არ ვიცი—შ. ხ.)¹, რომელმაც ვერ დააკმაყოფილა კონკურსის მომწყობნი. გადაწყდა, გაეგრძელებინათ კონკურსის ვადა 1858 წლის ბოლომდე. ანუ მოიქცნენ, მაგრამ ახლა არც ერთი ნაშრომი არ ყოფილა წარმოდგენილი. მაშინ აკადემიამ გადაწყვიტა კიდევ გაეგრძელებინა კონკურსის ვადა და შეეცვალა წამოყენებული საკითხები. სათანადო კომისიამ (ბროსე, კუნიცი, სტეფანი) საკონკურსოდ ახალი საკითხები დასვა: ა) იბერიელთა წარმოშობა; ბ) საქართველო XIII—XV საუკუნეებში. კონკურსის ვადა გაგრძელებული იქნა 1862 წლამდე. თითოეულ საკითხზე დაინიშნა 500-მანეთიანი პრემია, კონკურსის პირობები გამოქვეყნდა რუსულად, ფრანგულად, გერმანულად და იტალიურად რუსეთისა და უცხოეთის ჟურნალებში.

მაგრამ შედეგი უცვლელი დარჩა. საკონკურსოდ არც ერთი ნაშრომი არ ყოფილა წარმოდგენილი.

ამგვარი კონკურსის გამოცხადება რუსეთის აკადემიის მიერ გასული საუკუნის შუა წლებისათვის, ერთი მხრივ, ფრიად საინტერესო მოვლენაა რუსეთის ქართველოლოგიის ისტორიის თვალსაზრისით, მაგრამ, მეორე მხრივ, მისი შედეგები ფრიად სავალალო გარემოებაზე მიუთითებს. ჩანდა, რომ ქართველოლოგია ჯერ კიდევ არ იყო ისე წელმომავრებული, რომ პასუხი გაეცა ზემოხსენებულ საკითხებზე, ჯერ კიდევ არ იყო საკმაო მასალები, ჯერ კიდევ არ იყვნენ სათანადო მომზადებით აღჭურვილი ქართველოლოგები.

ქართველთა უძველესი ისტორია, მათი ეთნოგენეზისის პრობლემა ინტენსიური დამუშავების საგნად რუსეთში მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან იქცევა და შესაძლებელია, ამაში გარკვეული როლი ამ საკითხის საკონკურსოდ გამოცხადებამაც ითამაშა.

გასული საუკუნის 50—70-იან წლებში ბროსე რუსეთას ქართველოლოგიის აღიარებული მეთაური იყო. ყველა, ვინც კი დაინტერესდებოდა ქართველოლოგიის თუ არმენოლოგიის ამა თუ იმ საკითხით მას უკავშირდებოდა, რჩევასა და განმარტებებს ითხოვდა მისგან. საკმარისია, კაცმა თვალი გადა-

¹ კონკურსის პირობებით ავტორი არ ცხადდებოდა, სანამ ნაშრომი მოწონებას არ დაიმსახურებდა.

ავლოს ბროსეს მიწერ-მოწერას მის კოლეგებთან და მეგობრებთან, რომ დარწმუნდეს ამაში. ბროსეს კორესპონდენტთა წრე საკმაოდ ფართოა. მას წერილებს სწერენ საქართველოდან, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან, ვენეციიდან, თურქეთიდან და სხვა ადგილებიდან. 1849 წელს, მაგალითად, ბარონი დესპეზონი თურქეთიდან უგზავნის მას ახალციხის თურქულ წარწერებს. 1857 წელს ფლორი დე სენლესაგან ბროსემ მიიღო კუმურდოს ტაძრის წარწერები. ფლორი დე სენლე ამ დროს კონსტანტინეპოლში იყო.

მრავალ თავის კოლეგასთან ბროსეს მჭიდრო მეცნიერულ-შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა. ამ ურთიერთობას საფუძვლად ედო საქართველოს წარსულისა და კულტურის საკითხებთან დაინტერესება. ბროსეს ასეთ მეგობართა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ: ა. შეგარენი, ხრ. ფრენი, ბ. დორნი, პ. საველიევი, ა. კუნიკი. ფ. ადელუნგი, ა. ბერედნიკოვი და სხვები. ა. შეგარენმა შესანიშნავი რეცენზიები უძღვნა ბროსეს გრამატიკულ ნაშრომებს. მან იმოგზაურა საქართველოში, შეკრიბა და აკადემიას გაუგზავნა საკმაოდ კარგი მასალები ამ ქვეყნის წარსულის შესახებ. მანვე აკადემიას დაუკავშირა და ბროსეს გააცნო განათლებული ქართველი მოღვაწეები პლ. იოსელიანი და ნიკოლოზ ქუთათელაძე. ა. შეგარენის წერილებში მრავალი საინტერესო ცნობა მოიპოვება საქართველოს კულტურაზე, მის ისტორიულ წარსულზე (იხ. BSc, III. 1838, გვ. 268—272, 382 და შმდ). 1855 წელს ა. შეგარენი გარდაიცვალა და ბროსე გულთბილი ნეკროლოგით გამოეთხოვა თავის მეგობარს [159].

ასეთივე ინტენსიური მეცნიერული თანამშრომლობითაა აღბეჭდილი ბროსეს ურთიერთობა აკად. ხრ. ფრენტან, რომელიც მას ჯერ კიდევ პარიზში უგზავნიდა მისთვის საინტერესო მასალებს. პეტერბურგში მათი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა. ფრენმა გამოსცა გელათში დაცული არაბული წარწერა, აღწერა ქართული ხელნაწერები და დააყენა საკითხი „ქართლის ცხოვრების“ შესწავლა-გამოქვეყნების შესახებ, იგი სწავლობდა ქართულ მონეტებს, კრებდა და ბროსეს აწვდიდა სომხეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებს. ფრენის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში ბროსემ მაღალი შეფასება მისცა მის მეცნიერულ დამსახურებას და ხაზი გაუსვა მის

მნიშვნელობას რუსეთის ორიენტალისტიკის განვითარებათვის: «Усиловлеиши Росснеи — უთქვამს ბროსეს — Френшм русским по сердцу, по ревностной службе, по трудам своим, по своей несомненной славе» [გვ. 50; შდრ. 138].

მკიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ბროსეს ბ. დორნთან, რომელიც 1842 წლიდან აზიურ მუზეუმს განაგებდა. მან უთარგმნა ბროსეს ვრცელი ნაწყვეტი ისკანდერ მუნშის ნაშრომიდან, გაშიფრა და ამოიკითხა ანისისა და ბაქოს მაჰმადიანური წარწერები. საქართველოში მოგზაურობის დროს გადმოიწერა თურქულ-პარსული საბუთები, შეადგინა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის აღმოსავლურ ხელნაწერთა კატალოგი, დაწერა რეცენზიები ბროსეს ნაშრომებზე და სხვა. ბროსეს მიერ XIII—XVII საუკუნეების საქართველოს შესახებ ისტორიული მასალების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დორნმა შეკრიბა მათი საკონტროლო აღმოსავლური მასალები (XVI—XVII საუკუნეებისა) და დაბეჭდა ისინი აკადემიის უფრნალში.

ბროსეს შრომების რუსულად მთარგმნელი და პოპულარიზატორი, მისი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი და თანამშრომელი იყო პ. საველიევი, რომელმაც არაერთხელ აღმოუჩინა დახმარება ჩვენს მეცნიერს ახალი მასალების მიწოდებით. მისი შრომების რეცენზირებით და სხვა გზით. პ. საველიევისაგან მიიღო ბროსემ ახალი მასალები ვახუშტის ბიოგრაფიკოსათვის, მანვე გაუგზავნა ბროსეს ბულგარის სომხური წარწერების საუკეთესო ანაბეჭდები და სხვა. თავის მხრივ ბროსემ დაწერა რეცენზია საველიევის წიგნზე: «Монеты Дагучиш-дов...» და მოითხოვა მისთვის დემიდოვის პრემიის მინიჭება [174]. პ. საველიევის გარდაცვალებას ბროსე ნეკროლოგიტ გამოეხმაურა [173] და აღნიშნა მისი დამსახურება აღმოსავლური ნუმისმატიკის შესწავლაში, რუსეთის გეოგრაფიული, არქეოლოგიური და ნუმისმატიკური საზოგადოების დაარსებაში, მისი მუშაობის წარმართვაში.

ბროსე მეგობრობდა აკად. პ. გ. ბუტკოვთანაც. პ. ბუტკოვის მეცნიერული შემკვიდრების მოწესრიგებისა და გამოქვეყნების საქმეში მან აქტიური როლი ითამაშა. ბროსე იყო

კომისიის წევრი, რომელსაც ევალებოდა ბუტკოვის ხელნაწერების (52 ტომი) გარჩევა, განხილვა და გადაწყვეტა, რა შეიძლებოდა მათგან გამოქვეყნებულიყო. ბროსემ წაიკითხა მოხსენება ბუტკოვის მასალების შესახებ [177; BA, გვ. 361] და მოითხოვა მათი გამოქვეყნება. 1869 წ. ბუტკოვის მასალები მართლაც გამოიცა ორ ტომად. მათი გამოცემა განხორციელდა ლავრენტი ბროსეს რედაქტორობით. მანვე შეადგინა ამ ნაშრომის საძიებლები, მასში მოხსენებულ მოვლენათა ქრონოლოგია და ბიბლიოგრაფია, რომელნიც ცალკე, მესამე ტომად დაიბეჭდა. ბუტკოვის ეს ნაშრომი უძვირფასესი წყაროა XVIII საუკუნის კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიისათვის და პირველად ბროსემ მიუთითა მის ამგვარ მნიშვნელობაზე.

ქართველოლოგიურ საკითხებს ეხება მარი ბროსეს მიწერ-მოწერა ფ. ადელუნგთან, კ. ობოლენსკისთან და ა. ბერედნიკოვთან (რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები), ა. კუნიკთან (ძველი ქართული წელთაღრიცხვის საკითხები, ცალკეულ სიტყვათა ეტიმოლოგია), ა. ბიჩკოვთან (ძველი ქართული ხელნაწერები), გ. დესტუნისთან, პ. ფუსთან, შიფნერთან და სხვებთან.

საქართველოში არქეოლოგიური მოგზაურობისა და „ქართლის ცხოვრების“ გამოცემის შემდეგ ბროსეს ქართველნაცნობ-მეგობართა წრე საგრძნობლად ფართოვდება, ძველებს ახლები ემატებიან, მიწერ-მოწერა ინტენსიური და შინაარსიანი ხდება. ამ წერილებში ლაპარაკია საქართველოს წარსულზე, მის ისტორიულ ძეგლებზე. ბროსეს აინტერესებს საქართველოს კულტურული ცხოვრება, ახლადგამოქვეყნებული ქართული წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, იგი ითხოვს, მიაწოდონ ბიბლიოგრაფიული ცნობები, გაუგზავნონ ახალი გამოცემები. ამ შინაარსისაა მისი მიწერ-მოწერა რაფიელ ერისთავთან, დიმიტრი ბაქრაძესთან, ზაქარია ჭიჭინაძესთან და სხვებთან.

გასული საუკუნის 50-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის დიმიტრი ბაქრაძე, შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. ჟურ. „ცისკარში“ გამოქვეყნებულმა მისმა წერილებმა იმთავითვე მიიქცა ბროსეს ყურადღება და ავტორის დიდ პერსპექტივებში დაარწმუნეს. 1865 წელს დ. ბაქრაძე დ. მეღვინეთხუცესიშვილის მეშვეობით უგ-

ზავნის ბროსეს თავის ნაშრომი: „საქართველოს ისტორიის წყაროები“ [294, გვ. 21] და ამით იწყება მათი ურთიერთგაცნობა. შემდეგ და შემდეგ: განსაკუთრებით 70-იან წლებში მ. ბროსესა და დ. ბაქრაძის ურთიერთობა სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდება, ბროსე ერთობ მოხარული იყო, რომ ბაქრაძის სახით მან ჰპოვა კარგად მომზადებული, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა, რომელსაც თამამად შეეძლო გაეგრძელებინა წინამორბედ ქართველ ისტორიკოსთა საქმე, ნაყოფიერად ემუშავა მშობლიური ისტორიის საკითხებზე „თქვენ, ბატონო, — წერდა ბროსე დ. ბაქრაძეს — საქართველოში ცხოვრობთ, ენა კარგათ იცით, ქართველი თანამემამულე ბრძანდებით, გეადვილებათ საქმე უფრო ვიდრე ლა ჩემთვის“.

დ. ბაქრაძე მართლაც დიდი მონღომებით მუშაობდა ქართულ სიძველეთა შეკრებაზე. 1866 წ. მან სთხოვა რუსეთის აკადემიას ნებართვა და შემწეობა არქეოლოგიური მოგზაურობის განხორციელებისათვის. 1872 წ. მან განმეორებით მიმართა აკადემიას ასეთივე თხოვნით. ამ წელს მან გაუგზავნა ბროსეს თავისა საპროგრამო ნაშრომი: «История Грузии на основании новых изысканий» და გამოთქვა სურვილი აკადემიის მხრუწველობის ქვეშ დაეწყო არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა რაიონში. დ. ბაქრაძე ფიქრობდა ესარგებლა რუსეთის კეთილგანწყობილებით თურქეთთან და შემოეღო სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. „თუ ამას მოახერხებთ, — წერდა იგი ბროსეს 22 აპრილის წერილში, — მთელს წლევეანდელს ზაფხულს იმ მხარეს შევწირავ“¹. ბაქრაძის წინადადება აკადემიამ დაგვიანებით განიხილა და 1873 წ. 24 აპრილს დართო მას ნება აკადემიის დავალებით ემოგზაურა გურიაში და ახალციხის მხარეში. ბროსემ შეადგინა სათანადო ინსტრუქცია და იმავე წლის აგვისტო-ოქტომბერში ბაქრაძემ განახორციელა თავისი მიზნის პირველი ნაწილი — შემოიარა გურია და აჭარა, აღწერა იქ ნახული სიძველეები და წარადგინა აკადემიაში სათანადო მოხსენებები. პირველი მოხსენება გურიაში მოგზაურობას შეეხებოდა. იგი მან გაუგზავნა ბროსეს

¹ ИНА, ხელნაწ. განყოფილება, Р - 19.

1874 წ. 2 იანვარს. ბროსემ ეს მოხსენება წარუდგინა აკადემიას [237] და შემდეგ მისი ერთი ნაწილი გამოაქვეყნა აკადემიის უწყებებში. მომდევნო წლებში განმავლობაში დ. ბაქრაძემ კიდევ ხუთი ასეთი მოხსენება გაუგზავნა ბროსეს. ამ მოხსენებებისაგან შედგა ერთიანი ნაშრომი, რომელიც 1876 წ. მარტში წარუდგინა აკადემიას [241] და 1878 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა [333]. ამავე პერიოდში ბროსეს ინტენსიური მიწერ-მოწერა ჰქონდა დ. ბაქრაძესთან. წერილებში საუბარია დ. ბაქრაძის მუშაობასა და ქართული კულტურული ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე (გ. ყახბეგის ნაშრომზე, აკადემიის გამოცემათა საქართველოში გავრცელებაზე, არქეოგრაფიული კომისიის მუშაობაზე და სხვა).

ფრიად საყურადღებოა ამ მიმოწერის ის ადგილები, რომელიც ილ. ჭავჭავაძესა და მის „კაცია-ადამიანს?!“ შეეხება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბროსემ თარგმნა ილ. ჭავჭავაძის ეს შესანიშნავი მოთხრობა, მაგრამ არ გამოუქვეყნებია იგი. ილია დაუინტერესებია ამ ამბავს. იგი ბაქრაძის მეშვეობით თხოვდა ბროსეს გაეგზავნა მისთვის ამ თარგმანის დაბეჭდილი ეგზემპლარები. მოთხრობის სათაური ბროსემ ასე თარგმნა: „Un homme, un fils d'Adam“. დ. ბაქრაძემ ეს თარგმანი არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა და ჰკითხა ილ. ჭავჭავაძეს, როგორ უნდა გავიგოთ მოთხრობის სათაური. ილიას უპასუხნია (მოგეყავს დ. ბაქრაძის სიტყვებით): «Роман печатался без него и потому допущена негочность типографская, которая многих вводит в ошибку. Следовало бы печатать не кация адамიანი, а „кация-а адамიანი!“. Заглавием этим автор хотел выразить следующую мысль «Он есть человек?!». Кация и адамიანი равнозначащи»¹.

ამავე მიმოწერიდან ჩანს, რომ ბროსეს ფართო ინფორმაცია ჰქონდა ბაქრაძისაგან საქართველოს კულტურულ ცხოვრებაზე, აქ მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებზე. ასეთსავე ცნობებს შეიცავს ზ. ჭიჭინაძის და სხვათა წერილები ბროსესადმი.

¹ ИНА, ხელნაწ. განკ., Р — 19, 1878 წ. 16 თებერვლის წერილი. ილიას წერილობით ნიუწოდებათა თავისი შენიშვნა - განმარტება ბროსესათვის, მაგრამ ილიას ნაწერს ჩვენ ბროსეს არქივში ვერ მივაგენით.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში თბილისში ჩამოყალიბდა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება, რომლის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო დიმიტრი ბაქრაძე. ამ საზოგადოების თხოვნით რუსეთის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ გადაწყვიტა თავისი მორიგი, V ყრილობა ჩაეტარებინა თბილისში 1881 წლისათვის. დაიწყო გაცნობელებული მზადება. პეტერბურგში შეიქმნა ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტი. თბილისში ჩამოყალიბდა წინასწარი კომიტეტი. ბროსე. მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა და ავადმყოფობისა. ფიქრობდა მონაწილეობა მიეღო ყრილობის მუშაობაში. 1878 წ. 2 იანვარს ბროსემ შეადგინა წერილი ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარის ა. ს. უვაროვის სახელზე. წერილში მან წამოაყენა ძირითადი საკითხები, რომელთა ირგვლივ. მისი აზრით, უნდა გაშლილიყო მუშაობა ყრილობის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში. ეს საკითხები იყო: 1) რომელ რაზას მიეკუთვნებიან ქართველები, 2) ენათა რომელ ოჯახს მიეკუთვნება ქართული ენა, 3) საქართველოს სახელწოდებების წარმოშობა, 4) ეპიგრაფიკული ძეგლების გამოვლინება-შესწავლა, 5) საქართველოს ისტორიის წყაროების, განსაკუთრებით, დოკუმენტური მასალების გამოვლინება-შესწავლა.

ბროსეს არ დასცალდა ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მიღება. მისი ჯანმრთელობა 1879 წლისათვის მკვეთრად გაუარესდა. ექიმებმა ურჩიეს საფრანგეთში გამგზავრება — მშობლიურ კლიმატს შეეძლო კეთილმყოფელი გავლენა მოეხდინა მის ჯანმრთელობაზე. 1880 წლის მაისში იგი გაემგზავრა საფრანგეთში, დაბინავდა ქალ. შატელროში, პუატიეს მახლობლად, თავისი ქალიშვილის ჰენრიეტა ბუტენის სახლში. საფრანგეთში გამგზავრებისას ბროსემ თან წაიღო თავისი ნაშრომების სრული კომპლექტი და პირადი არქივის ნაწილი. ჩანს, იგი აღარ იმედოვნებდა პეტერბურგში დაბრუნებას. 1880 წლის 3 სექტემბერს იგი გარდაიცვალა. დაკრძალეს იქვე სენ-ჟან-ბატისტის სასაფლაოზე [279ა]. პირველი ცნობა ამის შესახებ გამოქვეყნდა შატელროს გაზეთში. პეტერბურგის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ნეკროლოგები. ნეკროლოგები დაიბეჭდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებშიც.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ თავის უწყებებში აღნიშნა ეს სამწუხარო ფაქტი, გამოაქვეყნა მისი ბიოგრაფია, გამოქვეყნებული შრომების არასრული სია და აღძრა შუამდგომლობა ბროსეს ოჯახისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ. პენსია მართლაც დაენიშნათ ბროსეს ქვრივს — ვიქტორინა შოლს და მის ავადმყოფ ქალიშვილს მარია¹.

ბროსეს გარდაცვალებას ქართველი საზოგადოება დიდი მწუხარებით გამოეხმაურა. ქ. თბილისში, ქუთაისში, გორში და ახალციხეში გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდები, პრესაში გამოქვეყნდა წერილები ბროსეს შესახებ, გადაწყდა, დაწესებულიყო ბროსეს სახელობის პრემია და დაიწყო ფულის შეგროვება.

ს. მესხი, ი. მეუნარგია, გ. წერეთელი, ივ. გვარამაძე და სხვანი ქება-დიდებას ასხამდნენ განსვენებულს, მის ღვაწლს ქართული კულტურისა და მეცნიერების წინაშე. „ჯერ ისევ თბილ საფლავზე, ამ საქართველოსათვის დაუვიწყარ კაცს, — წერდა ი. მეუნარგია, — ჩვენგან მხოლოდ მადლობა და პატივი შევინის“.

ჩვენც შეგვიძლია ამ სიტყვებით დავამთავროთ მარი ბროსეს ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის აღწერა.

¹ Архив АН СССР, ф. 4, оп. 4, д. № 701³, ფურც. 117 და შმდ.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა უ შ ი ა

მარი ბროსეს გამომკვეთებული ქართველმოლოგიური და არამელოლოგიური ნაშრომები¹

1. Notice sur la langue Géorgienne, JAS, 1827, p. 351—364.
2. Sur la langue Géorgienne. JAS, XI, 1827, p. 321—344.
3. Etat actuel de la littérature Géorgienne. NJAS, I, 1828, p. 434—454. დამატება: NJAS II, 1828, გვ. 42 — 50.
4. Première Histoire de Rostéwan, roi d'Arabie, traduite du roman Géorgien intitulé l'Homme à la peau de li-gre, suivie de quelques Observations sur les dictionnaires géorgiens. NJAS, II, 1828, p. 277—294.
5. Notice du code géorgien, manuscrit de la Bibliothèque Royale. NJAS, III, 1829, 177—201. აგრეთვე: Annales de Législation de Jurisprudence, 1829 N 32, p. 249—252, ამ წერილის მეორე ნაწილი იხ. იქვე, № 40, გვ. 313 — 315.
6. Autographie Géorgienne. Paris 1832, p. 32. ლითოგრაფიულია.
7. Nouvelles de l'armée d'opération du corps spécial du Caucase. Extrait du journal Géorgien de Tiflis du 27 novembre 1828. NJAS, III, 1829, p. 380—384; 471—473.
8. Observations adressées au Conseil de la Société Royale Asiatique sur un Vocabu-

შენიშვნა: ქართული ენის შესახებ.

ქართული ენის შესახებ.

ქართული ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობა. დამატება: 1742 წელს მოსკოვში გამოცემული ქართული ბიბლიის შესახებ.

არაბეთის მეფის როსტევეანის თავდაპირველი ისტორია, თარგმანი ქართული რომანიდან, რომელსაც ეწოდება „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ლექსიკონის შესახებ რამდენიმე შენიშვნის დართვით.

შენიშვნა სამეფო ბიბლიოთეკის ხელნაწერი ქართული კანონების შესახებ

ქართული თვით წერილობა.

ახალი ამბები კავკასიის საგანგებო კორპუსის სამხედრო მოქმედების შესახებ, ნაწყვეტი 1828 წლის 27 ნოემბრის „თბილისის უწყებანი“-დან.

ქართული ლექსიკონისა და ქართული გრამატიკის (გამომცემელი ი. კლაპროტი) განხილვა,

¹ ემყარებით BA-ს.

- laire Géorgien et sur une Grammaire Géorgienne. 1829, p. 32. (Editeur M. I. Klaproth). ლითო-რაფიულად.
9. Notice en réponse à une question proposée par M. Klaproth, dans le journal asiatique, décembre, 1829. p. 29, note 2. NJAS, V, 1830, p. 231—233.
10. Recherches sur la poésie géorgienne; notice de deux manuscrits et extrait du roman de Tariel. NJAS. V, 1830, p. 257—284; ib., VI, 1830 p. 373—394. ib., VII, 1831. p. 321—372.
11. Chroniq. Géorgienne, traduite par M. Brosset, Paris, 1830. vol. I—2.
12. Pièces diverses relatives à la Géorgie. NJAS, VI, 1830, p. 305—320.
13. Détails sur le droit public arménien, extrait du Code géorgien du roi Wakhtang et traduits du géorgien. NJAS. IX, 1832. p. 21—30.
14. Documents originaux sur les relations diplomatiques de la Géorgie avec la France vers la fin règne de Luis XIV. NJAS, IX. 1832. p. 193—221. ib. p. 339—366; ib., 437—456. დაბეჭობა იხ. NJAS, X, 1832. p. 168—190.
15. Courte relation du commencement, du progrès et de l'état de la Mission géorgienne, écrite par ordre du très-révérend P. Séraphin de Mélicocca. capucin, préfet de la même Mission, par le P. Berhardo Maria, Napolitain missionnaire en Géorgie aux éminentissimes cardinaux de la sacrée congrégation de la propaganda fide. NJAS, X, 1832, p. 193—218.
16. L'Académie Géorgienne. Paris, 1832. p. 4. ლითოგრაფიულად.

წარდგენილი სამეფო აზიური საზოგადოების საბჭოსადმი.

შენიშვნა პასუხად საციტხისა, რომელიც დასვა კლაპროტმა აზიურ ჟურნალში, დეკემბერი, 1829, გვ. 29. შენ. 2.

ძიებანი ქართული პოეზიის შესახებ. შენიშვნა ორ ხელნაწერზე და ნაწყვეტი რომანიდან „ტალოელი“. (პირველი და მეორე ნაწილები დამატებული გამოქვეყნდა ცალკე წიგნაჲს სახით ლითოგრაფიულად).

ცხოვრება საქართველოსა, თარგმნილი მ. ბროსეს მიერ. პარიზი, 1830, 2 წიგნად

სხვა და სხვა წერილები საქართველოს შესახებ.

ზოგი რამ სომხური სამოქალაქო კანონის შესახებ, ნაწყვეტი ვახტანგ მეფის კანონთა კრებულიდან და თარგმნილი ქართულიდან.

ავთენტიკური დოკუმენტები საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ საფრანგეთთან ლუი XIV-ს მეფობის დამლევს. პირველი წერილი გამოქვეყნდა ცალკე, ლითოგრაფიულად, Paris. 1832.

მოკლე მოხსენება საქართველოს მისიის დაწყების, განვითარების და მდგომარეობის შესახებ, შედგენილი ამავე მისიის პრეფექტის კაპუცინის, ყოვლად უბატოსნესი მამის სერაფინ დე მელიკოკას ბრძანებით პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციის ყოვლად უსამღვდელოესი კარდინალებისაგან საქართველოში მისიონერად გამოგზავნილი მამის პერნარდო მარია ნეაპოლელის მიერ.

ქართული სასწავლო

17. Extrait du manuscrit armenien No 114. de la Bibliothèque royale, relatif au calendrier géorgien, NJAS, X, 1832. p. 526—536.

18. Histoire du Bas-Empire, par Lebeau. Nouvelle édition, vv. XIII—XXI.

19. Notice historique sur M. A—J. Saint-Martin, membre de l'Institut (Académie des Inscriptions) Chevalier de la Legion-d'honneur, rédacteur du Journal Asiatique... Histoire du Bas-Empire par Lebeau. P., XIII, 1832. p. I,—XXII.

20. Notice et analyse raisonnée du commencement de la Grammaire géorgienne du patriarche Antoni I, intitulée L'art Liberal au Préceptes grammaticaux, NJAS, XI, 1833, p. 385—414.

21. Notice des manuscrits géorgiens envoyés en France par le prince Théimouraz, membre de la Société Asiatique, NJAS, XII, 1833, p. 155—162.

